

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
თეორიული და გამოყენებითი ენათმეცნიერების
სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი
ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამა

მარიამ რუხაძე
გრამატიკალიზებული ზმნური ფორმების ანალიზი კორპუსლინგვისტურ
ჭრილში

ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად
წარმოდგენილი დისერტაცია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: რუსუდან ასათიანი

თბილისი
2025 წელი

აბსტრაქტი

ნაშრომი ეხება ენებში მიმდინარე გრამატიკალიზაციის პროცესს, გრამატიკალიზაციის შედეგად მიღებულ ფუნქციურ ელემენტებს, მათ ფუნქციურ-სემანტიკურ მახასიათებლებსა და იმ პრობლემათა დაძლევის გზებს, რომლებსაც ზმნური წარმოშობის ფუნქციური ელემენტები წარმოქმნიან კორპუსლინგვისტიკაში.

საზოგადოდ, ლექსიკური ერთეულების ფუნქციურ, გრამატიკულ ელემენტებად ჩამოყალიბება ენებში საკმაოდ გავრცელებული პროცესია, რაც ახასიათებთ როგორც სახელებს, ისე ზმნებს; მათი კვლევის მეთოდოლოგია განსხვავებულია. ტიპოლოგიური თვალსაზრისით, განსაკუთრებით საინტერესო სურათს ქმნის ზმნურ ფორმათა ფუნქციურ ელემენტებად ჩამოყალიბების საკითხი. ამდენად, კვლევა შემოიფარგლა ქართულ ენაში დადასტურებული ზმნური წარმოშობის, გრამატიკალიზაციის პროცესში მყოფი შემდეგი ერთეულებით: *დგება*, *იღებს* და *ჩანს*.¹

ნაშრომის მიზანია გრამატიკალიზაციის პროცესის შესახებ არსებული ლიტერატურის სრულფასოვანი ანალიზი, დარგში არსებული კვლევის უახლესი მეთოდოლოგიის გაცნობა, ქართულ ენასთან მიმართებით მათი ეფექტურობის განსაზღვრა და ამის საფუძველზე კვლევისთვის საჭირო მეთოდოლოგიის შემუშავება.

ნაშრომი მიზნად ისახავს გრამატიკალიზაციის პროცესის შესახებ არსებული თეორიების თავმოყრის, ძირითადი დებულებების ქართულ ენაზე გადმოტანისა და გრამატიკალიზაციის პროცესის საკვლევად საჭირო თეორიული ჩარჩოს ფორმირების საფუძველზე საკვლევად შერჩეულ გრამატიკალიზებულ ერთეულთა ფუნქციურ-სემანტიკურ ანალიზს, იმ სემანტიკურ მახასიათებელთა გამორკვევას, რომლებსაც საკვლევნი ერთეულები ატარებენ კონტექსტში, და მათი როლის განსაზღვრას დისკურსში.

¹ *დგება*, *იღებს* და *ჩანს* ფორმებში ნაშრომში ვგულისხმობთ ამ ამოსავალი ფორმების სხვადასხვა მწკრივის, პირისა და რიცხვის გრამატიკალიზებულ ფორმებს.

ნაშრომის მიზანია იმ პრობლემების დაძლევის გზების მოძიება, რომლებსაც ზმნური წარმოშობის ფუნქციური ელემენტები წარმოქმნიან ქართული ენის ეროვნულ კორპუსსა და ავტომატური თარგმანისათვის გამიზნულ პროგრამულ პროდუქტებში. სამწუხაროდ, ქართული ენის ეროვნულ კორპუსს არ აქვს ალგორითმი, რომელიც ერთმანეთისგან გამიჯნავდა პრედიკატსა და იმავე ფორმით დადასტურებულ ზმნური წარმოშობის ფუნქციურ ელემენტს, რაც კორპუსში ომონიმის წყაროა და აფერხებს ორაზროვნების მოხსნის საკითხს.

კვლევა ეყრდნობა კორპუსულ – როგორც კორპუსზე დამყარებულ, ისე კორპუსით განპირობებულ – მეთოდებს და ხორციელდება ქართული ენის ეროვნული კორპუსის (GNC) (www.gnc.gov.ge), კერძოდ, ქართული ენის რეფერენციალური კორპუსის (GRC) ბაზაზე. ემპირიული მასალის მოსაპოვებლად ნაშრომში გამოყენებულია KWIC – KRICK ძიების მეთოდები.

ნაშრომში:

- გაანალიზებულია ქართული ენის ეროვნულ კორპუსში საკვლევად შერჩეული თითოეული ელემენტისათვის დადასტურებული კოლოკაციები სერიებისა და მწკრივების, ასევე, სხვადასხვა პირისა და რიცხვის მიხედვით. ემპირიული მასალის ანალიზი მიმდინარეობს როგორც თვისებრივი, ისე რაოდენობრივი კვლევის მეთოდებით.

- წარმოდგენილია საკვლევ ერთეულთა ფუნქციურ-სემანტიკური ანალიზი, რისთვისაც გამოვიყენეთ **სუბსტიტუციის, სკოპუსისა და ელიმინაციის** ენობრივი ინსტრუმენტები, ელემენტთა სემანტიკური ნიშნების განსასაზღვრად კი — **ენობრივი კომპეტენციის ტესტი**.

- მოცემულია საკვლევ ფუნქციური ელემენტების კორპუსული კვლევის შედეგად შეკრებილი მონაცემების სტატისტიკური ანალიზი და ჩამოყალიბებულია ფორმალური წესები, რომლებიც ეროვნულ კორპუსში ზმნური წარმოშობის ფუნქციური ელემენტებით განპირობებული ომონიმის საკითხის გადაჭრას ისახავს მიზნად. შემუშავებულ ფორმალურ წესებს საფუძვლად უდევს საკვლევ ელემენტთა კორპუსული კვლევის შედეგად მიღებული პოზიციური განაწილების სქემა.

Abstract

The paper's primary focus is on the process of grammaticalization in languages, the functional elements resulting from this process, their functional-semantic properties, and the ways of addressing the challenges that verb-derived functional elements pose in corpus linguistics.

In general, the transformation of lexical units into functional or grammatical elements is a common process in many languages, occurring with both nouns and verbs, though the methodologies for their analysis differ. From a typological perspective, the evolution of verb forms into functional elements constitutes a particularly intriguing phenomenon. Consequently, the scope of this study is constrained to verbs that have undergone grammaticalization and are attested in Georgian. These include *dgeba* ('stand'), *iġebs* ('take'), and *ĉans* ('seem').²

The objective of the present study is threefold: firstly, to provide a comprehensive analysis of the extant literature on grammaticalization; secondly, to examine the latest methodological approaches in the field; thirdly, to assess their applicability to the Georgian language; and finally, to develop a suitable methodological framework for further investigation.

The objective of the present study is twofold: firstly, to compile and adapt the major theoretical perspectives on grammaticalization to the Georgian linguistic context, and secondly, to conduct a functional-semantic analysis of the selected grammaticalized units based on this theoretical foundation. The objective of this study is to identify the semantic features manifested by these units within their respective contexts and to ascertain their roles and functions within the discourse.

Another significant objective of the research is to investigate potential solutions to the challenges posed by verb-derived functional elements in the Georgian National Corpus and

² In the study, the forms *dgeba*, *iġebs*, and *ĉans* refer to various grammaticalized forms. These forms are derived from the base verbs. They encompass different paradigms, persons, and numbers.

in software products designed for automatic translation. However, the Georgian National Corpus currently lacks an algorithm capable of distinguishing between a predicate and a verb-derived functional element with the same surface form. This issue gives rise to instances of homonymy within the corpus and hinders the disambiguation process.

The research employs corpus-based and corpus-driven methodologies and is conducted using the Georgian National Corpus (GNC) (www.gnc.gov.ge), specifically the Georgian Referential Corpus (GRC). The study uses KWIC-KRICK search methods to extract empirical data.

In the study:

- The Georgian National Corpus's attested collocations for each element are analyzed according to their respective series and paradigms, as well as across different persons and numbers. The empirical material is examined using qualitative and quantitative research methods.

- A functional-semantic analysis of the examined units is presented. To this end, the study employs linguistic tools such as substitution, scope, and elimination tests, as well as a linguistic competence test to identify the semantic features of the elements.

- A statistical analysis of the data collected through the corpus-based investigation of functional elements is provided. A set of formal rules is formulated to address homonymy caused by verb-derived functional elements in the Georgian National Corpus. These formal rules are based on positional distribution patterns obtained from corpus analysis of the investigated elements.

შინაარსი

აბსტრაქტი.....	ii
Abstract.....	v
შემოკლებათა განმარტებანი.....	ix
1. შესავალი.....	1
2. გრამატიკალიზაციის განმსაზღვრელი ძირითადი თეორიული დებულებები.....	5
2.1 საკითხის კვლევის ისტორია	5
2.2 გრამატიკალიზაციის ფუნქციური და ფორმალური პერსპექტივა.....	9
2.3 გრამატიკალიზაციის საფეხურები	13
2.4 გრამატიკალიზაციის ლემანისეული კონცეფცია	16
2.5 გრამატიკალიზაციის პრაგმატიკული ასპექტი.....	28
3. ემპირიული მასალა	33
3.1 საკვლევ ელემენტთა აღწერა.....	33
3.2 ელემენტთა ფუნქციების გასამიჯნი მეთოდოლოგიური ინსტრუმენტები.....	42
3.3 ელემენტთა კორპუსული ანალიზი – გრამატიკალიზებული დგება ფორმა.....	50
3.3.1 გრამატიკალიზებული ფორმები I სერიაში	53
3.3.2 გრამატიკალიზებული ფორმები II სერიაში	58
3.3.3 გრამატიკალიზებული ფორმები III სერიაში.....	64
3.4 გრამატიკალიზებული იღებს ფორმის კორპუსული ანალიზი.....	70
3.4.1 გრამატიკალიზებული ფორმები I სერიაში	72
3.4.2 გრამატიკალიზებული ფორმები II სერიაში	74
3.4.3 გრამატიკალიზებული ფორმები III სერიაში.....	77
3.5 გრამატიკალიზებული ჩანს ფორმის კორპუსული ანალიზი	79
3.5.1 გრამატიკალიზებული ფორმები I სერიაში	82
3.5.2 გრამატიკალიზებული ფორმები II სერიაში	86
4. საკვლევ ელემენტთა ფუნქციურ-სემანტიკური ანალიზი.....	90
4.1 წინასწარი შენიშვნები	90
4.2 გრამატიკალიზებული დგება ფორმის ფუნქციურ-სემანტიკური ნიშნები	91
4.3 გრამატიკალიზებული იღებს ფორმის ფუნქციურ-სემანტიკური ნიშნები	106
4.4 გრამატიკალიზებული ჩანს ფორმის ფუნქციურ-სემანტიკური ნიშნები.....	114
4.5 შემაჯამებელი დებულებები.....	125
5. გრამატიკალიზებულ ელემენტებთან დაკავშირებული სირთულეები კომპიუტერულ ლინგვისტიკაში.....	127

5.1	ფუნქციური ელემენტებით განპირობებული ომონიმია კორპუსში	127
5.2	ფუნქციური ელემენტები და ავტომატური თარგმნის ინსტრუმენტები	135
5.3	ფორმალური წესები და ომონიმის მოხსნის გზები.....	141
5.3.1	<i>დგება</i> ფუნქციური ელემენტი	142
5.3.2	<i>იღებს</i> ფუნქციური ელემენტი	145
5.3.3	<i>ჩანს</i> ფუნქციური ელემენტი.....	146
6.	დასკვნა	149
	ბიბლიოგრაფია	152

შემოკლებათა განმარტებანი

CP (Cooperative Principle) – კოოპერაციულობის პრინციპები

GNC (Georgian National Corpus) – ქართული ენის ეროვნული კორპუსი

GRC (Georgian Reference corpus) ქართული ენის რეფერენციალური კორპუსი

KWIC (Key Word in Context) – ცალკეული სიტყვების ძიება კონტექსტში

KRICK (Key Relation in Context) – მიმართებების ძიება კონტექსტში

O³ (Object II)- III ობიექტური პირი

S³ (Subject I) – III სუბიექტური პირი

V (Verb) – ზმნა

ცხრილების, გრაფიკების, ილუსტრაციების ჩამონათვალი

სქემა 2.1 გრამატიკალიზაციის პროცესის მიმდინარეობის ეტაპები —	20
სქემა 2.1 გრამატიკალიზაციის პროცესის მიმდინარეობის ეტაპები —	20
სქემა 2.3 გრამატიკალიზაციის პარამეტრები —	26
სქემა 2.4 გრამატიკალიზაციის პარამეტრები —	27
სქემა 3.1 გრამატიკალიზებული <i>დგება</i> ფორმის რაოდენობრივი ანალიზი —	68
სქემა 3.2 გრამატიკალიზებული <i>იღებს</i> ფორმის რაოდენობრივი ანალიზი —	78
სქემა 3.3 გრამატიკალიზებული <i>ჩანს</i> ფორმის რაოდენობრივი ანალიზი —	88
ცხრილი 3.1. გრამატიკალიზაციის პროცესში მყოფი ზმნური ერთეულები —	34
ცხრილი 3.2. საკვლევი მასალის მოცულობა – <i>დგება</i> —	37
ცხრილი 3.3. საკვლევი მასალის მოცულობა – <i>იღებს</i> —	39
ცხრილი 3.4. საკვლევი მასალის მოცულობა – <i>ჩანს</i> —	40
ცხრილი 3.5 <i>დგება</i> ფორმის ემპირიული მასალის რაოდენობრივი ანალიზი —	51
ცხრილი 3.6 <i>იღებს</i> ფორმის ემპირიული მასალის რაოდენობრივი ანალიზი —	70
ცხრილი 3.7 <i>ჩანს</i> ფორმის ემპირიული მასალის რაოდენობრივი ანალიზი —	80
ცხრილი 4.2.1 ლინგვისტური კომპეტენციის ტესტის შედეგად მიღებული მონაცემები —	91
ცხრილი 4.2.2 ლინგვისტური კომპეტენციის ტესტის შედეგად მიღებული მონაცემები —	94
ცხრილი 4.2.3 ლინგვისტური კომპეტენციის ტესტის შედეგად მიღებული მონაცემები —	95
ცხრილი 4.2.4 ლინგვისტური კომპეტენციის ტესტის შედეგად მიღებული მონაცემები —	96
ცხრილი 4.2.5 ლინგვისტური კომპეტენციის ტესტის შედეგად მიღებული მონაცემები —	99
ცხრილი 4.2.6 ლინგვისტური კომპეტენციის ტესტის შედეგად მიღებული მონაცემები —	101
ცხრილი 4.2.7 ლინგვისტური კომპეტენციის ტესტის შედეგად მიღებული მონაცემები —	102

ცხრილი 4.2.8 ლინგვისტური კომპეტენციის ტესტის შედეგად მიღებული მონაცემები —	104
ცხრილი 4.3.1 ლინგვისტური კომპეტენციის ტესტის შედეგად მიღებული მონაცემები —	107
ცხრილი 4.3.2 ლინგვისტური კომპეტენციის ტესტის შედეგად მიღებული მონაცემები —	108
ცხრილი 4.3.3 ლინგვისტური კომპეტენციის ტესტის შედეგად მიღებული მონაცემები —	109
ცხრილი 4.3.4 ლინგვისტური კომპეტენციის ტესტის შედეგად მიღებული მონაცემები —	111
ცხრილი 4.3.5 ლინგვისტური კომპეტენციის ტესტის შედეგად მიღებული მონაცემები —	112
ცხრილი 4.4.1 ლინგვისტური კომპეტენციის ტესტის შედეგად მიღებული მონაცემები —	115
ცხრილი 4.4.2 ლინგვისტური კომპეტენციის ტესტის შედეგად მიღებული მონაცემები —	117
ცხრილი 4.4.3 ლინგვისტური კომპეტენციის ტესტის შედეგად მიღებული მონაცემები —	119
ცხრილი 4.4.4 ლინგვისტური კომპეტენციის ტესტის შედეგად მიღებული მონაცემები —	120
ცხრილი 4.4.5 ლინგვისტური კომპეტენციის ტესტის შედეგად მიღებული მონაცემები —	122
ცხრილი 4.4.6 ჩანს მოდალური ფორმის სემანტიკური ჯგუფები —	126
სურათი 4.4.1 მოდალობათა ტიპები —	125
სურათი 5.1 კორპუსში მოცემული ლინგვისტური ანალიზი —	130
სურათი 5.2 კორპუსში მოცემული ლინგვისტური ანალიზი —	131
სურათი 5.3 კორპუსში მოცემული ლინგვისტური ანალიზი —	132
სურათი 5.4 კორპუსში მოცემული ლინგვისტური ანალიზი —	132
სურათი 5.5 კორპუსში მოცემული ლინგვისტური ანალიზი —	133
სურათი 5.6 კორპუსში მოცემული ლინგვისტური ანალიზი —	134
სურათი 5.7 კორპუსში მოცემული ლინგვისტური ანალიზი —	135
სურათი 5.8 Google translate-ის თარგმანი —	137

სურათი 5.9 Google translate-ის თარგმანი —	137
სურათი 5.10 Google translate-ის თარგმანი —	138
სურათი 5.11 Google translate-ის თარგმანი —	139
სურათი 5.12 Google translate-ის თარგმანი —	140
სურათი 5.13 Google translate-ის თარგმანი —	141
სურათი 5.14 Google translate-ის თარგმანი —	141
ცხრილი 5.1 ფორმალური წესი <i>დგება</i> ტოკენისთვის —	144
ცხრილი 5.2 ფორმალური წესი <i>დგება</i> ტოკენისთვის —	
ცხრილი 5.3 ფორმალური წესი <i>დგება</i> ტოკენისთვის —	145
ცხრილი 5.4 ფორმალური წესი <i>ჩანს</i> ტოკენისთვის —	147
ცხრილი 5.5 ფორმალური წესი <i>ჩანს</i> ტოკენისთვის —	148
ცხრილი 5.6 ფორმალური წესი <i>ჩანს</i> ტოკენისთვის —	148
ცხრილი 6.1 გრამატიკალიზებული ფორმების მწკრივებში განაწილების სურათი —	

1. შესავალი

ტრადიციული განსაზღვრების მიხედვით, ენა პირობით ბგერით ნიშანთა სისტემაა, რომელშიც ყოველი ნიშანი გარკვეულ კანონზომიერებას ემორჩილება (გამყრელიძე და სხვები, 2008, გვ. 23). ენობრივი ნიშნები ენის შინაარსისა და გამოხატულების პლანებს ქმნიან. ენობრივი სისტემის სრულფასოვანი კვლევა ენობრივი ნიშნის როგორც ფორმის, ისე შინაარსის პლანის სრულფასოვან ანალიზს მოითხოვს.

ენა, როგორც საკომუნიკაციო სისტემა, სიღრმისეულ სტრუქტურებში ჩადებული ინფორმაციის ზედაპირულ სტრუქტურებში ასახვის სხვადასხვა შესაძლებლობას ფლობს. ენობრივი სისტემის სიღრმისეულ სტრუქტურებში ჩადებული ინფორმაცია, რომელიც გრამატიკული კატეგორიებისა და ენაში მოქმედი წესებისა თუ კანონზომიერებების სახით ვლინდება, კლასიკური ლინგვისტიკის ფარგლებში მუშავდება. რაც შეეხება ენის ზედაპირული სტრუქტურების ფუნქციონირების არეალს, ამ საკითხების კვლევით ფუნქციური გრამატიკაა დაინტერესებული, რომლის კვლევის სფეროშიც შემოდის **გრამატიკალიზაციის პროცესის შესწავლა-ანალიზი**.

ენაში მიმდინარე ცვლილებების პარალელურად ენობრივმა ნიშანმა შეიძლება შეიცვალოს დანიშნულება და სიტყვათა ერთი პარადიგმატული კლასიდან მეორეში გადავიდეს. ამ ტიპის ცვლილებას მიეკუთვნება გრამატიკალიზაციის პროცესიც (Lehmann, 2015, p. 10). გრამატიკალიზაცია ტიპოლოგიაში კარგად ცნობილი პროცესია. იგი უნივერსალური ფენომენია, რომელიც ენის განვითარების ლოგიკურ მოვლენად მიიჩნევა.

კვლევის მიზანი – კვლევა მიზნად ისახავს ენობრივი ინვენტარის უმნიშვნელოვანესი ნაწილის, გრამატიკალიზაციის შედეგად მიღებული ფუნქციური ელემენტების შესწავლას, გრამატიკალიზაციის პროცესის შესახებ არსებული თეორიული დებულებების შეკრებას, ამ ტიპის კვლევისთვის საჭირო მეთოდოლოგიის ფორმულირებას, თეორიული კვლევის საფუძველზე ქართული ენის ეროვნული კორპუსის ანალიზატორისათვის წესების შემუშავებას, რაც შესაძლებელს გახდის კორპუსში ამ ელემენტებთან დაკავშირებული ორაზროვნების პრობლემის გადაჭრის გზების მოძიებას.

კვლევა მიზნად ისახავს საკვლევ ელემენტების ფუნქციურ-სემანტიკური ნიშნების შესწავლას, მათი როლის განსაზღვრას დისკურსში. ამასთანავე, ნაშრომის მიზანია ავტომატური თარგმნის დროს გრამატიკალიზაციის შედეგად მიღებულ ფუნქციურ ელემენტებთან დაკავშირებული სირთულეების ანალიზი და მათი დაძლევის შესაძლო გზების მოძიება, რაც ელემენტთა ფუნქციურ-სემანტიკური მახასიათებლების კვლევით და მათი დისტრიბუციის ანალიზითაა შესაძლებელი.

კვლევის ობიექტი – ქართულში ფუნქციური ელემენტების რიცხვი საკმაოდ დიდია გრამატიკალიზაციას განიცდიან როგორც სახელები, ასევე ზმნები; მათი კვლევა კი სხვადასხვაგვარ მეთოდოლოგიას მოითხოვს. ვინაიდან ტიპოლოგიური თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესო სურათს ზმნურ ფორმათა გრამატიკალიზაცია ქმნის, კვლევისას შემოვიფარგლეთ ზმნური წარმოშობის გრამატიკალიზაციის პროცესში მყოფი შემდეგი ერთეულებით: *დგება, იღებს და ჩანს*.

კვლევის მეთოდოლოგია განისაზღვრება კვლევისათვის ეფექტური როგორც თეორიული, ისე პრაქტიკულ თანამედროვე მეთოდების შეჯერება-შერჩევით.

თეორიული ნაწილი ითვალისწინებს კვლევისათვის საჭირო ლიტერატურის მოძიებას, დამუშავებასა და გრამატიკალიზაციის ფენომენის შესახებ თეორიული ხასიათის დებულებების, მეტაენის ქართულ ენაზე ფორმირებასა და ქართულ მასალაზე ადაპტირებას.

კვლევის ფარგლებში შემუშავდა ფუნქციურ ელემენტთა კვლევისთვის საჭირო მეთოდოლოგიური ჩარჩო, განისაზღვრა კვლევის პარამეტრები, აღიწერა საკვლევ ფორმათა გრამატიკალიზაციის სურათი, დადგინდა მათი გრამატიკალიზაციის საფეხური.

კვლევის შემდგომი ეტაპი, **პრაქტიკული ნაწილი**, ეთმობა ემპირიული მასალის მოპოვებას, დახარისხებასა და ანალიზს, რისთვისაც გამოყენებულია შემდეგი მეთოდები:

➤ **კორპუსული ლინგვისტიკის მეთოდი** – კვლევა ეყრდნობა კორპუსულ მეთოდს, კერძოდ, როგორც **კორპუსზე დამყარებულ**, ისე **კორპუსით განპირობებულ** მეთოდებს. კვლევა განხორციელდება ქართული ენის ეროვნული კორპუსის ბაზაზე (GNC) (www.gnc.gov.ge);

➤ **ემპირიული მასალის მოპოვებისათვის გამოვიყენეთ KWIC – KRICK მიების მეთოდები.** კორპუსის ბაზაზე მოპოვებულ იქნა კვლევის მიზანზე ორიენტირებული მასალა – ქართული ენის ეროვნულ კორპუსში თითოეული ელემენტისათვის დადასტურებული კონტექსტები, განსხვავებული სერიებისა თუ მწკრივების, ასევე, პირებისა თუ რიცხვის მიხედვით.

➤ **ფუნქციური ანალიზი** – საკვლევ ელემენტთა ზმნური და ფუნქციური მნიშვნელობების გასამიჯნად გამოვიყენეთ **სუბსტიტუციის, ელიმინაციისა და სკოპუსის მეთოდები.**

➤ **სემანტიკური ანალიზი** – საკვლევ ფორმათა სემანტიკური ნიშნების განსასაზღვრად გამოვიყენეთ **ენობრივი კომპეტენციის ტესტი.**

➤ **კვანტიტატიური ანალიზი** – ქართული ენის ეროვნული კორპუსის ანალიზატორისთვის საკვლევ ფორმათა ზმნური და ფუნქციური მნიშვნელობების გასამიჯნად საჭირო წესების შემუშავებისთვის გამოვიყენეთ მასალის როგორც **თვისებრივი, ისე რაოდენობრივი ანალიზის მეთოდები.**

კვლევის აქტუალურობა და სიახლე, თეორიული და პრაქტიკული ღირებულება განისაზღვრება შემდეგი ფაქტორებით:

სიახლე და თეორიული ღირებულება: ქართულ საენათმეცნიერო სივრცეში გრამატიკალიზაციის საკითხი საფუძვლიანად გამოკვლეული არ არის, არ არსებობს თეორიული ხასიათის ნაშრომი, რომელიც ზედმიწევნით აღწერს ცოცხალ ენობრივ სისტემაში მიმდინარე ამ პროცესის მახასიათებლებს, მის პარამეტრებსა და მიმდინარეობის გზებს, ამდენად, ნაშრომის თეორიული ნაწილის ფორმირება, უცხოენოვანი ლიტერატურის ქართულ ენაზე გადმოტანა და კვლევის პროცესში მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით ქართულ ენაში გრამატიკალიზაციის პროცესის აღწერა, თეორიული ლინგვისტიკის თვალსაზრისით, კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯია, რაც ასევე, შესაძლებელს გახდის სხვა ენების გვერდით ქართული ენის მონაცემების ჩართვას ტიპოლოგიური კვლევების განხორციელებისას.

ნაშრომის ფარგლებში განხილული ზმნური წარმოშობის ფუნქციური ელემენტების გამოკვეთილი სემანტიკური მახასიათებლები და გაანალიზებული ფუნქციები, რომლებსაც ისინი სხვადასხვა პოზიციაში ასრულებენ გრამატიკალიზებული ერთეულების სახით. თეორიული თვალსაზრისით, ასევე

მნიშვნელოვანი სიახლეა, განსაკუთრებით, სემანტიკისა და პრაგმატიკის სფეროში, რაც, ბუნებრივია, კვლევას დამატებით თეორიულ ღირებულებას სძენს.

აქტუალობა და პრაქტიკული ღირებულება: ნაშრომის ერთ-ერთი მთავარი მიზნიდან გამომდინარე, ქართული ენის ეროვნულ კორპუსში ფუნქციურ ელემენტებთან დაკავშირებული ორაზროვნების გადაჭრის გზების მოძიება უდავოდ აქტუალური თემაა თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიების სივრცეში. შეკრებილი ემპირიული მასალის თვისებრივ და რაოდენობრივ ანალიზზე დაყრდნობით შემუშავებული წესები, რომლებიც ქართული ენის ეროვნულ კორპუსში ფუნქციურ ელემენტებთან დაკავშირებული ორაზროვნების პრობლემის გადაჭრას შეუწყობს ხელს, შეამცირებს კორპუსში არასწორად მარკირებულ ფორმათა რაოდენობას და, ამდენად, მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს ქართული ენის ეროვნული კორპუსის ანალიზატორის პროგრამის ეფექტურობას, რაც ამ კვლევის პრაქტიკული ღირებულების მაჩვენებელია.

2. გრამატიკალიზაციის განმსაზღვრელი ძირითადი თეორიული დებულებები

2.1 საკითხის კვლევის ისტორია

ენა ნიშანთა სისტემაა და კომპლექსურ ფენომენს წარმოადგენს. ენის სრულფასოვანი ანალიზი, ერთი მხრივ, ენობრივი სისტემის კვლევას, მეორე მხრივ კი, მისი ფუნქციონირების მექანიზმის შესწავლას, ენის სიღრმისეული და ზედაპირული სტრუქტურების ურთიერთმიმართების ანალიზს გულისხმობს. ამავდროულად, ენა მუდმივად ცვალებადი სისტემაა. ენობრივი სისტემის დიაქრონიული ანალიზი გვიჩვენებს, რომ ცვლილებები ენის ყოველ დონეზე ხორციელდება – იცვლება ენის ფონოლოგიური შემადგენლობა, მისი მორფოლოგიური სისტემა და სინტაქსური სტრუქტურები, ცვლილებები ხორციელდება სემანტიკისა და პრაგმატიკის სფეროშიც.

ენის უპირველესი ფუნქცია, მისი საკომუნიკაციოდ გამოყენება, ენობრივი ინვენტარის მეშვეობით ხორციელდება. ენობრივ ინვენტარს შინაარსისა და გრამატიკული ფუნქციის მქონე ენობრივ ელემენტთა ერთიანობა ქმნის. ენაში არსებული ენობრივი ინვენტარი სიტყვათა სხვადასხვა პარადიგმატულ კლასად ნაწილდება. ენობრივ სისტემაში მიმდინარე ცვლილებების შედეგად ენობრივმა ნიშანმა შეიძლება შეიცვალოს დანიშნულება და სიტყვათა ერთი პარადიგმატული კლასიდან მეორეში გადავიდეს. ამ ტიპის ცვლილებას მიეკუთვნება **გრამატიკალიზაციის პროცესიც.**

გრამატიკალიზაცია ტიპოლოგიაში კარგად ცნობილი პროცესია, იგი უნივერსალური ფენომენია და ენის განვითარების ლოგიკურად თანმხლებ მოვლენად არის მიჩნეული. კრისტინ ლემანი, გრამატიკალიზაციის თეორიის ფუძემდებელი, თავის ფუნდამენტურ ნაშრომში *Thoughts on Grammaticalization* ენობრივ სისტემებში მიმდინარე გრამატიკალიზაციის პროცესის შესახებ შემდეგ განმარტებას გვთავაზობს: „დერივაციული ყალიბი, რომელსაც სიტყვა გრამატიკალიზაცია მიემართება, გულისხმობს, რომ ის აღნიშნავს პროცესს, რომლის დროსაც რაღაც იქცევა ან უკვე ფორმირებულია გრამატიკულ ერთეულად. გრამატიკალიზაცია უნდა გავიგოთ

როგორც ევოლუციური პროცესი, როდესაც ენა ივითარებს გრამატიკული მნიშვნელობის სხვადასხვა ფუნქციურ არეს როგორც ფორმალურის, ისე სემანტიკურის თუ პრაგმატიკულის კოდირებისათვის (Lehmann 2002: 8).

რაც შეეხება თავად ტერმინს **გრამატიკალიზაცია**, მისი შექმნა და გამოყენება იმ მნიშვნელობით, რომლითაც ჩვენ დღეს ვიყენებთ, დაკავშირებულია ფრანგი ლინგვისტის, ანტუან მეიეს, სახელთან. ა. მეიე ნაშრომში *L'evolution des formes grammaticales* გრამატიკალიზაციის პროცესის განხილვისას აღწერს ენობრივ სისტემაში მიმდინარე ცვლილებათა ორ სხვადასხვაგვარ პროცესს, რომელთაგან ერთ-ერთი სწორედ გრამატიკალიზაციის პროცესია (Meillet 1912: 131). მისი ნაშრომის მიხედვით, ენობრივი სისტემის ცვლა არსებითად ორი მოვლენით არის განპირობებული; ესენია:

I. **ანალოგია** – ენაში უკვე არსებული ფორმების ანალოგიით მსგავსი ფორმების წარმოქმნა. ა. მეიე ამის მაგალითად განიხილავს ინგლისურ ენაში *brought* ფორმის ჩანაცვლებას *brang* ფორმით, როგორც წარსული დროის გამომხატველი ზმნით, *sing/sang; ring/rang* ფორმების ანალოგიით.

II. **გრამატიკალიზაცია** – დამოუკიდებელი ლექსიკური ერთეულის გრამატიკული ელემენტის როლში გადასვლა. ამ ახალი, ა. მეიეს მიერ შემოთავაზებული, ტერმინით სწორედ გრამატიკული ფორმების წარმოქმნის ფენომენი მოიაზრება (Hopper 1996: 20).

გრამატიკალიზაციის პროცესი ახალი კონსტრუქციების წარმოქმნით ფუნდამენტურად ცვლის გრამატიკულ სისტემას, ქმნის რა ისეთ ახალ ფორმებსა და კატეგორიებს, რომლებსაც მანამ არ ჰქონიათ ენობრივი გამოხატულება. გრამატიკალიზაცია ცვლის არა ცალკეულ ენობრივ ერთეულებს, არამედ მთლიან სისტემას.

ტერმინ „გრამატიკალიზაციას“ და ამ ტერმინით ნაგულისხმევ მნიშვნელობას სხვადასხვაგვარი გაგება ენიჭებოდა სხვადასხვა ლინგვისტის, ნაშრომისა თუ წლების მიხედვით. შესაბამისად, გრამატიკალიზაციის პროცესის კვლევის შესახებ არაერთი ავტორის ნაშრომს ვხვდებით. ვინაიდან გრამატიკალიზაციის თანამედროვე თეორიების ფუნდამენტად კ. ლემანის ნაშრომი *Thoughts on grammaticalization* არის მიჩნეული, მისი კონცეფციის მიმოხილვას დისერტაციის ცალკე ქვეთავი ეთმობა (იხ. თავი 2.4, *გრამატიკალიზაციის ლემანისეული კონცეფცია*, გვ. 17).

გრამატიკალიზაციის ფენომენის შესახებ ვრცელი და მნიშვნელოვანი კვლევა ეკუთვნის პოლ ჰოპერს. გრამატიკალიზაციის შესახებ მის მიერ ფორმირებული დებულებები თავმოყრილია ნაშრომში *Some Recent Trends in Grammaticalization*. მითითებულ ნაშრომში ავტორი საკითხს შემდეგნაირად სვამს: „როდესაც ჩვენ შევისწავლით სხვადასხვა ენის ტექსტებს, გაცვას იწვევს ის ფაქტი, რომ გვხვდება კონტექსტები, რომლებშიც სიტყვები სრულიად განსხვავდება თავიანთი „ჩვეულებრივი“ მნიშვნელობებისაგან და მათი ფუნქცია მკაცრად გრამატიკალიზებულია“ (Hopper 1996: 217). ამის დასტურად, მაგალითის სახით, მას მოჰყავს შემდეგი წინადადება ინგლისური ენიდან – „*Amy manages the sales office of a large corporation*“ ამ მაგალითის საფუძველზე იგი აყალიბებს გრამატიკალიზაციის პროცესის შემდეგ განმარტებას: „გრამატიკალიზაცია გულისხმობს ცვლილებებს, როდესაც ლექსიკური ოდენობები და კონსტრუქციები გარკვეულ ენობრივ კონტექსტებში გრამატიკული ფუნქციის შესრულებას იწყებენ“ (Hopper 2005: 45). „გრამატიკალიზაცია გულისხმობს დამოუკიდებელი ლექსიკური ერთეულების ცვლილებას, მათი ლექსიკური მნიშვნელობის დაკარგვას, ანუ დესემანტიზაციას, და ამ ფორმების გრამატიკული ფუნქციის მქონე ფორმებად, ანუ **ფუნქციურ ელემენტებად**, გარდაქმნას“ (Hopper 1996: 217). ამასთანავე, პ. ჰოპერი მიიჩნევს, რომ გრამატიკალიზაცია მნიშვნელოვან როლს თამაშობს კომუნიკაციის პროცესში მოსაუბრესა და მსმენელს შორის მნიშვნელობათა გააზრებისას. მისი მითითებით, გრამატიკალიზაციის პროცესი მნიშვნელოვანია ეფექტური კომუნიკაციის წარმართვისთვის მოსაუბრესა და მსმენელს შორის.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი თეორიებისა, გრამატიკალიზაციის ფენომენის კვლევისას, მნიშვნელოვანია ერთი მიდგომა, რომლის თანახმადაც გრამატიკალიზაციის პროცესი პრაგმატიკულ ჭრილში შეისწავლება. გრამატიკალიზაციის პროცესის პრაგმატიკულ ჭრილში კვლევა გულისხმობს იმ ექსტრალინგვისტური ფაქტორების გამოვლენასა და აღწერას, რომლებიც გრამატიკალიზაციის პროცესის მიმდინარეობას განაპირობებს.

ამ მიდგომის თანახმად, გრამატიკალიზაციის ფენომენის საფუძველად ენაში მოქმედი ეკონომიურობისა და სიმარტივის პრინციპები არის მიჩნეული. ენობრივი სისტემის ჩვენთვის ცნობილი სამი ძირითადი ფუნქციიდან – ექსპრესიული,

საკომუნიკაციო და არტიკულაციური – გრამატიკალიზაციის ფენომენის კვლევის პრაგმატიკული ასპექტი მის უპირველეს ფუნქციად საკომუნიკაციო ფუნქციას განიხილავს. ამ მიდგომის თანახმად, როდესაც ენობრივი სისტემის მომხმარებელი ენობრივ ფორმას ანიჭებს ახალ მნიშვნელობას, იყენებს მას ახალი ფუნქციით, ამის ამოსავალი მიზეზი სწორედ ის უნდა იყოს, რომ მას სურს უფრო მოქნილად, უფრო ეფექტურად გამოხატოს სათქმელი. გრამატიკალიზაციის ფენომენს ამ მიდგომით განიხილავს პოლ ჰოპერი და ელიზაბეთ ტრაუგოტი (Hopper & Traugott, 2003, p. 75).

გრამატიკალიზაციის პროცესის მექანიზმის ასახსნელად პ. ჰოპერსა და ე. ტრაუგოტს შემოაქვთ გრაისის მაქსიმები, ე.წ. „კოოპერაციულობის პრინციპები“. „კოოპერაციულობის პრინციპების“ (CP) გათვალისწინებით, მომხმარებლის მიერ ენის გამოყენება მუდმივად მიმართული უნდა იყოს ეკონომიურობის, ეფექტურობის, ნათლად გამოხატვისა და ექსპრესიულობისკენ (Hopper & Traugott 2003: 44). ამ პრინციპების თანახმად, საუბარში ჩართულმა პირებმა საყოველთაოდ მიღებული წესების დაცვით სათანადო წვლილი უნდა შეიტანონ საუბრისას ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლის პროცესში. როდესაც ენის მომხმარებელი საუბრის პროცესში გამოყენებულ ენობრივ ფორმას ახალ მნიშვნელობას ანიჭებს, იყენებს მას ახალი ფუნქციით, ამის ამოსავალი მიზეზი სწორედ ის არის, რომ მას სურს უფრო მოკლე დროში, უფრო ეფექტურად გამოხატოს სათქმელი და თუ მსმენელსაც ესმის ამგვარი ფორმით გამოხატული მნიშვნელობა, ეს იმას ნიშნავს, რომ კომუნიკაცია შედგა.

ასევე, საინტერესოა მიდგომა, რომლის თანახმად, გრამატიკალიზაციის პროცესის აღწერისას უმთავრესი როლი ენიჭება იმ კონტექსტების კვლევასა და აღწერას, რომლებშიც ენობრივი სისტემის მომხმარებელი იყენებს მოცემულ ენობრივ ფორმას ახალი მნიშვნელობით (Nicolle 2011: 35).

კვლევის ამ მიდგომის თანახმად, გრამატიკალიზაციის მიმდინარეობისას, ლექსიკური მნიშვნელობიდან ახალ გრამატიკულ მნიშვნელობაზე გადასვლის პროცესში, კონტექსტთა შემდეგი ტიპები გამოიყოფა:

▶ შეუზღუდავი კონტექსტი (Unconstrained Context) – ენობრივი ერთეული ატარებს კონტექსტისთვის დამახასიათებელ ტრადიციულ მნიშვნელობას.

▶ მაკავშირებელი კონტექსტი (Bridging context) – მინიშნება ხდება ახალ გრამატიკული მნიშვნელობაზე: ჩნდება ენობრივი ერთეულის ახალი გრამატიკული

მნიშვნელობა, რომელიც ჯერ კიდევ დაკავშირებულია მის ტრადიციულ მნიშვნელობასთან, მაგრამ წინა პლანზე უკვე წამოწეულია ენობრივი ერთეულის ახალი, გრამატიკალიზებული მნიშვნელობა.

▶გადართვადი კონტექსტი (Switch Context) – გრამატიკალიზებული მნიშვნელობა იზოლირებული, განცალკევებულია და განსხვავდება პარალელურად ფუნქციონირებადი ტრადიციული მნიშვნელობისაგან.

▶საყოველთაოდ მიღებული კონტექსტი (Conventionalization) – ახალ მნიშვნელობას აღარ სჭირდება ამოსავალი მნიშვნელობის ის კონტექსტი, რომლისგანაც იგი წარმოიშვა. შედეგად რჩება მხოლოდ ახალი, ლექსიკური მნიშვნელობისაგან დაცლილი ფორმა, რომელიც აღჭურვილია გრამატიკული მნიშვნელობით.

2.2 გრამატიკალიზაციის ფუნქციური და ფორმალური პერსპექტივა

თანამედროვე ლინგვისტურ კვლევებში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ცოცხალ ენობრივ სისტემაში მიმდინარე ცვლილებათა არა მხოლოდ ფორმალურ აღწერას, არამედ ცვლილებათა მექანიზმის კვლევასა და ძიებას, იმ ფაქტორების გამოვლენას, რომლებიც ამ ცვლილებებს უდევს საფუძვლად. გრამატიკალიზაციის პროცესის კვლევაც ენობრივ სისტემაში მიმდინარე ცვლილების ანალიზს გულისხმობს, შესაბამისად, მისი შესწავლა თანამედროვე ლინგვისტიკისთვის ერთ-ერთი აქტუალური საკითხია, რითაც არაერთი მკვლევარია დაინტერესებული.

გრამატიკალიზაციის პროცესი თანამედროვე ენათმეცნიერებაში სხვადასხვაგვარი მიდგომით შეისწავლება. კვლევის არსებულ თვალსაზრისებს შორის არსებითად ორგვარი მიდგომა შეგვიძლია გამოვყოთ; ესენია:

1. გრამატიკალიზაციის კვლევის **ფუნქციური ასპექტი**;
2. გრამატიკალიზაციის კვლევის **ფორმალური ასპექტი**.

გრამატიკალიზაციის **ფუნქციური თვალსაზრისით** კვლევა, ანუ გრამატიკალიზაციის ფენომენისადმი ფუნქციური მიდგომა, უპასუხებს კითხვას, თუ როგორ აისახება ენობრივი ელემენტის ფუნქციაზე გრამატიკალიზაციის შედეგად

წარმოქმნილი ცვლილება სემანტიკის ან მისი საკომუნიკაციო ფუნქციის, პრაგმატიკის, თვალსაზრისით. გრამატიკალიზაციის კვლევის ფუნქციური ასპექტი ცდილობს ენის საკომუნიკაციო ფუნქციაში გრამატიკალიზაციის პროცესის მიმდინარეობისას წარმოქმნილ ცვლილებათა ახსნას, ეძებს და იკვლევს იმ კონტექსტებს, რომლებშიც ეს ცვლილებები დასტურდება. თუმცა, გრამატიკალიზაციის პროცესი გრამატიკალიზებული ელემენტისთვის მხოლოდ ფუნქციის ცვლას არ გულისხმობს, მას ასევე აქვს ფორმალური მხარეც, რომლის გათვალისწინებაც გრამატიკალიზაციის ფენომენის სრულფასოვანი კვლევისათვის აუცილებელია.

გრამატიკალიზაციის ფუნქციური ასპექტი ფორმალური ასპექტისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდება. განსხვავება დამყარებულია ორ ძირითად ნიშანზე: მნიშვნელოვანია, ერთი მხრივ, თუ რას ენიჭება უპირატესობა ამ პროცესის კვლევისას, ენობრივი ერთეულის შინაარსობრივ ცვლილებას თუ მის ფორმობრივ ცვლილებას და, მეორე მხრივ, განსხვავებულია ამ ცვლილებათა ახსნის გზა.

გრამატიკალიზაციის პროცესის ფუნქციური პერსპექტივით კვლევისას გასათვალისწინებელია ენის, როგორც საკომუნიკაციო სისტემის, მახასიათებლები და ის ექსტრალინგვისტური ფაქტორები, რომლებშიც ენა, როგორც საკომუნიკაციო სისტემა, ფუნქციონირებს. ფუნქციური თვალსაზრისით კვლევის უმთავრესი ამოცანაა აღწეროს და იკვლიოს გრამატიკული სისტემები იმ ექსტრალინგვისტური მახასიათებლების გათვალისწინებით, რომლებიც ენობრივ სისტემებს აკისრიათ. ეს ექსტრალინგვისტური მახასიათებლები სამ ნაწილად შეიძლება დაიყოს:

- I. მიზნები და ამოცანები, რისთვისაც ენობრივი გამოსახულებები გამოიყენება;
- II. საშუალებები, რომლებითაც ბუნებრივი ენები ფუნქციონირებენ;
- III. ბუნებრივ ენაში ჩადებული მნიშვნელობები.

ექსტრალინგვისტურ საჭიროებათა სამი კლასი შეესაბამება ენათმეცნიერების სხვადასხვა დარგებს. ეს დარგებია:

- I. მიზნები და ამოცანები, რისთვისაც ენობრივი გამოსახულებები გამოიყენება – პრაგმატიკა;
- II. ბუნებრივი ენის ფუნქციონირების საშუალებები – ფონეტიკა-ფონოლოგია, მორფოლოგია, სინტაქსი;
- III. ბუნებრივ ენაში ჩადებული მნიშვნელობები – სემანტიკა.

გრამატიკალიზაციის პროცესის ფუნქციური ასპექტით კვლევისას გრამატიკალიზაციის პროცესი გაგებულა როგორც არა მხოლოდ მორფოსინტაქსური ცვლილება, არამედ უპირველესად, ცვლილება სემანტიკისა და პრაგმატიკის თვალსაზრისით. რაც შეეხება ენობრივ სისტემას, ენა, უპირველეს ყოვლისა, განიხილება, როგორც ინსტრუმენტი, ხოლო ცვლილება ენობრივ სისტემაში, როგორც ინსტრუმენტში, ნაკარნახევია იმ სიტუაციით, რომელშიც ის თავის ფუნქციებს ასრულებს.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ფუნქციურ თვალსაზრისში უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს სემანტიკურსა და პრაგმატიკულ ცვლილებას, ანუ ნიშნის შინაარსის პლანის ცვლას, ხოლო ფორმის ცვლილება განხილულია როგორც შინაარსის ცვლის თანმდევი შედეგი.

რაც შეეხება **ფორმალურ ასპექტს**, გრამატიკალიზაციის ფენომენის ფორმალური ასპექტით კვლევისას უმნიშვნელოვანეს ფაქტორად ფორმოზრივი ცვლილება მიიჩნევა, შინაარსის ცვლა კი დანახულია, როგორც ფორმის ცვლის თანმხლები შედეგი. შესაბამისად ამისა, გრამატიკალიზაცია განიხილება არა როგორც დამოუკიდებელი ცვლილება, არამედ როგორც პროცესი, რომელიც შედეგია გადააზრებისა (reanalysis) და პარამეტრების ცვლილებისა (parametric variation).

გრამატიკალიზაციის ფენომენის ფორმალური ასპექტით კვლევისას უმნიშვნელოვანესია ბერნარდ ჰაინეს ნაშრომები. მის მიერ შემუშავებული დებულებები წარმოდგენილია ნაშრომში *Grammaticalization*. გრამატიკალიზაციის პროცესის ანალიზისას ბ. ჰაინე არსებითად ორი მოვლენის მნიშვნელობაზე ამახვილებს ყურადღებას, ეს მოვლენებია ხელახალი ანალიზი (reanalysis) და ანალოგია (analogy). მისივე მითითებით, ხელახალი ანალიზი და ანალოგია უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობენ არა მხოლოდ გრამატიკალიზაციის, არამედ ცოცხალ ენობრივ სისტემაში მიმდინარე ყოველი ცვლილების პროცესში (Heine 2003: 45). განვიხილოთ ბ. ჰაინეს მიერ გამოყოფილი ორივე პარამეტრი:

I. **ხელახალი ანალიზი (reanalysis)** – ამ პროცესში ხდება ენობრივი ფორმის მორფოლოგიური, სინტაქსური და, ასევე, სემანტიკური მახასიათებლების გარდაქმნა. ეს გადააზრება და ხელახალი ანალიზი იწვევს ცვლილებებს ენობრივ ფორმათა ინტერპრეტაციაში, მათ სინტაქსურ საზღვრებსა და მნიშვნელობაში ცალკეულ

წინადადებათა ფარგლებში. თუმცა, ზემოთ ჩამოთვლილი ცვლილებები ხორციელდება არა ცვლილების დაწყებისთანავე, არამედ ცვლილებათა პროცესის მიმდინარეობის პარალელურად. შესაბამისად, ბ. ჰაინეს დასკვნით, ხელახალი ანალიზი არის გრამატიკალიზაციის ისევე, როგორც საზოგადოდ ყველა ცვლილების, უმნიშვნელოვანესი მექანიზმი, ანალოგიის პარალელურად.

II. ანალოგია (analogy) – არის პროცესი, როდესაც ახალი პარადიგმა უკვე არსებული პარადიგმის ანალოგიით ჩნდება. ანალოგია ცვლის ენობრივი სისტემის ზედაპირულ სტრუქტურებს და არ ახდენს გავლენას წესების ცვლილების პროცესზე, თუმცა მოქმედებს წესების გავრცელებაზე როგორც ენობრივ სისტემაში, ასევე ენობრივ კოლექტივში. ანალოგიის მაგალითად ბ. ჰაინე განიხილავს ძველ ინგლისურში არსებულ ფორმას *cild* 'child' + 'had' 'person, condition, rank' = *cildhad* [childhood] ან *biscop* 'bishop' + 'had' to = [*biscophad*] 'bishophood' და ამის პარალელურად საშუალო ინგლისურში ანალოგიით გაჩენილ ფორმას *hood* + *false* = *falsehood*.

ენობრივ სისტემაში მრავალი სახის ცვლილება ხორციელდება. ამ ცვლილებათა, მათ შორის, გრამატიკალიზაციის ფენომენის შედეგად მიღებულ ცვლილებათა აღწერისას, მნიშვნელოვანია სწორად განვსაზღვროთ, რა იცვლება. ბ. ჰაინეს მიხედვით, ენა განიცდის ცვლილებებს, თუმცა ენა არ არსებობს მოლაპარაკისაგან დამოუკიდებლად, იგი არ არის განყენებული სისტემა, რომელიც თავისთავად, დამოუკიდებლად იარსებებს. მოცემულ ენაზე მოლაპარაკე სწავლობს ენას თავიდან. ცვლილება არის ჩანაცვლება, ოღონდ არა იმ გაგებით, რომ ყოველი ახალი მოსაუბრე ანაცვლებს ადრეულ სტრუქტურებსა თუ კატეგორიებს ახლით (Heine 1991: 47). ცვლილებებს განიცდის ენაში მოქმედი წესები ან წესთა ჯგუფები.

შესაბამისად, გრამატიკალიზაციის ფორმალური ასპექტით კვლევისას, გრამატიკალიზაციის პროცესი გაგებულია როგორც ენობრივი სისტემის სტრუქტურების, ენობრივი კატეგორიების ცვლა, რასაც თან ახლავს ცვლილებები შინაარსის დონეზე.

გარდა ზემოთ განხილულის ნიშნებისა, გრამატიკალიზაციის ფენომენის კვლევის ფუნქციურ და ფორმალურ ასპექტებს ერთმანეთისაგან განასხვავებს მეორე მნიშვნელოვანი მახასიათებელიც – გრამატიკალიზაციის პროცესის ახსნის, მისი განმარტების გზა. ფუნქციური თვალსაზრისის თანახმად, გრამატიკა შესაძლოა

შეიცვალოს მხოლოდ ენის ათვისების პროცესში, ფორმალური თვალსაზრისით კი „გრამატიკა ენის გამოყენების მიღმა“.

კვლევის ამ ორი მიმართულების, ფუნქციური და ფორმალური ასპექტის, პარალელურად არსებობს მესამე, **კონსტრუქციული მიდგომა**, რომელიც შესაძლებლობას იძლევა ორივეს, ენობრივ ფორმათა ფორმასა და ფუნქციას, დაეთმოს თანაბარი ყურადღება მორფოსინტაქსურ ცვლილებათა აღწერის დროს.

წარმოდგენილ კვლევაში გრამატიკალიზაციის პროცესის შესწავლისას უპირატესობას კონსტრუქციულ მიდგომას ვანიჭებთ.

2.3 გრამატიკალიზაციის საფეხურები

გრამატიკალიზაციის პროცესი ენობრივი ნიშნისთვის პარადიგმატული კლასის ცვლილებას გულისხმობს. ამ ტიპის ცვლილება ერთბაშად არ ხდება, იგი თანდათანობითია, რაც გრამატიკალიზაციის პროცესის დროში განფენილობას განაპირობებს. „ცვლილებები მუდმივად მიმდინარეობს, ენის ყოველ მოცემულ მდგომარეობაში ცალკეული ცვლილება ენის ცვალებადობის მიმდინარე პროცესის ნაწილია და არა ენობრივი სისტემის საბოლოო მდგომარეობა“ (Hopper 2005: 25).

გრამატიკალიზაციის პროცესი შემდეგნაირად მიმდინარეობს: ლექსიკური შინაარსის მქონე სიტყვაფორმა კარგავს ლექსიკურ მნიშვნელობას და, ამის გამო, ვეღარ ამყარებს ჩვეულ მიმართებას აღმნიშვნელთან, ის იძენს სპეციფიკურ გრამატიკულ ფუნქციას, ანუ იქცევა ფუნქციურ ელემენტად. გრამატიკალიზაციის პროცესი დროშია განფენილი და რამდენიმე საფეხურს მოიცავს, ესენია: **დესემანტიზაცია, ექსტენსია, დეკატეგორიზაცია, ეროზია**.

განვიხილოთ გრამატიკალიზაციის ეტაპები თანმიმდევრულად:

დესემანტიზაცია — ამ ეტაპზე ენობრივი ერთეული კარგავს ლექსიკურ მნიშვნელობას. ლექსიკური მნიშვნელობის დაკარგვას სხვადასხვა ფაქტორი განაპირობებს, მათ შორის უმთავრესია სემანტიკური კონტექსტი. დესემანტიზაციის კლასიკურ მაგალითად და ტიპოლოგიურ უნივერსალიად მიიჩნევენ გადაადგილების სემანტიკის მქონე საბაზისო ზმნების გამოყენებას მომავალი დროის საწარმოებლად. მაგალითად, ინგლისური *to go* სიარული, ლექსიკური მნიშვნელობისაგან არის

დაცლილი და დამხმარე ზმნად გამოიყენება მომავალი დროის საწარმოებლად შემდეგ კონსტრუქციებში *I am going = Future Tense*.


ექსტენსია — ახალი ფუნქციით გამოყენების სიხშირის ზრდა. გრამატიკალიზაციის ამ საფეხურზე ფართოვდება დესემანტიზებული ერთეულის გამოყენების არეალი. ყოველ ენობრივ ერთეულს სხვა ენობრივ ერთეულთან კომბინირების შეზღუდული შესაძლებლობა აქვს, რაც სემანტიკური თავსებადობის პრინციპით, ანუ საგანთა ლოგიკით, არის განპირობებული. მაგ., ზმნა *წერს*, თავსებადია სუბიექტთან მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სუბიექტად აღებულია სახელი, რომელსაც ამ ტიპის მოქმედების განხორციელების უნარი გააჩნია, ხოლო ობიექტი ისეთი სახელია, რომლის სემანტიკა უშვებს მისი ამ ფუნქციით გამოყენებას (ანუ რაღაც, რაც შეიძლება, დაიწეროს).

დესემანტიზაციამდე ენობრივი ერთეულის საწყისი სემანტიკით გამოყენება მისი თავსებადობის პრინციპებითაა ნაკარნახევი, დესემანტიზაციის შემდეგ კი ეს შეზღუდვები მისთვის აღარ არსებობს, იცვლება მისი მოხმარების არეალი. ამის თვალსაჩინო მაგალითია მოდალური სიტყვა *უნდა*, რომლის ისტორიული ფუნქცია *ნდომა* ზმნის მესამე სუბიექტური პირის ფორმის გამოხატვაა მხოლოდით რიცხვში, დღეს კი იგი გამოიყენება სუბიექტის მიერ განხორციელებული ნებისმიერი სემანტიკის მქონე ზმნასთან (*უნდა დავწერო; უნდა ჭამო; უნდა უთხრან*) და სემანტიკურად გამოხატავს არა სუბიექტის პირად სურვილს, არამედ წინადადებაში ზმნით გადმოცემული მოქმედების მოდალობას, კერძოდ, აუცილებლობას, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი დაცლილია სემანტიკური შინაარსისგან და აღჭურვილია გრამატიკული ფუნქციით.

დეკატეგორიზაცია — ამ ეტაპზე ენობრივი ელემენტი კარგავს თავის მახასიათებელ გრამატიკულ ნიშნებს, ანუ, მაგალითად, ფორმაცვალებადი (ბრუნებადი ან უღლებადი) სიტყვა თანდათანობით ფორმაუცვლელ სიტყვად იქცევა, რომელსაც შესაძლოა ჯერ კიდევ მოეპოვებოდეს თავდაპირველად მისთვის დამახასიათებელი მორფოსინტაქსური ნიშნების ნაწილი, მაგრამ ელემენტი ვეღარ შედის მორფოსინტაქსურ კავშირში წინადადების სხვა წევრებთან და ვეღარ აწარმოებს რეგულარულ პარადიგმას. მაგალითად განვხილოთ ისევ მოდალური სიტყვა *უნდა*, დავშალოთ მორფემებად: *უ(VM)-ნდ(ST)-ა(PM)*. დაშლის შედეგად მიღებული არცერთი

მორფი, ლექსიკური თუ გრამატიკული, არ ფუნქციონირებს: ლექსიკური მორფი დაცლილია სემანტიკისგან, მორფოლოგიური ელემენტები კი მორფოსინტაქსურ დონეზე უფუნქციოდ არიან დარჩენილნი – უნდა ფორმას არ გააჩნია საკუთარი სუბიექტი, ვერ მართავს წინადადების სუბიექტს და უც ვეღარ მიემართება რეფერენტს.

დეკატეგორიზაციის მნიშვნელოვან კრიტერიუმად მიიჩნევა ის გარემოება, რომ დეკატეგორიზებული ენობრივი ელემენტი კარგავს მოდიფიკატორების დართვის უნარს და ლექსიკური მნიშვნელობის მქონე სიტყვათა კლასიდან გრამატიკული ფუნქციის მატარებელ სიტყვათა კლასში გადადის. ანუ, გრამატიკალიზაციის ამ ეტაპზე, წარმოშობით დამოუკიდებელი სიტყვა დამოკიდებული ხდება სხვა სიტყვებზე და იქცევა მათ თანმხლებ ელემენტად.

ეროზია — ამ ეტაპზე სიტყვაფორმა, რომელიც დეკატეგორიზებული და დესემანტიზებულია, ფორმაცვალებადი სიტყვათა კლასიდან გადასულია ფორმაუცვლელ სიტყვათა კლასში, იწყებს ცვეთას და მარტივდება. ამ გზით მიღებულად მიიჩნევა ქართულში ნაწილაკთა უმრავლესობა: *ეგებ < ეგების; მგონი < მე მგონია*. ხშირ შემთხვევებში გრამატიკალიზაციის შედეგად მიღებული ფუნქციური ელემენტი იმის საპირისპირო მნიშვნელობას გამოხატავს, რასაც გრამატიკალიზაციამდე გადმოსცემდა ლექსიკურად: *რასაკვირველია* (= დადასტურება)  *რა საკვირველია* (= გაოცება).

ეროზიის საფეხურის შესახებ მკვლევართა სხვადასხვაგვარ მიდგომებს ვხვდებით. ტრადიციული მიდგომით, გრამატიკული ეროზიის პროცესში გარდაქმნა შემდეგი თანმიმდევრობით მიმდინარეობს: სიტყვა > კლიტიკა > აფიქსი. თუმცა, კლიტიკალიზაცია არ არის ყველა ენისათვის უნივერსალური მახასიათებელი და ღირებულია მხოლოდ იმ ენებისთვის, რომლებსაც აქვთ ფონოლოგიური მახვილი, ტონი თუ ინტონაცია. შესაბამისად, ეროზია არ არის გრამატიკალიზაციის პროცესის უნივერსალური მახასიათებელი, იგი მნიშვნელოვნად არის დამოკიდებულია ენის ტიპზე.

გრამატიკალიზაცია დროში გაწეული პროცესია, რომლის დასრულებას შესაძლოა საუკუნეებიც დასჭირდეს. ეს პროცესი დროის რაღაც მონაკვეთში ჯერ კიდევ დაუსრულებელ, შუალედურ ფაზაში იმყოფება, რომლის დროსაც სიტყვაფორმა

ჯერ კიდევ ინარჩუნებს ლექსიკურ მნიშვნელობას, მაგრამ ამის პარალელურად უკვე ფუნქციონირებს როგორც გრამატიკული ელემენტი. გრამატიკალიზაციის ჯერ კიდევ დაუსრულებელ ეტაპს **სემიგრამატიკალიზაცია** ეწოდება (თანდაშვილი 2016: 194).

2.4 გრამატიკალიზაციის ლემანისეული კონცეფცია

გრამატიკალიზაციის ფენომენის კვლევის ისტორიის მიმოხილვა გვიჩვენებს, რომ ამ პროცესს სხვადასხვა ავტორი სხვადასხვა პერსპექტივით შეისწავლის და აღწერს. შესაბამისად, დიდია რიცხვი იმ სამეცნიერო ლიტერატურისა, რომელიც აღნიშნული ფენომენის კვლევას ეთმობა. როგორც ზემოთვე აღვნიშნეთ, გრამატიკალიზაციის პროცესის თეორიულ ფუძემდებლად კრისტიან ლემანია მიჩნეული, სწორედ ამიტომ გრამატიკალიზაციის ფენომენის მიმოხილვითი ანალიზის შემდეგ წარმოვადგენთ გრამატიკალიზაციის ლემანისეულ კონცეფციას.

კ.ლემანის განმარტების თანახმად, გრამატიკალიზაცია პროცესია, რომლის დროსაც ლექსემები, ანუ ლექსიკური მნიშვნელობის მატარებელი ოდენობები, გრამატიკულ ფორმატივებად, ანუ გრამატიკული მნიშვნელობის გამომხატველ ოდენობებად, გარდაიქმნება. გრამატიკალიზაციას განიცდიან არა მხოლოდ ცალკეული ლექსემები, არამედ მთელი კონსტრუქციებიც. ამასთან, მთელი რიგი სემანტიკური, სინტაქტიკური და ფონოლოგიური პროცესები მონაწილეობს მორფემებისა თუ მთელი კონსტრუქციების გრამატიკალიზაციის პროცესში (Lehmannn 2015: 8).

რას ვგულისხმობთ, როდესაც ვამბობთ, რომ ენობრივმა ნიშანმა, სიტყვამ ან სიტყვათა ჯგუფმა განიცადა გრამატიკალიზაცია? ენობრივი ნიშანი გრამატიკალიზებულად მიიჩნევა იმდენად, რამდენადაც იგი დაცლილია პირვანდელი ლექსიკური შინაარსისაგან, ითავსებს რაიმე სახის ფუნქციას წინადადებაში და ჩაბმულია სავალდებულო გრამატიკულ წესებში. კ. ლემანი ამის მაგალითად განიხილავს ლათინური წინდებულისაგან *ad* 'at, towards' პირდაპირი ობიექტის ნიშნის განვითარების გზას ესპანურში. ქართულ ენაში გრამატიკალიზაციის

პროცესის თვალსაჩინო მაგალითად შეგვიძლია მოვიტანოთ უნდა მოდალური ფორმის გრამატიკალიზების გზა ზმნური ფორმიდან მოდალურ ნაწილაკამდე.

კ. ლემანის განმარტებით, დერივაციული ყალიბი, რომელსაც ტერმინი გრამატიკალიზაცია მიემართება, გულისხმობს, რომ ეს არის პროცესი, რომელშიც რაღაც გარდაიქმნება ან ფორმირებულია გრამატიკულად: “The derivational pattern which the word grammaticalization belongs to suggests that it means a process in which something becomes or is made grammatical” (Lehmann 2015: 10). თუმცა, გრამატიკალიზაცია მხოლოდ ლექსიკური ერთეულების გრამატიკულ ერთეულებად გარდაქმნის პროცესს არ მოიაზრებს, იგი გულისხმობს ნაკლებ გრამატიკულის მეტად გრამატიკულად გარდაქმნის პროცესსაც: “The interpretation of grammaticalization as a process which may not only change a lexical into a grammatical item, but may also shift an item “from a less grammatical to a more grammatical status” (Lehmann 2015: 13).

გრამატიკალიზაციის პროცესის აღწერამდე კ. ლემანი მიუთითებს, რომ თავად ტერმინი **გრამატიკული** (grammatical) საჭიროებს დაკონკრეტებას. იგი ერთმანეთს უპირისპირებს გრამატიკულსა და ლექსიკურ მნიშვნელობებს და განმარტავს, რომ გრამატიკული ნიშნავს, რომ ამ ტერმინით ნაგულისხმევი ერთეულები გრამატიკის ნაწილია, საპირისპიროდ იმ ერთეულებისა, რომლებსაც სემანტიკური მნიშვნელობა აქვთ და ლექსიკის, სტილისტიკის ან დისკურსის ფარგლებში განიხილება. კერძოდ, x არის გრამატიკული, ან x არის გრამატიკულად მართებული, ნიშნავს რომ x ექვემდებარება მოცემულ ენაში მოქმედ გრამატიკულ წესებს. აქედან გამომდინარე, გრამატიკალიზაციის თეორიაში, ტერმინი გრამატიკულობა უნდა გავიგოთ, როგორც გრამატიკალიზაციის ხარისხი, რომელსაც ესა თუ ის ერთეული აღწევს ამ პროცესში (Lehmann 2015: 12). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გრამატიკალიზაცია დროში განფენილი პროცესია, რაც იმას გულისხმობს, რომ ენობრივი ერთეულები გრამატიკალიზაციას მყისიერად კი არ განიცდიან, არამედ თანდათანობით. შესაბამისად, ყოველი ელემენტი დროის მოცემულ მონაკვეთში გრამატიკალიზაციის სხვადასხვა ხარისხით ხასიათდება.

გრამატიკალიზაციის ამგვარად გააზრება შემდეგ საკითხს წამოჭრის, გრამატიკულობა ბინარული ნიშანია თუ ხარისხობრივი?

გრამატიკულობას ბინარულ ნიშნად განიხილავენ რომან იაკობსონი (Jakobson: 1971) და ჯონ ლაიონსი (Layons: 1977). ჯ. ლაიონსის აზრით, გრამატიკულობა ბინარული ნიშანია – ენობრივი ელემენტი ან არის გრამატიკალიზებული, ან არა. X სიტყვა გრამატიკალიზებულია L ენაში, მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ x სიტყვა წარმოადგენს სემანტიკურ კატეგორიას, რომელიც L ენაში წარმოადგენილია გრამატიკული კატეგორიის სახით. რ. იაკობსონს შემოაქვს სავალდებულოობის მახასიათებელი და გრამატიკულობის საკითხს შემდეგნაირად განმარტავს: „მნიშვნელობა გრამატიკულია მოცემულ L ენაში, თუ ამ ენაზე მოლაპარაკეს არ შეუძლია განუსაზღვრელი დატოვოს იგი“ (Lehmann 2015: 13).

ამ დებულების საპირისპიროდ კ. ლემანი შემდეგ ფაქტორზე ამახვილებს ყურადღებას – სავალდებულოობა არ არის ზუსტი კრიტერიუმი, რადგან შესაძლოა მოცემული კატეგორიის იდენტიფიცირება სავალდებულო იყოს მოცემული ენისათვის ერთ კონკრეტულ კონტექსტში, არჩევითი – მეორეში და შეუძლებელი – მესამე კონტექსტში. მაგალითად კ. ლემანს მოაქვს რიცხვის კატეგორია ლათინურ ენაში. მისი აზრით, ყოველი არსებითი სახელი მიეკუთვნება მხოლოდ ერთ მრავლობით რიცხვს და ამ ენაზე მოსაუბრეს არ შეუძლია რიცხვის კატეგორია განუსაზღვრელი დატოვოს. გამოდის, რომ რიცხვის კატეგორია ლათინურში გრამატიკული კატეგორიაა.


გრამატიკულობის ბინარულობისა და ხარისხობრიობის საკითხზე მსჯელობისას კ. ლემანი, ასევე, განიხილავს რიცხვის კატეგორიას თურქულში. ავტორი აღნიშნავს, რომ თურქულ ენაში სახელთა უმეტესობისთვის მრავლობითი რიცხვი იწარმოება მრავლობითობის სუფიქსის დამატებით. წარმომავლობის ან პროფესიის აღმნიშვნელი სახელები არ დაირთავს მრავლობითობის სუფიქსს, ამასთანავე, მრავლობითობის სუფიქსს არ დაირთავს არსებითი სახელები, რომელთაც წინ უძღვით რიგობითი რიცხვითი სახელები. დანარჩენი კონტექსტების უმრავლესობაში რიცხვის კატეგორია თურქულ ენაში არჩევითია, არამარკირებული ფორმა შეიძლება გამოხატავდეს როგორც მხოლოდობით, ისე მრავლობით რიცხვს. აქედან გამომდინარე, როგორ უნდა განვიხილოთ რიცხვის კატეგორია თურქულ ენაში, არის თუ არა კატეგორიის განსაზღვრა აუცილებელი და, შესაბამისად, მიიჩნევა თუ არა რიცხვის კატეგორია სავალდებულოდ თურქულში? კ. ლემანი შეკითხვას შემდეგნაირად უპასუხებს,

ლათინურისგან განსხვავებით, რიცხვის კატეგორიის განსაზღვრა თურქულ ენაში მკაცრად სავალდებულო არ არის. თუმცა, გვამღევეს თუ არა ეს დებულება საფუძველს დავასკვნათ, რომ რიცხვის კატეგორია თურქულში არ არის გრამატიკული კატეგორია? ავტორი შემდეგ გამოსავალს გვთავაზობს, უფრო მართებული იქნება თუ ვიტყვი, რომ ლათინურში რიცხვის კატეგორია მეტად გრამატიკალიზებულია, ვიდრე თურქულ ენაში, რაც მხარს უჭერს გრამატიკალიზებულობის ხარისხობრივ განსაზღვრას (Lehmann 2015: 14).


ზემოთქმულიდან გამომდინარე, კ. ლემანის მითითებით, გრამატიკალიზაციის პროცესი ენობრივი ერთეულისთვის ფუნქციის ხარისხობრივი, თანდათანობითი ცვლილებაა და არა ნახტომი ლექსიკური კატეგორიიდან გრამატიკულ კატეგორიამდე. შესაბამისად, გრამატიკალიზაციის პროცესში მყოფი ენობრივი ერთეულები გრამატიკალიზაციის სხვადასხვა ხარისხით ხასიათდებიან (Lehmann 2015: 15).

გრამატიკალიზაციის ხარისხობრივად განსაზღვრა შემდეგ საკითხს წამოჭრის: თუ გრამატიკალიზაცია ბინარული ნიშანი არ არის, და, ამდენად, გრამატიკალიზაციის პროცესი ენობრივი ერთეულის მდგომარეობის თანდათანობითი ანუ ხარისხობრივი ცვალებადობის პროცესია, მაშინ გამოდის, რომ ეს პროცესი ღია, დროსა და სივრცეში შეუზღუდავი უნდა იყოს. შესაბამისად, ჩნდება შეკითხვა, როდის იწყება და როდის მთავრდება გრამატიკალიზაციის პროცესი? ამ კითხვის საპასუხოდ კ. ლემანს მოჰყავს თალმი გივონის მიერ შემოთავაზებული სქემით (Givon 1979: 209):

სქემა 2.1 გრამატიკალიზაციის პროცესის მიმდინარეობის ეტაპები



სქემა 2.2 გრამატიკალიზაციის პროცესის მიმდინარეობის ეტაპები



სქემის თანახმად, გრამატიკალიზაციის პროცესი იწყება დისკურსის დონეზე, ლექსიკური სიტყვის თავისუფალი კოლოკაციიდან: „Grammaticalization starts from a free collocation of potentially uninflected word“ (Givoni 1979: 209).

ზემოთ წარმოდგენილი სქემა გრამატიკალიზაციის ოთხ ფაზას გამოყოფს, ესენია:

- სინტაქსიზაცია – ამ ფაზაში ზოგიერთი ლექსემა (ან შესიტყვება) იძენს გრამატიკულ ფუნქციას, ასეთ კონსტრუქციას შესაძლოა ეწოდოს ანალიზური.

- მორფოლოგიზაცია – აგლუტინიზაციის მსგავსი პროცესი, ანალიზური კონსტრუქციები სინთეზურ კონსტრუქციებში გადადის, გრამატიკული ფორმატივები გარდაიქმნებიან აგლუტინაციურ აფიქსებად.

- დემორფემიზაცია – მცირდება სიტყვის ერთიანობა, აგლუტინაციურიდან ფლექსიურობამდე. მორფოლოგიიდან მორფო-ფონემიკაზე გადასვლის ამ პროცესს უწოდებენ დემორფემიზაციას. თ. გივონი ამ პროცესს უწოდებს ლექსიკალიზაციას.

- განულება – გამოსახულება და გრამატიკული კატეგორიის შემცველობა ნულდება.

კ. ლემანი აღნიშნავს, რომ მისი შემოთავაზებული სქემა მხოლოდ პირველად წარმოდგენას გვიქმნის გრამატიკალიზაციის პროცესზე. გრამატიკალიზაციის პროცესის მიმდინარეობის საილუსტრაციოდ წარმოდგენილი სქემა გვაფიქრებინებს, რომ გრამატიკალიზაციის პროცესს აქვს ცალსახად გამოკვეთილი დასაწყისი და დასასრული, რაც სიმართლეს არ შეესაბამება, რადგან ეს პროცესი გულისხმობს, რომ გრამატიკალიზაცია შეიძლება განიცადონ არა მხოლოდ ლექსიკურმა ერთეულებმა, არამედ შესაძლოა თავად გრამატიკული ერთეულები გარდაიქმნან უფრო მეტად გრამატიკულ ერთეულებად, გაიზარდოს მათი გრამატიკულობის ხარისხი.

გარდა ზემოთ განხილული საკითხისა მოცემული სქემა გრამატიკალიზაციის პროცესთან დაკავშირებულ კიდევ ერთ მნიშვნელოვან საკითხს წამოჭრის – როგორ უნდა მოხდეს გრამატიკალიზაციის პროცესის განხილვა? განვიხილოთ თუ არა იგი, როგორც ერთმიმართულებიანი (unidirectional), შეუქცევადი პროცესი, რაც იმას გულისხმობს, რომ გრამატიკალიზაციის პროცესის პარალელურად შეუძლებელია მისი საპირისპირო პროცესის ანუ დეგრამატიკალიზაციის პროცესის არსებობა (Lehmann 2015: 22).

კ. ლემანი შესაძლებლად მიიჩნევს გრამატიკალიზაციის შებრუნებული პროცესის არსებობას, რომელსაც არა დეგრამატიკალიზაციას, არამედ ლექსიკალიზაციას უწოდებს. ამ პროცესის სტრუქტურას კი იგი შემდეგნაირად წარმოადგენს – დერივაციული კატეგორია გრამატიკალიზდება ფლექსიურ კატეგორიად და შემდეგ ხელახლა, ლექსიკალიზებული გარდაიქმნება კვლავ დერივაციულად.

ლექსიკალიზაციის პროცესის მაგალითად კ. ლემანი განიხილავს პროტონდოევროპულ სხვადასხვა დერივაციული მნიშვნელობის მქონე სახელურ აფიქსს *-a. ლათინურ ენაში ეს აფიქსი გრამატიკალიზდა, როგორც მრავლობითობის მარკერი ნეიტრალური სქესის სახელებთან – *ovum* ‘კვერცხი’, მრ. *ova*. იტალიურ ენაში

ნეიტრალური სახელები იქცა მამრობითი სქესის სახელებად და მრავლობითის გამოსახატავად მარკერი *-i* დაირთო. თუმცა, *-a* კვლავ სხვადასხვა მნიშვნელობის მქონე დერივაციულ სუფიქსად გამოიყენება, მაგალითად: *muro* 'კედელი' – *mura* (Lehmann 2015: 18).

ავტორი, ასევე, განიხილავს წინარე ინგლისურში პერფექტის, ნამყო სრული დროის, კატეგორიას, რომელიც სტატიკური იყო. თანამედროვე ინგლისურ ენაში ყველა ზმნა, რომელიც ფორმალურად აწარმოებდა ნამყო სრულ დროს *be* დამხმარე ზმნით, იყენებს *have* დამხმარე ზმნას და პერფექტის მნიშვნელობა სტატიკურობის ნაცვლად სრულ ასპექტს გამოხატავს. თუმცა, ზოგიერთი ზმნა, რომელიც ნამყო სრული დროის გამოსახატავად *be* დამხმარე ზმნას დღესაც იყენებს, ინახავს ძველ სტატიკურ მნიშვნელობას, მაგალითად: *is come/gone*.

მიუხედავად იმისა, რომ ავტორი გრამატიკალიზაციის საპირისპირო პროცესის არსებობას დასაშვებად მიიჩნევს, იგი ყურადღებას ამახვილებს ლექსიკალიზაციის ზემოთ განხილული შემთხვევების ნაკლოვან მხარეზე, რაც იმაში გამოიხატება, რომ ხელახლა განვითარებულ დერივაციულ კატეგორიებს არ აქვთ მინიმალური პროდუქტიულობაც კი მაშინ, როდესაც პროტონდო-ევროპული დერივაციული კატეგორიები პროდუქტიულობის მაღალი ხარისხით ხასიათდებოდა; წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი ვერ შეძლებდნენ ფლექსიური კატეგორიების წარმოებას, ხელახლა განვითარებული დერივაციული კატეგორიები კი გაყინული ანუ იდიომატიზებულია და გრამატიკულ წესებს არ ემორჩილება. ამას გარდა, კ. ლემანი წარმოდგენილი მაგალითების ნაკლოვან მხარედ იმასაც მიიჩნევს, რომ ლექსიკალიზებული ფორმები უფრო გრამატიკალიზებული ფლექსიური ფორმებიდან კი არ განვითარდნენ, არამედ უშუალოდ განაგრძეს თავიანთი თავდაპირველი საფეხური, მომდევნო საფეხურებზე გადასვლის გარეშე.

გრამატიკალიზაციისა და მისი საპირისპირო პროცესის, ანუ ლექსიკალიზაციის, განხილვის შემდეგ კ. ლემანი განიხილავს გრამატიკალიზაციის სხვადასხვა შესაძლებლობას, ანუ გრამატიკალიზაციის სხვადასხვა გზას, და ამ შესაძლებლობათა აღსანიშნად შემოაქვს ტერმინები **გრამატიკალიზაციის არხი** და **გრამატიკალიზაციის სკალა**. განვიხილოთ თითოეული მათგანი.

ტერმინი გრამატიკალიზაციის არხი – (grammaticalization channel) აღწერს იმ ფაქტს, რომ გრამატიკალიზაციის პროცესში კატეგორიის ბედი დიდწილად განსაზღვრულია ორი მახასიათებლით: მისი სემანტიკური მნიშვნელობითა და სინტაქსური ფუნქციით; ორივე მახასიათებელი თანაბრად აუცილებელი და საჭიროა.

გრამატიკალიზაციის არხი ფიგურალურად აღწერს გზას, რომელშიც ნიშნებმა შეიძლება შეასრულონ მოცემული ფუნქცია იმ შემთხვევაში, თუ ენის ცვალებადობის პროცესში ისინი გრამატიკალიზებულები არიან. ამ არხის ელემენტებს შორის არსებული კავშირები დიაქრონიულია.

გრამატიკალიზაციის სკალა არის თეორიული კონსტრუქტი, რომელშიც ფუნქციურად მსგავსი ნიშნების ტიპები განლაგებულია მათი გრამატიკულობის ხარისხის მიხედვით, განსაზღვრული პარამეტრების საფუძველზე. სკალაზე განლაგებულ ელემენტებს შორის ურთიერთკავშირი პანქრონიულია (მაგალითად, ბრუნვის ნიშნებიდან რომელი რამდენად მეტადაა გრამატიკული ფუნქციის მატარებელი).

კ. ლემანის აზრით, გრამატიკალიზაციის პროცესი ენის რომელიმე გარკვეულ ნაწილს კი არ მიემართება, არამედ ყოვლისმომცველია.

გრამატიკალიზაციის პროცესის ზოგადი მიმოხილვის შემდეგ ავტორი გამოყოფს გრამატიკალიზაციის პარამეტრებს და ამ პარამეტრების განსაზღვრებებს გვთავაზობს. უპირველეს ყოვლისა, იგი აღნიშნავს, რომ „ენა არის ქმნადობის პროცესი, იგი მოიცავს სოციუმში საკომუნიკაციოდ გამოყენებადი მნიშვნელობების, ნიშნების შექმნის პროცესს. ეს პროცესი შესაძლოა იყოს მეტ-ნაკლებად თავისუფალი ან მეტ-ნაკლებად რეგულირებული. შესაბამისად, ენობრივი ნიშნის ფორმირების პროცესი შესაძლოა მეტწილად დამოკიდებული იყოს ენის მომხმარებლის უშუალო გადაწყვეტილებაზე ან უმეტესად ემყარებოდეს სოციალურ შეთანხმებას, ფორმირებულს გრამატიკის სახით: “Language is an activity which consists in the creation of interpersonally available meanings, i.e. signs. This activity can be more free or more regulated; accordingly, the ways in which the signs are formed will either depend more on the actual decision of the language user or more on the social conventions laid down in the grammar” (Lehmann 2015, p. 129).

კ. ლემანს შემოაქვს ენობრივი ნიშნის თავისუფლების კონცეპტი (Freedom) და ენობრივი ნიშნის ავტონომიურობის კონცეპტი (Autonomy).

ენობრივი ნიშნის თავისუფლების კონცეპტი (The concept of freedom) გულისხმობს მიმართებას ენის მომხმარებელსა და იმ ნიშნებს შორის, რომელთაც ის იყენებს კომუნიკაციის პროცესში. რაც უფრო თავისუფალია ნიშნის გამოყენება, მით უფრო ავტონომიურია იგი. შესაბამისად, კ. ლემანის მითითებით, ნიშნის ავტონომიურობა უპირისპირდება მის გრამატიკულობას: გრამატიკალიზაცია ართმევს ნიშანს ავტონომიურობას. თუ ჩვენ გვინდა გავზომოთ ნიშნის გრამატიკალიზაციის ხარისხი, უნდა განვსაზღვროთ მისი ავტონომიურობის დონე (Lehmann, 2015, p. 120).

კ. ლემანი გამოყოფს გრამატიკალიზაციის პროცესში ნიშნის სამ სხვადასხვა მახასიათებელს, რომელიც გვეხმარება ამ პროცესის აღწერაში. ეს მახასიათებლებია:

- წონა (weight)
- კოჰეზია (cohesion)
- ცვალებადობა (variability)

წარმოდგენილი სამი მახასიათებლის აღწერისას ავტორი შემდეგ სამ ფაქტორზე ამახვილებს ყურადღებას:

პირველი — იმისათვის, რომ ნიშანი ავტონომიური იყოს, მას უნდა ჰქონდეს გარკვეული წონა (weight), მახასიათებელი, რომელიც განარჩევს მას მისი კლასის სხვა წევრებისგან და უზრუნველყოფს მის გამორჩეულ მნიშვნელოვნებას სინტაგმაში;

მეორე — ავტონომიურობა მცირდება იმდენად, რამდენადაც შედის ნიშანი კავშირში სხვა ნიშნებთან სისტემაში. ამგვარი კავშირების თანმხლებ ფაქტორს, რომელიც ნიშნის ავტონომიურობას ამცირებს, იგი კოჰეზიას (cohesion) უწოდებს;

მესამე — რაც უფრო ავტონომიურია ნიშანი, მით უფრო მაღალია მისი ცვალებადობა (variability), რაც სხვა ნიშნებთან მიმართებით მომენტალური გადართვის (shiftability), მათზე მორგების უნარში მჟღავნდება.

კ. ლემანის აზრით, ამ სამ პარამეტრზე დაკვირვება შესაძლებლობას გვაძლევს აღვწეროთ ცოცხალ ენობრივ სისტემაში მიმდინარე გრამატიკალიზაციის პროცესი. იგი ასკვნის, რომ გრამატიკალიზაციის პროცესისთვის ნიშანდობლივია ნიშნის წონისა და ცვალებადობის კლება, კოჰეზიურობის მატება (Lehmann, 2015, p. 125).

თუმცა, ავტორი ზემოთ ჩამოთვლილი პარამეტრების მხოლოდ განსაზღვრითა და მოკლე განმარტებებით არ შემოიფარგლება. იგი წარმოადგენს ლინგვისტური

თეორიის ფარგლებში შემუშავებულ ორ სხვადასხვა გზას გრამატიკალიზაციის დასახელებული პარამეტრების დასაკონკრეტებლად, კერძოდ, შესაძლებელია:

I. პარამეტრები დავაკავშიროთ ნიშნის შინაარსისა და გამოხატულების პლანთან;

II. პარამეტრები დავუკავშიროთ ნიშნის შემადგენლების ანუ კონსტიტუენტების შერჩევასა და კომბინირების პროცესს (Lehmann 2015: 130).

კ. ლემანი გრამატიკალიზაციის პარამეტრების დაკონკრეტებისათვის ჩამოთვლილ ორ შესაძლებლობას შორის უპირატესობას მეორე გზას ანიჭებს. მისი აზრით, ნიშნის გამოხატულებისა და შინაარსის პლანები ერთმანეთთან განუყოფლადაა დაკავშირებული და მათი იზომორფიზმის მაჩვენებელი ძალიან მაღალია. ის, რაც გავლენას ახდენს ნიშნის შინაარსის პლანზე, აისახება ასევე მისი გამოხატულების პლანზეც და პირიქით. სხვადასხვაგვარი ფაქტორები, რომლებიც გრამატიკალიზაციის პროცესის განმსაზღვრელი კრიტერიუმებია, ნიშნის შინაარსისა და გამოხატულების პლანს (ანუ ნიშნის სემანტიკურ და სინტაქსურ მხარეებს) კი არ უნდა აცალკევებდეს, არამედ პირიქით, ნიშანს უნდა განიხილავდეს ერთ მთლიანობად, რაც მისივე მინიშნებით, განსაკუთრებით კარგად ჩანს ცვალებადობის პარამეტრში.

რაც შეეხება გრამატიკალიზაციის განმსაზღვრელი პარამეტრების დაკავშირებას ნიშნის შერჩევასა და კომბინირების პროცესთან, კ. ლემანის მიხედვით, გრამატიკალიზაციის პროცესში გამოყოფილი სამი პარამეტრი ორი განსხვავებული რიგის კრიტერიუმად ჯგუფდება, რაც ყველა ლინგვისტური ოპერაციის ფუნდამენტია. ეს კრიტერიუმებია ენობრივი ნიშნების **შერჩევა და კომბინირება**, შესაბამისად, გვაქვს გრამატიკალიზაციის პროცესის **პარადიგმატული და სინტაგმატური** ასპექტები.

ზემოთ განხილულ თითოეულ პარამეტრს წარმოვადგენთ სინტაგმატური და პარადიგმატული კუთხით:

• **ნიშნის წონა**, პარადიგმატული ასპექტით, არის ნიშნის მთლიანობა, მისი სუბსტანციური მომცველობა ორივე მხარისა – როგორც ფონოლოგიურის, ისე სემანტიკურის; სინტაგმატური ასპექტით კი, ნიშნის სტრუქტურული მომცველობა იმ კონსტრუქციებისა, რომლებშიც ნიშანი შედის და/ან ფორმირდება (Lehmann 2015: 131).

• **ნიშნის კოჰეზიურობას** პარადიგმატული ასპექტით, ანუ მისი ავტონომიურობის შემცირებას სისტემაში სხვა ერთეულებთან კავშირის გამო, ეწოდება პარადიგმატულობა. ეს არის პარადიგმაში ნიშნის მონაწილეობის, ინტერგირებისა და დამოკიდებულობის ხარისხი; ხოლო სინტაგმატური ასპექტით, სინტაგმაში ნიშნის კოჰეზიურობა განიმარტება როგორც ნიშნის შემოუზღუდველობა. ესაა ხარისხი, რომელიც განსაზღვრავს ნიშნის სხვა ნიშნებთან მიმართებისა და დამოკიდებულობის ხარისხს (Lehmann 2015: 131).

• **ნიშნის ცვალებადობა** პარადიგმატული ასპექტით ნიშნავს შესაძლებლობას, მის ნაცვლად გამოყენებული იყოს სხვა ნიშნები (ან თუნდაც, საერთოდ გამოტოვებული იყოს ყველა ერთად); ხოლო ნიშნის ცვალებადობა სინტაგმატური ასპექტით ნიშნავს ნიშნის გადაადგილების შესაძლებლობას მისივე კონსტრუქციის ფარგლებში (Lehmann 2015: 131).

აღნიშნული მახასიათებლების საილუსტრაციოდ კ. ლემანს შემდეგი სქემა შემოაქვს:

სქემა 2.3 გრამატიკალიზაციის პარამეტრები

გრამატიკალიზაციის პარამეტრები

პარამეტრები	ღერძი	
	პარადიგმატული	სინტაგმატური
წონა	მთლიანობა	სტრუქტურული მომცველობა
კოჰეზია	პარადიგმატულობა	შემოუზღუდველობა
ცვალებადობა	პარადიგმატული ცვალებადობა	სინტაგმატური ცვალებადობა

PARAMETER	AXIS	
	PARADIGMATIC	SYNTAGMATIC
WEIGHT	integrity	structural scope
COHESION	paradigmaticity	bondedness
VARIABILITY	paradigmatic variability	syntagmatic variability

გრამატიკალიზაციის ფენომენის განხილვისა და მისი პარამეტრების განსაზღვრის შემდეგ კ. ლემანი აყალიბებს შემდეგ დებულებას: გრამატიკალიზაცია, როგორც პროცესი, მდგომარეობს ამ ექვსი პარამეტრის ერთობლივ ცვლილებაში, მათ გაზრდასა თუ შემცირებაში. გრამატიკალიზაცია განიმარტება, როგორც პროცესი, განხილული პარამეტრები კი ამ პროცესში მყოფი ნიშნების ცვალებადი მახასიათებლებია. მაგალითად, გრამატიკალიზაციის ხარისხის ზრდასთან ერთად იზრდება კოჰეზიის პარამეტრი, თუმცა მცირდება წონისა და ცვალებადობის მაჩვენებლები. ეს პარამეტრები ერთობლივად განსაზღვრავენ ნიშნის გრამატიკულობას, მისი გრამატიკალიზაციის ხარისხს. ამ მახასიათებლებიდან რომელიმეს მოცულობის ცვლა, ან გაზრდა ან დაკლება, იწვევს პროცესს, რომელიც გავლენას ახდენს ნიშანზე (Lehmann 2015: 132).

ჩამოთვლილ ექვს მახასიათებელს კ. ლემანი აღნიშნავს ტერმინებით პარამეტრი, ფაქტორი ან კრიტერიუმი. მისი ხედვით, გრამატიკალიზაცია კომპლექსური ფენომენია, რომელიც ამ პარამეტრებს მოიცავს და არ არსებობს მათგან დამოუკიდებლად; გრამატიკალიზაცია სწორედ ამ ექვს პარამეტრზე დაკვირვებით შეიძლება აღიწეროს და გრამატიკალიზაციის ხარისხის განსაზღვრაც ამ პარამეტრების გაზომვით არის შესაძლებელი. ამასთანავე, ჩამოთვლილ ექვსივე პარამეტრს საერთო დედუქციური ბაზისი აქვს და, შესაბამისად, ისინი ერთმანეთზე არიან დამოკიდებულნი (Lehmann 2015: 135).

2.5 გრამატიკალიზაციის პრაგმატიკული ასპექტი

გრამატიკალიზაციის ფენომენი მკვლევართა განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს და სხვადასხვა პერსპექტივით შეისწავლება. ენა ნიშანთა სისტემაა, ენობრივი ნიშნები სისტემაში სხვადასხვა ფუნქციას ასრულებენ და თავიანთი ფუნქციების მიხედვით სხვადასხვაგვარ პარადიგმატულ კლასებად ნაწილდებიან. ენა ცვალებადი სისტემაა, ენობრივი ნიშნები მუდმივად განიცდიან ცვლილებებს, რაც რიგი სემანტიკური თუ პრაგმატიკული მიზეზით არის მოტივირებული, ნიშანთა ფორმისა და ფუნქციის ცვლის შესაბამისად იცვლება ენობრივი სისტემაც. გრამატიკალიზაციაც ენობრივი ცვლილების ერთ-ერთი მეტად საინტერესო სახეა და მისი შესწავლა შესწავლა არსებითად ორი პერსპექტივით ხორციელდება, ესენია **გრამატიკალიზაციის კვლევის ფორმალური პერსპექტივა** და **გრამატიკალიზაციის კვლევის ფუნქციური პერსპექტივა**.

წინამდებარე თავში განვიხილეთ გრამატიკალიზაციის ფენომენის ფორმალური ასპექტით კვლევის შედეგად შემუშავებული თეორიული დებულებები, გრამატიკალიზაციის ფენომენის შესახებ ფუნდამენტური კვლევის ავტორის, კრისტიან ლემანის ნაშრომის *Thoughts on grammaticalization* მიხედვით. გრამატიკალიზაციის კ. ლემანისეული კონცეფციის განხილვის შემდეგ მიმოვიხილავთ გრამატიკალიზაციის ფენომენის ფუნქციური ასპექტით კვლევისას ფორმირებულ დებულებებს, კერძოდ, წარმოვადგენთ გრამატიკალიზაციის **პრაგმატიკულ ასპექტს**.

გრამატიკალიზაცია შინაარსის პლანის ცვლის ერთ-ერთი სახეა, გრამატიკალიზაციის ფენომენის კვლევისას ორ მნიშვნელოვან მხარეზე ვამახვილებთ ყურადღებას: პირველი, თავად პროცესზე, მის აღწერაზე, პროცესის მიმდინარეობის გზასა და პარამეტრებზე, რომლებსაც ცვლილებათა აღსაწერად ვიყენებთ, და მეორე, თუ რა შეიძლება იყოს გრამატიკალიზაციისა და ზოგადად, ენობრივი ცვლილებების განმაპირობებელი მიზეზები. ამგვარი მიზეზები, რა თქმა უნდა, კომპლექსურია, თუმცა მაინც შეგვიძლია ვისაუბროთ იმ პირობებზე, რომლებიც ძირითადი მამოტივირებელია ენობრივ სისტემაში მიმდინარე ცვლილებისა, ვგულისხმობთ სხვადასხვა სახის სემანტიკურ და პრაგმატიკულ ფაქტორებს.

მოცემული ქვეთავი სწორედ ენობრივ სისტემაში მიმდინარე ცვლილებათა განმაპირობებელი ფაქტორების პრაგმატიკულ ჭრილში განხილვას ეთმობა.

ენობრივი სისტემის პრაგმატიკული თვალსაზრისით კვლევისას ცვლილებების განმაპირობებლად ძირითადად სამი სხვადასხვა რიგის ფაქტორი განიხილება:

1. ენის ათვისების, კერძოდ, ბავშვის მიერ ენის ათვისების პროცესი. ენობრივ ცვლილებათა კვლევისას განსაკუთრებულ ყურადღებას ამ საკითხზე გენერატივისტები ამახვილებენ;

2. სხვადასხვა სახის კომუნიკაცია ანუ სხვადასხვა ტიპის კონტაქტები სოციუმს შიგნით. ცვლილებათა განმაპირობებელ მთავარ ფაქტორად კომუნიკაციის სხვადასხვა ტიპს სოციოლინგვისტები მიიჩნევენ;

3. საკომუნიკაციოს სიტუაციაში მოლაპარაკისა და მსმენელის მიერ ნაგულისხმები მნიშვნელობები. ენობრივ ცვლილებათა კვლევისას, კერძოდ, გრამატიკალიზაციის პროცესის შესწავლისას, მკვლევართა განსაკუთრებულ ინტერესს სწორედ ეს ფაქტორი იწვევს (Hopper, Traugott 2003: 71).

გრამატიკალიზაციის ფენომენის, როგორც ენობრივ სისტემაში მიმდინარე ცვლილების, პრაგმატიკული თვალსაზრისით კვლევის შედეგად ფორმირებული დებულებები თავმოყრილია ჯონ ტრაუგოტისა და პოლ ჰოპერის ნაშრომში *Grammaticalization*. ავტორები განიხილავენ ენობრივ ცვლილებათა განმაპირობებელ ფაქტორებს, სხვადასხვა ტიპის ფაქტორთა გამაერთიანებლად კი მიიჩნევენ ენობრივ სისტემაში მოქმედ **მაქსიმალური ეკონომიის და/ან სიმარტივის პრინციპს**, რაც, ერთი მხრივ, ეფექტურობისა და, მეორე მხრივ, ინფორმაციულობის მაქსიმალურად გაზრდას გულისხმობს.

ამ მიდგომის თანახმად, ენობრივ ცვლილებათა პროცესში უმნიშვნელოვანესია მსმენელისა და მოსაუბრის როლი. საკომუნიკაციო სიტუაციაში მსმენელი ამუშავებს მოსაუბრისგან მიღებულ სიგნალს, ანუ შეტყობინებას. მსმენელმა შესაძლოა ისე მიიღოს შეტყობინება, რომ ის არ შეესაბამებოდეს მოლაპარაკის მიზანდასახულობას. რაც შეეხება მოსაუბრეს, მეტყველების პროცესში მოსაუბრეს აქვს საკომუნიკაციო მიზანი და ეძებს შესაბამის გზებს, რომ მსმენელმა შეძლოს მიღებული შეტყობინების სწორი ინტერპრეტაცია. იდეალურ საკომუნიკაციო სიტუაციაში მეტყველი იღებს პასუხისმგებლობას წარმატებულ კომუნიკაციაზე და ცდილობს ახალი ინფორმაციის

სწორად ინტეგრირებას მსმენელისთვის უკვე არსებულ, მისაწვდომ ინფორმაციასთან მისთვის გასაგები გზებით.

განსხვავდება საკომუნიკაციო სიტუაციაში მისაწვდომი ინფორმაცია, განსხვავებები კი დამოკიდებულია სხვადასხვა ფაქტორზე, მათ შორის, საკომუნიკაციო სიტუაციაში მონაწილეთა ასაკზე, სოციალურ სტატუსზე, კულტურაზე, მოლოდინებსა თუ სხვადასხვა რიგის ფაქტორებზე, რომლებმაც ერთდროულად დროთა განმავლობაში შეიძლება გამოიწვიონ ცვლილებები საკომუნიკაციო სიტუაციაში შეტყობინების ფორმირებისას.

ენობრივ ცვლილებათა კვლევისას, ცვლილებათა განმაპირობებელი ფაქტორების მსმენელისა და მოლაპარაკის პერსპექტივიდან შეფასებისას, უნდა გავითვალისწინოთ, რომ საკომუნიკაციო პროცესში მსმენელი, როგორც ბავშვი, ისე ზრდასრული, ეძებს მიღებული შეტყობინების ინტერპრეტაციის ყველაზე არაორაზროვან, ცალსახა გზას. სწორედ ამიტომ, ცვლილებათა პროცესში მსმენელის როლის შეფასებისას ფოკუსირებულია მნიშვნელობათა აღქმისა და მნიშვნელობათა ინტერპრეტაციის პროცესი. ასევე, შესაძლებელია მსმენელის განხილვა მოსაუბრის შეტყობინების სამიზნე ობიექტად. ამ პერსპექტივიდან, მსმენელი აძლევს მოტივაციას მოსაუბრეს, რათა მისი სიგნალი იყოს ინფორმაციული და არაორაზროვანი, ცხადი და გასაგები.

რაც შეეხება მოსაუბრის როლს ენობრივი ცვლილებების პროცესში, ვინაიდან შეტყობინების კოდირების პროცესში მოქმედებს მაქსიმალური ეკონომიისა და სიმარტივის პრინციპები, საკომუნიკაციო სიტუაციაში თავს იჩენს შეტყობინების შემცირების, მისი გამარტივების ტენდენცია, რაც მიიღწევა რუტინიზაციითა (routinization) და იდიომატიზაციით (idiomatization). მაგალითად ჯ. ტრაუგოტი და პ. ჰოპერი განიხილავენ ინგლისურ ენაში *be going to* ფორმის ჩანაცვლებას ზეპირმეტყველებაში *be gonna* ფორმით. ნაცვლად იმისა, რომ არსობრივად იდენტური შინაარსის გადმოსაცემად მოსაუბრემ ახალი გამოსახულება შექმნას საუბრის პროცესში, იგი იყენებს უკვე არსებულსა და არაერთხელ გაგონილს, ამის ნიმუშად შეგვიძლია მოვიტანოთ ინგლისურ ენაში ზეპირმეტყველებისას *you know* ფრაზის განსაკუთრებული სიხშირით გამოყენება. ამ ტიპის გამოსახულებები ინახება მარტივი ერთეულების სახით და საკომუნიკაციო პროცესში მათი გამოყენების სიხშირე განსაკუთრებით მაღალია.

იდომატიზაციასა და რუტინიზაციის პროცესთან დაკავშირებით ჯ. ტრაუგოტი და პ. ჰოპერი მიუთითებენ, რომ: „უსაფუძვლო არ იქნება, თუ კი ენებს, მათი განვითარების დიაქრონიულ ასპექტში განვიხილავთ, როგორც გამოსახულებათა გამაერთიანებელ გიგანტურ მექანიზმს“ (It would not be entirely inappropriate to regard languages in their diachronic aspect as gigantic expression compacting machines) (Hopper, Traugott 2008: 8).

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი პროცესებისა, ავტორები გამოყოფენ საკომუნიკაციო სიტუაციაში შეტყობინების გადაცემისა და მიღებისას მოქმედ შემდეგ პროცესებსაც: **გაერთიანება, საზღვრების მოშლა და სიჭარბის შემცირება.** ნორმალურ სამეტყველო სიტუაციაში აღნიშნული პროცესები ბალანსდება მნიშვნელობათა გამოსახატავად ახალი და ინოვაციური გზების შემოტანით, რაც განპირობებულია მსმენელის მიზანდასახულობით, გაზარდოს გამოსახულების ექსპრესიულობა. ავტორები მიუთითებენ, რომ ამ პროცესში გადამწყვეტი მნიშვნელობა დერუტინიზაციას ენიჭება, რაც არსებულ მნიშვნელობათა გამოსახატად ახალი გზების ძიებას გულისხმობს. დერუტინიზაციაც თავისთავად ეკონომიურობის პრინციპს ემყარება, რაც გამოიხატება უკვე არსებული ფორმების ახალი მნიშვნელობით გამოყენებაში. რაც შეეხება ექსპრესიულობას, ექსპრესიულობა ორმაგი ფუნქციის მატარებელია, ერთი მხრივ, ის აუმჯობესებს ინფორმაციულობას მსმენელისათვის და, მეორე მხრივ, შესაძლებლობას აძლევს მოლაპარაკეს გამოსახულებაში ასახოს სამეტყველო სიტუაციისადმი საკუთარი დამოკიდებულება.

გრამატიკალიზაციაც ენობრივი ცვლილებების ერთ-ერთი სახეა, ამ ცვლილების წამყვან ფაქტორებად პ. ჰოპერი და ჯ. ტრაუგოტი განიხილავენ გრამატიკალიზაციის ადრეულ საფეხურზე მნიშვნელობის ცვლილებას, რაც კოგნიტიური პროცესებითაა მოტივირებული და მჭიდროდაა დაკავშირებული ექსპრესიულობასთან. მნიშვნელობის ცვლილება პრაგმატიკული და ასოციაციურია და წარმოიქმნება მეტყველების პროცესში სიტყვათა უწყვეტ ნაკადში. გრამატიკალიზაციის მოგვიანო საფეხურზე სიტყვაფორმები რუტინიზებულია, ამოსავალი მნიშვნელობა კი დაკარგული ან გაუფერულებულია. მიუხედავად ამისა, ძველი ფორმები განაგრძობენ ახლად წარმოქმნილ ფორმებზე ზემოქმედებას. გრამატიკალიზაციის შედეგად

მიღებული ფორმები თანაარსებობენ ძველი ფორმების პარალელურად (Hopper, Traugott 2003: 81).

ჩვენ მიერ განხილული თეორიული დებულებები ადასტურებს, რომ გრამატიკალიზაციის ფენომენი მკვლევართა განსაკუთრებულ ინტერესს იმსახურებს და სხვადასხვაგვარი პერსპექტივით შეისწავლება. გრამატიკალიზაციის რაობაზე თეორიული ნაშრომების განხილვისას შევეცადეთ გვეჩვენებინა არა მხოლოდ კვლევის ტრადიციული, **ფორმალური პერსპექტივა**, არამედ გრამატიკალიზაციის პროცესის **ფუნქციური თვალსაზრისით** კვლევისას ფორმირებული ძირითადი თეორიული დებულებები, მათ შორის, ყურადღება გავამახვილეთ გრამატიკალიზაციის **პრაგმატიკულ ასპექტზე**.

3. ემპირიული მასალა

3.1 საკვლევ ელემენტთა აღწერა

გრამატიკალიზაციის პროცესი, როგორც დასაწყისშივე აღვნიშნეთ, დამახასიათებელია როგორც სახელების, ასევე ზმნებისთვის. ტიპოლოგიური თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესო სურათს ქმნის ზმნური ფორმების გრამატიკალიზაციის პროცესი, ამდენად, კვლევის საგნად განისაზღვრა **ზმნური წარმოშობის ფუნქციური ელემენტები**.

თანამედროვე ქართულ ენაში ზმნური ფორმიდან განვითარებული არაერთი ფუნქციური ელემენტი დასტურდება, კვლევისთვის შევარჩიეთ სამი ერთეული, რომელთაც, წინასწარი დაკვირვების საფუძველზე შემუშავებული ჰიპოთეზის მიხედვით, გრამატიკალიზაციის სხვადასხვაგვარი სურათი უნდა ეჩვენებინათ. ეს ერთეულებია: *დგება*, *იღებს* და *ჩანს*.³ კვლევაში წარმოდგენილი ემპირიული მასალა შეგკრიბეთ ქართული ენის ეროვნული კორპუსის (GNC) ბაზაზე. საკვლევ ერთეულთა შესასწავლად გამოვიყენეთ სუბსტიტუციის, ელიმინაციისა და სკოპუსის მეთოდები, მათი ფუნქციურ-სემანტიკური ნიუანსების გამოსაკვლევად კი — ენობრივი კომპეტენციის ტესტი.

საკვლევად შერჩეული ზმნური ერთეულების დეტალურ ანალიზამდე წარმოვადგენთ იმ ერთეულთა სიას⁴, რომლებიც ქართულ ენაში გრამატიკალიზაციის პროცესში მყოფი ერთეულებია. მათი ფუნქციურ ელემენტებად გამოყენების მაგალითები ხშირია და თვალსაჩინო.

³ იხ. შენ. 2, გვ.2.

⁴ მოცემული ჩამონათვალი ემყარება ჩვენ მიერ წარმოებულ დაკვირვებებს და არ წარმოადგენს სრულ სიას.

ცხრილი 3.1. გრამატიკალიზაციის პროცესში მყოფი ზმნური ერთეულები

გრამატიკალიზაციის პროცესში მყოფი ზმნური ფუნქციური ერთეულები	
ადგა	<u>ადგა</u> და გაზეთში ვეებერთელა სტატია გამოაცხო სულისშემძვრელი სათაურით.
აიღო	სრულებითაც ისეთი არ გამოვედი, როგორც უნდოდა. ამიტომ <u>აიღო</u> და თავისი მოახლე შეირთო.
ეტყობა	რადგან თავის დროზე მათ მიყიდა ამ ფასათ, <u>ეტყობა</u> , სახელმწიფოც თვლიდა რომ ადეკვატურია.
მიდი	ჰოდა, <u>მიდი</u> და იფიქრე, შენ ვინ გამოდიხარ – თქვა ტოლსტოიმ.
მოდი	ღმერთო ჩემო! <u>მოდი</u> და ნუ გაიცინებ!
ნახე	გასაღებების ასხმულაზე შებმული ჯაყვა გახსნა ამირანამ, <u>ნახე</u> , <u>ნახე</u> , ხმას ვერ იღებს.
უყურე	<u>უყურე</u> , ხმაურობა თანდათან ახლოვდება, თითქოს აქეთ მოდიანო.
ჩანს	<u>ჩანს</u> , მატარებლის მოსვლის დროც კარგად იცოდა და ამგვარ საქმეზეც არ იყო პირველად.

საკვლევად შევარჩიეთ სამი, განსხვავებული მორფოლოგიური ნიშნების მქონე ზმნური ფორმა, რომლებიც შემდეგი ნიშნებით ხასიათდება:

1. დგება ის — ერთპირიანი, გარდაუვალი ზმნა, S³, ვნებითი (დინამიკური) გვარის;
2. იღებს ის მას — ორპირიანი, გარდამავალი ზმნა, S³, O³, მოქმედებითი გვარის.
3. ჩანს ის — ერთპირიანი, გარდაუვალი ზმნა, S³ საშუალ-ვნებითი გვარის.

წინასწარი დაკვირვებითვე ცხადი იყო, რომ წარმოდგენილი ზმნური ფორმები თანამედროვე ქართულ ენაში გრამატიკალიზაციის პროცესში მყოფი ერთეულებია, რაც იმას გულისხმობს, რომ მათი გრამატიკალიზაციის პროცესი დასრულებული არ არის – ისინი გამოიყენება როგორც პრედიკატის, წინადადების ცენტრალური წევრის, ასევე გრამატიკალიზებული ფუნქციური ერთეულის სახით.

ზემოთქმულის დასადასტურებლად წარმოვადგენთ შემდეგ წინადადებებს:⁵

(1) *პეტრე შებინდებისას ადგა და მინდვრისკენ მიმავალ გზას დაადგა.*

ადგა ამ შემთხვევაში პრედიკატი, მოქმედების გამომხატველი ლექსიკური ერთეული ანუ ზმნა-შემასმენელია. რაც ლექსიკური სუბსტიტუციის, ანუ ჩანაცვლების მეთოდის საშუალებით შეგვიძლია დავადასტუროთ:

(1.1) *პეტრე შებინდებისას წამოდგა და მინდვრისკენ მიმავალ გზას დაადგა.*

(2) *რა კარგად გამახსენეთ ეს ამბავი, რომ ადგა თქვენი გაზეთი და ერთი ამბავი აუტება!*

მივმართოთ იმავე ჩანაცვლების ხერხს:

(2.1) *რა კარგად გამახსენეთ ეს ამბავი, რომ წამოდგა თქვენი გაზეთი და ერთი ამბავი აუტება!*

ადგა ერთეულის ჩანაცვლება სხვა ზმნური ერთეულით ცხადყოფს, რომ მოცემულ წინადადებაში ადგა ლექსიკური შინაარსისგან დაცლილია და მისი ჩანაცვლება მსგავსი ლექსიკური შინაარსის მქონე ზმნური ფორმით სემანტიკურად გაუმართავ წინადადებას გვაძლევს. ამდენად, წარმოდგენილ კონტექსტში იგი არ ასრულებს კონკრეტული სემანტიკის მქონე პრედიკატის სინტაქსურ ფუნქციას და ლექსიკური შინაარსისგან დაცლილ, ოდენ ფუნქციურ ელემენტად არის ქცეული.

განვიხილოთ ერთეული აილო:

(3) *სამთვიანი სესხი მაშინ აილო, როცა*

ბანკის ლიკვიდურობის საკითხი იდგა.

აილო ლექსიკური, პრედიკატული მნიშვნელობის მქონე ზმნური ფორმაა და წინადადებაში შემასმენლის ფუნქციას ასრულებს. ნათქვამის დასადასტურებლად აილო ფორმა ჩავანაცვლოთ მსგავსი მნიშვნელობის მქონე ლექსიკური ერთეულით გამოიტანა:

(3.1) *სამთვიანი სესხი მაშინ გამოიტანა, როცა ბანკის ლიკვიდურობის საკითხი იდგა.*

(4) *ეტყობა საყვარელი აშანტაჟებდა, ცოლად მომიყვანეო, თორემ გაგიბაზრებო რამე-რუმეებს და იმანაც აილო და მოიშორა.*

იმავე ჩანაცვლების ხერხის გამოყენება შემდეგ წინადადებას მოგვცემს:

⁵ წარმოდგენილი მაგალითები ამოღებულია ქართული ენის ეროვნული კორპუსიდან.

(4.1) *ეტყობა საყვარელი აშანტაჟებდა, ცოლად მომიყვანეო, თორემ გაგიბაზრე ბო რამე-რუმეებს და იმანაც გამოიტანა და მოიშორა.*

მსგავსი ლექსიკური შინაარსის მქონე ზმნური ფორმით ჩანაცვლება გვიჩვენებს, რომ აიღო წინადადებაში პრედიკატის ფუნქციას არ ასრულებს, იგი გრამატიკალიზებულია და ქცეულია ფუნქციურ ელემენტად.

განვიხილოთ ერთეული ჩანს:

(5) *როგორც მეორე აღწერილობიდან ჩანს, ედემის ბალი აღმოსავლეთში მდებარეობს.*

ჩავანაცვლოთ მსგავსი შინაარსის მქონე ლექსიკური ერთეულით *ირკვევა*, შედეგად მივიღებთ სემანტიკურად გამართულ წინადადებას, რაც მისი ზმნური ფუნქციით გამოყენების დამადასტურებელია:

(5.1) *როგორც მეორე აღწერილობიდან ირკვევა, ედემის ბალი აღმოსავლეთში მდებარეობს.*

მსგავსი ლექსიკური ერთეულით ჩანაცვლების მეთოდი გვიდასტურებს, რომ *ჩანს* მე-(6) წინადადებაში არა პრედიკატის, არამედ ფუნქციური ელემენტის სახითაა წარმოდგენილი:

(6) *ჩანს, მატარებლის მოსვლის დროც კარგად იცოდა და ამგვარ საქმეზეც არ იყო პირველად*

(6.1) *ეტყობა, მატარებლის მოსვლის დრო იცოდა და ამგვარ საქმეზეც არ იყო პირველად.*

კვლევის შედეგების სარწმუნოობისთვის თანამედროვე მეცნიერებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ემპირიული მასალის სანდოობასა და რაოდენობრივ მონაცემებს, განსაკუთრებით დიდი მოცულობის ემპირიული მასალის მოპოვების საუკეთესო გზა კი კორპუსში მუშაობაა. სადისერტაციო ნაშრომში წარმოდგენილი კვლევა ქართული ენის ეროვნული კორპუსის (GNC) ბაზაზე განხორციელდა, კერძოდ, საკვლევი მასალა შევკრიბეთ ქართული ენის რეფერენციალურ კორპუსში (GRC), რომელიც, თავის მხრივ, აერთიანებს ძველი, საშუალო და ახალი ქართულის, ქართული დიალექტური ქვეკორპუსების მონაცემებს, ასევე, ქართული პოლიტიკური და იურიდიული კორპუსების ტექსტებს. აქვე აღვნიშნავთ, რომ ქართულ პოლიტიკური ტექსტების ქვეკორპუსში შემავალი მასალის

უმრავლესობა ზეპირმეტყველების გატექსტებულ ვარიანტს წარმოადგენს, რამაც შესაძლებელი გახადა არა მხოლოდ წერილობითი, არამედ გატექსტებული ზეპირმეტყველების მონაცემების ჩართვა კვლევის პროცესში, რაც ჩვენი კვლევისთვის განსაკუთრებით ღირებული და მნიშვნელოვანია.

საკვლევად შერჩეული დგება, იღებს და ჩანს ზმნური ერთეულების გრამატიკალიზაციის პროცესის კვლევა რომ სრულფასოვანი ყოფილიყო, ქართული ენის რეფერენციალურ კორპუსში (GRC) მოვიძიეთ მითითებული ტოკენების თერთმეტივე მწკრივისა და I, II და III პირის მხოლოდითი და მრავლობით რიცხვის ფორმებისათვის დადასტურებული კონტექსტები, რამაც რაოდენობრივად შემდეგი სტატისტიკა გვიჩვენა:

ცხრილი 3.2. საკვლევი მასალის მოცულობა – დგება

<i>I სერია</i>			
აწმყო			
1.	ვდგები – 42	4.	ვდგებით – 154
2.	დგები -1 27	5.	დგებით – 35
3.	დგება – 4942	6.	დგებიან – 395
უწყვეტელი			
1.	ვდგებოდი – 101	4.	ვდგებოდით – 47
2.	დგებოდი – 10	5.	დგებოდით – 2
3.	დგებოდა – 830	6.	დგებოდნენ – 121
აწმყოს კავშირებითი			
1.	ვდგებოდე – 3	4.	ვდგებოდეთ – 3
2.	დგებოდე – 1	5.	დგებოდეთ – 0
3.	დგებოდეს – 40	6.	დგებოდნენ – 121
მყოფადი			
1.	ავდგები – 290	4.	ავდგებით – 37
2.	ადგები -73	5.	ადგებით – 17
3.	ადგება – 610	6.	ადგებიან – 81
ხოლმეობითი			

1.	ავდებოდი – 26	4.	ავდებოდით -1
2.	ადებოდი – 1	5.	ადებოდით – 0
3.	ადებოდა – 190	6.	ადებოდნენ – 12
მყოფადის კავშირებითი			
1.	ავდებოდე – 1	4.	ავდებოდეთ – 0
2.	ადებოდე – 0	5.	ადებოდეთ – 1
3.	ადებოდეს – 7	6.	ადებოდნენ – 9
<i>II სერია</i>			
წყვეტილი			
1.	ავდექი – 847	4.	ავდექით – 123
2.	ადექი – 691	5.	ადექით – 34
3.	ადგა – 2203	6.	ადგნენ – 389
II კავშირებითი			
1.	ავდგე- 148	4.	ავდგეთ – 161
2.	ადგე- 124	5.	ადგეთ -22
3.	ადგეს- 214	6.	ადგნენ – 50
<i>III სერია</i>			
I თურმეობითი			
1.	ავმდგარვარ – 21	4.	ავმდგარვართ – 5
2.	ამდგარხარ – 14	5.	ამდგარხართ – 0
3.	ამდგარა – 121	6.	ამდგარან – 21
II თურმეობითი			
1.	ავმდგარიყავი – 29	4.	ავმდგარიყავით – 3
2.	ამდგარიყავი – 9	5.	ამდგარიყავით – 4
3.	ამდგარიყო – 84	6.	ამდგარიყვნენ – 29
III კავშირებითი			
1.	ავმდგარიყო – 0	4.	ავმდგარიყოთ – 0
2.	ამდგარიყო – 0	5.	ამდგარიყოთ – 0
3.	ამდგარიყოს -1	6.	ამდგარიყვნენ – 0

ცხრილი 3.3. საკვლევი მასალის მოცულობა – იღებს

<i>I სერია</i>			
აწმყო			
1.	ვილებ -2018	4.	ვილებთ – 2758
2.	იღებ – 655	5.	იღებთ – 589
3.	იღებს – 17922	6.	იღებენ – 8102
1. უწყვეტელი			
1.	ვილებდი – 774	4.	ვილებდით – 664
2.	იღებდი – 37	5.	იღებდით – 124
3.	იღებდა – 6284	6.	იღებდნენ – 3420
2. აწმყოს კავშირებითი			
1.	ვილებდე – 19	4.	ვილებდეთ – 43
2.	იღებდე – 33	5.	იღებდეთ – 8
3.	იღებდეს – 419	6.	იღებდნენ – 3420
მყოფადი			
1.	ავილებ – 532	4.	ავილებთ – 780
2.	აილებ – 231	5.	აილებთ – 122
3.	აილებს – 2746	6.	აილებენ – 790
ხოლმეობითი			
1.	ავილებდი – 136	4.	ავილებდით – 72
2.	აილებდი – 14	5.	აილებდით – 11
3.	აილებდა – 543	6.	აილებდნენ – 186
მყოფადის კავშირებითი			
1.	ავილებდე – 2	4.	ავილებდეთ – 1
2.	აილებდე – 3	5.	აილებდეთ – 0
3.	აილებდეს – 6	6.	აილებდნენ – 186
<i>II სერია</i>			
წყვეტილი			
1.	ავილე- 1672	4.	ავილეთ – 1078
2.	აილე – 845	5.	აილეთ – 745
3.	აილო – 12020	6.	აილეს – 3313

II კავშირებითი			
1.	ავილო – 344	4.	ავილოთ- 3319
2.	აილო – 115	5.	აილოთ – 169
3.	აილოს – 2604	6.	აილონ – 1082
III სერია			
I თურმეობითი			
1.	ამილია – 253	4.	ავვილია – 117
2.	ავილია – 38	5.	ავილიათ – 42
3.	აულია – 930	6.	აულიათ – 321
II თურმეობითი			
1.	ამელო – 311	4.	ავველო – 194
2.	აველო – 31	5.	აველოთ – 28
3.	აელო -1069	6.	აელოთ – 474
III კავშირებითი			
1.	ამელოს – 6	4.	ავველოს – 2
2.	აველოს – 1	5.	აველოთ – 28
3.	აელოს – 1	6.	აელოთ – 474

ცხრილი 3.4. საკვლევი მასალის მოცულობა – ჩანს

I სერია			
აწმყო			
1.	ვჩანვარ – 92	4.	ვჩანვართ -71
2.	ჩანხარ – 224	5.	ჩანხართ – 193
3.	ჩანს – 58420	6.	ჩანან – 1148
უწყვეტელი			
1.	ვჩანდი -57	4.	ვჩანდით – 22
2.	ჩანდი – 44	5.	ჩანდით -59
3.	ჩანდა – 9065	6.	ჩანდნენ – 922
აწმყოს კავშირებითი			
1.	ვჩანდე -15	4.	ვჩანდეთ -11
2.	ჩანდე – 17	5.	ჩანდეთ – 7
3.	ჩანდეს – 641	6.	ჩანდნენ – 922

მყოფადი			
1.	გამოვჩნდები – 66	4.	გამოვჩნდებით – 43
2.	გამოჩნდები -52	5.	გამოჩნდებით – 21
3.	გამოჩნდება -6292	6.	გამოჩნდებიან – 890
ხოლმეობითი			
1.	გამოვჩნდებოდი – 21	4.	გამოვჩნდებოდი – 7
2.	გამოჩნდებოდი – 0	5.	გამოჩნდებოდი – 7
3.	გამოჩნდებოდა -785	6.	გამოჩნდებოდნენ -142
მყოფადის კავშირებითი			
1.	გამოვჩნდებოდე- 0	4.	გამოვჩნდებოდე – 0
2.	გამოჩნდებოდე – 1	5.	გამოჩნდებოდე – 0
3.	გამოჩნდებოდეს – 34	6.	გამოჩნდებოდნენ – 142
<i>II სერია</i>			
წყვეტილი			
1.	გამოვჩნდი – 69	4.	გამოვჩნდით -33
2.	გამოჩნდი – 108	5.	გამოჩნდით – 60
3.	გამოჩნდა – 16683	6.	გამოჩნდნენ – 2670
II კავშირებითი			
1.	გამოვჩნდე – 84	4.	გამოვჩნდე – 44
2.	გამოჩნდე – 1	5.	გამოჩნდე – 24
3.	გამოჩნდეს – 1690	6.	გამოჩნდნენ – 2670
<i>III სერია</i>			
I თურმეობითი			
1.	გამოვჩენილვარ -16	4.	გამოვჩენილვართ -1
2.	გამოჩენილხარ – 21	5.	გამოჩენილხართ -13
3.	გამოჩენილა -1615	6.	გამოჩენილან – 352
II თურმეობითი			
1.	გამოვჩენილიყავი-15	4.	გამოვჩენილიყავით – 4
2.	გამოჩენილიყავი – 4	5.	გამოჩენილიყავით -2
3.	გამოჩენილიყო – 441	6.	გამოჩენილიყვნენ – 65

III კავშირებითი			
1.	გამოვჩენილიყო – 0	4.	გამოვჩენილიყოთ – 0
2.	გამოჩენილიყო – 0	5.	გამოჩენილიყოთ – 0
3.	გამოჩენილიყოს – 7	6.	გამოჩენილიყოთ – 6

6.2 ელემენტთა ფუნქციების გასამიჯნი მეთოდოლოგიური ინსტრუმენტები

გრამატიკალიზებული ელემენტების თეორიული კვლევისას რამდენიმე სირთულეს ვაწყდებით, მათ შორის არის **სემიგრამატიკალიზაციის** ანუ გრამატიკალიზაციის ჯერ კიდევ დაუსრულებელ ფაზაში მყოფი ელემენტების გამიჯვნისა და კვალიფიკაციის საკითხი. გრამატიკალიზებულ ერთეულთა კვლევისას ფორმალურ მახასიათებლებთან ერთად ვითვალისწინებთ სემანტიკურ მახასიათებლებს, სემანტიკა კი თავისთავად გულისხმობს მნიშვნელობათა შესაძლო ვარიაციების არსებობას, რაც გრამატიკალიზებულ ერთეულთა კვალიფიკაციისა და კლასიფიკაციის საკითხებს მეტად ართულებს.

თანამედროვე ლინგვისტიკაში ფუნქციურ ელემენტთა კვლევისას მათი გრამატიკალიზებულობის დასადგენად სხვადასხვა მეთოდი გამოიყენება. ნაშრომში წარმოდგენილი მასალის საკვლევად გამოვიყენეთ **სუბსტიტუციის, ელიმინაციისა და სკოპუსის მეთოდები**, ფუნქციურ-სემანტიკური ნიუანსების გამოსაკვლევად კი — **ენობრივი კომპეტენციის ტესტი**. განვიხილოთ თითოეული მათგანი სათანადო მაგალითების დართვით.

ფუნქციურ ელემენტებზე მუშაობისას განსაკუთრებით ეფექტურია **სუბსტიტუციის მეთოდის** გამოყენება. სუბსტიტუციის, ანუ ჩანაცვლების მეთოდი, გულისხმობს ენობრივი ერთეულის სხვა, ლექსიკური ან ფუნქციური თვალსაზრისით მსგავსი ერთეულით ჩანაცვლებას. თუ ჩანაცვლების შედეგად როგორც გრამატიკული, ისე სემანტიკური თვალსაზრისით გამართული წინადადება მივიღეთ, მაშინ საწყისი ერთეულის მორფოსინტაქსური ფუნქცია დამტკიცებულად ჩაითვლება (თანდაშვილი, 2019, გვ. 12) .

სამეცნიერო ლიტერატურაში ერთმანეთისგან განარჩევენ სუბსტიტუციის ორ სახეს; ესენია: ლექსიკური სუბსტიტუციისა და გრამატიკული სუბსტიტუციის მეთოდები. ფუნქციურ ელემენტებზე მსჯელობისას ნაშრომში გამოყენებულია ლექსიკური სუბსტიტუციის მეთოდი, რაც საკვლევი ელემენტის ჩანაცვლებას გულისხმობს შესაბამისი მნიშვნელობის მქონე ლექსიკური ერთეულით.

წარმოვადგენთ საკვლევი ელემენტების ლექსიკური სუბსტიტუციის მეთოდით დამუშავების მაგალითებს.

➤ დგება

1. *რა კარგად გამახსენეთ ეს ამბავი, რომ ადგა თქვენი გაზეთი და ერთი ამბავი აუტება!*

განსახილველი ერთეული ადგა ჩავანაცვლოთ მსგავსი შინაარსის მქონე ზმნური ფორმებით:

• *რა კარგად გამახსენეთ ეს ამბავი, რომ წამოდგა თქვენი გაზეთი და ერთი ამბავი აუტება!*

• *რა კარგად გამახსენეთ ეს ამბავი, რომ წამოხტა თქვენი გაზეთი და ერთი ამბავი აუტება!*

• *რა კარგად გამახსენეთ ეს ამბავი, რომ წამოჯდა თქვენი გაზეთი და ერთი ამბავი აუტება!*

ჩანაცვლების მეთოდი გვიჩვენებს, რომ ადგა ერთეულის ჩანაცვლება მსგავსი სემანტიკური და მორფოლოგიური ნიშნების მქონე (აწმყო დრო, ერთპირიანი გარდაუვალი ზმნა, S³) ზმნური ფორმებით გვამღევეს სინტაქსურად გამართულ წინადადებებს, თუმცა ჩანაცვლების შედეგად მიღებული სამივე წინადადება ლოგიკურ-სემანტიკურად გაუმართავია, რაც იმითაა განპირობებული, რომ მოცემულ კონტექსტში ადგა გრამატიკალიზებულია, იგი წინადადებაში არა პრედიკატის, არამედ ფუნქციური ელემენტის სახით არის წარმოდგენილი.

➤ იღებს

2. *ეტყობა საყვარელი აშანტაჟებდა, ცოლად მომიყვანო, თორემ გაგიბაზრებო რამე-რუმეებს და იმანაც აიღო და მოიშორა.*

ჩავანაცვლოთ ერთეული აილო მსგავსი მორფოლოგიური ნიშნების (წყვეტილის მწკრივი, ორპირიანი გარდამავალი ზმნა, S³, O³) მქონე ზმნური ფორმებით წაილო; აიტაცა.

- ეტყობა საყვარელი აშანტაჟებდა, ცოლად მომიყვანეო, თორემ გაგიბაზრებო რამე-რუმეებს და იმანაც წაილო და მოიშორა.
- ეტყობა საყვარელი აშანტაჟებდა, ცოლად მომიყვანეო, თორემ გაგიბაზრებო რამე-რუმეებს და იმანაც აიტაცა და მოიშორა.

ჩანაცვლების შედეგად მიღებულ წინადადებებში შენარჩუნებულია სინტაქსური ბმულობა, წინადადება გამართულია გრამატიკულად, თუმცა შეცვლილია თავდაპირველ წინადადებაში არსებული ლოგიკურ-სემანტიკური მიმართებები, რაც იმას ადასტურებს, რომ აილო ერთეული განსახილველ წინადადებაში არა პრედიკაციის გამომხატველი ზმნა, არამედ გრამატიკალიზებული ერთეულია.

➤ ჩანს

3. ჩანს, მატარებლის მოსვლის დროც კარგად იცოდა და ამგვარ საქმეზეც არ იყო პირველად.

მოცემულ წინადადებაში საკვლევი ერთეული ჩანს ჩავანაცვლოთ ზმნური ფორმებით ირკვევა და იკვეთება:

- ირკვევა, მატარებლის მოსვლის დროც კარგად იცოდა და ამგვარ საქმეზეც არ იყო პირველად.
- იკვეთება, მატარებლის მოსვლის დროც კარგად იცოდა და ამგვარ საქმეზეც არ იყო პირველად.

ჩანაცვლების შედეგად მიღებული წინადადებები მართალია, გამართულია სინტაქსური თვალსაზრისით, თუმცა შეცვლილია პირვანდელ წინადადებაში არსებული ლოგიკურ-სემანტიკური კავშირები.

ახლა ჩავანაცვლოთ საკვლევი ერთეული მსგავსი მნიშვნელობის მქონე ფუნქციური ერთეულით ეტყობა:

- ეტყობა, მატარებლის მოსვლის დროც კარგად იცოდა და ამგვარ საქმეზეც არ იყო პირველად.

ჩანაცვლების შედეგად მიღებული წინადადება გამართულია როგორც სინტაქსური თვალსაზრისით, ასევე, უცვლელადაა შენარჩუნებული პირვანდელ

წინადადებაში არსებული ლოგიკურ-სემანტიკური მიმართებები, რაც ადასტურებს განსახილველ წინადადებაში მისი არა პრედიკატული, არამედ გრამატიკალიზებული ერთეულის ფუნქციით გამოყენებას. ორივე ერთეული, როგორც ჩანაცვლებული, ისე ჩამნაცვლებელი ენობრივი ფორმები, ფუნქციურად ეკვივალენტურია.

შემდეგი მეთოდი, რომელიც ნაშრომში მოცემული ემპირიული მასალის საკვლევად გამოვიყენეთ, არის ელიმინაცია.

ელიმინაცია, ანუ განულება, არის სინტაქსური ტესტი, რომელიც საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ წინადადების რომელი ელემენტი ან ელემენტთა ჯგუფი არის საკმარისი და აუცილებელი, რათა წინადადება სრულფასოვანი იყოს, ანუ, გადმოგვცემდეს გამართულ აზრს. ეს ტესტი განსაკუთრებით ეფექტურად გამოიყენება ზმნური წარმოშობის ფუნქციური ელემენტების ფუნქციურ-სემანტიკური ანალიზის დროს. სინტაქსურად ზმნა წინადადების ბირთვი, მისი ცენტრალური ნაწილია, ზმნით გადმოიცემა მოქმედება, თუ ზმნური ელემენტის ან სინტაგმის განულება წინადადებაში შესაძლებელია, ეს იმის დასტურია, რომ მსგავს შემთხვევაში დაკარგულია ზმნური ფუნქცია, პრედიკაცია აღარ გამოიხატება და საქმე გვაქვს ფუნქციურ ელემენტთან (თანდაშვილი 2019, გვ. 27).

განვიხილოთ საკვლევი ერთეულები:

➤ დგას

4. *რა კარგად გამახსენეთ ეს ამბავი, რომ ადგა თქვენი გაზეთი და ერთი ამბავი აუტება!*

მოცემულ კონტექსტში საკვლევი ადგა ფორმა მოცემული და კავშირთან კომბინაციაში სინტაგმაში ადგა და. გავანულოთ ადგა და:

• **რა კარგად გამახსენეთ ეს ამბავი, რომ ადგა თქვენი გაზეთი და ერთი ამბავი აუტება!*

• *რა კარგად გამახსენეთ ეს ამბავი, თქვენმა გაზეთმა რომ ერთი ამბავი აუტება!*

ადგა და ერთეულის განულება იწვევს წინადადების სინტაქსური სტრუქტურის რღვევას – იცვლება წინადადების წევრებს შორის არსებული მორფოსინტაქსური მიმართებები, კერძოდ, ქვემდებარის ბრუნვა, რაც სავსებით ლოგიკურია, რადგან ადგა სემიგრამატიკალიზაციის ეტაპზე მყოფი ელემენტია, იგი მორფო-სინტაქსურ

⁶ ფიფქით აღნიშნულია თეორიულად დასაშვები, გრამატიკულად გაუმართავი წინადადებები.

კავშირშია წინადადების წევრებთან და მისი განულების შედეგად ქვემდებარე – გაზეთი მორფო-სინტაქსურ კავშირში შედის უწყვეტელში მდგომ აუტება ზმნა-შემასმენელთან, რაც აუცილებლობით მოითხოვს ქვემდებარისთვის მოთხრობით ბრუნვის ფორმას.

რაც შეეხება წინადადების სემანტიკურ მხარეს, ადგა და ერთეულის განულების შემდეგ წინადადების მოდალობა შეიცვალა, ადგა და ერთეული წინადადებით გადმოცემულ შინაარსს **სწრაფი რეაგირების მოდალობას** სძენდა, მისი განულების შედეგად წინადადებით გადმოცემულმა მოქმედებამ მოდალობის გაგება დაკარგა, თავად წინადადების მნიშვნელობა კი უცვლელი დარჩა. რაც, თავის მხრივ, ადასტურებს, რომ ადგა არა პრედიკაციის გამომხატველი, არამედ ფუნქციური ელემენტია საანალიზო წინადადებაში, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში მის განულებას წინადადების მნიშვნელობის შეცვლა ან დამახინჯება უნდა გამოეწვია.

➤ აილო

5. ეტყობა საყვარელი აშანტაჟებდა, ცოლად მომიყვანეო, თორემ გაგიბაზრებო რამე-რუმეებს და იმანაც აილო და მოიშორა.

საანალიზო წინადადებაში საკვლევი აილო ფორმა მოცემულია სინტაგმაში აილო და. გავანულოთ მიმდევრობა აილო და:

• ეტყობა საყვარელი აშანტაჟებდა, ცოლად მომიყვანეო, თორემ გაგიბაზრებო რამე-რუმეებს და იმანაც ~~აილო~~ და მოიშორა.

სინტაგმის განულების შედეგად წინადადების სინტაქსური წყობა უცვლელი დარჩა, შეიცვალა წინადადების მოდალობა, აილო და ერთეული წინადადებით გადმოცემულ მოქმედებას **სწრაფი გადაწყვეტილების მოდალობას** სძენდა – მისი განულებით წინადადებამ მხოლოდ მოდალობის გაგება დაკარგა, თავად წინადადების შინაარსი კი უცვლელად შენარჩუნდა, რაც აილო ერთეულის ფუნქციურ ელემენტად გამოყენების დასტურია.

➤ ჩანს

6. ჩანს, მატარებლის მოსვლის დროც კარგად იცოდა და ამგვარ საქმეზეც არ იყო პირველად.

გავანულოთ ერთეული ჩანს:

• ჩანს, მატარებლის მოსვლის დროც კარგად იცოდა და ამგვარ საქმეზეც არ იყო პირველად.

ჩანს ელემენტის განულების შედეგად წინადადების სინტაქსური წყობა არ დარღვეულა, შეიცვალა მხოლოდ წინადადების მოდალობა. ჩანს ელემენტის განულების შედეგად წინადადებამ მოდალობის გაგება დაკარგა და მტკიცების ხასიათი შეიძინა, აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ განხილულ შემთხვევაში ჩანს ლექსიკური მნიშვნელობისგან დაცლილია და ფუნქციურ ელემენტად არის ქცეული.

ფუნქციური ელემენტების კვლევისას მათი ფუნქციონირების არეალის დასადგენად გამოიყენება კიდევ ერთი – სკოპუსის მეთოდი. სკოპუსი არის ელემენტის ფუნქციონირების არეალი, რაც მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც მისი საშუალებით დგინდება ფუნქციური ელემენტის ფუნქციურ-სემანტიკური მოდიფიკაციის არეალი წინადადებაში (თანდაშვილი 2019, გვ. 38).

განვიხილოთ სკოპუსის მეთოდი საანალიზო მასალასთან მიმართებით:

➤ სინტაგმა ადგა და

7. რა კარგად გამახსენეთ ეს ამბავი, რომ ადგა თქვენი გაზეთი და ერთი ამბავი აუტება!

• რა კარგად გამახსენეთ ეს ამბავი, რომ თქვენი გაზეთი ადგა და ერთი ამბავი აუტება!

განხილულ წინადადებაში ფუნქციური მნიშვნელობის მქონე ადგა და სინტაგმის გადაადგილება წინადადების ფარგლებში არ იწვევს წინადადების მოდალობის ცვლილებას. შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ ფუნქციური მნიშვნელობის მატარებელი სინტაგმის ადგა და მოქმედების არეალი, მისი სკოპუსი, მთელი წინადადებაა.

➤ სინტაგმა აიღო და

8. ეტყობა საყვარელი აშანტაჟებდა, ცოლად მომიყვანეო, თორემ გაგიბაზრებო რამე-რუმეებს და იმანაც აიღო და მოიშორა.

საანალიზოდ შერჩეული წინადადება სინტაქსურად რთული თანწყობილი წინადადებაა, მიმდევრობა აიღო და მოთავსებულია და კავშირის შემდეგ მოცემულ

მარტივ წინადადებაში. სკოპუსის დასადგენად სინტაგმის გადაადგილების მხოლოდ ერთი შესაძლო ვარიანტი გვაქვს:

- *ეტყობა საყვარელი აშანტაჟებდა, ცოლად მომიყვანეო, თორემ გაგიბაზრებო რა მე-რუმეებს და იმანაც მოიშორა, აილო და.*

როგორც ვხედავთ, სინტაგმის გადაადგილების შედეგად მიღებული წინადადება არასრულფასოვანია, წინადადების ფინალურ პოზიციაში მყოფი *აილო* და სინტაგმა არაბუნებრივია ქართული ენისთვის. შესაბამისად, სკოპუსის მეთოდის ფუნქციური მნიშვნელობის მქონე *აილო* ფორმასთან გამოყენებას არარელევანტურად მივიჩნევთ.

➤ *ჩანს*

საანალიზოდ ავიღოთ შემდეგი წინადადება:

9. *ჩანს, მატარებლის მოსვლის დროც კარგად იცოდა და ამგვარ საქმეზეც არ იყო პირველად.*

სკოპუსის დასადგენად გადავანაცვლოთ *ჩანს* ერთეული წინადადებაში:

- *ჩანს, მატარებლის მოსვლის დროც კარგად იცოდა და ამგვარ საქმეზეც არ იყო პირველად.*

- *მატარებლის მოსვლის დროც კარგად იცოდა და ამგვარ საქმეზეც არ იყო პირველად, ჩანს.*

- *მატარებლის მოსვლიც დროც კარგად იცოდა, ჩანს, და ამგვარ საქმეზეც არ იყო პირველად.*

- *მატარებლის მოსვლის დროც კარგად იცოდა და, ჩანს, ამგვარ საქმეზეც არ იყო პირველად.*

წარმოდგენილ რთულ თანწყობილ წინადადებაში *ჩანს* ერთეულის გადაადგილება არ იწვევს წინადადების როგორც სინტაქსური სტრუქტურის რღვევას, ისე მისი მნიშვნელობის დამახინჯებას, რაც იმის დამადასტურებელია, რომ მოცემულ მაგალითში *ჩანს* ერთეულს არა ლექსიკური, არამედ ფუნქციური ელემენტის კვალიფიკაცია უნდა მიეცეს. ლექსიკური შინაარსის მქონე ზმნური ფორმის გადაადგილება, განსაკუთრებით მთავარიდან დამოკიდებულში ან პირიქით, შეუძლებელია მთლიანად წინადადების შინაარსის (და არა მხოლოდ მოდალობის) ცვლის გარეშე.

ამასთანავე, აღსანიშნავია ისიც, რომ საანალიზო წინადადებაში *ჩანს* ფორმა წინადადების დანარჩენი ნაწილისგან მძიმით არის გამოყოფილი. ქართულ ენაში მოქმედი პუნქტუაციის წესების მიხედვით, განკერძოებული გამოთქმები (ამ შემთხვევაში, კერძოდ, ჩართული), წინადადების დანარჩენ ნაწილს მძიმეების საშუალებით გამოეყოფა. ვინაიდან გრამატიკალიზებული ფორმები ამოვარდნილნი არიან წინადადების საერთო სტრუქტურიდან, ისინი კვალიფიცირდებიან განკერძოებულ გამოთქმად და წინადადებისგან მათი გამოყოფა მძიმეების საშუალებით სწორედ ამ წესით უნდა იყოს ნაკარნახევი.

განვიხილოთ *ჩანს* ერთეულის პოზიციის ცვლილება წარმოდგენილი რთული თანწყობილი წინადადების ფარგლებში შემდეგი სქემების სახით:

- (1) [[მარტივი წინადადება] და [მარტივი წინადადება]].
- (2) *ჩანს*, [[მარტივი წინადადება] და [მარტივი წინადადება]].
- (3) [[მარტივი წინადადება] და [მარტივი წინადადება]], *ჩანს*.
- (4) [[მარტივი წინადადება], *ჩანს*, და [მარტივი წინადადება]].
- (5) [[მარტივი წინადადება] და, *ჩანს* [მარტივი წინადადება]].

1-ელ წინადადებაში *ჩანს* ელემენტის განულებით ნეიტრალურ პროპოზიციას ვიღებთ, წინადადებას მოდალობის გაგება არ აქვს და მხოლოდ რეალურ ვითარებას აღწერს მთქმელის ინტენციის დაზუსტების გარეშე.

მე-2 და მე-3 წინადადებაში *ჩანს* ელემენტი ახდენს მთელი წინადადების მოდიფიკაციას, ნათქვამს დაკარგული აქვს ნეიტრალურობა და გამონათქვამი მოდალობის გაგებას იძენს – იგი მეტყველის ინტენციას, მის პიროვნულ დამოკიდებულებას გადმოსცემს და ვარაუდის სემანტიკის⁷ გამომხატველია.

განსაკუთრებით საინტერესოა მე-4 და მე-5 წინადადებები. და კავშირით შეერთებულ რთულ თანწყობილ წინადადებაში *ჩანს* ელემენტის მოთავსება და კავშირამდე, იწვევს *ჩანს* ელემენტის მოქმედების არეალის შეცვლას: მოდალობის სემანტიკური ფუნქცია მხოლოდ წინადადების მარცხენა შემდგენელზე (*ჩანს* ელემენტის მარცხნივ მდებარე წინადადებაზე) ვრცელდება, მაშინ, როცა *ჩანს* ელემენტის და კავშირის შემდეგ მოთავსებით მისი სემანტიკურ-ფუნქციური მოქმედების არეალი მარჯვენა შემდგენელზე გადაინაცვლებს და მხოლოდ კავშირის

⁷ სემანტიკურ ჯგუფებზე დამატებითი მსჯელობა იხილეთ მომდევნო თავში.

შემდეგ მოთავსებულ მარტივ წინადადებაზე გავრცელდება. ფაქტია, რომ და კავშირი წარმოადგენს ჩანს ელემენტის მოქმედების არეალის ჩამკეტს.

6.3 ელემენტთა კორპუსული ანალიზი – გრამატიკალიზებული დგება ფორმა

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გრამატიკალიზაციას განიცდიან როგორც სახელები, ასევე ზმნები. გრამატიკალიზაციის პროცესში მყოფი ერთეულებიდან საკვლევად შევარჩიეთ ზმნური წარმოშობის სამი ფუნქციური ელემენტი დგება, იღებს და ჩანს. საკვლევად შერჩეულ ელემენტზე წინასწარი დაკვირვებიდანვე მოსალოდნელი იყო, რომ ისინი გრამატიკალიზაციის სხვადასხვა ეტაპისათვის დამახასიათებელ ნიშნებს გამოავლენდნენ სერიებისა და მწკრივების მიხედვით და, ამასთანავე, დიდი ალბათობით, თითოეული მათგანი, როგორც ფუნქციური ელემენტი, სხვადასხვა სემანტიკური ნიუანსის მატარებელი იქნებოდა ცალკეულ კონტექსტში.

მოცემულ ქვეთავში წარმოვადგენთ საკვლევ ერთეულთა კორპუსული კვლევის შედეგებს, რომელიც სწორედ ამ თავისებურებების გამოვლენაზე იყო ორიენტირებული. კვლევა რამდენიმე ეტაპად მიმდინარეობდა: პირველი ეტაპი გულისხმობდა საკვლევ ელემენტების კორპუსულ ძიებას კონკრეტული სერიებისა და მწკრივების მიხედვით, მეორე ეტაპზე მოხდა შეკრებილი მასალის დახარისხება და კლასიფიკაცია გრამატიკალიზებულობის კრიტერიუმებით, მესამე ეტაპი დაეთმო კლასიფიკაციის შედეგად გადარჩეული გრამატიკალიზებული ელემენტების ფუნქციურ-სემანტიკური ნიშნების განსაზღვრას, ხოლო მეოთხე ეტაპზე მასალის რაოდენობრივი ანალიზის შედეგად მიღებულ დასკვნებზე დაკვირვებით შემუშავდა ანალიზის შედეგად გამოვლენილი კომბინატორული წესები ქართული ენის ეროვნული კორპუსის მორფოლოგიური ანალიზატორის პროგრამისთვის.

წარმოვადგენთ თითოეული ელემენტის კორპუსული ანალიზით კვლევისას მიღებულ შედეგებს დეტალურად.

➤ დგება

ქართული ენის რეფერენციალურ კორპუსში დგება ერთეულისთვის წარმოდგენილი კონტექსტების ანალიზის შედეგად, ზემოთ ჩამოთვლილი

მეთოდების გამოყენებით, ერთმანეთისგან გავმიჯნეთ კონტექსტები, რომლებშიც დგება პრედიკატის ფუნქციას ასრულებს და კონტექსტები, რომლებშიც იგი გრამატიკალიზებულია.

მიღებული შედეგების რაოდენობრივ ანალიზს ნაშრომში წარმოვადგენთ ცხრილების სახით, რის შემდეგაც ჩატარებულია კორპუსული კვლევით მიღებული მონაცემების თანმიმდევრული ანალიზი.

ცხრილი 3.5 დგება ფორმის ემპირიული მასალის რაოდენობრივი ანალიზი

<i>Isერია</i>					
<i>აწმყო</i>					
სიტყვაფორმა	კონტექსტების რაოდენობა	გრამატიკალიზებული	სიტყვაფორმა	კონტექსტების რაოდენობა	გრამატიკალიზებული
ვდგები	442	0	ვდგებით	154	0
დგები	127	0	დგებით	35	0
დგება	4942	0	დგებიან	395	0
<i>უწყვეტელი</i>					
ვდგებოდი	101	0	ვდგებოდით	47	0
დგებოდი	10	0	დგებოდით	2	0
დგებოდა	830	0	დგებოდნენ	121	0
<i>აწმყოს კავშირებითი</i>					
ვდგებოდე	3	0	ვდგებოდეთ	3	0
დგებოდე	1	0	დგებოდეთ	0	0
დგებოდეს	40	0	დგებოდნენ	121	0
<i>მყოფადი</i>					
ავდგები	292	197	ავდგებით	37	20
ადგები	73	23	ადგებით	17	1
ადგება	610	132	ადგებიან	81	42
<i>ხოლმეობითი</i>					
ავდგებოდი	26	7	ავდგებოდით	1	0
ადგებოდი	1	1	ადგებოდით	0	0
ადგებოდა	190	18	ადგებოდნენ	12	2

მყოფადის კავშირებითი					
ავდებოდე	1	0	ავდებოდეთ	0	0
ადებოდე	0	0	ადებოდეთ	1	0
ადებოდეს	7	0	ადებოდნენ	9	2
II სერი					
წყვეტილი					
ავდექი	847	421	ავდექით	123	77
ადექი	691	239	ადექით	340	97
ადგა	2203	709	ადგნენ	389	242
II კავშირებითი					
ავდგე	148	62	ავდგეთ	161	117
ადგე	123	85	ადგეთ	22	2
ადგეს	214	98	ადგნენ	50	50
III სერია					
I თურმეობითი					
ავმდგარვარ	21	0	ავმდგარვართ	5	0
ამდგარხარ	14	2	ამდგარხართ	0	0
ამდგარა	121	17	ამდგარან	21	10
II თურმეობითი					
ავმდგარიყავი	29	3	ავმდგარიყავით	3	0
ამდგარიყავი	9	4	ამდგარიყავით	4	4
ამდგარიყო	84	14	ამდგარიყვნენ	29	7
III კავშირებითი					
ავმდგარიყო	0	0	ავმდგარიყოთ	0	0
ამდგარიყო	0	0	ამდგარიყოთ	0	0
ამდგარიყოს	1	0	ამდგარიყვნენ	0	0

წარმოდგენილი ცხრილი გვიჩვენებს, რომ კორპუსში მოცემულ მასალაში დგება საკვლევი ერთეულისთვის გრამატიკალიზებულ კონტექსტებს ვხვდებით სამივე სერიის ფორმებისთვის. I სერიაში კორპუსში გრამატიკალიზებული მაგალითები მხოლოდ მყოფადის წრის მწკრივებში, კერძოდ, მყოფადისა და ხოლმეობითის მწკრივებში, იძებნება, II სერიაში გრამატიკალიზებული ფორმები გვაქვს როგორც

წყვეტილის, ისე II კავშირებითის მწკრივში, ხოლო III სერიაში მხოლოდ I და II თურმეობითში.

6.3.1 გრამატიკალიზებული ფორმები I სერიაში

ცხრილი გვიჩვენებს, რომ *დგება* ფორმისთვის I სერიაში გრამატიკალიზებული მაგალითები მხოლოდ *მყოფადისა და ხოლმეობითისა* მწკრივებში იძებნება, მათგან ყველაზე დიდი რაოდენობით გრამატიკალიზებული ფორმები გვაქვს *მყოფადის მწკრივში*. განვიხილოთ გრამატიკალიზაციის შემთხვევები დეტალურად.

➤ მყოფადის მწკრივი – I პირი – *ავდგები*

ამ ფორმისთვის ქართული ენის რეფერენციულ კორპუსში 292 კონტექსტი იძებნება. კონტექსტების ანალიზი გვიჩვენებს, რომ *ავდგები* წარმოდგენილი 292 კონტექსტიდან გრამატიკალიზებული სახით 197 კონტექსტში არის გამოყენებული.

უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას იქცევს მიმდევრობა *ავდგები და*. ამ მიმდევრობისთვის კორპუსში 187 კონტექსტი იძებნება. 187 კონტექსტიდან 185 შემთხვევაში მიმდევრობა გრამატიკალიზებულია. *[[ავდგები]+[და]]* კომბინაცია გრამატიკალიზებულ მიმდევრობას გვამღებს.

[ავდგები და] გრამატიკალიზებული მიმდევრობის საილუსტრაციოდ წარმოვადგენთ რამდენიმე მაგალითს:

10. *ავდგები და ყველაფერს პირში მივახლი იმ გასიებულ ჰოლანდიელს.*

11. *ვინმე რომ იტყვის, ფეხბურთში კარგად გვაქვს საქმეო, ავდგები და ჩავცხებ თავში!*

გრამატიკალიზებული ფორმები დასტურდება პოზიციაში, რომელშიც *ავდგები* წინა და მომდევნო სიტყვისგან გამოყოფილია მძიმით, ან იწყებს წინადადებას და მომდევნო სიტყვისგან მძიმით გამოიყოფა. ამ პოზიციისთვის კორპუსში მოცემული 56 მაგალითიდან საკვლევი ფორმა *ავდგები* გრამატიკალიზებულია 12 კონტექსტში.

12. *ავდგები, წყლის ან ტყის რომელიმე ფრინველად ვიქცევი.*

13. *თუ თქვენს გუნდში გადმოსვლას აზრი არ ექნება, ავდგები, ევროპაში წავალ.*

ცალკეა გამოსაყოფი კონტექსტები, რომლებშიც ტოკენი ავდეგები ორმხრივ შემოსაზღვრულია მძიმით. კორპუსში მსგავსი სულ 11 კონტექსტი იძებნება. კონტექსტები, რომლებშიც გრაფიკულად მსგავსი მიმდევრობა გვაქვს: *[[მომართვის ფორმა] – [მძიმე] – [ავდეგები] – [მძიმე]]*, ავდეგები ფორმა პრედიკატია, მაგალითად:

14. *დეიდა თამარა, ავდეგები, ჩავიცვამ და ფულს მე თვითონ გამოგიტანთ-მეთქი.*
15. *დედა, ავდეგები, რა?! – ითხოვს ბიჭი.*
16. *ეჰ, ეთერო, ავდეგები, ერთ საათს ვზივარ..*

დანარჩენ შემთხვევებში იმავე პოზიციაში – ორმხრივ მძიმით შემოსაზღვრული ავდეგები – იგი გრამატიკალიზებული ერთეულია. მაგალითისთვის წარმოვადგენთ შემდეგ კონტექსტებს:

17. *დიდ ხანს ტვინის ჭყლეტა არ დამჭირვებია, ავდეგები, პირდაპირ რომელიმე სახანძრო რაზმს მივადგები, იმათ უფროსებს დაველაპარაკები.*

18. *თქვენს გუნდში გადმოსვლას აზრი არ ექნება, ავდეგები, ევროპაში წავალ.*

საკვლევ ეერთეული გრამატიკალიზებულია მრავლობით რიცხვშიც *[ავდეგებით და]* მიმდევრობაში, კორპუსში წარმოდგენილი 37-იდან 20 კონტექსტში. მაგალითისთვის:

19. *ავდეგებით და ახალ საზოგადოებას შევქმნით!*

20. *თუ მთავრობას უნდა, მაშინ ავდეგებით და ხმამალა ვიტყვით, თავდაპირველ ვარიანტში რა ეწერა.*

➤ II პირი – ადგები

გრამატიკალიზებულობის თვალსაზრისით საინტერესოა მეორე პირის ფორმები, ვინაიდან მეორე პირის ფორმებს ქართულ ენაში გარდა რეფერენციისა, უსუბიექტო, ზოგადი მოქმედების გამოხატვის ფუნქცია აქვთ.

მასალის ანალიზი გვიჩვენებს, რომ მე-2 პირის ფორმისთვის კორპუსში მოცემული 73 კონტექსტიდან გრამატიკალიზებული მაგალითები გვხვდება მიმდევრობაში *[[ადგები] + [და]]*, რომელიც, როგორც გრამატიკალიზებული მიმდევრობა, კორპუსში მოცემული 30-იდან 23 კონტექსტში დასტურდება.

წარმოვადგენთ საილუსტრაციო მაგალითებს:

21. *ადგები და რაღაცას მიუმატებ, რაღაცას მოაკლებ და მართალი ხარ!*

22. *ბოროტების ეს ფორმაც იცი, ამიტომ ადგები და ყველა მისნაირ ბოროტ ადამიანს გაანადგურებ!*

რაც შეეხება მრავლობითი რიცხვის ფორმას *{ადგებით და}*, სავარაუდო იყო, ამ მიმდევრობისთვის გრამატიკალიზებულ ფორმათა დიდი ოდენობით არსებობა, თუმცა კორპუსმა ჩვენი ვარაუდი არ დაადასტურა, რაც ვფიქრობთ, ამ ფორმისთვის კორპუსში მოცემული მასალის სიმწირით უნდა იყოს განპირობებული.

კორპუსში *ადგებით* ფორმისთვის სულ 17 კონტექსტი მოიძებნა, მათგან გრამატიკალიზებული სახით იგი მხოლოდ 1 კონტექსტში გვხვდება:

23. *რატომ არ ადგებით, პირში არ მომაფურთხებთ და გასწევთ თქვენი გზით?*

აღსანიშნავია, რომ მოცემულ კონტექსტში *ადგებით* უარყოფით ნაწილაკთან კომბინაციაშია წარმოდგენილი – *არ ადგებით*. საზოგადოდ, უარყოფითი ნაწილაკი ზმნა-შემასმენელთან გამოიყენება და არა გრამატიკალიზებულ ელემენტებთან, თუმცა თუ მოცემულ წინადადებას დავაკვირდებით, დავინახავთ, რომ უარყოფითი ნაწილაკი გვაქვს წინადადების შემასმენელთან *მომაფურთხებთ – არ მომაფურთხებთ*. ვფიქრობთ, გრამატიკალიზებულ *ადგებით* ფორმასთან მისი მყოფობაც ამით აიხსნება – იგი წინადადებაში მოცემულ შემასმენელთან გამოყენებული უარყოფითი ნაწილაკის სატელიტი უნდა იყოს.

➤ III პირი – ადგება

არსებითად მსგავსი სურათი გვაქვს მე-3 პირის ფორმების გრამატიკალიზებულობის თვალსაზრისით. მე-3 პირისთვის კორპუსში წარმოდგენილი 610 კონტექსტიდან 137 მაგალითში გვხვდება მიმდევრობა *{ადგება და}* და მათგან 132 კონტექსტში მიმდევრობა გრამატიკალიზებულია.

თვალსაჩინოებისთვის წარმოვადგენთ რამდენიმე მაგალითს:

24. *ადგება და ძველებურად რომელიმე გემს გაჰყვება.*

25. *როცა ჯუდი ამ ყველაფერს იპოვის, იგი ადგება და პატარა კაფეს გახსნის ჩვენი ქუჩის კუთხეში.*

განსაკუთრებით საინტერესო სურათს გვიჩვენებს მიმდევრობა *{[უარყოფითი ნაწილაკი] + [ადგება]}* შემდეგ კონტექსტებში:

1. *ამ მდგომარეობას მანამდე არ მოეველება, სანამ შევარდნაძე არ ადგება ერთ მშვენიერ დღეს და არ მოინდომებს ნახოს, რა ნაგავში უხდება მოღვაწეობა.*
2. *არავინ, არც ანგორაში და არც გერმანიაში არ ადგება და არ იტყვის: არა!*
3. *რატომ არ ადგება ეს ბუმბერაზი და მისთვის სიცოცხლის გამწარებას არ აუკრძალავს.*
4. *რატომ არ ადგებით, პირში არ მომაფურთხებთ და გასწევთ თქვენი გზით?*

როგორც წესი, არ უარყოფითი ნაწილაკის გამოყენება ენობრივ ფორმებთან კომბინაციაში ცალსახად დასტურია მისი პრედიკატულობისა. მაგრამ ქვემოთ მოტანილ წინადადებებში უარყოფითი ნაწილაკი კომბინაციაშია არა ზმნა-შემასმენელთან, არამედ გრამატიკალიზებულ ფორმასთან, რაც უჩვეულოა და ნაკლებ სავარაუდო. თუმცა, თუ ქვემოთ მოტანილ წინადადებებს დავაკვირდებით, დავინახავთ, რომ გრამატიკალიზებულ ადგება ფორმასთან არ ნაწილაკი გვაქვს მხოლოდ მაშინ, როცა რთულ ქვეწყობილ წინადადებაში მთავარი წინადადების შემასმენელთან მოცემულია უარყოფის ნაწილაკი არ. შესაბამისად, უნდა დავასკვნათ, რომ იგი მთავარ წინადადებაში მოცემული პრედიკატის სატელიტია და გრამატიკალიზებულ ელემენტთან მისი მყოფობაც ამით არის განპირობებული.

რაც შეეხება მრავლობითი რიცხვის ფორმას მიმდევრობაში *{ადგებიან და}*, კორპუსში მოძებნილი 81 კონტექსტიდან იგი გრამატიკალიზებულია 42 კონტექსტში. აქვე აღვნიშნავთ, რომ გრამატიკალიზებული, ფუნქციური ერთეულის სახით, მრავლობითი რიცხვის ფორმის არსებობა განსაკუთრებით საინტერესოა. როგორც წესი, გრამატიკალიზებული, ფუნქციურ ელემენტად ქცეული ერთეული ფორმაუცვლელია – რიცხვისა და პირის მიხედვით ცვალებადობას არ ექვემდებარება, თუმცა *დგება* ერთეულის შემთხვევაში გრამატიკალიზაციის პროცესი აქტიური მიმდინარეობის ფაზაში, სემიგრამატიკალიზაციის ეტაპზეა და სხვადასხვა მწკრივის ფორმის გრამატიკალიზებაც სწორედ ამით უნდა აიხსნას.

მე-3 პირის მრავლობითი რიცხვის გრამატიკალიზებული ფორმების საილუსტრაციოდ წარმოვადგენთ რამდენიმე მაგალითს:

5. *ადგებიან და როგორც აქამდე იქცეოდნენ, ზუსტად ისე მოიქცევიან.*
6. *თუ ყურძენი არ უნდა სახელმწიფოს, მაშინ ადგებიან და გადაჩეხავენ.*

➤ ხოლმეობითის მწკრივი – I პირი – *ავდგებოდი*

შემდეგი მწკრივი, რომელშიც *დგება* ზმნის ფორმა გრამატიკალიზებული, ფუნქციური ერთეულის სახითაა წარმოდგენილი, არის ხოლმეობითი. გრამატიკალიზებულ ფორმებს ვხვდებით 1-ელ და მე-3 პირთან.

ხოლმეობითის მწკრივის 1-ელი პირისთვის *ავდგებოდი* კორპუსში სულ 26 კონტექსტი იძებნება. მათგან 9 კონტექსტში მიმდევრობაში *{ავდგებოდი და}*. წინამდებარე მაგალითების მსგავსად, ეს მიმდევრობა გრამატიკალიზებულია 9 კონტექსტიდან 7 შემთხვევაში. საილუსტრაციოდ წარმოვადგენთ შემდეგ მაგალითებს:

7. *ავდგებოდი და პირდაპირ ვეტყოდი!*

8. *ამათ ადგილზე რომ ვიყო, ავდგებოდი და მთავრობის წევრებსაც ავიყვანდი მძევლად.*

➤ III პირი – *ადგებოდა*

გრამატიკალიზებული სახითაა წარმოდგენილი მე-3 პირის მხოლოდითი რიცხვის ფორმა *ადგებოდა* მიმდევრობაში *{ადგებოდა და}*. ამ მიმდევრობისთვის კორპუსში მოძებნილი 39 კონტექსტიდან 18 კონტექსტში იგი გრამატიკალიზებულია. თვალსაჩინოებისთვის მოვიტანთ შემდეგ მაგალითებს:

9. *ადგებოდა და რამე ძალიან უცნაურსა და დაუჯერებელს მოიგონებდა.*

10. *მაშ, ეგ რო არა ჰქონდეს ჩაფიქრებული, ადგებოდა და პენსიას ხვალვე გაგვიზრდიდა.*

გრამატიკალიზაციის მსგავს სურათს გვიჩვენებს III პირის მრავლობითი რიცხვის ფორმაც *ადგებოდნენ*. *{ადგებოდნენ და}* მიმდევრობისთვის კორპუსში მოძებნილი 5 კონტექსტიდან 2 კონტექსტში საკვლევი ერთეული გრამატიკალიზებულია:

11. *ადრე პარადები რომ იმართებოდა, ადგებოდნენ და სპეკტაკლებს გადააწერდნენ ხოლმე და ასე წაიშალა ყველაფერი.*

12. *ვინც თქვენს პოზიციას სისხლხორცეულად იზიარებენ, ადგებოდნენ და კაცურად გადადგებოდნენ თანამდებობებიდან.*

6.3.2 გრამატიკალიზებული ფორმები II სერიაში

გრამატიკალიზაციის თვალსაზრისით, მეტი პროდუქტიულობით მე-2 სერიის ფორმები გამოირჩევა. ყველა სხვა სერიასა თუ მწკრივთან შედარებით გრამატიკალიზებული ფორმების ყველაზე დიდი რაოდენობა სწორედ ამ მწკრივის ფორმებში ფიქსირდება. ამასთანავე, აღსანიშნავია ისიც, რომ კვლევის საწყის ეტაპზე დასაკვირვებლად სწორად მე-2 სერიის მე-3 პირის ადგა ფორმა იყო შერჩეული, ვინაიდან ზეპირმეტყველებაში მისი, როგორც გრამატიკალიზებული ფუნქციური ელემენტის, გამოყენების შემთხვევები განსაკუთრებით ხშირია და, შესაბამისად, საანალიზოდ და შედეგების განსაზოგადებლად – ფასეული.

გრამატიკალიზებულ ფორმათა ანალიზს წარმოვადგენთ პირის, რიცხვისა და მწკრივის მიხედვით განსხვავებულ ფორმათა დაფიქსირებული მასალის საფუძველზე.

➤ წყვეტილი – I პირი – ავდექი

1-ელი პირის ავდექი ფორმისთვის კორპუსში იძებნება 847 კონტექსტი. მათგან გრამატიკალიზებული სახით ავდექი ფორმა წარმოდგენილია 421 კონტექსტში. საყურადღებოა, რომ გრამატიკალიზებული 421 კონტექსტიდან 414-ში ავდექი გრამატიკალიზდება მიმდევრობაში {ავდექი და}. საილუსტრაციოდ წარმოვადგენთ შემდეგ მაგალითებს:

13. ავდექი და დავწერე ამაზე ერთი მოთხრობა.

14. მეც რა მექნა, ავდექი და შევურიგდი ძალად შერთულ ცოლს კი არა – ბედს.

რაც შეეხება მრავლობითი რიცხვის ფორმას ავდექით, იგი გრამატიკალიზაციის მსგავს სურათს გვიჩვენებს. ამ ფორმისთვის კორპუსი სულ 123 კონტექსტს გვთავაზობს, მათგან საკვლევი ფორმა გრამატიკალიზებულია 77 კონტექსტში, აქედან 74 კონტექსტში კი {ავდექით და} მიმდევრობაში. საილუსტრაციოდ წარმოვადგენთ რამდენიმე მაგალითს:

15. ავდექით და გავაუქმეთ, იმიტომ რომ რეალურად მაგით უმწეოები არ სარგებლობენ.

16. ეს სახუმარო აღარ იყო, ჩვენ ავდექით და შევწყვიტეთ თანამშრომლობა.

➤ II პირი – *ადექი*

მე-2 პირის *ადექი* ფორმისთვის კორპუსში 691 კონტექსტი იძებნება. მათგან გრამატიკალიზებული სახით საკვლევე ფორმა წარმოდგენილია 239 კონტექსტში, აქედან 213 კონტექსტში მიმდევრობაში *{ადექი და}*.

წარმოვადგენთ საილუსტრაციო მაგალითებს:

17. *ადექი და ყველაფერი გულახდილად მოუყევი რომელიმე სურას.*
18. *რალა ფერმას გადასწვდი, ადექი და ბიძაშენის ავადმყოფობა გვიაშბე.*

მსგავსი ვითარებაა მრავლობითი რიცხვის *ადექით* ფორმისთვის. ამ ფორმისთვის კორპუსში მოძებნილი 340 კონტექსტიდან *ადექით* ფორმა გრამატიკალიზებულია 97 კონტექსტში, აქედან 91 კონტექსტში მიმდევრობაში *{ადექით და}*. წარმოვადგენთ საილუსტრაციო მაგალითებს:

19. *ადექით და მითხარით, რას გაჩუმებულხართ?*
20. *კაცო, თქვენც ადექით და ნურაფერს მისცემთ, რა.*

➤ III პირი – *ადგა*

განსაკუთრებით პროდუქტიულია მე-3 პირის ფორმა *ადგა*. ამ ფორმისთვის ქართული ენის ეროვნული კორპუსში 2203 კონტექსტი იძებნება. გრამატიკალიზებული სახით *ადგა* გვხვდება შემდეგ პოზიციებში:

1. *{[ადგა] + [და]}*
2. *{[,] [ადგა] [,]}*
3. *{[.] [ადგა] [,]}*

ჩამოთვლილ პოზიციათაგან გრამატიკალიზებულობის განსაკუთრებით მაღალი ხარისხით ხასიათდება მიმდევრობა *{ადგა და}*. ამ მიმდევრობისთვის კორპუსში მოცემული 906 კონტექსტიდან იგი გრამატიკალიზებულია 700 მაგალითში.

თვალსაჩინოებისთვის წარმოვადგენთ ქვემოთ მოცემულ მაგალითებს:

21. *ადგა და მეორე ცოლი მოიყვანა, იმას გერი დახვდა, ძალიან ეწყინა.*
22. *ჩემი და ადგა და ვიღაც მდიდარს გაჰყვა ცოლად.*
23. *მეგონა სიამოვნებდა მაგ ფეხგაფარჩხულ წყეულს, ეგ კი ადგა და მეჩხუბა.*

შემდეგი პოზიცია, რომელშიც საკვლევი ერთეული გრამატიკალიზდება, არის წინა და მომდევნო სიტყვებისგან ორმხრივად მძიმით შემოსაზღვრული ადგა ფორმა – *[[,] [ადგა] [,]]*. ამ პოზიციისთვის კორპუსში მოცემული 53 კონტექსტიდან იგი გრამატიკალიზებულია 9 კონტექსტში.

საილუსტრაციოდ წარმოვადგენთ შემდეგ კონტექსტებს:

24. *დაიწყო კითხვა, დაინტერესდა კიდეც, მაგრამ რაკი წიგნი დიდი იყო, ადგა, ინტერნეტში მოძებნა და ფილმს უყურა.*

25. *ადგა, გაუკეთა საქმეს მიმართვა და ოფიციალურად გადაუგზავნა საქმე შემდგომი ძიებისათვის.*

26. *როდესაც ხუთ მანეთამდე აიყვანა მონაგარი ფული, ადგა, პარკულს თავი მოუკრა და ახლა მეორე საპარკულე ფულის მოგროვებას შეუდგა.*

მე-3 პირის მრავლობითი რიცხვის ადგნენ ფორმისთვის კორპუსში მოცემულია 389 კონტექსტი, მათგან საკვლევი ფორმა გრამატიკალიზებული სახითაა წარმოდგენილი 242 კონტექსტში, აქედან 231 შემთხვევაში მიმდევრობაში *{ადგნენ და}*.

საილუსტრაციოდ წარმოვადგენთ შემდეგ მაგალითებს:

27. *ქართველები გამოგვიყვანეს რაღაც კლინიკურ იდიოტებად, რომლებიც არაფრის გამო, უეცრად ადგნენ და იქცნენ რუსოფობებად.*

28. *მთელი ოცდახუთი წელი იმსახურა ორგანოს რიგებში, ესენიც ადგნენ და დააჯილდოვეს – ერთეული სამსახურისათვის.*

შემდეგი მიმდევრობა, რომელშიც *ადგნენ* ფორმა გრამატიკალიზებულია, არის პოზიცია, რომელშიც მის მომდევნოდ დაფიქსირებულია მძიმე – *[[ადგნენ] [,]]*. კორპუსში წარმოდგენილ მასალაში ამგვარი 8 კონტექსტი იძებნება:

ნიმუშად წარმოვადგენთ შემდეგ კონტექსტებს:

29. *უშიშროებამ კი ეს მოისმინა, ადგნენ, ჩავიდნენ სვანეთში და ყველა ჩაკლეს.*

30. *მძღოლებიც ადგნენ, იჭირავეს მიკროავტობუსები და სამარშრუტო ხაზებზე ისინი ჩაანაცვლეს.*

გრამატიკალიზებული სახით გვხდება *ადგნენ* ფორმა 3 კონტექსტში, მძიმის მომდევნო პოზიციაში – *[[,] [ადგნენ]]*:

31. ამიტომაც, ადგენენ ლიპის ბიჭები, დიდი სხვაობით ზედიზედ მეორე შეხვედრა მოიგეს.

32. ჰოდა, ადგენენ თოვლისაღმნუსხავი სტატისტიკოსები და ერთგულებით გამორჩეული მოთამაშეები ერთ ყალიბში მოაქციეს.

33. ჰოდა, ადგენენ საახალწლოდ ეს „დამოუკიდებელი“ და ერთმანეთისგან „განსხვავებული“ ტელეკომპანიები და სატელევიზიო ეთერს სულ ბდღვირი ადინეს ტრამბხით.

➤ II კავშირებითი

II კავშირებითის მწკრივში 1-ელი პირის ავდგე ფორმისთვის კორპუსში 148 კონტექსტი იძებნება. მათგან გრამატიკალიზაციის 62 შემთხვევა გვაქვს შემდეგ პოზიციებში:

I. მიმდევრობაში {ავდგე და}: საკვლევო ფორმა გრამატიკალიზებულია 56 კონტექსტში, მაგალითად:

34. ავდგე და ახლა მას სასამართლოში ვედავო, ეს საკუთარი ღირსების შელახვა იქნება.

35. ისე, ახი არ იქნება, რო ავდგე და ეს სახლი მართლა გავყიდო?

II. ავდგე მომდევნო სიტყვისგან გამოყოფილია მძიმით – {[ავდგე] [.]}: ამ პოზიციისთვის კორპუსში 6 კონტექსტია მოცემული, საწინამდებარედ წარმოვადგენთ შემდეგ კონტექსტებს:

36. რა იქნება, რომ ავდგე, მივიდე, ვუთხრა.

37. ავდგე, ვიყიდო ქარხნის აქციები და მერე ვიღაცას ისევ არ მოეწონოს, რა გამოვა.

გრამატიკალიზაციის მსგავს სურათს გვიჩვენებს 1-ელი პირის მრავლობითი რიცხვის ავდგეთ ფორმა. კორპუსში მოძებნილი 161 კონტექსტიდან იგი გრამატიკალიზებულია 117 კონტექსტში შემდეგ პოზიციებში:

I. მიმდევრობაში {ავდგეთ და}:

38. ავდგეთ და დავანებოთ თავი, ეგენი ბატონები იყვნენ, ჩვენ ყმები.

39. დაჭერა პანაცეა არ უნდა იყოს, მაშინ ავდგეთ და ნებისმიერი პიროვნება დავიჭიროთ.

II. მომდევნო ტოკენისგან მძიმითაა გამოყოფილი *ადგეთ* – *[[ადგეთ] [,]]*.

ამ პოზიციისთვის კორპუსში 6 გრამატიკალიზებული კონტექსტია მოცემული, ნიმუშად წარმოვადგენთ რამდენიმე მაგალითს:

40. *ადგეთ, გადავსახლდეთ სადმე, მოვშორდეთ ამ დაწყველილ ალაგსაც.*

41. *„რამოდენიმე“ მწერალი სწამს მხოლოდ, ადგეთ, თქვე კარგი დედამიწვილებო და ჩამოვთვალოთ.*

➤ II პირი – *ადგე*

მე-2 პირის *ადგე* ფორმისთვის კორპუსში მოძებნილი 123 კონტექსტიდან გრამატიკალიზებული სახით იგი გვხვდება 85 კონტექსტში. პირველი – მიმდევრობაში *{ადგე და}*, მეორე – როდესაც მომდევნო სიტყვისგან მძიმით არის გამოყოფილი *[[ადგე] [,]]*.

{ადგე და} მიმდევრობაში საკვლევი ფორმა გრამატიკალიზებული სახით 74 კონტექსტშია წარმოდგენილი. თვალსაჩინოებისთვის წარმოვადგენთ რამდენიმე მაგალითს:

42. *ფაქტობრივად, შეუძლებელია, უბრალოდ ადგე და კედელზე გააკრა ფოტოები, რომლებიც სოციალურ თემატიკას ასახავს.*

43. *მეტი არც არავინაა მთელ დედამიწის ზურგზე დარჩენილი, რომ ადგე და მოუყვე.*

საკვლევი ფორმა გრამატიკალიზებულია მიმდევრობაში, რომელშიც მომდევნო სიტყვისგან მძიმით არის გამოყოფილი – *[[ადგე] [,]]*. ამ პოზიციისთვის კორპუსში 11 გრამატიკალიზებული კონტექსტი იძებნება. სანიმუშოდ წარმოვადგენთ შემდეგ მაგალითებს:

44. *ის მოგიწოდებს, რომ ადგე, აისხა ქამარ-ხანჯალი, იომო.*

45. *თუ შეიძლება ასე, ერთი ხელის მოსმით, ადგე, მოწყვიტო და გადააგდო, კი ბატონო.*

რაც შეეხება მრავლობითი რიცხვის ფორმას *ადგეთ*. კორპუსში ამ ფორმისთვის წარმოდგენილი კონტექსტები მწირია, მოცემული 22 კონტექსტიდან გრამატიკალიზებული სახით საკვლევი ფორმა წარმოდგენილია 2 კონტექსტში. ორივე მათგანში მიმდევრობაში *{ადგეთ და}*:

46. ისრები ისე ნელა დადიან, რომ თქვენ ზოგჯერ გინდათ, ადგეთ და ისინი წინ გადაწიოთ.

47. გეუფლებათ ნათლისღების განცდა და უცებ გააცნობიერებთ, რომ უნდა ადგეთ და ხმა ობამას მისცეთ.

➤ III პირი – ადგეს

ამ ფორმისთვის კორპუსში მოძებნილი 214 კონტექსტიდან ადგეს ფორმა გრამატიკალიზებულია 98 კონტექსტში. მათგან 93 შემთხვევაში მიმდევრობაში *{ადგეს და}*, ხოლო დანარჩენი 6 პოზიციაში მაშინ, როცა მომდევნო სიტყვისგან მძიმით არის გამოყოფილი. საილუსტრაციოდ წარმოვადგენთ შემდეგ მაგალითებს:

48. თუ მაინცდამაინც გიჟდება ქართულ ღვინოზე, ადგეს და მეტი გადაიხადოსო.

49. აი, წარმოიდგინეთ, რომ ახლა ჩემი ბიჭი ადგეს, ჯარში წავიდეს და ორი წელი მოცდეს.

მე-3 პირის მრავლობითი რიცხვის ადგნენ ფორმისთვის კორპუსში 50 მაგალითი იძებნება, ყოველ მათგანში საკვლევია ადგნენ ფორმა გრამატიკალიზებულია, მათგან 48 კონტექსტში მიმდევრობაში – *{ადგნენ და}*. სანიმუშოდ წარმოვადგენთ რამდენიმე მაგალითს:

50. თუ ძალიან ენატრებით, ადგნენ და თავად დაგირეკონ.

51. ეს შეიძლება „ნაცმოდრობისთვისაც“ ხელსაყრელი აღმოჩნდეს, რომ ადგნენ და დააფუძნონ ახალი პარტია.

გრამატიკალიზებული სახით ადგნენ ფორმა გვხვდება ორიოდ მაგალითში იმ პოზიციაში, რომელშიც მომდევნო სიტყვისგან მძიმით არის გამოყოფილი:

52. ადგნენ, დაინიშნონ საკუთარი თავები და დაასრულონ ყველაფერი.

53. როგორ შეძლებენ, ასე უბრალოდ ადგნენ, მიმატოვონ და წავიდნენ?

6.3.3 გრამატიკალიზებული ფორმები III სერიაში

მე-3 სერიაში დგება საკვლევი ფორმისთვის კორპუსში წარმოდგენილი ემპირიული მასალა შედარებით მწირია, შესაბამისად, გრამატიკალიზებული ფორმებიც ნაკლები ოდენობით გვხვდება. გრამატიკალიზებულ ფორმებს ვხვდებით მხოლოდ I და II თურმეობითის მწკრივებში, სწორედ ამიტომ მე-3 სერიაში გრამატიკალიზაციის პროცესს განვიხილავთ I და II თურმეობითის მწკრივთა მიხედვით.

➤ I თურმეობითი – II პირი – *ამდგარხარ*

I თურმეობითის მწკრივში კორპუსში მოცემული კონტექსტებიდან გრამატიკალიზებული ფორმები იძებნება მე-2 პირის ფორმისთვის *ამდგარხარ*. ამ ფორმისთვის კორპუსი სულ 14 კონტექსტს გვთავაზობს. მათგან გრამატიკალიზებული ფორმა 2 შემთხვევაში გვხვდება მიმდევრობაში *{ამდგარხარ და}*:

54. *ჩვენ იმედი გვქონდა საქართველოსა და ბიზანტიას გაანადგურებდით, მენ კი ამდგარხარ და ორივესთვის ცალ-ცალკე თითო სამეფო გიჩუქნიაო.*

55. *მენ კი ამდგარხარ და, საქმე ცუდად გამირჩიაო და, მეხუთედ უჩივი მოსამართლე ქალბატონს!*

➤ III პირი – *ამდგარა*

მე-3 პირის *ამდგარა* ფორმისთვის კორპუსში 121 კონტექსტი მოიძებნა. მათგან გრამატიკალიზაციის 17 შემთხვევა გვაქვს, ყოველ მათგანში *{ამდგარა და}* მიმდევრობაში. სანიმუშოდ წარმოვადგენთ რამდენიმე მაგალითს:

56. *ამდგარა და გამქრალა ფიროსმანის სამარე, არც აკვანი არა სჩანს, იქნებ, სულაც არ იყო.*

57. *ჰოდა, ამდგარა და, რახან მომენტი ნახა, ქორწილი მარტო თავისი ქალიშვილისთვის კი არა, ყველა ქართველისთვის გადაუხდია.*

საინტერესოა, რომ 56-ე მაგალითში გრამატიკალიზებული *ამდგარა* ფორმა დაკავშირებულია უსულო სახელთან *ფიროსმანის სამარესთან*. საზოგადოდ, დგება ზმნური ფორმა მისი სემანტიკური ნიშნების გათვალისწინებით თავსებადია მხოლოდ

სულიერ საგანთან, მოცემულ მაგალითში კი იგი არა შემასმენლის, არამედ გრამატიკალიზებული ელემენტის ფუნქციას ასრულებს, სწორად ამიტომ უკავშირდება *გამქრალა* ზმნით გადმოცემული მოქმედების შემსრულებელ სუბიექტს *ფიროსმანის სამარეს*.

მე-3 პირის მრავლობითი რიცხვის *ამდგარან* ფორმისთვის კორპუსში მოცემული 21 კონტექსტიდან საკვლევი ფორმა გრამატიკალიზებულია 10 კონტექსტში, კერძოდ, მიმდევრობაში *{ამდგარან და}*. თვალსაჩინოებისთვის წარმოვადგენთ რამდენიმე მაგალითს:

58. *ამდგარან და ესენიც ერთი გოგო შვილით აქედან გამგზავრებულან.*

59. *მთელ გუბერნიაში ასეთი მოუსავლიანობაა, სიძვირე, ესენი კი ამდგარან და ბალებს მართავენ.*

➤ II თურმეობითი – I პირი – *ავმდგარიყავი*

ფორმისთვის *ავმდგარიყავი* კორპუსში 29 კონტექსტი მოიძებნა. მათგან, გრამატიკალიზებულობის თვალსაზრისით, საყურადღებოა მიმდევრობა *{ავმდგარიყავი და}*. გვაქვს გრამატიკალიზებული ფორმის გამოყენების 3 შემთხვევა. ასევე, აღსანიშნავია, რომ ამ მიმდევრობისთვის მოცემულ კონტექსტებში განსაკუთრებით რთულდება გრამატიკალიზებული და არაგრამატიკალიზებული ფორმების ერთმანეთისგან გამიჯვნა.

წარმოვადგენთ გრამატიკალიზებული *ავმდგარიყავი* ფორმების შემცველ კონტექსტებს:

60. *იმას ვფიქრობდი, თუ რა ჯობდა, ავმდგარიყავი და სილა გამეჩნა, თუ რაც კი ყავა მქონდა ჭიქაში დარჩენილი, სახეში შემესხა.*

61. *უცებ გადავწყვიტე, ავმდგარიყავი და პენსი სულ მიმეტოვებინა.*

62. *ისეთი დამძიმებული არასდროს ვყოფილვარ, რომ ავმდგარიყავი და ეს გამეკეთებინა.*

➤ II პირი – ამდგარიყავი

მე-2 პირის ამდგარიყავი ფორმისთვის კორპუსში სულ 9 კონტექსტი მოიძებნა, მათგან გრამატიკალიზებული ფორმა 4 კონტექსტში დასტურდება მიმდევრობაში *{ამდგარიყავი და}*. ნიმუშად მოვიტანთ შემდეგ კონტექსტებს:

63. *ახალგაზრდა ხარ, ჯან-ღონით სავსე, ამდგარიყავი და გემუშავა!*

64. *შენი დარწმუნება რომ შემეძლოს, მაშინ სულ სხვა რამეს გთხოვდი, ამდგარიყავი და თავი ჩამოგებრჩო.*

65. *რა შედიოდა სახელმწიფო მინისტრის ფუნქციებში? – თუ სადმე რაიმე მოხდებოდა, უნდა ამდგარიყავი და წასულიყავი.*

მე-2 პირის მრავლობითი რიცხვის ამდგარიყავით ფორმისთვის კორპუსი სულ 4 კონტექსტს გვთავაზობს, ოთხივე მაგალითში საკვლევი ერთეული *{ამდგარიყავით და}* მიმდევრობაშია მოცემული და ყოველ მათგანში გრამატიკალიზებულია.

66. *განა ის არა ჯობდა, ახლავე ამდგარიყავით და გზისთვის გადაგვხვია.*

67. *მერე ვინ მოგახსენათ, ბატონო ჩემო? უნდა ამდგარიყავით და ამის მთქმელისათვის თვალეებში შეგეფურთხებინათ.*

68. *მანამ ერთი ვინმე გონიერი არ ჩაერეოდა საქმეში და არ დაამოშმინებდა ამ აღელვებულ ხალხს, რომ ამდგარიყავით და მიგემართათ ამ ხალხისთვის პუშკინის სიტყვებით, უკეთესი იქნებოდა.*

69. *ჩემზე მსჯელობენ, ბჭობენ, ათასნაირ რამეს მამბრალებენ და მე არავინ მემახის! – თქვენც ამდგარიყავით და თვითონ მისულიყავით – ასეთებიც ხომ ხდება ხოლმე.*

➤ III პირი – ამდგარიყო

რაც შეეხება მე-3 პირის ფორმებს, მხოლოდ ერთი რიცხვის ამდგარიყო ფორმისთვის კორპუსში წარმოდგენილი 84 კონტექსტიდან იგი გრამატიკალიზებულია 14 კონტექსტში, ყოველ მათგანში გვხვდება ამ მიმდევრობი *{ამდგარიყო და}*. ნიმუშად წარმოვადგენთ შემდეგ მაგალითებს:

70. *შენი შვილი რაღა იმ პიანინოს ეჭიფებოდა, ამდგარიყო და იმ ფულით შენ დაგხმარებოდაო!*

71. *ჭიპაშვილი თუ შენი მეგობარია, ამდგარიყო და ჯიბეზე გაეკრა ხელი.*

მსგავს სურათს ვხედავთ მრავლობითი რიცხვის *ამდგარიყვნენ* ფორმისთვის. კორპუსში მოძებნილი 29 კონტექსტიდან გრამატიკალიზებულია 7 კონტექსტში, ყოველ მათგანში *{ამდგარიყვნენ და}* მიმდევრობის სახით.

საილუსტრაციოდ წარმოვადგენთ რამდენიმე მაგალითს:

72. *დაელაპარაკე და ადამიანური მეთოდებით გაარკვიე მათთან საქმე, ანდა ამდგარიყვნენ და გაესაჩივრებინათ.*


73. *გზა მოენახათ მომავალი პოლიტიკური საქმიანობისთვის, თუნდაც ამდგარიყვნენ და, როგორც სააკაშვილმა გააკეთა, სულ სხვა პარტია შეექმნათ.*

როგორც წარმოდგენილი კორპუსული კვლევის შედეგები გვიჩვენებს, ზმნური ფორმა *დგება* თანამედროვე ქართულ ენაში სემიგრამატიკალიზაციის, ანუ გრამატიკალიზაციის მიმდინარეობის აქტიურ, კერძოდ, ექსტენსიის, ფაზაში მყოფი ერთეულია, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი გამოიყენება მისი როგორც პირვანდელი ზმნური ფუნქციით, ისე გრამატიკალიზებული ერთეულის სახით.

დგება ფორმისთვის კორპუსში მოძიებული ემპირიული მასალა თერთმეტივე მწკრივისთვის რაოდენობრივად 17 087 კონტექსტს შეადგენს. *დგება* ფორმის სერიებისა და მწკრივების მიხედვით ჩატარებული ანალიზი გვიჩვენებს, რომ გრამატიკალიზებული ელემენტის ფუნქციით იგი სამივე სერიაში გამოიყენება. I სერიაში კორპუსში მოცემული კონტექსტებიდან გრამატიკალიზებული მაგალითები დადასტურდა *მყოფადისა და ხოლმეობითისა* მწკრივებში, II სერიაში *წყვეტილსა და მეორე კავშირებითში*, ხოლო III სერიაში I და II *თურმეობითში*. მათგან განსაკუთრებით მაღალი პროდუქტიულობით II სერიის *წყვეტილის* მწკრივი გამოირჩევა, კერძოდ, მესამე პირის მხოლოდობითი რიცხვის ფორმა *ადგა*, რომელიც კორპუსში დადასტურებული 2 204 კონტექსტიდან გრამატიკალიზებულია 753 კონტექსტში.

გრამატიკალიზებული ფორმების განაწილების სურათს სერიებისა და მწკრივების მიხედვით წარმოვადგენთ შემდეგი სქემის სახით:

სქემა 3.1 გრამატიკალიზებული დგება ფორმის რაოდენობრივი ანალიზი



მნიშვნელოვანია წინადადებაში ფუნქციური დგება ელემენტის პოზიციური განაწილების საკითხი. საანალიზო მაგალითებზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ შედგენილ და მარტივ წინადადებაში გრამატიკალიზებული ელემენტი შეიძლება შეგვხდეს წინადადების საწყის და შიდა პოზიციაში. რაც შეეხება რთულ წინადადებას, წინადადებაში განსახილველი გრამატიკალიზებული ელემენტის პოზიცია პირდაპირ არის დაკავშირებული წინადადებაში შემასმენლის ადგილთან, კერძოდ კი, რთულ წინადადებაში გრამატიკალიზებული ელემენტი გხვდება წინადადების იმ ნაწილში, რომელშიც ის ზმნა-შემასმენელია მოთავსებული, რომლით

გადმოცემულ მოქმედებსაც სწრაფი რეაგირების მოდალობის დართვით აზუსტებს გრამატიკალიზებული ელემენტი.

ამასთანავე, *დგება* ერთეულის გრამატიკალიზებულობის ფორმალურ ნიშნად კორპუსში შეიძლება მივიჩნიოთ მისი გამოყოფა წინადადების დანარჩენი ნაწილისგან მძიმეების საშუალებით.

განსაკუთრებით აღსანიშნავია მიმდევრობა *[[დგება] + [და]]*. ზემოთ ჩამოთვლილ მწკრივებში: მყოფადი, ხოლმეობითი, წყვეტილი და მეორე კავშირებითი, I და II თურმეობითი, გრამატიკალიზებულობის უმრავლესი შემთხვევები სწორედ ამ მიმდევრობაზე მოდის, რაც საფუძველს გვიქმნის ვიფიქროთ, რომ *[[დგება] + [და]]* გრამატიკალიზებული მიმდევრობა, **ორკომპონენტური გრამატიკალიზებული კონსტრუქციაა.**

რაც შეეხება გრამატიკალიზაციის კ. ლემანის მიერ განსაზღვრულ პარამეტრებს: წონას (weight), კოჰეზიასა (cohesion) და ცვალებადობას (variability), *დგება* ფორმისთვის წონის მაჩვენებელი მაღალია, იგი განსაკუთრებულ ადგილს იჭერს წინადადებაში, მისი, როგორც გრამატიკალიზებული ელემენტის, ფუნქცია მკვეთრად განსაზღვრულია და განულების შემთხვევაში წინადადების სემანტიკურ ცვლილებას განაპირობებს. ნიშნის კოჰეზიურობის, ანუ ავტონომიურობის, მაჩვენებელზე უნდა ითქვას, რომ გრამატიკალიზებული ერთეულის, როგორც სემიგრამატიკალიზაციის საფეხურზე მყოფი ელემენტის, ავტონომიურობის ხარისხი შემცირებულია, მისი სემანტიკური და ფორმალური ნიშნები მეტწილად დამოკიდებულია წინადადებაში შემავალ სხვა წევრებზე. ცვალებადობის თვალსაზრისით კი, უნდა აღვნიშნოთ, რომ გრამატიკალიზებული ერთეულის დახასიათებას ამ პარამეტრის მიხედვით მანამ, სანამ ენობრივი ერთეული გრამატიკალიზაციის პროცესის ჯერ კიდევ აქტიურ ფაზაშია, არარელევანტურად მივიჩნევთ.

6.4 გრამატიკალიზებული იღებს ფორმის კორპუსული ანალიზი

გრამატიკალიზაციის პროცესში მყოფი შემდეგი ერთეული, რომელიც წარმოდგენილი კვლევის ფარგლებში შევისწავლეთ და აღვწერეთ, არის იღებს ზმნური ფორმა. საკვლევი ემპირიული მასალა ქართული ენის რეფერენციალურ კორპუსში შევკრიბეთ. კვლევის შედეგად ერთმანეთისგან გავმიჯნეთ კორპუსში იღებს ფორმისთვის მოცემულ კონტექსტებში მისი ლექსიკური და გრამატიკალიზებული ელემენტის სახით გამოყენების შემთხვევები.

ქვემოთ მოტანილ ცხრილში მოცემულია კორპუსში იღებს ფორმის შემცველი კონტექსტების რაოდენობრივი მაჩვენებელი და მითითებულია მასში გრამატიკალიზებულ ფორმათა რაოდენობა.

ცხრილი 3.6 იღებს ფორმის ემპირიული მასალის რაოდენობრივი ანალიზი

<i>Isერია</i>					
აწმყო					
სიტყვაფორმა	კონტექსტების რაოდენობა	გრამატიკალიზებული	ფორმა	კონტექსტების რაოდენობა	გრამატიკალიზებული
ვიღებ	2018	0	ვიღებთ	2758	1
იღებ	655	0	იღებთ	589	0
იღებს	17922	0	იღებენ	8102	1
უწყვეტელი					
ვიღებდი	774	0	ვიღებდით	664	0
იღებდი	37	0	იღებდით	124	0
იღებდა	6284	0	იღებდნენ	3420	0
აწმყოს კავშირებითი					
ვიღებდე	19	0	ვიღებდეთ	43	0
იღებდე	33	0	იღებდეთ	8	0
იღებდეს	419	0	იღებდნენ	3420	0
მყოფადი					

ავილებ	532	5	ავილებთ	780	5
აილებ	231	2	აილებთ	122	1
აილებს	2746	14	აილებენ	790	5
ხოლმეობითი					
ავილებდი	136	2	ავილებდით	72	0
აილებდი	14	0	აილებდით	11	0
აილებდა	543	0	აილებდნენ	186	1
მყოფადის კავშირებითი					
ავილებდე	2	0	ავილებდეთ	1	0
აილებდე	3	0	აილებდეთ	0	0
აილებდეს	6	0	აილებდნენ	186	0
<i>II სერია</i>					
წყვეტილი					
ავილე	1672	29	ავილეთ	1078	8
აილე	845	13	აილეთ	745	10
აილო	12020	87	აილეს	3313	30
II კავშირებითი					
ავილო	344	2	ავილოთ	3319	18
აილო	115	2	აილოთ	169	0
აილოს	2604	11	აილონ	1082	11
<i>III სერია</i>					
I თურმეობითი					
ამილია	253	0	ავვილია	117	0
ავილია	38	0	ავვილიათ	42	0
აულია	930	11	აულიათ	321	4
II თურმეობითი					
ამელო	311	0	ავველო	194	0
აველო	31	0	ავველოთ	28	0
აელო	1069	0	აელოთ	474	0

III კავშირებითი					
ამელოს	6	0	აგველოს	2	0
აგელოს	1	0	აგელოთ	28	0
აელოს	1	0	აელოთ	474	0

როგორც ცხრილი გვიჩვენებს, *იღებს* ფორმისთვის კორპუსში წარმოდგენილ მასალაში გრამატიკალიზებული ელემენტები იძებნება სამივე სერიაში (აღსანიშნავია, რომ რომ I სერიაში კორპუსმა გრამატიკალიზებულ ფორმათა შემცველი მხოლოდ ორიოდ კონტექსტი გამოავლინა), თუმცა *იღებს* გრამატიკალიზებულ ფორმათა შემცველი კონტექსტების მცირე რაოდენობით, კერძოდ: **აწმყოს, მყოფადისა და ხოლმეობითის, წყვეტილისა და II კავშირებითის, I თურმეობითის** მწკრივებში როგორც მხოლოდითი, ისე მრავლობითი რიცხვის ფორმებისათვის.

საზოგადოდ, უნდა აღვნიშნოთ, რომ თუ თითოეული პირის ფორმისთვის კორპუსში მოცემული კონტექსტების რაოდენობას გრამატიკალიზებული ფორმების რაოდენობას შევუპირისპირებთ, დავინახავთ, რომ გრამატიკალიზაციის ხარისხობრივი მაჩვენებელი გაცილებით დაბალია ზემოთ განხილულ დგება ფორმასთან შედარებით.

კორპუსული კვლევის შედეგად მიღებული მონაცემების ანალიზს ნაშრომში წარმოვადგენთ სერიებისა და მწკრივების მიხედვით.

6.4.1 გრამატიკალიზებული ფორმები I სერიაში

➤ აწმყო

I სერიის გრამატიკალიზებულ ფორმებზე მსჯელობას დავიწყებთ აწმყოს წრის განხილვით. **აწმყოს** მწკრივში კორპუსში მოცემული კონტექსტებიდან გრამატიკალიზებული სახით ორი მაგალითი გვხვდება, I და III პირის მრავლობითი რიცხვის ფორმებისთვის:

74. *ჩვენ ვიღებთ და მაინც ვთარგმნით.*

75. *მისი გარემოცვის წარმომადგენლები, პირდაპირ რომ ვთქვათ, იღებენ და ანადგურებენ სხვის ბიზნესს.*

➤ მყოფადი

გრამატიკალიზებული ფორმები კორპუსში დასტურდება მყოფადის მწკრივის სამივე პირის ფორმებისთვის მხოლოდითა და მრავლობით რიცხვში. პოზიციური განაწილების თვალსაზრისით აღსანიშნავია, რომ ყოველი გრამატიკალიზებული ფორმა ფიქსირდება ამ თანმიმდევრობით *[[იღებს] + [და]]*.

მყოფადის მწკრივში გრამატიკალიზებულ ფორმათა რაოდენობა ფიქსირდება 32 მაგალითის სახით; მათგან:

• I პირი:

მხ. რიცხვი: *ავიღებ* – 5 კონტექსტი;

მრ. რიცხვი: *ავიღებთ* – 5 კონტექსტი

• II პირი:

მხ. რიცხვი: *აიღებ* – 2 კონტექსტი;

მრ. რიცხვი: *აიღებთ* – 1 კონტექსტი

• III პირი:

მხ. რიცხვი: *აიღებს* – 14 კონტექსტი;

მრ. რიცხვი: *აიღებენ* – 5 კონტექსტი

საილუსტრაციოდ წარმოვადგენთ რამდენიმე მაგალითს:

76. *ავიღებ და ამ თქვენ მურიან სახელს სულ სხვადასხვა ბრუნვაში ვატრიალებ.*

77. *აი, ფოსტმეისტერის ცოლს ყველაზე უკეთესად ეცვაო; ჰოდა, აიღებ და ცოლის გულისთვის ათას მანეთს წყალში გადააგდებ.*

78. *თუ ვერ გადაწყვეტს, მერი ზოდელავა აქ არ არის? აიღებს და დააბრალებს.*

79. *თუ არ მოინდომებენ აღიარებას, ავიღებთ და ამ გადაკეთებულ კონსტიტუციას ერთ ადგილას გავტენით ნაცმოძრაობას.*

80. *თუ აიღებთ და შეადარებთ სერვისებს, რა არის ჩვენთან და რა არის საზღვარგარეთ, ჩვენ ვერ ვიტყვით, რომ საქართველოში რაღაც განსაკუთრებულად ძვირია, ვიდრე საზღვარგარეთ.*

81. *შარის მოდება თუ უნდათ, აიღებენ და გამოგცდიან.*

➤ ხოლმეობითი

გრამატიკალიზებული ფორმები კორპუსში დადასტურდა ხოლმეობითის მწკრივშიც, I პირის მხოლობითი რიცხვის *ავილებდი* ფორმისთვის 2 კონტექსტში, ხოლო III პირის მრავლობითი რიცხვის *აილებდნენ* ფორმისთვის – ერთ კონტექსტში:

82. *უფრო გრძელი ხელი რომ მქონდეს, ავილებდი და იმ სახლებს სულ აქ ამოვიტანდი.*

83. *ჰოდა, თქვენ რომ ვიყო, ავილებდი და პროტესტის ნიშნად ერთხელაც არ შემოვადგამდი ფეხს ამ დაწყევლილ შენობაში.*

84. *ამას ისიც ემატება, რომ ვიღაცას, ვისაც ერთი სიმღერა ჩაუწერია, აილებდნენ და გახდიდნენ ვარსკვლავს.*

6.4.2 გრამატიკალიზებული ფორმები II სერიაში

რაოდენობრივი თვალსაზრისით მეტი პროდუქტიულობით ხასიათდება II სერია, კორპუსში იღებს ფორმისთვის მოცემული კონტექსტებიდან გრამატიკალიზებულ ფორმებს ვხვდებით წყვეტილის მწკრივის სამივე პირის ფორმისთვის როგორც მხოლობით, ისე მრავლობით რიცხვში; ხოლო II კავშირებითში გრამატიკალიზებული ფორმები მოცემულია I და III პირის მხოლობითისა და მრავლობითი რიცხვის ფორმების შემთხვევაში.

პოზიციური განაწილების თვალსაზრისით აღსანიშნავია, რომ გრამატიკალიზებული ფორმები გვაქვს მხოლოდ და მხოლოდ *[[იღებს] + [და]]* მიმდევრობაში.

➤ წყვეტილი

I პირის მხოლობითი რიცხვის ფორმა *{ავილე და}* მიმდევრობის სახით კორპუსში 338 შემთხვევაში გვხვდება, მათგან გრამატიკალიზებული კონტექსტების რაოდენობა 29-ს შეადგენს, ხოლო იმავე პირის მრავლობითი რიცხვის ფორმისთვის *{ავილეთ და}* კორპუსში წარმოდგენილი 111 მაგალითიდან გრამატიკალიზებულია მხოლოდ 8 მათგანი.

გრამატიკალიზებული ფორმების საილუსტრაციოდ წარმოვადგენთ შემდეგ მაგალითებს:

85. წარმოიდგინეთ ჩემი სისულელე! ავიღე და ყველა ეს მამაჩემს ვუამბე!

86. ავიღე და ეგრევე წითელი ხიდის ქვეშ ვდურთე თავი!

87. სულიერი ადამიანი, რომელიც ღმერთად შევრაცხეთ, ავიღეთ და ხორციელად მოვკალითო...

88. რაღა უნდა გვექნა ამის შემდეგ? ავიღეთ და მთელი მამული, ერთიანი ჩვენი ბინა დავყავით.

II პირის მხოლოდითი რიცხვის ფორმა *აიღე და* დადასტურებული 112 კონტექსტიდან გრამატიკალიზებულია 13 კონტექსტში, ხოლო მრავლობითი რიცხვის ფორმა *აიღეთ და* – 46 კონტექსტიდან 10 შემთხვევაში.

თვალსაჩინოებისთვის წარმოვადგენთ რამდენიმე მაგალითს:

89. შენც აიღე და შემოდგომაზე მოხანი, სად გეჩქარება.

90. თუ ასეა, შენც აიღე და ადგილები წონით გაყიდე.

91. თქვე მამაცხონებულეობო, რაღა სამხედრო ხარჯებსა ზრდით, აიღეთ და ხალხი მოიმადლიერეთ, პენსიები, სოცდახმარებები, საარსებო მინიმუმი გაზარდეთ.

92. რკინიგზის გახსნაში ცუდი არაფერია, მაგრამ თქვენ აიღეთ და, უბრალოდ, გახსენით სარკინიგზო მიმოსვლა სოჭსა და სოხუმს შორის.

III პირის მხოლოდითი რიცხვის ფორმა *აიღო და* გრამატიკალიზებული სახით გვხვდება კორპუსში მოცემული 1853 კონტექსტიდან 87 შემთხვევაში, ხოლო მრავლობითი რიცხვის ფორმა *აიღეს და* 440 კონტექსტიდან გრამატიკალიზებულია 30 მაგალითში.

საილუსტრაციოდ წარმოვადგენთ შემდეგ წინადადებებს:

93. ისეთი არ გამოვედი, როგორც უნდოდა. ამიტომ აიღო და თავისი მოახლე შეირთო.

94. სამინისტრომაც თავისი მუქარა შეასრულა, აიღო და გადადგა.

95. განუკითხავად, განუსჯელად, სიტყვის უთქმელად, აიღეს და ეს მოხუცებული, დამსახურებული კაცი გადაასახლეს.

96. ბოლოს კი, აიღეს და დააპატიმრეს ნიკოლაი სვიატენკო, ჩემი პირველი მამაკაცი.

➤ II კავშირებითი

რაც შეეხება II კავშირებითის მწკრივს, I პირის ფორმისთვის *ავილო და* მიმდევრობა დადასტურებული 55 მაგალითიდან გრამატიკალიზებულია 2 კონტექსტში, ხოლო მრავლობითი რიცხვის ფორმისთვის *ავილოთ და* მიმდევრობა – 120 კონტექსტიდან გრამატიკალიზებული სახით გვხვდება 18 შემთხვევაში:

97. *აქაო და დაბერდაო, ამიტომ, ავილო და ჩარჩებს ჩავუგდო ხელში, რომ ტყავი გააძრონ?!*

98. *ეხლა ავილო და სულ მუქთათი სხვას მივცე! რომელი ჭკუაა...*

99. *ჯანდაბას ყველაფერი, მათ შორის არჩევნებიც, ავილოთ და პირდაპირ დავსვათ პრეზიდენტად!*

100. *ჩვენ კი ამ ჩეკისტს თავზე ხელს ვუსვამთ! ავილოთ და მივაძაღლოთ, ამის დედა ვატირე...*

II პირის *ავილო და* მიმდევრობისთვის კორპუსში 17 მაგალითი მოიძებნა. მათგან 2 კონტექსტში საკვლევია აილო ფორმა გრამატიკალიზებულია. წარმოვადგენთ გრამატიკალიზებულ კონტექსტებს:

101. *კატა ხომ არ არის, აილო და ჩამოჰკიდო. რაც არ უნდა იყოს, ღვთის სული ადამიანია.*

102. *ამიტომ შენც უნდა აილო და, ფაქტობრივად, ხელოვნური რაღაც ენა შექმნა.*

III პირის მხოლოდითი რიცხვის *ავილოს და* მიმდევრობა კორპუსში მოძებნილი 176 შემთხვევიდან გრამატიკალიზებულია 11 კონტექსტში, ხოლო მრავლობითი რიცხვის *ავილონ და* მიმდევრობა 95 კონტექსტიდან გრამატიკალიზებული სახითაა მოცემული 11 შემთხვევაში.

თვალსაჩინოებისთვის წარმოვადგენთ შემდეგ მაგალითებს:

103. *აილოს და წამოგვეყვეს ვიღაცა, მაგალითად, პრესის წარმომადგენელი.*

104. *როგორ შეიძლება ბირთვულმა სახელმწიფომ აილოს და თავის მეზობელ ერს ასეთი ტკივილი და ტრაგედია მიაყენოს.*

105. *მერე რაც უნდათ, ის გააკეთონ, აიღონ და კონსტიტუცია შეცვალონო, პირდაპირ ესე მითხრა.*

106. *მაინცდამაინც ძალოვანი სტრუქტურების გამსხვილებას თუ მოინდომებენ, აიღონ და ყველას ერთად „პრეზიდენტის ჯარები“ უწოდონ.*

6.4.3 გრამატიკალიზებული ფორმები III სერიაში

მე-3 სერიის მწკრივებისთვის კორპუსში მოცემულ მასალაში გრამატიკალიზებული ფორმები დადასტურდა მხოლოდ **I თურმეობითში**, როგორც მხოლოდობით, ისე მრავლობით რიცხვში, რამაც რაოდენობრივად 15 მაგალითი შეადგინა, მათგან 11 კონტექსტში გრამატიკალიზებულია მხოლოდობითი რიცხვის ფორმა მიმდევრობაში *{აულია და}*, ხოლო 4 კონტექსტში – მრავლობითი რიცხვის ფორმა *{აულიათ და}*.

საილუსტრაციოდ წარმოვადგენთ შემდეგ მაგალითებს:

107. *გამგეობასაც აულია და ახალ იჯარადარ ქიშიშიშოვისათვის რწმუნების წერილით მიუხდვია.*

108. *მაკარტისაც აულია და პირდაპირ კინისთვის დაურეკია.*


109. *ამისათვის ერთი თქვენი მოსაწონებელი ხერხი უხმარიათ: აულიათ და საცა შესძლებიათ, მოუხელებიათ, წაუშლიათ ყოველივე კვალი.*

იღებს ფორმის კორპუსული კვლევის შედეგების შეჯამებისას უპირველესად უნდა აღვნიშნოთ, რომ მართალია, კორპუსმა გრამატიკალიზებული *იღებს* ფორმის შემცველი კონტექსტები სამივე სერიაში გამოავლინა, თუმცა მცირე რაოდენობით. საკვლევი *იღებს* ფორმა გრამატიკალიზებული სახით გვხვდება როგორც I, ისე II და III სერიაში. I სერიაში გრამატიკალიზებული სახით გამოიყენება **აწმყოს** (საკვლევ მასალაში ასეთი მხოლოდ ორი მაგალითი დადასტურდა), **მყოფადისა** და **ხოლმეობითის მწკრივის ფორმებში**, II სერიაში გრამატიკალიზებული ფორმები გვაქვს როგორც **წყვეტილის**, ისე **II კავშირებითის მწკრივში**, ხოლო III სერიაში – მხოლოდ **I თურმეობითში**.

დასკვნის სახით – გრამატიკალიზებულ ფორმათა შედარებით მაღალი რაოდენობრივი მაჩვენებლით II სერია გამოირჩევა. იღებს საკვლევ ფორმის გრამატიკალიზებულ კონტექსტებზე პოზიციური განაწილების თვალსაზრისით დაკვირვება გვიჩვენებს, რომ იგი გრამატიკალიზდება მხოლოდ და მხოლოდ *[[იღებს] +[და]]* მიმდევრობის სახით..

რაც შეეხება ემპირიული მასალის რაოდენობრივ ანალიზს, გრამატიკალიზებულ ფორმათა განაწილების სურათს მწკრივთა და პირთა მიხედვით, წარმოვადგენთ ქვემოთ მოცემული სქემის სახით.

სქემა 3.2 გრამატიკალიზებული იღებს ფორმის რაოდენობრივი ანალიზი



წარმოდგენილი კვლევის საფუძველზე ვასკვნით, რომ რომ *იღებს* თანამედროვე ქართულ ენაში სემიგრამატიკალიზაციის ეტაპზე მყოფი ერთეულია, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი ზმნური ერთეულიდან გრამატიკულ ერთეულად გარდაქმნის პროცესი მიმდინარეობის ფაზაშია – იგი გამოიყენება როგორც თავისი პირვანდელი, ანუ ზმნური, ფუნქციით, ასევე, გრამატიკალიზებული ერთეულის სახით. საკვლევი *იღებს* გრამატიკალიზებული სახით კონტექსტთა მცირე რაოდენობაში გამოვლინდა, ვფიქრობთ, ეს მისი გრამატიკალიზაციის საწყის, კერძოდ, დესემანტიზაციის ფაზაში მყოფობით უნდა აიხსნას.

რაც შეეხება გრამატიკალიზაციის კ. ლემანის მიერ განსაზღვრულ სამ პარამეტრს: წონას (weight), კოჰეზიასა (cohesion) და ცვალებადობას (variability), *იღებს* ფორმისთვის დასახელებულ პარამეტრთა მაჩვენებლები მსგავსია ზემოთ განხილული *დგება* ფორმისთვის გამოვლენილი ნიშნებისა. კერძოდ, მისი წონის მაჩვენებელი მაღალია. გრამატიკალიზებული *იღებს* ფორმა განსაკუთრებულ ადგილს იკავებს წინადადებაში სემანტიკური თვალსაზრისით – მისი, როგორც გრამატიკალიზებული ერთეულის ფუნქცია მკვეთრად განსაზღვრულია და წინადადებიდან მისი ამოღების შემთხვევაში წინადადების სემანტიკა იცვლება. ნიშნის კოჰეზიურობის ანუ ავტონომიურობის ხარისხი შემცირებულია, მისი სემანტიკური და ფორმალური ნიშნები მეტწილად დამოკიდებულია წინადადებაში შემავალ სხვა წევრებზე. ცვალებადობის თვალსაზრისით კი გრამატიკალიზებული ერთეულის დახასიათება, როგორც *დგება* ფორმაზე მსჯელობისას აღვნიშნეთ, მანამ, სანამ ენობრივი ერთეულისთვის გრამატიკალიზაციის პროცესი დასრულებული არ არის, არარელევანტურია.

6.5 გრამატიკალიზებული *ჩანს* ფორმის კორპუსული ანალიზი

შემდეგი ზმნური ფორმა, რომლის გრამატიკალიზაციის პროცესიც კვლევის ფარგლებში შევისწავლეთ, *ჩანს* ერთეულია. კვლევის საწყის ეტაპზე, იმთავითვე, მოსალოდნელი იყო, რომ *ჩანს* ფორმა ზემოთ აღწერილ *დგას*, *იღებს* ფორმებთან მიმართებით გრამატიკალიზაციის სხვაგვარ სურათს გვიჩვენებდა.

კვლევის საწყისი ეტაპი ემპირიული მასალის შეკრებას გულისხმობდა, შემდეგ საფეხურს კი შეკრებილი მასალის დახარისხება წარმოადგენდა გრამატიკალიზებულობის ნიშნით. ამდენად, ანალიზის საფუძველზე ერთმანეთისაგან გაიმიჯნა ჩანს ფორმის ლექსიკური და გრამატიკალიზებული ვარიანტები.

მიღებული მონაცემების რაოდენობრივ ანალიზს, კონტექსტთა საერთო რაოდენობასა და მათში გრამატიკალიზებულ ფორმათა რიცხობრივ მაჩვენებლებს, წარმოვადგენთ ქვემოთ მოცემული სქემის სახით, სადაც ფორმები დალაგებულია მწკრივების მიხედვით.

ცხრილი 3.7 ჩანს ფორმის ემპირიული მასალის რაოდენობრივი ანალიზი

<i>I სერია</i>					
აწმყო					
სიტყვაფორმა	კონტექსტების რაოდენობა	გრამატიკალიზებული	სიტყვა	კონტექსტების რაოდენობა	გრამატიკალიზებული
ვჩანვარ	92	0	ვჩანვართ	71	0
ჩანხარ	224	0	ჩანხართ	193	0
ჩანს	57 455	32 119	ჩანან	1 148	0
უწყვეტელი					
ვჩანდი	57	0	ვჩანდით	22	0
ჩანდი	44	0	ჩანდით	59	0
ჩანდა	9 065	395	ჩანდენ	922	0
აწმყოს კავშირებითი					
ვჩანდე	15	0	ვჩანდეთ	11	0
ჩანდე	17	0	ჩანდეთ	7	0
ჩანდეს	641	0	ჩანდენ	922	0
მყოფადი					
გამოჩნდები	66	0	გამოჩნდებით	43	0
გამოჩნდები	52	0	გამოჩნდებით	21	0
გამოჩნდება	6 292	0	გამოჩნდებათ	890	0
ხოლმეობითი					

გამოვჩნდებოდი	21	0	გამოვჩნდებოდი	7	0
გამოჩნდებოდი	0	0	გამოჩნდებოდი	7	0
გამოჩნდებოდა	785	0	გამოჩნდებოდნენ	142	0
მყოფადის კავშირებითი					
გამოვჩნდებოდე	0	0	გამოვჩნდებოდეთ	0	0
გამოჩნდებოდე	1	0	გამოჩნდებოდეთ	0	0
გამოჩნდებოდეს	34	0	გამოჩნდებოდნენ	142	0
II სერია					
წყვეტილი					
გამოვჩნდი	69	0	გამოვჩნდი	33	0
გამოჩნდი	108	0	გამოჩნდი	60	0
გამოჩნდა	16 683	169	გამოჩნდნენ	2670	0
II კავშირებითი					
გამოვჩნდე	84	0	გამოვჩნდეთ	44	0
გამოჩნდე	1	0	გამოჩნდეთ	24	0
გამოჩნდეს	1690	0	გამოჩნდნენ	2670	0
III სერია					
I თურმეობითი					
გამოვჩენილვარ	16	0	გამოვჩენილვართ	1	0
გამოჩენილხარ	21	0	გამოჩენილხართ	13	0
გამოჩენილა	1615	0	გამოჩენილან	352	0
II თურმეობითი					
გამოვჩენილიყავი	15	0	გამოვჩენილიყავით	4	0
გამოჩენილიყავი	4	0	თ	2	0
გამოჩენილიყო	441	0	გამოჩენილიყავით	65	0
			გამოჩენილიყვნენ		
III კავშირებითი					
გამოვჩენილიყო	0	0	გამოვჩენილიყოთ	0	0
გამოჩენილიყო	0	0	გამოჩენილიყოთ	0	0
გამოჩენილიყოს	7	0	გამოჩენილიყონ	0	0

როგორც ცხრილი გვიჩვენებს, ჩანს ერთეული გრამატიკალიზებული სახით შემდეგ მწკრივებში დასტურდება: I სერიის აწმყოსა და უწყვეტლის მწკრივი და II სერიის წყვეტილის მწკრივი. რაოდენობრივი თვალსაზრისით განსაკუთრებით პროდუქტიულია აწმყოს წრე.

6.5.1 გრამატიკალიზებული ფორმები I სერიაში

განვიხილოთ ჩანს ენობრივი ერთეულის გრამატიკალიზაციის სურათი სერიებისა და მწკრივების მიხედვით. უპირველესად, წარმოვადგენთ გრამატიკალიზებულ ფორმებს I სერიაში.

➤ I სერია, აწმყო – III პირი – ჩანს

აწმყოს მწკრივში გრამატიკალიზებული ფორმები გვხდება მე-3 პირის ჩანს ფორმისთვის. აღნიშნული ფორმისთვის ქართული ენის რეფერენციალური კორპუსი 57 455 კონტექსტს გვთავაზობს. ცხადია, ამ მოცულობის მასალაზე მუშაობისას უპირველეს ამოცანას წარმოადგენს სავარაუდო გრამატიკალიზებული პოზიციების დადგენა, მათი მოძიება, გამოვლენა და ზედმიწევნით ზუსტი ანალიზი.

ვინაიდან საკვლევი მასალა რაოდენობრივად ძალიან დიდი მოცულობისა იყო, საპილოტე კვლევის ფარგლებში⁸ ვიკვლიეთ კორპუსში მოცემული პირველი 10 000 კონტექსტი, რის შედეგადაც გამოიკვეთა ის შესაძლო პოზიციები, რომლებშიც საკვლევი ჩანს გრამატიკალიზებული სახით უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი. ეს პოზიციებია:

- 1) მიმდევრობა {როგორც ჩანს}
- 2) წინა ან/და მომდევნო სიტყვისგან მძიმეებით გამოყოფილი ჩანს

{როგორც ჩანს} მიმდევრობისთვის კორპუსში დაფიქსირდა 30 795 კონტექსტი. კონტექსტების ანალიზი ადასტურებს საპილოტე კვლევის ფარგლებში შემუშავებულ წინასწარ ჰიპოთეზას, რომლის თანახმადაც, მიმდევრობა {როგორც ჩანს} გრამატიკალიზაციის მაღალი ხარისხით უნდა ხასიათდებოდეს.

ნიმუშად წარმოვადგენთ შემდეგ მაგალითებს:

⁸ კვლევის შედეგები თავმოყრილია ავტორის მიერ გამოქვეყნებულ სტატიაში სახელწოდებით „გრამატიკალიზებული ჩანს ელემენტი და მასთან დაკავშირებული სირთულეები კორპუსლინგვისტიკაში“.

110. როგორც ჩანს, საკმაოდ დიდი წარმოდგენა აქვს საკუთარ შესაძლებლობებზე.

111. ამ ერთმა ბრძოლამ, როგორც ჩანს, განუთქვა მას სახელი.

112. არც არვინ საუბრობს და არც დააბრუნებენ, როგორც ჩანს.

113. დღეს კი საქართველოში, როგორც ჩანს, ინტელექტის დეფიციტმა ლიმიტს გადააჭარბა.

მიმდევრობა {როგორც ჩანს} წინადადების დანარჩენი წევრებისგან მძიმეებით გამოიყოფა, რაც გასაგებია, რადგან გრამატიკალიზებული სახით გამოყენებისას იგი წინადადებაში სინტაქსურად ჩართულის ფუნქციას ასრულებს, ჩართული კი, ქართულ ენაში მოქმედი პუნქტუაციის წესების მიხედვით, წინადადების დანარჩენი ნაწილისაგან მძიმეებით გამოიყოფა: თუკი ის წინადადების საწყის ან ბოლო პოზიციაშია წარმოდგენილი, მის გამოსაყოფად ერთი მძიმე იხმარება, ხოლო თუკი ის წინადადების შუაშია მოქცეული, მაშინ მის გამოსაყოფად ორი მძიმეა საჭირო.

ყველა იმ მაგალითში, რომელიც პუნქტუაციის ამ წესის დაცვითაა წარმოდგენილი კორპუსში, ჩანს ასრულებს გრამატიკალიზებული ელემენტის ფუნქციას, ასეთი კი კორპუსში მოცემული მასალიდან 30 627 კონტექსტია.

{როგორც ჩანს} მიმდევრობისთვის შეკრებილ 30 795 კონტექსტში იძებნება 168 ისეთი კონტექსტი, რომელშიც მიმდევრობა {როგორც ჩანს} წინადადების მომდევნო ნაწილისაგან მძიმით გამოყოფილი არაა; მათგან საინტერესოა 3 მაგალითი:

114. მაგრამ ადამის პირველჩადენილი ცოდვა, როგორც ჩანს დაბადების მე-6 თავში, მთელი სიძლიერით ამოქმედდა შეთის მოდგმაში.

115. პირველ რექტორად დაუნიშნავთ ფილიპე ყაითმაზაშვილი, როგორც ჩანს ანტონ კათოლიკოსის წერილიდან.

116. ანა ნიკოლაძესთან მეგობრობა, როგორც ჩანს პოეტის მიმოწერიდან, საკმაოდ თბილი ყოფილა.

წარმოდგენილ სამ მაგალითში ჩანს ფორმას შენარჩუნებული აქვს პირვანდელი ფუნქცია – იგი პრედიკატი, წინადადების ცენტრალური ნაწილია. გარდა განხილული სამი კონტექსტისა, დანარჩენ 165 კონტექსტში, როგორც ჩანს გრამატიკალიზებულია.

შემდეგი პოზიცია, რომელშიც ჩანს ფორმის გრამატიკალიზებულობა არის სავარაუდებელი, წინადადების საწყისი პოზიციაა, ამ პოზიციაში მდგომი ჩანს

წინადადების წევრებისგან მძიმით გამოიყოფა. კორპუსში მსგავსი მიმდევრობისთვის 134 კონტექსტი იძებნება და ყოველ მათგანში *ჩანს* არა პრედიკატი, არამედ ფუნქციური ელემენტია.

თვალსაჩინოებისთვის წარმოვადგენთ რამდენიმე წინადადებას:

117. *ჩანს, ნაციონალურ მოძრაობას უნდა რეგიონებში დაბნეულობა და უნდობლობა შეიტანოს.*

118. *ჩანს, წინა და დღევანდელ ხელისუფალთ აწყობთ მსგავსი რამ.*

გრამატიკალიზებული სახითაა წარმოდგენილი *ჩანს* ფორმა მაშინ, როცა იგი ორივე მხრიდან მძიმით არის შემოსაზღვრული. კორპუსში ამ პოზიციისთვის წარმოდგენილი 1 193 კონტექსტიდან ყოველ მათგანში *ჩანს* გრამატიკალიზებულია და არა პრედიკატის, არამედ ფუნქციური ელემენტის სახითაა წარმოდგენილი.

საილუსტრაციოდ წარმოვადგენთ შემდეგ მაგალითებს:

119. *ჩემი რჩევა, ჩანს, იმთავ დაუჯდათ ჭკუაში.*

120. *შეეცადა წამომდგარიყო, მაგრამ ნამძინარევა, ჩანს, თავი ველარ შეიკავა და ისევ ლოგინზე დაეცა.*

121. *ჩვენ არაფერი ვიცოდით, მაგრამ, ჩანს, კაცებიც კარგად ბლომად ჰყავდა.*

➤ I სერია, უწყვეტელი – III პირი – *ჩანდა*

გრამატიკალიზაციის საინტერესო სურათს გვიჩვენებს უწყვეტელში მდგომი მე-3 პირის მხოლობითი რიცხვის ფორმა *ჩანდა*. *ჩანდა* ფორმისთვის ქართული ენის ეროვნულ კორპუსში წარმოდგენილი მასალა განსაკუთრებით დიდი რაოდენობისაა და 9 075 კონტექსტს შეადგენს. კონტექსტებზე დაკვირვება გამოავლენს იმ სავარაუდო პოზიციებს, რომლებშიც მოსალოდნელია, რომ *ჩანდა* გრამატიკალიზებული სახით იყოს წარმოდგენილი. საინტერესოა, რომ კონტექსტების ანალიზისას, მათი კლასიფიცირებისას, მნიშვნელობას იძენს პუნქტუაციის ნიშნები, მათზე დაკვირვება ამცირებს ძებნის არეალს და გამოკვეთს გრამატიკალიზებული *ჩანდა* ერთეულისთვის შესაძლო პოზიციების ჩამონათვალს.

უპირველესად განვიხილოთ პოზიციები, რომლებშიც *ჩანდა* სინტაქსურად ჩართულის ფუნქციას ასრულებს და წინადადების დანარჩენი ნაწილებისაგან მძიმეებით არის გამოყოფილი. საზოგადოდ, ჩართულის ფუნქცია არის მთქმელის

დამოკიდებულების გამოხატვა, ამ ინფორმაციის დაზუსტება, რაც, ამავედროულად, ფუნქციურ ელემენტთა ერთ-ერთი უმთავრესი ნიშნად მიიჩნევა.

განვიხილოთ გრამატიკალიზებული პოზიციები *ჩანდა* ფორმისათვის.

I. წინადადების დანარჩენი ნაწილისაგან ორივე მხრიდან მძიმეებით შემოსაზღვრული – $\{[-][,] \text{ ჩანდა } [,] [-]\}$.

ამ პოზიციაში *ჩანდა* ფორმისთვის ქართული ენის რეფერენციალურ კორპუსში 90 კონტექსტი იძებნება. მათგან 78 კონტექსტში იგი გრამატიკალიზებული სახით არის წარმოდგენილი.

სანიმუშოდ წარმოვადგენთ რამდენიმე წინადადებას.

122. *დირექტორს სახელით იხსენიებდა, ჩანდა, ძველი ნაცნობი იყო.*

123. *რაკიტინს, ჩანდა, რაღაცის თქმა უნდოდა.*

II. *ჩანდა* წინადადების საწყის პოზიციაში, მომდევნო სიტყვისგან მძიმით გამოყოფილი – $\{ \text{ჩანდა } [,] \}$

ქართული ენის რეფერენციალურ კორპუსში ამ პოზიციისთვის 126 კონტექსტი იძებნება, მათგან 111 კონტექსტში *ჩანდა* გრამატიკალიზებული სახით წარმოდგენილი. წარმოვადგენთ საილუსტრაციო ნიმუშებს:

124. *ჩანდა, ირაკლის ოჯახში ყველა დაერწმუნებინა, რომ ისიც იქ უნდა ყოფილიყო.*

125. *ჩანდა, ეს მუქარა ფარული გეგმის გამჟღავნება იყო.*

III. *ჩანდა* წინადადების ბოლო პოზიციაში, წინამდებარე სიტყვისგან მძიმით გამოყოფილი – $\{ [,] \text{ ჩანდა} \}$.

ამ პოზიციისთვის კორპუსი სულ 3 კონტექსტს გვთავაზობს და 2 მათგანში *ჩანდა* ფორმა გრამატიკალიზებულია.

126. *დიპლომატს შესაფერისი ადგილი ვერ უპოვა, ჩანდა.*

127. *გაცისკრებას წაეჭინულა, ჩანდა.*

შემდეგი პოზიცია, რომელშიც *ჩანდა* ერთეული გრამატიკალიზდება, არის მიმდევრობა $\{ \text{როგორც ჩანდა} \}$. *ჩანდა*, როგორც ფუნქციური ელემენტი, განსაკუთრებით პროდუქტიული სწორედ ამ მიმდევრობაშია. მოცემული მიმდევრობისთვის ქართული ენის რეფერენციალურ კორპუსში წარმოდგენილი 209

კონტექსტიდან გრამატიკული ფუნქციით იგი გამოყენებულია 204 კონტექსტში. საილუსტრაციოდ წარმოვადგენთ რამდენიმე ნიმუშს:

128. *ფრიადოსანთა სახელი და გვარები არ იციან. როგორც ჩანდა, სია დეკანატიდან არ მიეწოდათ.*

129. *ყველა მისკენ შემოტრიალდა, თუმცა, როგორც ჩანდა, ახალმოსულმა ყმაწვილმა ისინი არ დააინტერესა.*

130. *ზოგიერთს რომ ტანში ზრინავდა, იმას სხვა საფიქრალი აწუხებდა, როგორც ჩანდა.*

3.5.2 გრამატიკალიზებული ფორმები II სერიაში

➤ I I სერია, წყვეტილი – III პირი – *გამოჩნდა*

წყვეტილის მწკრივისთვის კორპუსში მოცემული მასალიდან გრამატიკალიზებულ ფორმები დადასტურდა მე-3 პირის მხოლოდობით რიცხვში, *გამოჩნდა* ფორმისთვის. აღნიშნული ფორმისთვის ქართული ენის რეფერენციალური კორპუსი 16 683 კონტექსტს გვთავაზობს. განვიხილოთ *გამოჩნდა* ფორმის გრამატიკალიზებულ ერთეულად გამოყენების შემთხვევები.

გამოჩნდა, როგორც ფუნქციური ელემენტი, დადასტურდა მიმდევრობაში *როგორც გამოჩნდა*, რაც შემთხვევითი არ არის. წარმოდგენილი კვლევა გვიჩვენებს, რომ *როგორც* ფორმის მეზობლობისას, როგორც წყვეტილის, ისე აწმყოსა და უწყვეტლის მწკრივში მდგომი *ჩანს* ერთეული ფუნქციურ ელემენტად იქცევა. შეიძლება ითქვას, რომ *{როგორც გამოჩნდა}; {როგორც ჩანს}; {როგორც ჩანდა}* მყარი სიტყვათშეთანხმებებია, რომელთა უმთავრესი ფუნქციაც არა პრედიკაციის, არამედ მოდალობის გამოხატვაა.

{როგორც გამოჩნდა} მიმდევრობა ქართული ენის რეფერენციალურ კორპუსში წარმოდგენილია 178 კონტექსტში და მათგან 169 შემთხვევაში იგი ფუნქციური ელემენტის სახითაა გამოყენებული. საილუსტრაციოდ წარმოვადგენთ რამდენიმე ნიმუშს:

131. *სიშიშვლე, როგორც გამოჩნდა, ცოდვის ნიშანია სხეულზე.*


132. როგორც გამოჩნდა, სალაპარაკო მართლაც რომ ბევრი დაგვიგროვდა.

ჩატარებული კორპუსული კვლევის შედეგები გვიდასტურებს, რომ ზემოთ განხილულ დგება და იღებს საკვლევ ფორმათა მსგავსად, ჩანს ფორმაც გრამატიკალიზაციის შუალედურ, ანუ სემიგრამატიკალიზაციის, კერძოდ, ექსტენსიის, ფაზაში მყოფი ზმნური ერთეულია. მას შენარჩუნებული აქვს მორფოლოგიური კატეგორიები, თუმცა მისი პირვანდელი ზმნური ფუნქციის პარალელურად აქტიურად გამოიყენება გრამატიკალიზებულ, ფუნქციურ ელემენტად.

ჩანს ერთეულის საკვლევად ქართული ენის რეფერენციალურ კორპუსში მოვიპოვეთ სერიებისა და მწკრივების მიხედვით განსხვავებული მასალა, რაც რაოდენობრივად 103 398 საანალიზო კონტექსტს შეადგენს. კონტექსტების ანალიზი გვიჩვენებს, რომ გრამატიკალიზებული სახით საკვლევ ერთეული წარმოდგენილია I სერიის აწმყოსა და უწყვეტლის მწკრივებში და II სერიის წყვეტილში. რაც შეეხება III სერიას, აღსანიშნავია, რომ საანალიზო მასალაში გრამატიკალიზებული ფორმები III სერიაში არ გვხვდება. გრამატიკალიზაციის შემთხვევები განსაკუთრებით ხშირია აწმყოს მწკრივის მე-3 პირის ჩანს ფორმისთვის, რაც, ერთი მხრივ, შინაარსობრივი მახასიათებლებით, მეორე მხრივ კი ქართული ენის რეფერენციალურ კორპუსში ამ მწკრივის მე-3 პირის ფორმისთვის განსაკუთრებით დიდი ოდენობის მასალის პოვნისთვის უნდა იყოს განპირობებული.

გრამატიკალიზებული ფორმების რაოდენობრივი განაწილების სურათს სერიებისა და მწკრივების მიხედვით, კონტექსტთა საერთო რაოდენობასა და მათში გრამატიკალიზებულ ფორმათა რიცხვს, წარმოვადგენთ ქვემოთ მოცემული სქემის სახით:

სქემა 3.3 გრამატიკალიზებული ჩანს ფორმის რაოდენობრივი ანალიზი



პოზიციური თვალსაზრისით აღწერისას უნდა აღინიშნოს, რომ ჩანს ფორმის გრამატიკალიზებულობის ინდექსად შეგვიძლია პუნქტუაციის ნიშნები, კერძოდ კი, მძიმე, მივიჩნიოთ. ფუნქციური ელემენტის სახით გამოყენებისას, საკვლევი ერთეული მძიმით არის გამოყოფილი წინამდებარე და მომდევნო სიტყვისგან, ან ორივე მხრიდან მძიმეებით არის შემოსაზღვრული, რაც ბუნებრივია, რადგან გრამატიკალიზებული ჩანს ფორმა სინტაქსურად ჩართულის ფუნქციას ასრულებს, იგი აზუსტებს მთქმელის დამოკიდებულებას წინადადებით გადმოცემული მოქმედებისადმი, რაც გრამატიკალიზებულ ფუნქციურ ელემენტთა ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელი ნიშანია.

ცალკე უნდა აღვნიშნოთ კონტექსტები, სადაც საკვლევ ერთეულს წინ უსწრებს ფორმა *როგორც* – *[[როგორც] + [ჩანს]]*. კონტექსტების კვლევამ გვიჩვენა, რომ *როგორც* ფორმის მეზობლობისას, აწმყოს, უწყვეტლისა და წყვეტილის მწკრივში მდგომი *ჩანს* ფორმა ფუნქციურ ელემენტად არის ქცეული კონტექსტთა აბსოლუტურ უმრავლესობაში. შეიძლება ითქვას, რომ *{როგორც ჩანს}; {როგორც ჩანდა}; {როგორც გამოჩნდა}* მყარი სიტყვათშეთანხმებებია, რომელთა უმთავრეს ფუნქციასაც არა პრედიკაციის, არამედ გრამატიკალიზაციის ფუნქციის ფარგლებში განვითარებული სხვადასხვა სემანტიკური ნიუანსის გამოხატვაა.⁹

⁹ სემანტიკურ ფუნქციებზე დაწვრილებითი მსჯელობა იხილეთ მომდევნო, IV თავში.

4. საკვლევ ელემენტთა ფუნქციურ-სემანტიკური ანალიზი

4.1 წინასწარი შენიშვნები

გრამატიკალიზებული ელემენტების კვლევისას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება არა მხოლოდ მათი გრამატიკალიზაციის პროცესის ფორმალურ აღწერას, არამედ გრამატიკალიზებულ ელემენტთა ფუნქციურ-სემანტიკური მახასიათებლების გამოკვეთას, იმ ნიშნების განსაზღვრას, რომლებსაც გრამატიკალიზებული, ფუნქციურად ქცეული ელემენტები, ატარებენ ცოცხალ სამეტყველო პროცესში.

გრამატიკალიზაციის ფენომენზე მსჯელობისას, ნაშრომის თეორიულ ნაწილში, აღვნიშნეთ, რომ გრამატიკალიზაცია დროში განფენილი პროცესია, ენობრივი ერთეულის ლექსიკური ერთეულიდან გრამატიკულ ერთეულად გარდაქმნის პროცესი ეტაპობრივად მიმდინარეობს.¹⁰ შესაბამისად ამისა, დროის გარკვეულ შუალედში, გრამატიკალიზაციის პროცესის მიმდინარეობისას, ენობრივი ერთეულები გრამატიკალიზაციის სხვადასხვა ხარისხით ხასიათდება. ამასთანავე, გარდა გრამატიკალიზაციის სხვადასხვა ხარისხისა, საზოგადოდ, გრამატიკალიზებული ელემენტები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან იმ ფუნქციურ-სემანტიკური ნიშნებით, რომელთა გამოხატვაც მათ, როგორც გრამატიკალიზებულ ფუნქციურ ელემენტებს, აკისრიათ დისკურსში.

კვლევის პირველი ეტაპი გრამატიკალიზებულ ელემენტთა გამოვლენას, იმ კონტექსტების აღწერასა და ანალიზს დავუთმეთ, რომლებშიც საკვლევნი ზმნური ერთეულები არა პრედიკატის, არამედ ფუნქციური ელემენტის სახით არის წარმოდგენილი, ამ ქვეთავში კი წარმოვადგენთ გრამატიკალიზებული, ფუნქციურ ელემენტად ქცეული ზმნური ფორმების ფუნქციურ-სემანტიკურ ანალიზს, აღვწერთ კვლევისას გამოყენებულ მეთოდებსა და ინსტრუმენტებს, წარმოვადგენთ კვლევის შედეგად მიღებულ დებულებებს.

¹⁰ იხილეთ თავი 3.2, *გრამატიკალიზაციის საფეხურები*.

ნაშრომში ენობრივ ერთეულთა გრამატიკალიზებულობის დასადგენად და მათი ფუნქციურ-სემანტიკური ნიშნების განსასაზღვრად არსებითად ორი სახის მიდგომა გამოვიყენეთ. პირველი – ინსტრუმენტები, რომლებიც საკვლევ ერთეულთა გრამატიკალიზებულობის დასადგენად გამოვიყენეთ, ესაა **სუბსტიტუციის, ელიმინაციისა და სკოპუსის მეთოდები**, რომელთა დეტალური ანალიზიც ემპირიულ მასალაზე მსჯელობისას წარმოვადგინეთ და მეორე **ექსპერიმენტული გამოკითხვის მეთოდი**, კერძოდ, ენობრივი კომპეტენციის ტესტი, რომელიც საკვლევ ერთეულთა ფუნქციურ-სემანტიკური ნიშნების გამოვლენას ისახავდა მიზნად.

ექსპერიმენტული მეთოდის ერთ-ერთი ტექნიკური ინსტრუმენტის, კერძოდ **ენობრივი კომპეტენციის ტესტის** შედეგების ანალიზის საფუძველზე განვსაზღვრეთ საკვლევ გრამატიკალიზებულ ერთეულთა ფუნქციები და გამოვყავით სემანტიკური ჯგუფები, ფუნქციური ელემენტების საშუალებით გადმოცემულ მოდალობათა სახეები.

4.2 გრამატიკალიზებული დგება ფორმის ფუნქციურ-სემანტიკური ნიშნები

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ნაშრომში წარმოდგენილ გრამატიკალიზებულ ელემენტთა ფუნქციურ-სემანტიკური ნიშნების დასადგენად გამოვიყენეთ ენობრივი კომპეტენციის ტესტი. ენობრივი ერთეული ცოცხალ საკომუნიკაციო პროცესში ივითარებს და ასრულებს კონკრეტულ ფუნქციას, ეს ფუნქცია კი გრამატიკალიზაციის პროცესის ადრეულ საფეხურზე შესაძლოა განსხვავდებოდეს მოლაპარაკეთა მიხედვით, აქედან გამომდინარე, იმის დადგენა, თუ რა სემანტიკას, რა ფუნქციას უკავშირებენ საკვლევ ერთეულებს ინფორმანტები, გვეხმარება, გამოვკვეთოთ და განვსაზღვროთ საკვლევ ერთეულთა ფუნქციურ-სემანტიკური მახასიათებლები, მათი ჯგუფები და ქვეჯგუფები.

ენობრივი კომპეტენციის ტესტზე დაფუძნებული გამოკითხვა შემდეგნაირად მიმდინარეობდა: ექსპერიმენტისათვის შეირჩა 10 ინფორმანტი, აქედან 5 მდედრობითი, 5 მამრობითი სქესისა, 20-იდან 30-წლამდე. ინფორმანტებს

მიეწოდებოდათ წინადადებათა სია და ინსტრუქცია: *შეცვალეთ წინადადებაში ხაზგასმული სიტყვა სინონიმური მნიშვნელობის მქონე სიტყვით და ისე გადაწერეთ წინადადება, რომ არ შეიცვალოს ამ წინადადებით გადმოცემული შინაარსი.*

ენობრივი კომპეტენციის ტესტს რომ სრულფასოვანი სურათი ეჩვენებინა, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ინფორმანტათვის მისაწოდებელ წინადადებათა შერჩევის კრიტერიუმები. კორპუსული კვლევა გვიჩვენებს, რომ საკვლევი ერთეულები გრამატიკალიზებული სახით გვხდება სხვადასხვა სერიისა თუ მწკრივის ფორმით და, ამასთანავე, გრამატიკალიზებული სახით საკვლევი ერთეულები დასტურდება შინაარსობრივად განსხვავებულ წინადადებაში. შესაბამისად ამისა, ინფორმანტებს მივაწოდეთ გრამატიკალიზებული დგება ელემენტის სხვადასხვა სერიისა და მწკრივის ფორმათა შემცველი წინადადებები. ამასთანავე, წინადადებების შერჩევისას გავითვალისწინეთ ფუნქციური დგება ელემენტის პოზიციური განაწილების თავისებურება.

საკვლევი ელემენტებისათვის ენობრივი კომპეტენციის ტესტის შედეგად მიღებულ მონაცემებს წარმოვადგენთ ქვემოთ მოტანილი ცხრილების სახით.

➤ **მყოფადი**

ცხრილი 4.2.1 ლინგვისტური კომპეტენციის ტესტის შედეგად მიღებული მონაცემები

	<i>პარლამენტში გამოთქმული მოსაზრებები თუ არ მოეწონება, ადგება და დაითხოვს პარლამენტს.</i>
I ინფორმანტი	<i>პარლამენტში გამოთქმული მოსაზრებები თუ არ მოეწონება, უბრალოდ, დაითხოვს პარლამენტს.</i>
II ინფორმანტი	<i>პარლამენტში გამოთქმული მოსაზრებები თუ არ მოეწონება, მივა და დაითხოვს პარლამენტს.</i>
III ინფორმანტი	<i>პარლამენტში გამოთქმული მოსაზრებები თუ არ მოეწონება, მივა და დაითხოვს პარლამენტს.</i>
IV ინფორმანტი	<i>პარლამენტში გამოთქმული მოსაზრებები თუ არ მოეწონება, წავა და დაითხოვს პარლამენტს.</i>
V ინფორმანტი	<i>პარლამენტში გამოთქმული მოსაზრებები თუ არ მოეწონება, გადაწყვეტს, რომ დაითხოვს პარლამენტს.</i>

VI ინფორმანტი	<i>პარლამენტში გამოთქმული მოსაზრებები თუ არ მოეწონება, მივა და დაითხოვს პარლამენტს.</i>
VII ინფორმანტი	<i>პარლამენტში გამოთქმული მოსაზრებები თუ არ მოეწონება, მივა და დაითხოვს პარლამენტს.</i>
VIII ინფორმანტი	<i>პარლამენტში გამოთქმული მოსაზრებები თუ არ მოეწონება, გადაწყვეტს და დაითხოვს პარლამენტს.</i>
IX ინფორმანტი	<i>პარლამენტში გამოთქმული მოსაზრებები თუ არ მოეწონება, დადგება და დაითხოვს პარლამენტს.</i>
X ინფორმანტი	<i>პარლამენტში გამოთქმული მოსაზრებები თუ არ მოეწონება, მივა და დაითხოვს პარლამენტს.</i>

საანალიზო წინადადებაში ადგება ფუნქციური ელემენტის ჩასანაცვლებლად ინფორმანტთა უმრავლესობა მივა, წავა ფორმებს იყენებს. საინტერესოა გრამატიკალიზებული ფორმის ჩასანაცვლებლად V და VIII ინფორმანტების მიერ გადაწყვეტს ფორმის გამოყენება. როგორც ჩანს, ინფორმანტები საანალიზო წინადადებაში ადგება ფორმის ფუნქციად გადაწყვეტილების სემანტიკის გამოხატვას მიიჩნევენ და წინადადების პერიფრაზირებას ახდენენ:

- *პარლამენტში გამოთქმული მოსაზრებები თუ არ მოეწონება, გადაწყვეტს, რომ დაითხოვს პარლამენტს.*
- *პარლამენტში გამოთქმული მოსაზრებები თუ არ მოეწონება, გადაწყვეტს და დაითხოვს პარლამენტს.*

გარდაქმნილ წინადადებებს თუ დავაკვირდებით, დავინახავთ, რომ ორივე შემთხვევაში ინფორმანტები ერთსა და იმავე გადაწყვეტს ფორმას ირჩევენ, თუმცა ინფორმანტი V რომ კავშირიან კონსტრუქციად გადაწერს საანალიზო წინადადებას – გადაწყვეტს, რომ, ხოლო VIII ინფორმანტი და კავშირიან კონსტრუქციას ირჩევს – გადაწყვეტს და.

ცალკე უნდა აღინიშნოს I ინფორმანტის მიერ შემოთავაზებული წინადადება:

- *პარლამენტში გამოთქმული მოსაზრებები თუ არ მოეწონება, უბრალოდ, დაითხოვს პარლამენტს.*

ინფორმანტმა ადგება ფორმის სემანტიკურ ეკვივალენტად მიიჩნია სიტყვა უბრალოდ და ეს მაშინ, როცა V და VIII ინფორმანტები ადგება ფორმას გადაწყვეტილების მიღების ფუნქციას უკავშირებენ და გადაწყვეტს ფორმით ანაცვლებენ მას.

➤ ხოლმეობითი

ცხრილი 4.2.2 ლინგვისტური კომპეტენციის ტესტის შედეგად მიღებული მონაცემები

	<i>მაშა, ეგ რო არა ჰქონდეს ჩაფიქრებული, ადგებოდა და პენსიას ხვალვე გაგვიზრდიდა.</i>
I ინფორმანტი	<i>მაშა, ეგ რო არა ჰქონდეს ჩაფიქრებული, ხვალვე დაუფიქრებლად გაგვიზრდიდა პენსიას.</i>
II ინფორმანტი	<i>მაშა, ეგ რო არა ჰქონდეს ჩაფიქრებული, მივიდოდა და პენსიას ხვალვე გაგვიზრდიდა.</i>
III ინფორმანტი	<i>მაშა, ეგ რო არა ჰქონდეს ჩაფიქრებული, წავიდოდა და პენსიას ხვალვე გაგვიზრდიდა.</i>
IV ინფორმანტი	<i>მაშა, ეგ რო არა ჰქონდეს ჩაფიქრებული, მივიდოდა და პენსიას ხვალვე გაგვიზრდიდა.</i>
V ინფორმანტი	<i>მაშა, ეგ რო არა ჰქონდეს ჩაფიქრებული, მივიდოდა და პენსიას ხვალვე გაგვიზრდიდა.</i>
VI ინფორმანტი	<i>მაშა, ეგ რო არა ჰქონდეს ჩაფიქრებული, მივიდოდა და პენსიას ხვალვე გაგვიზრდიდა.</i>
VII ინფორმანტი	<i>მაშა, ეგ რო არა ჰქონდეს ჩაფიქრებული, მივიდოდა და პენსიას ხვალვე გაგვიზრდიდა.</i>
VIII ინფორმანტი	<i>მაშა, ეგ რო არა ჰქონდეს ჩაფიქრებული, მივიდოდა და პენსიას ხვალვე გაგვიზრდიდა.</i>
IX ინფორმანტი	<i>მაშა, ეგ რო არა ჰქონდეს ჩაფიქრებული, დადგებოდა და პენსიას ხვალვე გაგვიზრდიდა.</i>
X ინფორმანტი	<i>მაშა, ეგ რო არა ჰქონდეს ჩაფიქრებული, წავიდოდა და პენსიას ხვალვე გაგვიზრდიდა.</i>

საანალიზო წინადადებაში გამოყენებული ადგებოდა ფორმის ჩასანაცვლებლად ინფორმანტები კვლავ გადაადგილების სემანტიკის გამომხატველ მივიდოდა, წავიდოდა ფორმებს იყენებენ. გამონაკლისის სახით გვაქვს I ინფორმანტის მიერ ხვალვე ფორმის გამოყენება. როგორც ჩანს, ინფორმანტი საანალიზო ადგებოდა ფორმის ფუნქციად დაუყოვნებლივი მოქმედების გამოხატვას მიიჩნევს და სწორედ ამიტომ ანაცვლებს მას ხვალვე ფორმით:

• მაშა, ეგ რო არა ჰქონდეს ჩაფიქრებული, ხვალვე დაუფიქრებლად გაგვიზრდიდა პენსიას.

➤ II კავშირებითი

ცხრილი 4.2.3 ლინგვისტური კომპეტენციის ტესტის შედეგად მიღებული მონაცემები~

	<i>მთავარი ის არაა, რომ ავდგეთ და ხალხს პოპულისტური მიზნით ხელფასები მოვაკლოთ. არამედ უნდა ვიფიქროთ ეკონომიკის განვითარებაზე.</i>
I ინფორმანტი	<i>მთავარი ის არაა, რომ ხალხს ბევრი ფიქრის გარეშე ხალხს ხელფასები დავაკლოთ პოპულისტური მიზნით. არამედ უნდა ვიფიქროთ ეკონომიკის განვითარებაზე.</i>
II ინფორმანტი	<i>მთავარი ის არაა, რომ მივიდეთ და ხალხს პოპულისტური მიზნით ხელფასები მოვაკლოთ. არამედ უნდა ვიფიქროთ ეკონომიკის განვითარებაზე.</i>
III ინფორმანტი	<i>მთავარი ის არაა, რომ წავიდეთ და ხალხს პოპულისტური მიზნით ხელფასები მოვაკლოთ. არამედ უნდა ვიფიქროთ ეკონომიკის განვითარებაზე.</i>
IV ინფორმანტი	<i>მთავარი ის არაა, რომ მოვინდომოთ და ხალხს პოპულისტური მიზნით ხელფასები მოვაკლოთ. არამედ უნდა ვიფიქროთ ეკონომიკის განვითარებაზე.</i>
V ინფორმანტი	<i>მთავარი ის არაა, რომ მივიდეთ და ხალხს პოპულისტური მიზნით ხელფასები მოვაკლოთ. არამედ უნდა ვიფიქროთ ეკონომიკის განვითარებაზე.</i>

VI ინფორმანტი	<i>მთავარი ის არაა, რომ მივიდეთ და ხალხს პოპულისტური მიზნით ხელფასები მოვაკლოთ. არამედ უნდა ვიფიქროთ ეკონომიკის განვითარებაზე.</i>
VII ინფორმანტი	<i>მთავარი ის არაა, რომ მივიდეთ და ხალხს პოპულისტური მიზნით ხელფასები მოვაკლოთ. არამედ უნდა ვიფიქროთ ეკონომიკის განვითარებაზე.</i>
VIII ინფორმანტი	<i>მთავარი ის არაა, რომ წავიდეთ და ხალხს პოპულისტური მიზნით ხელფასები მოვაკლოთ. არამედ უნდა ვიფიქროთ ეკონომიკის განვითარებაზე.</i>
IX ინფორმანტი	<i>მთავარი ის არაა, რომ დავდგეთ და ხალხს პოპულისტური მიზნით ხელფასები მოვაკლოთ. არამედ უნდა ვიფიქროთ ეკონომიკის განვითარებაზე.</i>
X ინფორმანტი	<i>მთავარი ის არაა, რომ დავდგეთ და ხალხს პოპულისტური მიზნით ხელფასები მოვაკლოთ. არამედ უნდა ვიფიქროთ ეკონომიკის განვითარებაზე.</i>

საანალიზო ავდგეთ ფორმას ინფორმანტები მივიდეთ, წავიდეთ, დავდგეთ ფორმებით ანაცვლებენ. გამონაკლისის სახით გვაქვს I ინფორმანტის მიერ შემოთავაზებული წინადადება:

- *მთავარი ის არაა, რომ ხალხს ბევრი ფიქრის გარეშე ხელფასები დავაკლოთ პოპულისტური მიზნით.*

ავდგეთ ფორმის ჩასანაცვლებლად ინფორმანტმა ფრაზა ბევრი ფიქრის გარეშე გამოიყენა, რაც იმის მანიშნებელია, რომ მან საანალიზო ავდგეთ ფორმის ფუნქციად მოვაკლოთ ზმნით გადმოცემული მოქმედების დაუფიქრებელი, სწრაფი დასაწყისის გამოხატვა მიიჩნია.

➤ წყვეტილი

ცხრილი 4.2.4 ლინგვისტური კომპეტენციის ტესტის შედეგად მიღებული მონაცემები

	<i>ჩვენი პატივცემული ჟურნალისტი კი ადგა, ყველაფერი მისხალ-მისხალ ჩაიწერა და დაბეჭდა.</i>
--	--

I ინფორმანტი	<i>ჩვენი პატივცემული ჟურნალისტი კი მივიდა, ყველაფერი მისხალ-მისხალ ჩაიწერა და დაბეჭდა.</i>
II ინფორმანტი	-
III ინფორმანტი	<i>ჩვენი პატივცემული ჟურნალისტი კი ამ გზით წავიდა, ყველაფერი მისხალ-მისხალ ჩაიწერა და დაბეჭდა.</i>
IV ინფორმანტი	<i>ჩვენი პატივცემული ჟურნალისტი კი მოვიდა, ყველაფერი მისხალ-მისხალ ჩაიწერა და დაბეჭდა.</i>
V ინფორმანტი	<i>ჩვენი პატივცემული ჟურნალისტი კი მიდგა-მოდგა, ყველაფერი მისხალ-მისხალ ჩაიწერა და დაბეჭდა.</i>
VI ინფორმანტი	-
VII ინფორმანტი	-
VIII ინფორმანტი	<i>ჩვენმა პატივცემულმა ჟურნალისტმა კი აიღო, ყველაფერი მისხალ-მისხალ ჩაიწერა და დაბეჭდა.</i>
IX ინფორმანტი	-
X ინფორმანტი	<i>ჩვენი პატივცემული ჟურნალისტი კი ძალიან პასუხიმგებლიანად შეუდგა საკითხს, ყველაფერი მისხალ-მისხალ ჩაიწერა და დაბეჭდა.</i>

ცხრილი გვიჩვენებს, რომ საანალიზო წინადადებაში საწყის პოზიციაში მდგომი ადგება ჩასანაცვლებლად ინფორმანტების მიერ გამოყენებულია შემდეგი ენობრივი ერთეულები: *მივიდა; მოვიდა; მიდგა-მოდგა; აიღო*. ნიშანდობლივია, რომ ინფორმანტები ჩასანაცვლებლად უმეტესად იმავე სემანტიკური ჯგუფის (ანუ მოძრაობის გამომხატველი) ზმნებს ირჩევენ:

- *ჩვენი პატივცემული ჟურნალისტი კი ადგა, ყველაფერი მისხალ-მისხალ ჩაიწერა და დაბეჭდა.*
- *ჩვენი პატივცემული ჟურნალისტი კი მივიდა, ყველაფერი მისხალ-მისხალ ჩაიწერა და დაბეჭდა.*
- *ჩვენი პატივცემული ჟურნალისტი კი მოვიდა, ყველაფერი მისხალ-მისხალ ჩაიწერა და დაბეჭდა.*

• ჩვენი პატივცემული ჟურნალისტი კი მიდგა-მოდგა, ყველაფერი მისხალ-მისხალ ჩაიწერა და დაბეჭდა.

ამასთანავე, საყურადღებოა ინფორმანტის მიერ ჩასანაცვლებლად გამოყენებული აილო ენობრივი ერთეული, რომელიც, თავის მხრივ, გრამატიკალიზაციის აქტიურ ფაზაში მყოფი ენობრივი ერთეულია და რომლის ჩასანაცვლებლად გამოყენება იწვევს წინადადების წევრებს შორის მორფოსინტაქსური მიმართებების შეცვლას, კერძოდ, ქვემდებარული ფრაზის – ჩვენი პატივცემული ჟურნალისტი – მოთხრობით ბრუნვაში ჩადგომას:

• ჩვენმა პატივცემულმა ჟურნალისტმა კი აილო, ყველაფერი მისხალ-მისხალ ჩაიწერა და დაბეჭდა.

საინტერესოა ორი შემთხვევა, რომლებშიც ინფორმანტებმა წინადადების არსებული მნიშვნელობის შესანარჩუნებლად არა მხოლოდ მითითებული ენობრივი ერთეული ჩანაცვლეს, არამედ მთლიანად ახლებურად გადაწერეს წინადადება, ადგა ერთეულის ნაცვლად მთლიანი ფრაზის გამოყენებით: *ამ გზით წავიდა; ძალიან პასუხისმგებლიანად შეუდგა საკითხს.*

• ჩვენი პატივცემულმა ჟურნალისტი კი ამ გზით წავიდა, ყველაფერი მისხალ-მისხალ ჩაიწერა და დაბეჭდა.

• ჩვენი პატივცემული ჟურნალისტი კი ძალიან პასუხისმგებლიანად შეუდგა საკითხს, ყველაფერი მისხალ-მისხალ ჩაიწერა და დაბეჭდა.

საინტერესოა, რომ ამ შემთხვევებში ინფორმანტებმა პერიფრაზირების ხერხს მიმართეს: ვინაიდან იდენტური მნიშვნელობის მქონე ენობრივი ერთეულით ჩანაცვლება შეუძლებლად მიიჩნიეს, შინაარსობრივი აღწერის გზით გადაწერეს შინაარსი, რომელსაც, მათი აზრით, ადგა ერთეული ატარებს განსახილველ წინადადებაში. ასევე აღსანიშნავია, რომ ათი ინფორმანტიდან საანალიზო წინადადებაში ადგა ერთეულის ჩანაცვლება მსგავსი მნიშვნელობის მქონე ერთეულით შეუძლებლად მიიჩნია ოთხმა.

ჩასანაცვლებლად გამოყენებულ ერთეულებზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ინფორმანტები მოცემულ პოზიციაში ადგა ერთეულის ჩასანაცვლებლად მოქმედების წამოწყების სემანტიკის მქონე ენობრივ ფორმებს იყენებენ, რაც *მიდგა-მოდგა; აილო; ამ*

გზით წავიდა; ძალიან პასუხისმგებლობით შეუდგა საკითხს, ჩამოთვლილი ერთეულებით რეალიზდება.

ინფორმანტათვის მისაწოდებელ წინადადებათა შერჩევას იმთავითვე საინტერესო იყო მიმდევრობა ადგა და. კვლევის საწყის ეტაპზევე ცხადი იყო, რომ გრამატიკალიზებული სახით ყველაზე ხშირად ადგა სწორედ ამ მიმდევრობაში გამოიყენება. კვლევის ფარგლებში ჩატარებულმა კორპუსულმა ანალიზმა დაადასტურა, რომ ადგა და მყარი სიტყვათშეთანხმებაა და კორპუსში მოცემულ კონტექსტთა უმეტესობაში გრამატიკალიზებული მნიშვნელობის გადმოსაცემად გამოიყენება.

ქვემოთ მოცემული ცხრილის სახით წარმოვადგენთ ადგა და მიმდევრობისთვის ენობრივი კომპეტენციის ტესტის შედეგად მიღებულ მონაცემებს.

ცხრილი 4.2.5 ლინგვისტური კომპეტენციის ტესტის შედეგად მიღებული მონაცემები

	<i>იმიტომ რომ შუქი დაიკარგა. ადგა და ერთ დღეს დაიკარგა.</i>
I ინფორმანტი	<i>იმიტომ რომ შუქი დაიკარგა. მოდგა და ერთ დღეს დაიკარგა.</i>
II ინფორმანტი	-
III ინფორმანტი	-
IV ინფორმანტი	<i>იმიტომ რომ შუქი დაიკარგა. გადაწყვიტა და ერთ დღეს დაიკარგა.</i>
V ინფორმანტი	<i>იმიტომ რომ შუქი დაიკარგა. წავიდა და ერთ დღეს დაიკარგა.</i>
VI ინფორმანტი	<i>იმიტომ რომ შუქი დაიკარგა. არ ცაცია, არც აცხელა და ერთ დღეს დაიკარგა.</i>
VII ინფორმანტი	-
VIII ინფორმანტი	<i>იმიტომ რომ შუქი დაიკარგა. თავისით ერთ დღეს დაიკარგა.</i>
IX ინფორმანტი	<i>იმიტომ რომ შუქი დაიკარგა. გაგვიკვირდება და ერთ დღეს დაიკარგა.</i>

X ინფორმანტი	<i>იმიტომ რომ შუქი დაიკარგა. აი ასე, უეცრად, ერთ დღეს დაიკარგა.</i>
--------------	---

ინფორმანტებმა წინადადების საწყის პოზიციაში მდგომი ადგა და მიმდევრობის ჩასანაცვლებლად შემდეგი ენობრივი ერთეულები გამოიყენეს: *მოდგა და; გადაწყვიტა და; წავიდა და; გაგვიკვირდება და*. საყურადღებოა, რომ ინფორმანტები ჩანაცვლებისას არა ცალკე მდგომ ენობრივ ერთეულებს, არამედ და ენობრივი ფორმის შემცველ მიმდევრობებს ირჩევენ, ისინი ცდილობენ უცვლელად შეინარჩუნონ წინადადების მნიშვნელობა, რისთვისაც და ენობრივი ერთეულის გამოყენების აუცილებლობა დგება:

- *იმიტომ რომ შუქი დაიკარგა. ადგა და ერთ დღეს დაიკარგა.*
- *იმიტომ რომ შუქი დაიკარგა. მოდგა და ერთ დღეს დაიკარგა.*
- *იმიტომ რომ შუქი დაიკარგა. გადაწყვიტა და ერთ დღეს დაიკარგა.*
- *იმიტომ რომ შუქი დაიკარგა. წავიდა და ერთ დღეს დაიკარგა.*
- *იმიტომ რომ შუქი დაიკარგა. გაგვიკვირდება და ერთ დღეს დაიკარგა.*

აღნიშნული ფაქტი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ გრამატიკალიზაციის პროცესი არა მხოლოდ ცალკეულ ენობრივ ერთეულებზე, არამედ ერთეულთა მიმდევრობაზეც ვრცელდება – გრამატიკალიზდება არა მხოლოდ ცალკეული ფორმები, არამედ სიტყვათშეთანხმებანი.

ყურადღებას იქცევს VI და X ინფორმანტების მიერ ადგა და მიმდევრობის ჩასანაცვლებლად არა ცალკეული მიმდევრობის, არამედ მთლიანი ფრაზის გამოყენება – ერთ შემთხვევაში ინფორმანტი ჩასანაცვლებლად იყენებს ფრაზას – *არც აცია, არც აცხელა* იყენებს, ხოლო მეორე შემთხვევაში – *აი, ასე, უეცრად*.

- *იმიტომ რომ შუქი დაიკარგა. არც აცია, არც აცხელა და ერთ დღეს დაიკარგა.*
- *იმიტომ რომ შუქი დაიკარგა. აი ასე, უეცრად, ერთ დღეს დაიკარგა.*

თუ ზემოთ აღნიშნულ დაკვირვებას განვაზოგადებთ, შეიძლება ითქვას, რომ მეტყველების პროცესში მთლიანი ფრაზის ნაცვლად გრამატიკალიზებულ ერთეულთა გამოყენება ენობრივ სისტემაში მოქმედი სიმარტივისა და ეკონომიურობის პრინციპებით უნდა იყოს ნაკარნახევი. ეკონომიურობისა და სიმარტივისაკენ სწრაფვის განსაკუთრებით მაღალი ინტენსივობით

ზეპირმეტყველება ხასიათდება. სამწერლობო ენისგან განსხვავებით – ზეპირმეტყველებისას ენობრივი კოლექტივი უპირატესობას მოკლე და ეკონომიურ გამონათქვამებს ანიჭებს, ენობრივ სისტემაში მოქმედი გრამატიკალიზაციის პროცესი კი ამ პრინციპთა მოქმედების ლოგიკურად თანმხლებ მოვლენად უნდა მივიჩნიოთ.

რაც შეეხება მოცემულ კონტექსტში ადგა და მიმდევრობის ჩასანაცვლებლად გამოყენებულ ერთეულთა სემანტიკურ ჯგუფებს, ინფორმანტების მიერ გამოყენებული ჩამნაცვლებელი ერთეულები მოულოდნელი გადაწყვეტილების სემანტიკის გამომხატველია და შემდეგი ენობრივი ერთეულებით რეალიზდება: *მოდგა და; წავიდა და; არც აცია, არც აცხელა; გაგიკვირდება და; აი, ასე, უეცრად.*

➤ II კავშირებითი

ცხრილი 4.2.6 ლინგვისტური კომპეტენციის ტესტის შედეგად მიღებული მონაცემები

	<i>ადგეს და საკითხი დააყენოს, თუ დააკმაყოფილებენ მის მოთხოვნებს.</i>
I ინფორმანტი	<i>მივიდეს და საკითხი დააყენოს, თუ დააკმაყოფილებენ მის მოთხოვნებს.</i>
II ინფორმანტი	<i>თუ მის მოთხოვნებს დააკმაყოფილებენ, მაშინ ჯობია, დააყენოს საკითხი.</i>
III ინფორმანტი	<i>მივიდეს და საკითხი დააყენოს, თუ დააკმაყოფილებენ მის მოთხოვნებს.</i>
IV ინფორმანტი	<i>მივიდეს და საკითხი დააყენოს, თუ დააკმაყოფილებენ მის მოთხოვნებს.</i>
V ინფორმანტი	<i>მივიდეს და საკითხი დააყენოს, თუ დააკმაყოფილებენ მის მოთხოვნებს.</i>
VI ინფორმანტი	<i>მივიდეს და საკითხი დააყენოს, თუ დააკმაყოფილებენ მის მოთხოვნებს.</i>
VII ინფორმანტი	<i>მივიდეს და საკითხი დააყენოს, თუ დააკმაყოფილებენ მის მოთხოვნებს.</i>
VIII ინფორმანტი	<i>უბრალოდ საკითხი დააყენოს, თუ დააკმაყოფილებენ მის მოთხოვნებს.</i>

IX ინფორმანტი	<i>დადგეს და საკითხი დააყენოს, თუ დააკმაყოფილებენ მის მოთხოვნებს.</i>
X ინფორმანტი	<i>წავიდეს და საკითხი დააყენოს, თუ დააკმაყოფილებენ მის მოთხოვნებს.</i>

ცხრილი გვიჩვენებს, რომ საანალიზო ადგეს ფორმის ჩასანაცვლებლად ინფორმანტთა უმრავლესობა *მივიდეს* ფორმას იყენებს. ჩასანაცვლებლად გამოყენებულია *დადგეს* და *წავიდეს* ფორმებიც, ხოლო ერთ შემთხვევაში ინფორმანტი იყენებს *უბრალოდ* ფორმას. საინტერესოა II ინფორმანტის მიერ გადაწერილი წინადადება, რომელშიც, საქმე გვაქვს წინადადების არასწორ ინტერპრეტაციასთან:

- *თუ მის მოთხოვნებს დააკმაყოფილებენ, მაშინ ჯობია, დააყენოს საკითხი.*

ვფიქრობთ, მოცემულ შემთხვევაში ინფორმანტმა ყურადღება გაამახვილა არა *ადგეს* ფორმის სემანტიკურ ფუნქციაზე, არამედ მთლიანი წინადადების შინაარსზე და გადაწერა იგი საკუთარ ინტერპრეტაციით.

➤ I თურმეობითი

ცხრილი 4.2.7 ლინგვისტური კომპეტენციის ტესტის შედეგად მიღებული მონაცემები

	<i>შენ კი ამდგარხარ და, საქმე ცუდად გამირჩიაო და, მეხუთედ უჩივი მოსამართლე ქალბატონს!</i>
I ინფორმანტი	<i>შენ კი გაიძახი, საქმე ცუდად გამირჩიაო და, მეხუთედ უჩივი მოსამართლე ქალბატონს!</i>
II ინფორმანტი	<i>შენ კი მისულხარ და, საქმე ცუდად გამირჩიაო და, მეხუთედ უჩივი მოსამართლე ქალბატონს!</i>
III ინფორმანტი	<i>შენ კი დადექი და, საქმე ცუდად გამირჩიაო და, მეხუთედ უჩივი მოსამართლე ქალბატონს!</i>
IV ინფორმანტი	<i>შენ კი წასულხარ და, საქმე ცუდად გამირჩიაო და, მეხუთედ უჩივი მოსამართლე ქალბატონს!</i>
V ინფორმანტი	<i>შენ კი მისულხარ და, საქმე ცუდად გამირჩიაო და, მეხუთედ უჩივი მოსამართლე ქალბატონს!</i>

VI ინფორმანტი	<i>შენ კი დაგიჩემებია, საქმე ცუდად გამირჩიაო და, მეხუთედ უჩივი მოსამართლე ქალბატონს!</i>
VII ინფორმანტი	<i>შენ კი მისულხარ და, საქმე ცუდად გამირჩიაო და, მეხუთედ უჩივი მოსამართლე ქალბატონს!</i>
VIII ინფორმანტი	<i>შენ კი წასულხარ და, საქმე ცუდად გამირჩიაო და, მეხუთედ უჩივი მოსამართლე ქალბატონს!</i>
IX ინფორმანტი	<i>შენ კი დამდგარხარ და, საქმე ცუდად გამირჩიაო და, მეხუთედ უჩივი მოსამართლე ქალბატონს!</i>
X ინფორმანტი	<i>შენ კი დამდგარხარ და, საქმე ცუდად გამირჩიაო და, მეხუთედ უჩივი მოსამართლე ქალბატონს!</i>

ცხრილი გვიჩვენებს, რომ ინფორმანტები საანალიზო ამდგარხარ ფორმას უმეტესად *მისულხარ*, *წასულხარ*, *დამდგარხარ* ფორმებით ანაცვლებენ. საინტერესოა ორი შემთხვევა:

- *შენ კი გაიძახი, საქმე ცუდად გამირჩიაო და, მეხუთედ უჩივი მოსამართლე ქალბატონს!*
- *შენ კი დაგიჩემებია, საქმე ცუდად გამირჩიაო და, მეხუთედ უჩივი მოსამართლე ქალბატონს!*

ორივე მათგანში ინფორმანტები *ამდგარხარ* ფორმის ფუნქციად *უჩივი* ზმნით გადმოცემული მოქმედების ინტენსივობის გაძლიერებას მიიჩნევენ, შესაბამისად, ანაცვლებენ მას *გაიძახი* და *დაგიჩემებია* ზმნური ფორმებით.

უნდა აღვნიშნოთ III ინფორმანტის მიერ გადაწერილი წინადადება:

- *შენ კი დადექი და, საქმე ცუდად გამირჩიაო და, მეხუთედ უჩივი მოსამართლე ქალბატონს!*

საანალიზო წინადადებაში საკვლევი *ამდგარხარ* I თურმეობითის მწკრივის ფორმით არის მოცემული, ინფორმანტმა კი მის ჩასანაცვლებლად წყვეტილი მწკრივის *დადექი* ფორმა გამოიყენა.

➤ II თურმეობითი

ცხრილი 4.2.8 ლინგვისტური კომპეტენციის ტესტის შედეგად მიღებული მონაცემები

	<i>ერთ მშვენიერ დღეს გაუჩნდა იმის სურვილი, რომ ამდგარიყო და დაეწყო უცხო ტექსტის თარგმნა.</i>
I ინფორმანტი	<i>ერთ მშვენიერ დღეს გაუჩნდა იმის სურვილი, რომ გადაედგა ეს ნაბიჯი და დაეწყო უცხო ტექსტის თარგმნა.</i>
II ინფორმანტი	<i>ერთ მშვენიერ დღეს გაუჩნდა იმის სურვილი, რომ წასულიყო და დაეწყო უცხო ტექსტის თარგმნა.</i>
III ინფორმანტი	<i>ერთ მშვენიერ დღეს გაუჩნდა იმის სურვილი, რომ წასულიყო და დაეწყო უცხო ტექსტის თარგმნა.</i>
IV ინფორმანტი	<i>ერთ მშვენიერ დღეს გაუჩნდა იმის სურვილი, რომ წასულიყო და დაეწყო უცხო ტექსტის თარგმნა.</i>
V ინფორმანტი	<i>ერთ მშვენიერ დღეს გაუჩნდა იმის სურვილი, რომ აელო და დაეწყო უცხო ტექსტის თარგმნა.</i>
VI ინფორმანტი	<i>ერთ მშვენიერ დღეს გაუჩნდა იმის სურვილი, რომ მისულიყო და დაეწყო უცხო ტექსტის თარგმნა.</i>
VII ინფორმანტი	<i>ერთ მშვენიერ დღეს გაუჩნდა იმის სურვილი, რომ მისულიყო და დაეწყო უცხო ტექსტის თარგმნა.</i>
VIII ინფორმანტი	<i>ერთ მშვენიერ დღეს გაუჩნდა იმის სურვილი, რომ აელო და დაეწყო უცხო ტექსტის თარგმნა.</i>
IX ინფორმანტი	<i>ერთ მშვენიერ დღეს გაუჩნდა იმის სურვილი, რომ დამდგარიყო და დაეწყო უცხო ტექსტის თარგმნა.</i>
X ინფორმანტი	<i>ერთ მშვენიერ დღეს გაუჩნდა იმის სურვილი, რომ დამდგარიყო და დაეწყო უცხო ტექსტის თარგმნა.</i>

საანალიზო ამდგარიყო ფორმის ჩასანაცვლებლად ინფორმანტებმა უმეტესად ამდგარიყო, წასულიყო, მისულიყო, დამდგარიყო ფორმები გამოიყენეს. საინტერესოა I ინფორმანტის მიერ გადაწერილი წინადადება:

- ერთ მშვენიერ დღეს გაუჩნდა იმის სურვილი, რომ გადაედგა ეს ნაბიჯი და დაეწყო უცხო ტექსტის თარგმნა.

ვფიქრობთ, ინფორმანტი საანალიზო ამდგარიყო ფორმის ფუნქციად მოქმედების დასაწყისის, გადაწყვეტილების მიღების სემანტიკის გადმოცემას მიიჩნევს და სწორედ ამიტომ ანაცვლებს მას აღწერითად, ფრაზით გადაედგა ეს ნაბიჯი.

ასევე, საინტერესოა ჩასანაცვლებლად აქვს ფორმის გამოყენება, ვინაიდან იღებს ფორმა ქართულ ენაში სემიგრამატიკალიზაციის ეტაპზე მყოფი ელემენტია. ორმა ინფორმანტმა ამდგარიყო ფორმის ფუნქციურ ეკვივალენტად სწორედ აქვს ფორმა მიიჩნია.

• ერთ მშვენიერ დღეს გაუჩნდა იმის სურვილი, რომ აქვს და დაეწყო უცხო ტექსტის თარგმნა.

ენობრივი კომპეტენციის ტექსტის შედეგად მიღებული მონაცემების ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ინფორმანტები გრამატიკალიზებული დგება ფორმის ჩასანაცვლებლად სხვადასხვა ენობრივ ერთეულს იყენებენ, რაც არა ცალკეული სიტყვის, არამედ მთლიანი წინადადების სემანტიკით უნდა იყოს განპირობებული, რაც სავსებით ლოგიკურია, რადგან მოცემულ კონტექსტებში იგი გრამატიკალიზაციის შედეგად მიღებული ფუნქციური ელემენტია, რომლის მოქმედების არეალიც მთელი წინადადების ფარგლებში ვრცელდება. არსებითად, დგება ფორმის, როგორც გრამატიკალიზებული ელემენტის, ფუნქცია, მისი სემანტიკა, მოქმედების სწრაფი წამოწყების გამოხატვაა. დგება, როგორც ფუნქციური ელემენტი, წინადადებაში მოქმედების დასაწყისის სემანტიკის მატარებელია, ხოლო იმას, თუ რა სახისაა მოქმედება, წინადადებაში მოცემული ზმნა ანუ პრედიკატი აზუსტებს.

ვფიქრობთ, ფუნქციური დგება, ამ თვალსაზრისით, უკავშირდება ერთ-ერთ ზმნურ კატეგორიას – ინქოატივის, ანუ დაწყებითობის კატეგორიას. როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია ცნობილი, ინქოატივი არის პრედიკატის ერთ-ერთ სემანტიკური მახასიათებელი, რომელიც ამა თუ იმ მოქმედების დაწყებითობას გამოხატავს (შაბაშვილი, 2018, გვ. 41).

ინქოატივის შესახებ ქართულში ვრცელი გამოკვლევა ეკუთვნის ბესარიონ ჯორბენაძეს. ავტორი მიმოიხილავს ინქოატივის წარმოების როგორც მორფოლოგიურ საშუალებებს, ისე აღწერითი წარმოების ინქოატივის საკითხს ქართულში. ინქოატივის სემანტიკური სტრუქტურის განხილვისას იგი მიუთითებს, რომ „ინქოატივის სემანტიკური სტრუქტურა ორი კომპონენტისგან შედგება; ესენია: „დაწყება +

„გარკვეული მოქმედება (მდგომარეობა)“. აღწერითად ეს მნიშვნელობა შეიძლება გამოიხატოს „იწყებს“ ზმნისა და ნებისმიერი მასდარის კომბინაციით (სინტაქსურად ესაა „იწყებს“ ზმნისა და პირდაპირი ობიექტის შეხამება): იწყებს წერას, დაიწყებს წერას, დაიწყო წერა, დაუწყია წერა... და ასე: დაიწყო კითხვა, ხატვა, მუშაობა, სიმღერა, დიდინი, ჩივილი, ყვირილი...” (ჯორბენაძე, 1989, გვ. 177).

ვფიქრობთ, დგება, როგორც მოქმედების გამომხატველი, მასტიმულირებელი ზმნა, რომელიც მიგვანიშნებს, რომ მას გარკვეული მოქმედება უნდა მოჰყვეს, გადმოცემული წინადადებაში გამოყენებული ზმნური ფორმის სახით, ფუნქციურ ელემენტად ქცევის შემდეგაც ინარჩუნებს კავშირს თავის პირვანდელ, ზმნურ მახასიათებლებთან და ფუნქციურ ელემენტად ქცეული მოქმედების სწრაფი დასაწყისის გრამატიკალიზებულ სემანტიკას გადმოსცემს.

4.3 გრამატიკალიზებული იღებს ფორმის ფუნქციურ-სემანტიკური ნიშნები

შემდეგი გრამატიკალიზებული ელემენტი, რომელიც კვლევის ფარგლებში შევისწავლეთ და აღვწერეთ, *იღებს* ფორმაა. კვლევისთვის განსაკუთრებით ღირებული იყო გრამატიკალიზებულ ელემენტთა ფუნქციურ-სემანტიკური თვალსაზრისით კვლევა, ფუნქციურ ელემენტთა მახასიათებელი სემანტიკური ნიშნების გამოკვეთა, რისთვისაც, როგორც ზემოთვე აღვნიშნეთ, გამოვიყენეთ ლინგვისტური კომპეტენციის ტესტი.

ჩატარებულმა კორპუსულმა კვლევამ გვიჩვენა, რომ გრამატიკალიზებული, ფუნქციური ელემენტის სახით გამოიყენება *იღებს* ფორმის სამივე სერიის ფორმები. იმისთვის, რომ ლინგვისტური კომპეტენციის ტესტს რელევანტური სურათი ეჩვენებინა, ინფორმანტებს მივაწოდეთ *იღებს* გრამატიკალიზებული ელემენტის სხვადასხვა სერიისა და მწკრივის ფორმათა შემცველი წინადადებები. ამასთანავე, წინადადებების შერჩევისას გავითვალისწინეთ ფუნქციური *იღებს* ფორმის პოზიციური განაწილების თავისებურებაც და ინფორმანტებს მივაწოდეთ წინადადებები, რომლებშიც ფუნქციური *იღებს* ელემენტი წინადადებაში სხვადასხვა პოზიციაშია მოქცეული.

ლინგვისტური კომპეტენციის ტესტის შედეგად მიღებულ მონაცემებს წარმოვადგენთ ქვემოთ მოცემული ცხრილების სახით.

➤ აწმყოს მწკრივი

ცხრილი 4.3.1 ლინგვისტური კომპეტენციის ტესტის შედეგად მიღებული მონაცემები

	<i>მისი გარემოცვის წარმომადგენლები, პირდაპირ რომ ვთქვათ, იღებენ და ანადგურებენ სხვის ბიზნესს.</i>
I ინფორმანტი	<i>მისი გარემოცვის წარმომადგენლები, პირდაპირ რომ ვთქვათ, დგებიან და ანადგურებენ სხვის ბიზნესს.</i>
II ინფორმანტი	<i>მისი გარემოცვის წარმომადგენლები, პირდაპირ რომ ვთქვათ, მოდგებიან და ანადგურებენ სხვის ბიზნესს.</i>
III ინფორმანტი	<i>მისი გარემოცვის წარმომადგენლები, პირდაპირ რომ ვთქვათ, დგებიან და ანადგურებენ სხვის ბიზნესს.</i>
IV ინფორმანტი	<i>მისი გარემოცვის წარმომადგენლები, პირდაპირ რომ ვთქვათ, დგებიან და ანადგურებენ სხვის ბიზნესს.</i>
V ინფორმანტი	<i>მისი გარემოცვის წარმომადგენლები, პირდაპირ რომ ვთქვათ, დგებიან და ანადგურებენ სხვის ბიზნესს.</i>
VI ინფორმანტი	<i>მისი გარემოცვის წარმომადგენლები, პირდაპირ რომ ვთქვათ, დგებიან და ანადგურებენ სხვის ბიზნესს.</i>
VII ინფორმანტი	<i>მისი გარემოცვის წარმომადგენლები, პირდაპირ რომ ვთქვათ, მიდიან და ანადგურებენ სხვის ბიზნესს.</i>
VIII ინფორმანტი	<i>მისი გარემოცვის წარმომადგენლები, პირდაპირ რომ ვთქვათ, დგებიან და ანადგურებენ სხვის ბიზნესს.</i>
IX ინფორმანტი	<i>მისი გარემოცვის წარმომადგენლები, პირდაპირ რომ ვთქვათ, დგებიან და ანადგურებენ სხვის ბიზნესს.</i>
X ინფორმანტი	<i>მისი გარემოცვის წარმომადგენლები, პირდაპირ რომ ვთქვათ, დგებიან და ანადგურებენ სხვის ბიზნესს.</i>

საანალიზო წინადადებაში იღებს ფორმა აწმყოს მწკრივის III პირის მრავლობითი რიცხვის ფორმითაა მოცემული. როგორც ცხრილი გვიჩვენებს, ინფორმანტების უმრავლესობა ფუნქციური იღებს ფორმის ჩასანაცვლებლად დგება ფუნქციურ

ელემენტს იყენებს შესაბამისი მწკრივისა და პირის ფორმით. გამონაკლისის სახით გვაქვს II და VII ინფორმანტის მიერ მოდგებიან და მიდიან ფორმების გამოყენების შემთხვევები:

- მისი გარემოცვის წარმომადგენლები, პირდაპირ რომ ვთქვათ, მოდგებიან და ანადგურებენ სხვის ბიზნესს.

- მისი გარემოცვის წარმომადგენლები, პირდაპირ რომ ვთქვათ, მიდიან და ანადგურებენ სხვის ბიზნესს.

განვიხილოთ გრამატიკალიზებული ფუნქციური ელემენტი მყოფადის მწკრივის ავილებ ფორმით.

➤ მყოფადი

ცხრილი 4.3.2 ლინგვისტური კომპეტენციის ტესტის შედეგად მიღებული მონაცემები

	<i>ავილებ და ამ თქვენ მურიან სახელს სულ სხვადასხვა ბრუნვაში ვატრიალებ.</i>
I ინფორმანტი	<i>ავდგები და ამ თქვენ მურიან სახელს სულ სხვადასხვა ბრუნვაში ვატრიალებ.</i>
II ინფორმანტი	<i>მოვდგები და ამ თქვენ მურიან სახელს სულ სხვადასხვა ბრუნვაში ვატრიალებ.</i>
III ინფორმანტი	<i>ავდგები და ამ თქვენ მურიან სახელს სულ სხვადასხვა ბრუნვაში ვატრიალებ.</i>
IV ინფორმანტი	<i>ავდგები და ამ თქვენ მურიან სახელს სულ სხვადასხვა ბრუნვაში ვატრიალებ.</i>
V ინფორმანტი	<i>ავდგები და ამ თქვენ მურიან სახელს სულ სხვადასხვა ბრუნვაში ვატრიალებ.</i>
VI ინფორმანტი	<i>ავდგები და ამ თქვენ მურიან სახელს სულ სხვადასხვა ბრუნვაში ვატრიალებ.</i>
VII ინფორმანტი	<i>ავდგები და ამ თქვენ მურიან სახელს სულ სხვადასხვა ბრუნვაში ვატრიალებ.</i>
VIII ინფორმანტი	<i>ავდგები და ამ თქვენ მურიან სახელს სულ სხვადასხვა ბრუნვაში ვატრიალებ.</i>

IX ინფორმანტი	<i>ავდგები და ამ თქვენ მურიან სახელს სულ სხვადასხვა ბრუნვაში ვატრიალებ.</i>
X ინფორმანტი	<i>ავდგები და ამ თქვენ მურიან სახელს სულ სხვადასხვა ბრუნვაში ვატრიალებ.</i>

წარმოდგენილ ცხრილში საანალიზო ფუნქციური იღებს ფორმა მყოფადის მწკრივის I პირის მხოლოდითი რიცხვის ფორმითაა მოცემული. ინფორმანტების აბსოლუტურმა უმრავლესობამ მის ჩასანაცვლებლად ფუნქციური დგება ფორმის მყოფადის მწკრივის ფორმა გამოიყენა, გამონაკლისს წარმოადგენს II ინფორმანტის მიერ მოვდგები ფორმის გამოყენება:

- მოვდგები და ამ თქვენ მურიან სახელს სულ სხვადასხვა ბრუნვაში ვატრიალებ.

➤ წყვეტილი

სტატისტიკური ანალიზი გვიჩვენებს, რომ გრამატიკალიზაციის თვალსაზრისით განსაკუთრებული პროდუქტიულობით გამორჩევა II სერიის წყვეტილის მწკრივის ფორმები. საანალიზოდ წარმოვადგენთ მე-3 პირის მხოლოდითი რიცხვის ფორმას აილო:

ცხრილი 4.3.3 ლინგვისტური კომპეტენციის ტესტის შედეგად მიღებული მონაცემები

	<i>5 წლის განმავლობაში ეძახდნენ კუზიანს, ბოლოს აილო და მოკლა პატრონი.</i>
I ინფორმანტი	<i>5 წლის განმავლობაში ეძახდნენ კუზიანს, ბოლოს ადგა და მოკლა პატრონი.</i>
II ინფორმანტი	<i>5 წლის განმავლობაში ეძახდნენ კუზიანს, ბოლოს ადგა და მოკლა პატრონი.</i>
III ინფორმანტი	<i>5 წლის განმავლობაში ეძახდნენ კუზიანს, ბოლოს ადგა და მოკლა პატრონი.</i>
IV ინფორმანტი	<i>5 წლის განმავლობაში ეძახდნენ კუზიანს, ბოლოს ადგა და მოკლა პატრონი.</i>
V ინფორმანტი	<i>5 წლის განმავლობაში ეძახდნენ კუზიანს, ბოლოს მივიდა და მოკლა პატრონი.</i>

VI ინფორმანტი	<i>5 წლის განმავლობაში ეძახდნენ კუზიანს, ბოლოს ადგა და მოკლა პატრონი.</i>
VII ინფორმანტი	<i>5 წლის განმავლობაში ეძახდნენ კუზიანს, ბოლოს ადგა და მოკლა პატრონი.</i>
VIII ინფორმანტი	<i>5 წლის განმავლობაში ეძახდნენ კუზიანს, ბოლოს ადგა და მოკლა პატრონი.</i>
IX ინფორმანტი	<i>5 წლის განმავლობაში ეძახდნენ კუზიანს, ბოლოს ადგა და მოკლა პატრონი.</i>
X ინფორმანტი	<i>5 წლის განმავლობაში ეძახდნენ კუზიანს, ბოლოს ადგა და მოკლა პატრონი.</i>

ცხრილი გვიჩვენებს, რომ ინფორმანტთა აბსოლუტური უმრავლესობა ფუნქციური აილო ელემენტის ჩასანაცვლებლად ფუნქციურ ადგა ელემენტს იყენებს, გარდა ერთი შემთხვევისა, რომელშიც V ინფორმანტი აილო ფორმას მივიდა ფორმით ანაცვლებს, რომელიც თავის მხრივ, თანამედროვე ქართულში, სავარაუდოდ, გრამატიკალიზაციის პროცესში მყოფი ელემენტია.

- *5 წლის განმავლობაში ეძახდნენ კუზიანს, ბოლოს მივიდა და მოკლა პატრონი.*

➤ II კავშირებითი

შემდეგი გრამატიკალიზებული ფორმა, რომელიც ინფორმანტებს მიეწოდათ, II კავშირებითის მე-3 პირის მხოლოდითი რიცხვის ფორმაა – აილოს. ინფორმანტთა მიერ გადაწერილი წინადადებებს წარმოვადგენთ ქვემოთ მოცემული ცხრილის სახით:

ცხრილი 4.3.4 ლინგვისტური კომპეტენციის ტესტის შედეგად მიღებული მონაცემები

	<i>ჩვენ ქვეშეცნეულად გვჯერა ოქროსი, რომელსაც არ შეუძლია უბრალოდ აილოს და გაუფასურდეს.</i>
I ინფორმანტი	<i>ჩვენ ქვეშეცნეულად გვჯერა ოქროსი, რომელსაც არ შეუძლია უბრალოდ ადგეს და გაუფასურდეს.</i>
II ინფორმანტი	<i>ჩვენ ქვეშეცნეულად გვჯერა ოქროსი, რომელსაც არ შეუძლია უბრალოდ ადგეს და გაუფასურდეს.</i>

III ინფორმანტი	<i>ჩვენ ქვეშეცნეულად გვჯერა ოქროსი, რომელსაც არ შეუძლია უბრალოდ ადგეს და გაუფასურდეს.</i>
IV ინფორმანტი	<i>ჩვენ ქვეშეცნეულად გვჯერა ოქროსი, რომელსაც არ შეუძლია უბრალოდ ადგეს და გაუფასურდეს.</i>
V ინფორმანტი	<i>ჩვენ ქვეშეცნეულად გვჯერა ოქროსი, რომელსაც არ შეუძლია უბრალოდ ადგეს და გაუფასურდეს.</i>
VI ინფორმანტი	<i>ჩვენ ქვეშეცნეულად გვჯერა ოქროსი, რომელსაც არ შეუძლია უბრალოდ ადგეს და გაუფასურდეს.</i>
VII ინფორმანტი	<i>ჩვენ ქვეშეცნეულად გვჯერა ოქროსი, რომელსაც არ შეუძლია უბრალოდ ადგეს და გაუფასურდეს.</i>
VIII ინფორმანტი	<i>ჩვენ ქვეშეცნეულად გვჯერა ოქროსი, რომელსაც არ შეუძლია უბრალოდ ადგეს და გაუფასურდეს.</i>
IX ინფორმანტი	<i>ჩვენ ქვეშეცნეულად გვჯერა ოქროსი, რომელსაც არ შეუძლია უბრალოდ ადგეს და გაუფასურდეს.</i>
X ინფორმანტი	<i>ჩვენ ქვეშეცნეულად გვჯერა ოქროსი, რომელსაც არ შეუძლია უბრალოდ ადგეს და გაუფასურდეს.</i>

ცხრილი გვიჩვენებს, რომ მოცემულ წინადადებაში ყოველმა ინფორმანტმა გრამატიკალიზებული აიღოს ფორმის ჩასანაცვლებლად ფუნქციური დგება ფორმის II კავშირებითის ფორმა გამოიყენა.

➤ I თურმეობითი

იღებს ფორმის ფუნქციურ ელემენტად გამოყენების შემთხვევები გვაქვს მე-3 სერიის ფორმებშიც. საილუსტრაციოდ წარმოვადგენთ I თურმეობითის მწკრივის მე-3 პირის მხოლოდითი რიცხვის ფორმას აუღია.

ცხრილი 4.3.5 ლინგვისტური კომპეტენციის ტესტის შედეგად მიღებული მონაცემები

	<i>ყოფილა სავარაუდო ტრანსფერი „ვულვზმა“ და „სანდერლენდს“ შორის და მაკარტისაც აუღია და პირდაპირ კანისთვის დაურეკია!</i>
I ინფორმანტი	<i>ყოფილა სავარაუდო ტრანსფერი „ვულვზმა“ და „სანდერლენდს“ შორის და მაკარტიც ამდგარა და პირდაპირ კანისთვის დაურეკია!</i>
II ინფორმანტი	<i>ყოფილა სავარაუდო ტრანსფერი „ვულვზმა“ და „სანდერლენდს“ შორის და მაკარტიც ამდგარა და პირდაპირ კანისთვის დაურეკია!</i>
III ინფორმანტი	<i>ყოფილა სავარაუდო ტრანსფერი „ვულვზმა“ და „სანდერლენდს“ შორის და მაკარტიც ამდგარა და პირდაპირ კანისთვის დაურეკია!</i>
IV ინფორმანტი	<i>ყოფილა სავარაუდო ტრანსფერი „ვულვზმა“ და „სანდერლენდს“ შორის და მაკარტიც ამდგარა და პირდაპირ კანისთვის დაურეკია!</i>
V ინფორმანტი	<i>ყოფილა სავარაუდო ტრანსფერი „ვულვზმა“ და „სანდერლენდს“ შორის და მაკარტიც ამდგარა და პირდაპირ კანისთვის დაურეკია!</i>
VI ინფორმანტი	<i>ყოფილა სავარაუდო ტრანსფერი „ვულვზმა“ და „სანდერლენდს“ შორის და მაკარტიც ამდგარა და პირდაპირ კანისთვის დაურეკია!</i>
VII ინფორმანტი	<i>ყოფილა სავარაუდო ტრანსფერი „ვულვზმა“ და „სანდერლენდს“ შორის და მაკარტისაც მისულა და პირდაპირ კანისთვის დაურეკია!</i>
VIII ინფორმანტი	<i>ყოფილა სავარაუდო ტრანსფერი „ვულვზმა“ და „სანდერლენდს“ შორის და მაკარტიც ამდგარა და პირდაპირ კანისთვის დაურეკია!</i>
IX ინფორმანტი	<i>ყოფილა სავარაუდო ტრანსფერი „ვულვზმა“ და „სანდერლენდს“ შორის და მაკარტიც ამდგარა და პირდაპირ კანისთვის დაურეკია!</i>
X ინფორმანტი	<i>ყოფილა სავარაუდო ტრანსფერი „ვულვზმა“ და „სანდერლენდს“ შორის და მაკარტისაც ამდგარა და პირდაპირ კანისთვის დაურეკია!</i>

ცხრილი გვიჩვენებს, რომ უმრავლეს შემთხვევებში ინფორმანტები კვლავ გრამატიკალიზებულ დგება ფორმას იყენებენ ჩასანაცვლებლად, ამასთანავე, ჩანაცვლებისას ისინი ცვლიან წინადადებაში სუბიექტის ბრუნვას, ინფორმანტთა მიერ გადაწერილ წინადადებებში სუბიექტი მაკარტისაც მიცემითი ბრუნვის ნაცვლად სახელობითი ბრუნვის ფორმით მაკარტიც არის მოცემული.

- *მაკარტიც ამდგარა და პირდაპირ კანისთვის დაურეკია!*

როგორც კორპუსულმა კვლევამ გვიჩვენა,¹¹ იღებს ფორმა გრამატიკალიზაციის შუალედურ, სემიგრამატიკალიზაციის, ფაზაში მყოფი ელემენტი და მას ზმნური მორფოსინტაქსური სტრუქტურა და კატეგორიები შენარჩუნებული აქვს, რასაც მოცემული მაგალითიც ადასტურებს.

გამონაკლისის სახით გვაქვს X ინფორმანტის მიერ გადაწერილი წინადადება, რომელმაც მართალია, შეცვალა გრამატიკალიზებული *იღებს* ფორმა, მაგრამ უცვლელად დატოვა სუბიექტის ბრუნვა, რამაც წინადადების სინტაქსურ გაუმართაობა გამოიწვია:

• *ყოფილა სავარაუდო ტრანსფერი „ვულზმა“ და „სანდერლენდს“ შორის და მაკარტისაც ამდგარა და პირდაპირ კანისთვის დაურეკია.*

შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ინფორმანტმა მის მიერ გადაწერილ წინადადებაში *ყოფილა სავარაუდო ტრანსფერი „ვულზმა“ და „სანდერლენდს“ შორის და მაკარტისაც ამდგარა და პირდაპირ კანისთვის დაურეკია* – *ამდგარა და* სინტაქსურად ჩართულად მიიჩნია, სწორედ ამიტომ მან უცვლელად დატოვა სუბიექტის ბრუნვა, რომელიც სინტაქსურ კავშირში შედის არა *ამდგარა* ფორმასთან, არამედ I თურმეობითში მდგომ *დაურეკია* ზმნასთან.

ლინგვისტური კომპეტენციის ტესტის შედეგად მიღებული მონაცემების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ინფორმანტები გრამატიკალიზებული *იღებს* ფორმის ფუნქციურ ეკვივალენტად ზემოთ აღწერილ *დგება* ფორმას მიიჩნევენ, შესაბამისი სერიისა და მწკრივის ფორმის შენარჩუნებით.

რაც შეეხება ფუნქციური *იღებს* ფორმის სემანტიკურ მახასიათებლებს, მიუხედავად იმისა, რომ იგი სტრუქტურული თვალსაზრისით განსხვავდება *დგება* ფორმისგან: *დგება* ერთპირიანი ზმნაა, მოძრაობის გამომხატველი, გარდაუვალი, ხოლო *იღებს* ორპირიანი, გარდამავალი, გრამატიკალიზაციის მიმდინარე საფეხურზე, სემიგრამატიკალიზაციის ეტაპზე, *დგება* და *იღებს* ფორმები ლექსიკურ-სემანტიკური თვალსაზრისით ფუნქციურ ეკვივალენტებს, ე.წ. ფუნქციურ ალოფორმებს, უნდა წარმოადგენდნენ. რაც იმას გულისხმობს, რომ, *დგება* ფორმის მსგავსად, *იღებს*, როგორც გრამატიკალიზებული ელემენტი, მოქმედების დასაწყისის

¹¹ კორპუსული კვლევის შედეგებისთვის იხ. თავი მე-3.

სემანტიკას გადმოსცემს და სწორედ ამ ნიშნით უკავშირდება იგი ჩვენ მიერ ზემოთ განხილულ ინქოატივის კატეგორიას.¹²

საინტერესოა, რომ ინფორმანტებმა ენობრივი კომპეტენციის ტესტში, წინადადებებში, რომლებშიც *იღებს* ფორმა უნდა შეეცვალათ შინაარსობრივად მსგავსი ფორმით, უმეტეს შემთხვევაში ჩასანაცვლებლად *დგება* ფორმის სათანადო სერიისა და მწკრივის ფორმები გამოიყენეს, ხოლო კონტექსტებში, რომლებშიც *დგება* ელემენტის შეცვლას ვთხოვდით ფუნქციური ეკვივალენტით, *იღებს* ფორმით იგი მხოლოდ ცალკეულ შემთხვევებში ჩაანაცვლეს. ვფიქრობთ, გრამატიკალიზაციის მიმდინარე საფეხურზე, *იღებს* და *დგება* ფორმები ფაკულტატიურ ფუნქციურ ალოფორმებად შეგვიძლია მივიჩნიოთ, თუმცა ვინაიდან განხილული ფორმები გრამატიკალიზაციის აქტიურ ფაზაშია, ფუნქციური ალოფორმების ტიპებზე ვრცლად მსჯელობას კვლევის მოცემულ ეტაპზე მიზანშეწონილად არ მივიჩნევთ.

4.4 გრამატიკალიზებული *ჩანს* ფორმის ფუნქციურ-სემანტიკური ნიშნები

შემდეგი ფუნქციური ელემენტი, რომელიც კვლევის ფარგლებში აღვწერეთ და შევისწავლეთ არის *ჩანს* ფორმა. მოცემულ ქვეთავში წარმოვადგენთ *ჩანს* ფორმის ფუნქციურ-სემანტიკური ანალიზის საფუძველზე მიღებულ შედეგებს. გრამატიკალიზებული *ჩანს* ფორმის ფუნქციურ-სემანტიკური ნიშნების გამოსარკვევად გამოვიყენეთ ზემოთ აღწერილი ენობრივი კომპეტენციის ტესტი.

კორპუსულმა კვლევამ გვიჩვენა, რომ *ჩანს* გრამატიკალიზებული სახით დადასტურდა I სერიის აწმყოსა და უწყვეტლისა და II სერიის წყვეტილის მწკრივებში, მათ შორის განსაკუთრებით დიდი რაოდენობით – აწმყოს მწკრივში. ამასთანავე, საკვლევი *ჩანს* ფორმა ფუნქციური ელემენტის სახით გვხდება სხვადასხვა პოზიციაში. შესაბამისად ამისა, ინფორმანტებს მივაწოდეთ წინადადებები, რომლებშიც საკვლევი *ჩანს* ფორმა სხვადასხვა მწკრივის ფორმით არის წარმოდგენილი და წინადადებაში სხვადასხვა პოზიციაში გვხვდება.

¹² ინხოატივის კატეგორიაზე მსჯელობისთვის იხ. გვ. 109.

ტესტის შედეგად მიღებულ მონაცემებს წარმოვადგენთ ქვემოთ მოცემული ცხრილების სახით.

➤ აწმყოს მწრივი

ცხრილი 4.4.1 ლინგვისტური კომპეტენციის ტესტის შედეგად მიღებული მონაცემები

	<i>ჩანს, მატარებლის მოსვლის დროც კარგად იცოდა და ამგვარ საქმეზეც არ იყო პირველად.</i>
I ინფორმანტი	<i>ეტყობოდა, მატარებლის მოსვლის დროც კარგად იცოდა და ამგვარ საქმეზეც არ იყო პირველად.</i>
II ინფორმანტი	<i>როგორც ვხედავ, მატარებლის მოსვლის დროც კარგად იცოდა და ამგვარ საქმეზეც არ იყო პირველად.</i>
III ინფორმანტი	<i>ეტყობა, მატარებლის მოსვლის დროც კარგად იცოდა და ამგვარ საქმეზეც არ იყო პირველად.</i>
IV ინფორმანტი	<i>ალბათ, მატარებლის მოსვლის დროც კარგად იცოდა და ამგვარ საქმეზეც არ იყო პირველად.</i>
V ინფორმანტი	<i>შეიძლება, მატარებლის მოსვლის დროც კარგად იცოდა, ამგვარ საქმეზეც არ იქნებოდა პირველად.</i>
VI ინფორმანტი	<i>ალბათ, მატარებლის მოსვლის დროც კარგად იცოდა და ამგვარ საქმეზეც არ იყო პირველად.</i>
VII ინფორმანტი	<i>აშკარაა, მატარებლის მოსვლის დროც კარგად იცოდა და ამგვარ საქმეზეც არ იყო პირველად.</i>
VIII ინფორმანტი	<i>ეტყობა, მატარებლის მოსვლის დროც კარგად იცოდა და ამგვარ საქმეზეც არ იყო პირველად.</i>
IX ინფორმანტი	<i>აშკარაა, მატარებლის მოსვლის დროც კარგად იცოდა და ამგვარ საქმეზეც არ იყო პირველად.</i>
X ინფორმანტი	<i>აშკარა იყო, მატარებლის მოსვლის დროც კარგად იცოდა და ამგვარ საქმეზეც არ იყო პირველად.</i>

საანალიზო წინადადებაში გრამატიკალიზებული ჩანს ფორმა წინადადების საწყის პოზიციაშია წარმოდგენილი, მის ჩასანაცვლებლად ინფორმანტები შემდეგ

ენობრივ ერთეულებს იყენებენ: *ეტყობოდა; ეტყობა; როგორც ვხედავ; ალბათ; შეიძლება; აშკარაა; აშკარა იყო.*

სემანტიკური თვალსაზრისით, *ჩანს* კოგნიტიური აღქმის ზმნაა, მის ჩასანაცვლებლად ინფორმანტებმა მსგავსი შინაარსის მქონე კოგნიტიური აღქმის ზმნები გამოიყენეს: *ეტყობოდა; ეტყობა; როგორც ვხედავ, აშკარაა; აშკარა იყო* ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ საანალიზო წინადადებაში *ჩანს* ენობრივი ერთეული აწმყოს მწკრივის ფორმითაა წარმოდგენილი, იმავე წინადადებაში მოცემული ორივე პრედიკატი კი წარსული დროის ფორმით არის წარმოდგენილი – *იცოდა; იყო.* წინადადებების გადაწერისას ინფორმანტები ჩასანაცვლებელ ფორმად იყენებენ როგორც წარსული დროის *ეტყობოდა; აშკარა იყო*, ისე ახლანდელი დროის ფორმებს – *ეტყობა; აშკარაა.*

• *ჩანს*, მატარებლის მოსვლის დროც კარგად იცოდა და ამგვარ საქმეზეც არ იყო პირველად.

• *ეტყობოდა*, მატარებლის მოსვლის დროც კარგად იცოდა და ამგვარ საქმეზეც არ იყო პირველად.

• *აშკარა იყო*, მატარებლის მოსვლის დროც კარგად იცოდა და ამგვარ საქმეზეც არ იყო პირველად.

• *ეტყობა*, მატარებლის მოსვლის დროც კარგად იცოდა და ამგვარ საქმეზეც არ იყო პირველად.

• *აშკარაა*, მატარებლის მოსვლის დროც კარგად იცოდა და ამგვარ საქმეზეც არ იყო პირველად.

გრამატიკალიზებული *ჩანს* ფორმის ჩასანაცვლებლად როგორც აწმყოს, ისე წარსულის მწკრივის ფორმების გამოყენება ნიშანია იმისა, რომ *ჩანს* ფორმა სემიგრამატიკალიზაციის, ანუ გრამატიკალიზაციის, აქტიურ ფაზაში მყოფი ფორმაა და დროის გაგება შენარჩუნებული აქვს.

განვიხილოთ საანალიზო *ჩანს* ფორმა რთულ თანწყობილ წინადადებაში:

	<i>მე მოვრჩი, ჩანს, ჩემმა მაგალითმა სხვები წაახალისა.</i>
I ინფორმანტი	<i>მე მოვრჩი, აშკარაა, ჩემმა მაგალითმა სხვები წაახალისა.</i>
II ინფორმანტი	<i>მე მოვრჩი, ვხედავ, ჩემმა მაგალითმა სხვები წაახალისა.</i>
III ინფორმანტი	<i>მე მოვრჩი და ჩემმა მაგალითმა სხვები წაახალისა.</i>
IV ინფორმანტი	<i>მე მოვრჩი, ვიმედოვნებ, ჩემმა მაგალითმა სხვები წაახალისა.</i>
V ინფორმანტი	<i>მე მოვრჩი, შევამჩნიე, ჩემმა მაგალითმა სხვები წაახალისა.</i>
VI ინფორმანტი	<i>მე მოვრჩი, ცხადია, ჩემმა მაგალითმა სხვები წაახალისა.</i>
VII ინფორმანტი	<i>მე მოვრჩი, თვალსაჩინოა, ჩემმა მაგალითმა სხვები წაახალისა.</i>
VIII ინფორმანტი	<i>მე მოვრჩი, ვფიქრობ, ჩემმა მაგალითმა სხვები წაახალისა.</i>
IX ინფორმანტი	<i>მე მოვრჩი, თვალსაჩინოა, ჩემმა მაგალითმა სხვები წაახალისა.</i>
X ინფორმანტი	<i>მე მოვრჩი, ვფიქრობ, ჩემმა მაგალითმა სხვები წაახალისა.</i>

საანალიზო წინადადებაში გრამატიკალიზებული *ჩანს* ფორმა რთულ თანწყობილ წინადადებაში წინადადებათა გასაყარზეა მოცემული. ინფორმანტები მის ჩასანაცვლებლად შემდეგ ენობრივ ერთეულებს იყენებენ: *აშკარაა; ვხედავ; ვიმედოვნებ; შევამჩნიე; ცხადია; თვალსაჩინოა; ვფიქრობ*. წინადადებაზე დაკვირვება გვაჩვენებს, რომ *ჩანს* გრამატიკალიზებული ერთეულის ჩასანაცვლებლად გამოყენებული ენობრივი ერთეულების შერჩევას, ინფორმანტები მთლიანი წინადადების სემანტიკას ეყრდნობიან, გრამატიკალიზებული *ჩანს* ერთეულის ფუნქციად კი მთქმელის მოდალობის გამოხატვას მიიჩნევენ მთლიანად წინადადებით გადმოცემული შინაარსისადმი.

ქვემოთ მოცემულ წინადადებაში ჩანაცვლებული ზმნები მიგვანიშნებენ, რომ ინფორმანტებისთვის საანალიზო *ჩანს* ფორმა გამოხატავს სუბიექტურ დამოკიდებულებას რეალურად მომხდარი ფაქტისადმი, რომელსაც ის წარმოადგენს

როგორც აშკარასა და უდავოს და ეფუძება ინფორმანტის ვიზუალურ აღქმას, პერცეფციას:

- მე მოვრჩი, აშკარაა, ჩემმა მაგალითმა სხვები წაახალისა.
- მე მოვრჩი, ცხადია, ჩემმა მაგალითმა სხვები წაახალისა.
- მე მოვრჩი, თვალსაჩინოა, ჩემმა მაგალითმა სხვები წაახალისა.

წინადადებებში, რომლებშიც ინფორმანტებმა ჩანს ფორმის ჩასანაცვლებლად გამოიყენეს ვიმედოვნებ; ვფიქრობ ენობრივი ერთეულები, მათი სუბიექტური დამოკიდებულება წინადადებით გადმოცემული პროპოზიციისადმი წარმოადგინეს არა როგორც აშკარა და უდავო ფაქტი, არამედ როგორც მთქმელის სურვილი, მისი ვარაუდი:

- მე მოვრჩი, ვიმედოვნებ, ჩემმა მაგალითმა სხვები წაახალისა.
- მე მოვრჩი, ვფიქრობ, ჩემმა მაგალითმა სხვები წაახალისა.

კვლევის საწყისი ეტაპიდანვე განსაკუთრებით საინტერესოდ მიმდევრობა {როგორც ჩანს} მიიჩნეოდა, ვინაიდან ზეპირმეტყველებაში მისი გამოყენების სიხშირე განსაკუთრებით მაღალია. განვიხილოთ მიმდევრობა როგორც ჩანს.

ცხრილი 4.4.3 ლინგვისტური კომპეტენციის ტესტის შედეგად მიღებული მონაცემები

	<i>ცხოვრება წინ არის და, როგორც ჩანს, არც ორმოცდაათი წელია ბევრი.</i>
I ინფორმანტი	<i>ცხოვრება წინ არის და, ეტყობა, არც ორმოცდაათი წელია ბევრი.</i>
II ინფორმანტი	<i>ცხოვრება წინ არის და, ვგრძნობ, არც ორმოცდაათი წელია ბევრი.</i>
III ინფორმანტი	<i>ცხოვრება წინ არის და, დარწმუნებული ვარ, არც ორმოცდაათი წელია ბევრი.</i>
IV ინფორმანტი	<i>ცხოვრება წინ არის და, ფაქტია, არც ორმოცდაათი წელია ბევრი.</i>
V ინფორმანტი	<i>ორმოცდაათი წელი არც ისე ბევრია, რადგან ცხოვრება ისევ წინ არის.</i>
VI ინფორმანტი	<i>ორმოცდაათი წელი არც ისე ბევრია, ვფიქრობ, ცხოვრება ისევ წინ არის.</i>

VII ინფორმანტი	<i>ცხოვრება წინ არის და, როგორც აღმოჩნდა, არც ორმოცდაათი წელია ბევრი.</i>
VIII ინფორმანტი	<i>ცხოვრება წინ არის და, როგორც იკვეთება, არც ორმოცდაათი წელია ბევრი</i>
IX ინფორმანტი	<i>ცხოვრება წინ არის და, როგორც აღმოჩნდა, არც ორმოცდაათი წელია ბევრი.</i>
X ინფორმანტი	<i>ცხოვრება წინ არის და, მგონი, არც ორმოცდაათი წელია ბევრი.</i>

კორპუსული კვლევის შედეგები გვიჩვენებს, რომ *[[როგორც] + [ჩანს]]* მიმდევრობა ქართული ენის ეროვნულ კორპუსში წარმოდგენილ კონტექსტთა უმეტეს ნაწილში გრამატიკალიზებულია, შესაბამისად ამისა, კვლევის პროცესში განსაკუთრებით საინტერესო იყო საკუთრივ მასთან დაკავშირებული სემანტიკური ნიშნები.

ლინგვისტური კომპეტენციის ტესტში *როგორც ჩანს* გრამატიკალიზებული მიმდევრობის ჩასანაცვლებლად ინფორმანტებმა შემდეგი ენობრივი ერთეულები გამოიყენეს: *ეტყობა; ვგრძნობ; დარწმუნებული ვარ; ფაქტია; ვფიქრობ; როგორც აღმოჩნდა; როგორც იკვეთება; მგონი*. საყურადღებოა V ინფორმანტის მიერ გადაწერილი წინადადება:

- *ორმოცდაათი წელი არც ისე ბევრია, რადგან ცხოვრება ისევ წინ არის.*

განხილულ კონტექსტში *ჩანს* ერთეული ლოგიკურად განპირობებული ვარაუდის სემანტიკას გადმოსცემს, პერიფრაზირებისას ინფორმანტმა შეცვალა როგორც წინადადების სინტაქსური წყობა, ასევე, მან გაანულა მოდალობის გამომხატველი ერთეული და სანაცვლოდ, გადაწერა წინადადება მტკიცების სახით. შედეგად, ინფორმანტის მიერ პერიფრაზირებული წინადადება ნაცვლად მთქმელის მოდალობისა, მიზეზშედეგობრივ კავშირსა და მასზე დამყარებულ დასკვნით დებულებას გადმოსცემს.

განხილული მაგალითის საფუძველზე უნდა დავასკვნათ, რომ *ჩანს* როგორც მოდალობის, მოცემულ შემთხვევაში, ლოგიკურად განპირობებული ვარაუდის, გამომხატველი ძლიერი ელემენტია, იგი იმდენად ძლიერია, რომ პერიფრაზირებისას

ინფორმანტი ნაცვლად მსგავსი ფუნქციური შესატყვისით ჩანაცვლებისა, მთლიან წინადადებას მტკიცების, მიზეზშედეგობრივი დებულების სახით გადაწერს.

➤ უწყვეტლის მწკრივი

ცხრილი 4.4.4 ლინგვისტური კომპეტენციის ტესტის შედეგად მიღებული მონაცემები

	<i>დირექტორს სახელით იხსენიებდა, ჩანდა, ძველი ნაცნობი იყო.</i>
I ინფორმანტი	<i>დირექტორს სახელით იხსენიებდა, აშკარაა, ძველი ნაცნობი იყო.</i>
II ინფორმანტი	<i>დირექტორს სახელით იხსენიებდა, ალბათ, ძველი ნაცნობი იყო.</i>
III ინფორმანტი	<i>დირექტორს სახელით იხსენიებდა, ცხადია, ძველი ნაცნობი იყო.</i>
IV ინფორმანტი	<i>დირექტორს სახელით იხსენიებდა, ეტყობოდა, ძველი ნაცნობი იყო.</i>
V ინფორმანტი	<i>დირექტორს სახელით იხსენიებდა, ეტყობოდა, ძველი ნაცნობი იყო.</i>
VI ინფორმანტი	<i>დირექტორს სახელით იხსენიებდა, ცხადი იყო, ძველი ნაცნობი იყო.</i>
VII ინფორმანტი	<i>დირექტორს სახელით იხსენიებდა, ეტყობოდა, ძველი ნაცნობი იყო.</i>
VIII ინფორმანტი	<i>დირექტორს სახელით იხსენიებდა, ალბათ, ძველი ნაცნობი იყო.</i>
IX ინფორმანტი	<i>დირექტორს სახელით იხსენიებდა, ცხადი იყო, ძველი ნაცნობი იყო.</i>
X ინფორმანტი	<i>დირექტორს სახელით იხსენიებდა, ეტყობოდა, ძველი ნაცნობი იყო.</i>

საანალიზო წინადადებაში გრამატიკალიზებული ჩანდა ფორმის ჩასანაცვლებლად ინფორმანტები შემდეგ ენობრივ ერთეულებს იყენებენ: *აშკარაა, ალბათ, ცხადია, ეტყობოდა, ცხადი იყო*. ჩასანაცვლებლად გამოყენებული ენობრივი

ფორმები – *აშკარაა; ცხადია; ცხადი იყო* – გამოხატავს ინფორმანტთა სუბიექტურ დამოკიდებულებას წინადადებით გადმოცემული მოქმედებისადმი და წარმოგვიდგენს მას, როგორც ცხადსა და თვალნათლივ მოქმედებას, დაფუძნებულს ვიზუალური აღქმის უტყუარობაზე, შემდეგ წინადადებებში:

- *დირექტორს სახელით იხსენიებდა, აშკარაა, ძველი ნაცნობი იყო.*
- *დირექტორს სახელით იხსენიებდა, ცხადია, ძველი ნაცნობი იყო.*
- *დირექტორს სახელით იხსენიებდა, ცხადი იყო, ძველი ნაცნობი იყო.*

ინფორმანტთა ნაწილი ჩასანაცვლებლად შემდეგ ფორმებს იყენებს: *ეტყობოდა; ალბათ*. საანალიზო ფორმის ამ ენობრივი ერთეულებით ჩანაცვლებისას ინფორმანტები წარმოაჩენენ თავიანთ დამოკიდებულებას წინადადებით გადმოცემული მოქმედებისადმი, არა როგორც ცხადსა და თვალნათლივს ქმედებას, არამედ როგორც ვარაუდს.

- *დირექტორს სახელით იხსენიებდა, ეტყობოდა, ძველი ნაცნობი იყო.*
- *დირექტორს სახელით იხსენიებდა, ალბათ, ძველი ნაცნობი იყო.*

საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ ინფორმანტები უწყვეტლის მწკრივში მდგომი ჩანდა საანალიზო ფორმის ჩასანაცვლებლად იყენებენ როგორც უწყვეტლის მწკრივში მდგომ ენობრივ ფორმებს, ისე აწმყოს მწკრივის ფორმებსაც.

➤ წყვეტილი

ცხრილი 4.4.5 ლინგვისტური კომპეტენციის ტესტის შედეგად მიღებული მონაცემები

	<i>როგორც გამოჩნდა, სალაპარაკო მართლაც რომ ბევრი დაგვიგროვდა.</i>
I ინფორმანტი	<i>როგორც ვატყობ, სალაპარაკო მართლაც რომ ბევრი დაგვიგროვდა.</i>
II ინფორმანტი	<i>როგორც შევატყვე, სალაპარაკო მართლაც რომ ბევრი დაგვიგროვდა.</i>
III ინფორმანტი	<i>როგორც ვხედავ, სალაპარაკო მართლაც რომ ბევრი დაგვიგროვდა.</i>
IV ინფორმანტი	<i>როგორც ვხედავ, სალაპარაკო მართლაც რომ ბევრი დაგვიგროვდა.</i>

V ინფორმანტი	<i>როგორც შევატყვე, სალაპარაკო მართლაც რომ ბევრი დაგვიგროვდა.</i>
VI ინფორმანტი	<i>როგორც შევატყვე, სალაპარაკო მართლაც რომ ბევრი დაგვიგროვდა.</i>
VII ინფორმანტი	<i>როგორც დავინახე, სალაპარაკო მართლაც რომ ბევრი დაგვიგროვდა.</i>
VIII ინფორმანტი	<i>როგორც დავინახე, სალაპარაკო მართლაც რომ ბევრი დაგვიგროვდა.</i>
IX ინფორმანტი	<i>როგორც შევატყვე სალაპარაკო მართლაც რომ ბევრი დაგვიგროვდა.</i>
X ინფორმანტი	<i>როგორც შევატყვე, სალაპარაკო მართლაც რომ ბევრი დაგვიგროვდა.</i>

საანალიზო დავინახე ფორმის ჩასანაცვლებლად ინფორმანტებმა შემდეგი ფორმები გამოიყენეს: *კატყობ; გამოჩნდა; შევატყვე; ვხედავ; დავინახე*. ინფორმანტთა მიერ ჩამოთვლილ ფორმათა ჩასანაცვლებლად გამოყენება გვიჩვენებს, რომ ისინი *გამოჩნდა* საანალიზო ფორმის ფუნქციად მიიჩნევენ წინადადებით გადმოცემული მოქმედებისადმი თავიანთი სუბიექტური დამოკიდებულების გამოხატვას. აღსანიშნავია ისიც, რომ ზემოთ განხილულ წინადადებათა მსგავსად, ამ შემთხვევაშიც ინფორმანტები ჩასანაცვლებლად იყენებენ როგორც აწმყოს, ისე წყვეტილის მწკრივის ფორმებს.

ლინგვისტური კომპეტენციის ტესტის ანალიზი შედეგებს თუ შევაჯამებთ, დავინახავთ, რომ გრამატიკალიზებული *ჩანს* ფორმის უმთავრესი ფუნქცია არის მთქმელის **გარკვეული მოდალობის გამოხატვა** წინადადებით გადმოცემული მოქმედების მიმართ, რასაც ინფორმანტთა მიერ ჩასანაცვლებლად გამოყენებული ენობრივი ერთეულები მოწმობს. აღსანიშნავია ისიც, რომ მოდალური ელემენტის ფუნქციით ზმნური ფორმებს გამოყენება ქართული ენისთვის უცხო მოვლენა არ არის. „ნაზმნარი ფორმების გამოყენება მოდალური ელემენტების დანიშნულებით ქართულში არაიშვიათი მოვლენაა. ზმნურ ფორმათა და შესიტყვებათა ქცევა ნაწილაკად, კავშირად, შორისდებულად შესაძლებელია თვით ამ ზმნათა ამოსავალი

სემანტიკისა და სინტაქსური კონსტრუქციის თავისებურების საფუძველზე. როდესაც ზმნური ფორმები კარგავენ ზმნურ ნიშნებს და მოდალურ ელემენტებად იქცევიან, ისინი განსხვავდებიან ამოსავალი პირიანი ზმნებისგან სინტაქსური და მორფოლოგიური თავისებურებებით, ხშირად კი ფონეტიკური ცვეთის შედეგად – ფორმითაც (ჭუმბურიძე, 2016, გვ. 154).

„გრამატიკალიზაციის პროცესი მნიშვნელოვანია როგორც მორფოლოგიური სტრუქტურის ჩამოყალიბებისთვის, ასევე სემანტიკურ სტრუქტურებსაც ეხება და იგი დიდ როლს ასრულებს ისეთი სემანტიკური კატეგორიის წარმოებაში, როგორიცაა მოდალობის კატეგორია. მოდალობის კატეგორია უნივერსალურ კატეგორიად არის მიჩნეული და ენებში გამოხატვის განსხვავებული საშუალებებითა და სისტემებით ვლინდება. მოდალობა ესაა გამონათქვამისადმი მთქმელის, მოლაპარაკის დამოკიდებულების ენობრივი საშუალებებით გადმოცემა, რაც გულისხმობს ნათქვამში შემეცნებითი (კოგნიტიური), ემოციური თუ ნება-სურვილის შინაარსის გარკვეული ენობრივი ფორმით გამოვლენას (შარაშენიძე, 2020, გვ. 15)

მოდალობა უნივერსალური კატეგორიაა და მისი გამოხატვა სხვადასხვა ენაში სხვადასხვა საშუალებით ხდება. მოდალობის კატეგორიის ერთ-ერთი თვალსაჩინო მკვლევარი, პალმერი, მოდალობას გრამატიკულ-სემანტიკური კატეგორიად მიიჩნევს და ხაზს უსვამს ერთი და იმავე ფორმით სხვადასხვა მოდალობის გადმოცემის შესაძლებლობას, რასაც წინადადება, ტექსტი ან დისკურსიც კი შეიძლება განაპირობებდეს (პალმერი, 1990, გვ. 1). მოდალობის შესახებ არაერთი თანამედროვე კვლევა გხვდება, განსხვავებებს ვაწყდებით კატეგორიის შიგნით არსებული ძირითადი ტერმინოლოგიის განსაზღვრის თვალსაზრისით. პირველი რიგის ტერმინებად გამოიყოფა ეპისტემური და დეონტური მოდალობები. ეპისტემური მოდალობა მთქმელის ცოდნასა და რწმენას გამოხატავს, დეონტური მოდალობა კი გულისხმობს შინაარსს, რომელშიც სუბიექტი ასრულებს მოქმედებას და ეს მოქმედება განპირობებულია მოლაპარაკის სურვილით ან სხვა სპეციფიკური მოთხოვნით.

ჩანს ფუნქციური ელემენტის მოდალობის ტიპის განსაზღვრისას ნაშრომში ვეყრდნობით მინდტის მიერ შემოთავაზებული მოდალობების ჩამონათვალს.

სურათი 4.4.1 მოდალობათა ტიპები

<p style="text-align: center;">Mindt (1998) (Mindt, Dieter, An empirical grammar of the English verb: modal verbs, Berlin: Cornelson, 1998)</p>	possibility / high probability შესაძლებლობა / დიდი ალბათობა
	certainty / prediction უეჭველობა / ვარაუდი
	Ability უნარი
	hypothetical event / result სავარაუდო მოვლენა / შედეგი
	habit ჩვეულება
	inference / deduction დასკვნა / დედუქცია
	obligation ვალდებულება-მოვალეობა
	advisability / desirability მიზანშეწონილობა / სასურველობა
	volition / intention სურვილი / განზრახვა
	intention განზრახვა
	politeness / downtoning თავაზიანობა / უხეშობა (ვულგარიზმი)
	consent თანხმობა
	state in the past წარსული მდგომარეობა
	permission ნებართვა
	courage გამხნევება
regulation / prescription რეგულაცია-მონერირება /	
disrespect / insolence უპატივცემულობა-უხეშობა / ქედმაღლობა-ამპარტავნობა	

ლინგვისტური კომპეტენციის ტესტში ჩანს ფორმის ჩასანაცვლებლად გამოყენებულ ენობრივ ერთეულებზე დაკვირვება გამოკვეთს, რომ ჩანს გრამატიკალიზებულ ერთეულთან დაკავშირებული მოდალობები უეჭველობა/ ვარაუდის სემანტიკურ კატეგორიაში ერთიანდება, რაც, თავის მხრივ, ეპისტემური მოდალობის ქვეკატეგორიას წარმოადგენს. ამასთან, თითოეულ ჯგუფში გამოიყოფა უფრო დაკონკრეტებული ქვეჯგუფები, რომელთაც ერთმანეთისაგან მცირე სემანტიკური ნიუანსები განასხვავებთ.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოვადგენთ ჩანს ფუნქციურ ელემენტს, სხვადასხვა კონტექსტში მის ჩასანაცვლებლად გამოყენებული ერთეულებისა და სათანადო მოდალობების მითითებით, რითაც ერთმანეთისგან გაიმიჯნება ჩანს ფუნქციური ელემენტისთვის ვარაუდის ტიპებს შორის არსებული მცირე სემანტიკური განსხვავებანი.

ცხრილი 4.4.6 ჩანს მოდალური ფორმის სემანტიკური ჯგუფები

გრამატიკალიზებული ერთეული	ჩამნაცვლებელი ერთეული	მოდალური ფორმის სემანტიკა
ჩანს	ეტყობა, ეტყობოდა	ლოგიკურად განპირობებული ვარაუდი
ჩანს	როგორც ვხედავ, ვხედავ, თვალსაჩინოა, შევამჩნიე	ვიზუალურ აღქმაზე დაფუძნებული ვარაუდი
ჩანს	შეიძლება, ვფიქრობ, ალბათ, მგონი	პირად მსჯელობაზე დაფუძნებული ვარაუდი
ჩანს	ვგრძნობ, ვიმედოვნებ	პირად განცდაზე დაფუძნებული ვარაუდი
ჩანს	როგორც აღმოჩნდა, როგორც იკვეთება	მიზეზშედეგობრივ მსჯელობაზე დაფუძნებული ვარაუდი
ჩანს	დარწმუნებული ვარ, ფაქტია, ცხადია, აშკარაა, აშკარა იყო	პირად აღქმაზე დაფუძნებული ვარაუდი

4.5 შემაჯამებელი დებულებები

ნაშრომის მოცემული ქვეთავის მიზანს საკვლევ ერთეულთა ფუნქციურ-სემანტიკური ნიშნების კვლევა და მასზე დაყრდნობით სემანტიკური ჯგუფებისა და ქვეჯგუფების გამოყოფა, დისკურსში მათი როლის განსაზღვრა წარმოადგენდა. ჩატარებული კვლევის შედეგები გვიჩვენებს, რომ გრამატიკალიზაციის პროცესში მყოფი *დგება*, *იღებს*, *ჩანს* ფუნქციური ელემენტები სხვადასხვა სემანტიკური ფუნქციის გამომხატველია თანამედროვე ქართულ ენაში.

გრამატიკალიზებული *დგება* ელემენტის ფუნქცია მოქმედების დასაწყისის სემანტიკის გამოხატვაა, იგი არ აკონკრეტებს მოქმედების დასაწყისთან დაკავშირებულ მოდალობას. *დგება*, როგორც ფუნქციური ელემენტი, წინადადებაში მოქმედების დასაწყისის სემანტიკის მატარებელია, ხოლო იმას, თუ რა სახისაა მოქმედება, წინადადებაში მოცემული ზმნა ანუ პრედიკატი აზუსტებს. სწორედ ამ თვალსაზრისით ფუნქციური *დგება* ელემენტი უკავშირდება *დგება* ზმნური ფორმისთვის მახასიათებელ ინქოატივის ანუ დაწყებითობის კატეგორიას. *დგება*, როგორც მოქმედების გამომხატველი, მასტიმულირებელი ზმნა, ფუნქციურ ელემენტად ქცევის შემდეგაც ინარჩუნებს კავშირს მის პირვანდელ, ზმნურ მახასიათებლებთან და ფუნქციურ ელემენტად ქცეული მოქმედების დაწყების სემანტიკას გამოხატავს.

გრამატიკალიზებული ფუნქციური ელემენტი *იღებს* ფუნქციურ-სემანტიკური თვალსაზრისით *დგება* ელემენტის ეკვივალენტურია. დისკურსში მისი, როგორც გრამატიკალიზებული ელემენტის, ფუნქცია მოქმედების დასაწყისის გამოხატვაა. გრამატიკალიზებული, ფუნქციურ ელემენტად ქცეული *იღებს* ფორმა წინადადებაში მოქმედების დასაწყისის სემანტიკას გამოხატავს და სწორედ ამ ნიშნით უკავშირდება იგი *დგება* ფუნქციური ელემენტისთვის მახასიათებელ ინქოატივის კატეგორიას.

ამასთანავე, ენობრივი კომპეტენციის ტესტის შედეგების ანალიზი გვიჩვენებს, რომ გრამატიკალიზაციის მიმდინარე, სემიგრამატიკალიზაციის, საფეხურზე *იღებს* და *დგება* ფორმები ფაკულტატიურ ფუნქციურ ალოფორმებად შეგვიძლია მივიჩნიოთ.

რაც შეეხება გრამატიკალიზებულ *ჩანს* ელემენტს, იგი მოდალური ელემენტია, კერძოდ კი, გამოხატავს ეპისტემური მოდალობის უეჭველობა/ვარაუდის სემანტიკურ ჯგუფს. ლინგვისტური კომპეტენციის ტესტის შედეგად მიღებული მონაცემების ანალიზი გვიჩვენებს, რომ საკვლევი *ჩანს* მოდალური ელემენტი უეჭველობა/ვარაუდის სემანტიკურ ჯგუფში ერთიანდება, თუმცა, ამავდროულად, გამოიყოფა მცირე სემანტიკური ნიუანსებით განსხვავებული უფრო დეტალიზებული ქვეჯგუფები, რომლებიც ჩვენს მიერ არის გამოყოფილი და სახელდებული.

5. გრამატიკალიზებულ ელემენტებთან დაკავშირებული სირთულეები კომპიუტერულ ლინგვისტიკაში

5.1 ფუნქციური ელემენტებით განპირობებული ომონიმია კორპუსში

ლინგვისტიკას, როგორც ენის შემსწავლელ მეცნიერებას, გარდა წმინდა სამეცნიერო შესაძლებლობებისა, გააჩნია თანამედროვე ცხოვრების განუყოფელი ნაწილის, ტექნოლოგიური პროგრესისთვის საჭირო რესურსების შექმნისა და დახვეწის პოტენციალი. ვინაიდან ენა (იგივე, ვერბალური კომუნიკაცია) ადამიანისათვის საბაზისო საკომუნიკაციო საშუალებაა და ყოველი სხვა საკომუნიკაციო სისტემა არსებითად მასზეა დაფუძნებული, ენობრივი სისტემის სრულფასოვანი ანალიზი როგორც ფონოლოგიურ, მორფოლოგიურ თუ სინტაქსურ, ისე სემანტიკურ თუ პრაგმატიკულ დონეებზე არის ენობრივ სისტემაზე დამყარებული ტექნოლოგიური ინსტრუმენტების შექმნისა და განვითარების აუცილებელი წინაპირობა.

თანამედროვე ენათმეცნიერება წარმოუდგენელია დიგიტალური მეთოდების გარეშე, ენობრივი მონაცემების დიგიტალური მეთოდებით დამუშავების შედეგად მიღებულ ინტერდისციპლინურ სამეცნიერო პროდუქტებს შორის კი ერთ-ერთ მნიშვნელოვან ადგილს ენობრივი კორპუსი იკავებს. ფუნქციური ელემენტები განსაკუთრებულ სირთულეებს სწორედ ენის დიგიტალური მეთოდებით დამუშავების დროს წარმოქმნიან, კერძოდ, კორპუსლინგვისტიკასა და ავტომატური თარგმნისათვის გამოყენებულ მექანიზმებში.

დღეს უკვე აღარ კამათობენ ენის კომპიუტერული მეთოდებით დამუშავების მნიშვნელობაზე – 21-ე საუკუნეში ენათმეცნიერთა ძალისხმევა სწორედ ენობრივი მასალის დიგიტალიზაციისკენ, ხელოვნური ინტელექტის შექმნისა და გაუმჯობესებისკენ არის მიმართული. ენობრივი კორპუსის ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა ენობრივ ფორმათა ანალიზი ენობრივი სტრუქტურის სხვადასხვა დონეზე, რაც ანალიზატორის საშუალებით ხორციელდება. ანალიზატორის სრულფასოვანი ფუნქციონირებისთვის საჭიროა ავტომატურმა პროგრამამ სწორად ამოიცნოს ენობრივ ბაზაში არსებული ყოველი ცალკეული ტოკენი და შეძლოს მათი სწორად

კვალიფიკაცია და მარკირება. ამისთვის კი აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს ენობრივი სისტემის სრულფასოვანი ანალიზი ენის ფუნქციონირების ყოველ დონეზე. მიუხედავად იმისა, რომ დღეისათვის ქართული ენის ეროვნული კორპუსის (GNC) მონაცემთა ბაზა 2 მილიონ ტოკენს აჭარბებს, რაც რაოდენობრივი თვალსაზრისით მეტად სანდო მონაცემს წარმოადგენს, ეროვნული კორპუსის ანალიზატორის პროგრამას არ აქვს იმგვარი ალგორითმი, რომელიც ფუნქციური ელემენტების სხვა პარადიგმატულ კლასს მიკუთვნებული ელემენტებისაგან გამიჯვნას შეძლებს. სწორედ ამიტომ, კორპუსში წარმოიქმნება ომონიმის პრობლემა და რთულდება ორაზროვნების მოხსნის საკითხი.

მოცემულ თავში განვიხილავთ ფუნქციური ელემენტებით განპირობებული ომონიმის საკითხს ქართული ენის ეროვნულ კორპუსში და წარმოვადგენთ კორპუსული ანალიზის კვლევის შედეგებზე დაყრდნობით შემუშავებულ კომბინატორულ წესებს, რომელთა ალგორითმის სახით გადაწერაც, ვფიქრობთ, დაეხმარება კორპუსის ანალიზატორის პროგრამას საკვლევ ერთეულებთან დაკავშირებული ომონიმის მოხსნის საკითხში. ამასთანავე, მოცემულ თავში აღვწერთ საკვლევ ფუნქციურ ელემენტებთან დაკავშირებულ სირთულეებს ავტომატური თარგმნისთვის განკუთვნილ მექანიზმებში Google translate-ის მაგალითზე.

რას ვგულისხმობთ, როცა ვამბობთ, რომ ფუნქციური ელემენტები განსაკუთრებულ სირთულეებს, კერძოდ კი ომონიმის პრობლემას, წარმოქმნიან ავტომატური ანოტირებისთვის გამიზნულ პროგრამებში? ომონიმია ლინგვისტიკაში კარგად ცნობილი მოვლენაა, რაც შემდეგს გულისხმობს, ერთსა და იმავე ენობრივ ფორმას სხვადასხვა მნიშვნელობა უკავშირდება და მიუხედავად იდენტური ფორმისა, განსხვავდება ამ ფორმით გადმოცემული შინაარსი. ომონიმთა ტრადიციული განმარტების მიხედვით:

*ომონიმი(/ომონიმისა) [ბერძ. *homos* ერთნაირი და *onyma* სახელი] ლინგვ.*

სიტყვა, რომელიც ბგერითი შემადგენლობით ემთხვევა სხვა სიტყვას, მნიშვნელობითა და წარმოშობით კი განსხვავდება მისგან. მაგ., ბარი (მთა და ბარი) და ბარი (სასოფლო-სამეურნეო იარაღი) (<https://ena.ge/explanatory-online>).

ფუნქციურ ელემენტებთან დაკავშირებულ სირთულეებს შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს სწორედ მათი ავტომატური ანალიზის დროს ენობრივ კორპუსებში წარმოქმნილი ომონიმის საკითხი.

ქართული ენის ეროვნულ კორპუსში საკვლევი ელემენტებით განპირობებული ომონიმის პრობლემის აღსაწერად წარმოვადგენთ კორპუსიდან ამოღებულ კონტექსტებს სათანადო ლინგვისტური ანალიზის დართვით.

სურათი 5.1 კორპუსში მოცემული ლინგვისტური ანალიზი

მა: kwic | Att: word | აჩვენე სტრიქოების ფილტრი | ატრიბუტები ... | სტრუქტურები ... (show in match) | კონტექსტის რაოდენობა: | კონტექსტის სიგანე: 700px

ინტექსტი 1 - 30 , ძოლიანად: 2203 | წინა | მომდევნო | გადავი: | ჩამოტვირთვა (Excel-ისთვის) | ძიების ბმული

cpos	ძიების შედეგი
15012	დედოფალი იყო – მორეული, საოცრებო ქალი, თავის თმისაგან ბნელი, თვით კი უცხო რამ მარაგანდელი ადგა – სარეპელში ავიკებულ შუქი. </p></p>
16791	ქდა, რომ ჩემი, ჯიუტი ცურვით თუ მიაღწევდა იმ სინათლემდე, მეტარ დედოფალს მარაგანდელად რომ ადგა ... არად არგებდა ხმაურიანი, ყველასათვის თვალნათლივი ხელ-ფეხის ქვეა – კ
14844	ბავშვი ჩვენ დაგვიბოძო? – რა უნდა გვიბოძო, ქალბატონო, თუ გზებავთ, ფეშქაში გასლდეთო. – ნაიბი ადგა , შევიდა სახლში. გამოუტანა ვეებერთელა ქისა, ოქროებით სავსე, და მისცა ლეე:
16994	სად შეზავებული ჰყრი. უთუოდ ეს იყო მიზეზი, რომ ქეთოს იმ დამეს მშვიდობიანად უძინა. ბოროე დღეს ადგა ცოტა მოლონიერებული. </p></p>
38638	იძინა. ხელახლა გადაიფიქრა წერილები, გაიბოროა გუზებში, რაც ბაში-აჩუმა უთხრა სიზმრის თაობაზე, ადგა მელა, მოხდაა ქუდი, მივიდა ხატის წინ და დაიოქა. დიდხანს ხელედაპყრობილ
71351	ი, გეტებნა გვირახებში. მასიხნძელი კი მაღალი, ელგანტური, ოდნავ მოხარბაყე, შეზარბოშებული, თავს ადგა ზეინს და გაუთავებლად ხოტბავდა თავის დოჯლათს. ჩანდა, რომ ეს იყო ნაშითი
03351	ხეია და მიიზიდა. </p></p>
12549	/p></p> ციხე-ქალაქი მთავრდა. </p></p> ადამიანის ცოდვები </p></p> ვერაინ იდო თავზედა. </p></p>
73754	ხერბე რიყრაყზე წამოდა და კოჯრის გზით ქალაქისკენ გაემართა, მაგრამ ერთი ვინმე მასზე უფრო ადრე ადგა (შეზღუდული ხელმისაწვდომობა) ძიებზე ლექსიკონი: Rayfield
59708	ა, აღრვევ შეიერავდა, ქერა თმა, თეთრი სახე და მავი კაბა მშვენიერად ეწყობიან ერთმანეთს. </p></p>
89637	იდი მუცნიურია. რიმახიძე ბედნიერი დოსტაქარია. რამაშიძემ სთქვა, რიმახიძე მოვიდა, რიმახიძე წავიდა, </p></p>
22805	ა გვარი მუთქი! </p></p>
23628	მაღა. მას აქეთ დედა-შვილს ერთმანეთი აღარ უნახავს. დედაყავი ლოგინად ჩავარდა და მამიხან ვეღარ </p></p>
50907	! </p></p> * * </p></p> სიმღერა, ცეცვა და სმა კიდევ დიდხანს გაგრძელდა. </p></p> მარგო სუფრიდან </p></p>
00527	უყუთ თეიბურახსა? </p></p>
01314	ერიდება. </p></p>
16313	ოა, დაწერილებით იქნებ სხვა დროს გველაპარაკა? მაპატიეთ, კავი ბულოდება. </p></p>
64923	სევ ისე არხეინდა იდგა და არაფრად აგდებდა გადელეხულ ლანქერს. </p></p>
68588	ს თვალეზზე ცრემლი მოწმინდა. </p></p>
75995	ი და ვედილობიდი, როგორმე დამეშვიდებინა მუსიკის მასწავლებელი, მაგრამ ყოველივე ამაო იყო ... იგი </p></p>
90791	სავს, და წადი მორიას ქვეყანაში. იქ შესწირე აღსავლენ მსხვერპლად ერთ მთაზე, რომელსაც მე გიჩვენებ. </p></p>
90813	ხეაზმა სახედარი, თან წაიყოლა ორი მსახური ბიჭი და ისაი, თავისი შვილი; დაიქნა სამსხვერპლო მუშა, ადგა და წავიდა იმ ადგილისაკენ, რომელიც დღერთმა მოწმინდა” (დაბ. 22:1-3). ბიხლ
92316	მუჭოფი და მიჰყიდა იაყობს პირმშობა. მამინ მისცა იაყობმა ესავს პური და ცერცვის შეჭამადი. ჭამა, სვა, ადგა და წავიდა. არად ჩააგოდ ესავმა პირმშობა” (დაბ. 25:29-34). </p></p>
93396	და თქვა: რა სამიში ყოფილა ეს ადგილი! სხვა რა უნდა იყოს, თუ არა უფლის სახლი. ეს ნათა ვარბიჭქა! ადგა დილაადრინად იაყობი, აიღო ლოდი, სასათუმლად რომ ედო, აღმართა სვეტად
99825	იქ ვენიელის ცოლის მოქმედება, მაგრამ ამ სისასტიციით შეძლება გაიზომოს ის უკიდურესი შეჭირვება, რაც ადგა ხალხს იაბინ ქანაანის მეფისგან. ამ ეპიზოდზე წყდება დებორას მსაკულობის ან

word: ადგა
norm: ადგა
მარტივი ლემა: დგომა
ლემა: დგომ[ა]/დგ
მასასიათებლები: V MedPass Aor LV <S-IO> <S:Nom> <IO:Dat> S:3Sg IO:3
წყარო: lib.ge
ავტორი: მიხეილ ჯავახიშვილი
სათაური: არსენა მარაბდელი

სურათი 5.2 კორპუსში მოცემული ლინგვისტური ანალიზი

ტან: kwic | Att: word | აქვენი სტრუქტურის ფილტრი | ანტიბუტები ... | სტრუქტურები ... (show in match) | კონტექსტის რაოდენობა: | კონტექსტის სიგანე: 700px

კონტექსტი 161 - 260 , ბოლიანა: 2203 | წინა | მოძებნე | გადგინე: | ჩამოტვირთვა (Excel-ისთვის) | ძიების ბმული

cpos	ძიების შედეგი
3223700	საგებობით იყო საყრე და ზედ წაღობილიმე ანალოგურდა გლეხის ღრდაყვი სწერდა რეკლამებზე; იმით თავს ადგა
3231450	უის ნაბიჯით გაუდგინე გზას. </p></p>< p>< p> განთავსების იოსანარს ცმაწვილის აჭიბილი ტირილი შემოესმა, ადგა
3248173	წვა უბედურ ტახტას. ჰაულის ძილი დაეარა და ხუთმბათი დაძვ, როდესაც იმის ანაოლებს დაიძინათ, ადგა
3268874	ულად ნაქარა, ერთი უკეთესი არაგრა მინაბა, ზიარების მარაგადელი წილას ნათლიმეძეშულს თავზე ადგა
3270859	იქი მრავალი, სრულიებით შეეთილილი. ზათელივით საამოვნი იყო. </p></p>< p>< p> ჯ-ა ტვიტერის კაი ქარი ადგა
3360332	აჰ, სადა მამასალინი? </p></p>< p>< p> ამან ძლივს გაანძრია თავი მისხვად და გაიოდა, რომ საუბნი თავს ადგა
3413888	უმა თარულად შეათავოურა მოძორებით მჯდარი კაი. იხივ გათითრებულიყო. ქალი დაჯდა, მერე ისევ ადგა
3424983	ხმა დაუწერილდა და თითქმის ბაემური გაუბდა. </p></p>< p>< p> - შეტავ ისეთი რა უთხრა, რომ ერთი დღესაც ადგა
3430349	უმა თარულად შეათავოურა მოძორებით მჯდარი კაი. იხივ გათითრებულიყო. ქალი დაჯდა, მერე ისევ ადგა
3441444	ხმა დაუწერილდა და თითქმის ბაემური გაუბდა. </p></p>< p>< p> - შეტავ ისეთი რა უთხრა, რომ ერთი დღესაც ადგა
3455650	ჟო აღარ წერ, ლე, ასე: „არისსალაქი იღვიძებდა იოსერ შუქნი“? </p></p>< p>< p> - იმბიტომ, რომ შუქნი დაიარაგა.
3518235	ად უხდა მისულიყო? მათესავეს ახლოს ვერ გაუარებოდა, თუნი არც ჩემთან მოუდებებოდა და რა უნა? ადგა
3554558	ჟონ არ ხვდა, შე კაი, რომ ნაქარული ბარ? </p></p>< p>< p> მაგრამ ჩემი რომ აღარ მოვიდა, იმასა რა უნა? ადგა
3574359	ლის საუბედ ტურას წებანი გაუეთინა, კაბები სჭირებოდა, მაგრამ იყოთან ხომ ველარ მივილიდა? ადგა
3597217	ჟო ჩემ, მზე რომ ეს გაიგებნა, ჯინა. კაიოვა, რომ მუზე ვიტიჩობდი. </p></p>< p>< p> - აჟე ხიდი, - ღორღილი ადგა
3626304	ა. ქული ახალი იყო, წინათრა უბრწინავდა. </p></p>< p>< p> - ადუქით! - უთხრა მანაველებმა. </p></p>< p>< p> იგი ადგა
3632222	მუხ რომ მერთო! მუხ რომ მერთო!“ დამით ძილი არ უარებოდა, ყელში უჭირდა, წყურვილი აწუხებდა; ადგა
3642520	იძლის გეგნსაკ ვიოტრე წინათადგენდა, თანდათან თართოვებოდა, ის მარაგადელი, მის თავს რომ ადგა
3643645	რედლიანბა იოლოს მუბედუ აიოდა, ხოლო ემა კი სირიგვილით იწვიდა, სურდა ერთი კარგად მიტეკა იგი; ადგა
3647509	მორის. </p></p>< p>< p> ექსი საათი დაწრა, შემოვიდა ბიძე. </p></p>< p>< p> გამზღარ სხუელზე ლურჯი სერთოვი ისე ადგა
3658390	ჩრბამ მოიგვა. უნაური სირილი, სიმბაჭე იგრძნო, თითქმის ჩიტის ბუმბულია ქარიშხლით აჭივებოლი. ადგა
3669901	კი შესაძლებელია, შევიმსუჯებთ თქვენ მორ გლეხულ მძიმე მსტერებს! </p></p>< p>< p> ა ლოყვინი დაჯდა, ადგა
3672556	თქვენი სახლი დამატარეთო; სურდა, ყელათერი ენაბა მიე; და რაი მადად ბოვარი დათანბდა, ოროი ადგა
3685969	ღამის დაწრა. </p></p>< p>< p> - მუღამუ! - თქვა ქალმა, - მამ ხელო! კიდე ერთი დღე. </p></p>< p>< p> როდოლოთი ადგა
3686615	ამბებდა, მარჯვნივამ მარცხნივამ ადებდა ვით ნაყას. ბოლოს, მიიღლა კიდე, მთარბან დაწყო; ადგა
3687456	კე ამისა სამი ჩიბუბი მოსწია და დასაძინებლად დაწვა. </p></p>< p>< p> შოროვ დღეს (მაშუადღეის ორ საათზე ადგა
3702342	ქმრუნდა: </p></p>< p>< p> - არ შეიძლება ... ჩემი კარგი, რომ ... </p></p>< p>< p> ემა, ალბათ, მიხვდა, რადგან მამიძე ადგა

(შეზღუდული ხელმისაწვდომობა) | მოძებნე ლექსები: Rayfield

word: ადგა

norm: ადგა

მარტივი ლექსი: დგომა

ლექსი: დგომ[ა]/დგ

მასხათებლები: V MedPass Aor LV <S-IO> <S:Nom> <IO-Dat> S:3Sg IO:3

ქართული: lib.ge

ავტორი: მარგერიტ დოურასი

სათაური: MODERATO CANTABILE

სურათი 5.1-ზე შემდეგი კოლოკაციაა მოცემული:

(1) ერთი ვინმე მასზე უფრო ადრე ადგა და ქალაქის პირას დაუხვდა.

სურათი 5.2 კი შემდეგ კონტექსტს წარმოაჩენს:

(2) ნეტავ ისეთი რა უთხრა, რომ ერთ დღესაც ადგა და მართლა შეუსრულა თხოვნა?

პირველ წინადადებაში ადგა წინადადების მთავარი წევრისა და მისი სინტაქსური ბირთვის, ზმნა-შემასმენლის, ფუნქციას ასრულებს, ხოლო მეორე წინადადებაში იგი არა პრედიკატი, არამედ ფუნქციური ელემენტი. მიუხედავად ამისა, ანალიზატორი ორივე შემთხვევაში მას ამოიცნობს როგორც ზმნას და შესაბამის V [Verb] ზმნის მარკერს მიანიჭებს.

იმავე სახის ომონიმის პრობლემას წარმოქმნის ენობრივ კორპუსში ჩვენ მიერ განხილული იღებს ფუნქციური ელემენტი:

სურათი 5.3 კორპუსში მოცემული ლინგვისტური ანალიზი

kwic | Att: word | აქვენი სტრუქტურის ფილტრი | ატრიბუტები ... | სტრუქტურები ... (show in match) | კონტექსტის რაოდენობა: | კონტექსტის სიგანე: 700px

ინტეგრები 851 - 900 , მოლანაგ: 3319 | წინა | მომდევნო | გადადი: | ჩამოტვირთვა (Excel-ისთვის) | ძირის ბეჭედი

cpos	ძირის მუცევი
72921206	ავილით ვალუბი, ხოლო ძველი - გაივსებოდა, რათა „დავალუბო“ არ შევხვდეთ ათასწლეულს. მაგრამ მ
72946454	ავილით ჩინების მაგალითი, რომელსაც მთელი მსოფლიო რუსეთის შემადგენელ ნაწილად იღობს. ამ ურბ
72991416	ავილით და ავტანთუხუთ გაილაშქროთ. სულ სხვა არის, როგა კაცი ამბობს, რომ მუ ვიგი იმითი პოზიციას, ისი
73003881	ავილით
73029538	ავილით
73144175	ავილით
73154173	ავილით
73165724	ავილით
73223639	ავილით
73296672	ავილით
73366405	ავილით
73404108	ავილით
73448430	ავილით
73568108	ავილით
73805106	ავილით
73866525	ავილით
73873916	ავილით
73906602	ავილით
74106039	ავილით
74208277	ავილით
74251584	ავილით
74258694	ავილით
74373802	ავილით
74375013	ავილით
74379547	ავილით
74404718	ავილით
74431250	ავილით
74539585	ავილით
74578616	ავილით
74667834	ავილით

ავილით

word: ავილით

norm: ავილით

მარტივი ლემა: ალება

ლემა: ა-ღებ[ა]/ღ

მასსიათვლები: V Act Opt Pv SV <S-DO> <S:Erg> <DO:Nom> S:1Pl DO:3

წყარო: აბსტრაქტის ხმა

თარიღი: 2001

სურათი 5.4 კორპუსში მოცემული ლინგვისტური ანალიზი

kwic | Att: word | აქვენი სტრუქტურის ფილტრი | ატრიბუტები ... | სტრუქტურები ... (show in match) | კონტექსტის რაოდენობა: | კონტექსტის სიგანე: 700px

ინტეგრები 916 - 955 , მოლანაგ: 3319 | წინა | მომდევნო | გადადი: | ჩამოტვირთვა (Excel-ისთვის) | ძირის ბეჭედი

cpos	ძირის მუცევი
75954774	ავილით
75970235	ავილით
75996227	ავილით
76052613	ავილით
76103378	ავილით
76122032	ავილით
76135365	ავილით
76164891	ავილით
76201635	ავილით
76288279	ავილით
76597046	ავილით
76632927	ავილით
76657778	ავილით
76709204	ავილით
76755918	ავილით
76756792	ავილით
76782926	ავილით
76785868	ავილით
76824900	ავილით
76862268	ავილით
76918634	ავილით
76930910	ავილით
76932024	ავილით
76951909	ავილით
76989326	ავილით
77081010	ავილით
77135773	ავილით

ავილით

word: ავილით

norm: ავილით

მარტივი ლემა: ალება

ლემა: ა-ღებ[ა]/ღ

მასსიათვლები: V Act Opt Pv SV <S-DO> <S:Erg> <DO:Nom> S:1Pl DO:3

წყარო: ახალი თარა

თარიღი: 2000

სურათზე 5.3-ზე შემდეგი კოლოკაციაა მოცემული:

(3) *თამაზ ნადარეიშვილის არასოდეს მოუწოდებია იარაღი ავიღოთ და აფხაზეთზე გავილაშქროთო.*

სურათი 5.4 კი შემდეგ კონტექსტს გვიჩვენებს:

(4) *თუკი არჩევნებს მნიშვნელობა არ აქვს, მაშინ ავიღოთ და დავნიშნოთ კანდიდატები.*

თუ ავტომატური ანალიზატორის მიერ მინიჭებულ მარკერებს დავაკვირდებით, დავინახავთ, რომ ორივე კონტექსტში *ავიღოთ* მარკირებულია როგორც ზმნა V [Verb] და ინფორმაცია მისი ფუნქციური სხვაობების შესახებ დაკარგულია.

ომონიმის პრობლემას წარმოშობს ენობრივ კორპუსში *ჩანს* ფუნქციური ელემენტიც. იმისდა მიუხედავად, იგი შემასმენლის ფუნქციას ასრულებს წინადადებაში თუ ფუნქციური მნიშვნელობის მატარებელია, ანალიზატორი ავტომატურად მონიშნავს მას ზმნური მარკერით.

სურათი 5.5 კორპუსში მოცემული ლინგვისტური ანალიზი

The screenshot shows a web-based linguistic analysis tool. At the top, there are search filters for 'kwic' and 'word'. Below that, a table lists words from a corpus. The table has two columns: 'cpos' and 'ძიების შედეგი'. The word 'ჩანს' is highlighted in the table. A red arrow points to the word 'ჩანს' in the 'მარტივი ლემა' field of a detailed view. The detailed view shows the word 'ჩანს', its norm 'ჩანს', and its lemma '*ჩენ[ა]/ჩან'. It also shows the morphological analysis 'მასხაიათუბლები V MedAct Pres <S> <S:Nom> S:35g' and the source 'lib.ge'. The interface includes various search and display options like 'show in match' and 'კონტექსტის რაოდენობა'.

სურათი 5.6 კორპუსში მოცემული ლინგვისტური ანალიზი

ტვი: kwic | Att: word | ახერხე სტრუქტურის ფილტრი | ატრიბუტები ... | სტრუქტურები ... (show in match) | კონტექსტის ჩაღებვა: | კონტექსტის სიგრძე: 700px

კონტექსტი 51 - 82 , მთლიანად: 57455 | წინა | მომდევნო | გადავი: | ჩამოტვირთვა (Excel-ისთვის) | ძიების ბუფერი

cpos	ძიების შედეგი
720754	ბრძენი იწოდებოდა ხიბრძენს. სოლომონის პასუხში უფლის კითხვაზე, „მთხოვე, რა გინდა, რომ მოგიკვ“, უკვე ჩანს
721021	ისაკებ მდილი და რაბაგ მას სახელი გაუთქვა საჩუქრად და სამარადისოდ? როგორც იცითა ნიქინდამ“ ჩანს
727292	პამის - იოანის გზაზე შედიოდა. ამას ისიც დაემატა, რომ ბრძოლაში გამოიწვია ისრაელის მეთა, როგორც ჩანს
732282	ვიწოდებ გულში, ძვლებზე გამაგანა; ვიდილობითი გაბეძო, მაგრამ ვერ შეუძლი“ (ორ. 20:7-8). აქ ჩანს
732841	მართლია იქნება (გამ. 4:16). ასე რომ, უნაბრევილობა დაბრუნდება არ არის წინასწარმეტყველებისათვის; ჩანს
735593	იგი იმ დროს, როცა ჩუქანში შევიდოდა სუფიქსი, ჩუქანა ყავოდა, არსადაც არ უმჯობესობდა საერთოზე? ჩანს
735632	ამისი წინასწარმეტყველებას და მეთესთან აბრუნდება, „მინა ვერ ატანსო მის სიტყვებს“ (ამოს. 7:10). ჩანს
735693	სადაც მისდა ჩუქანის დაემატა ეს უმინი მსგავსი, ის ზომ ხალხში არ ტრიალებდა? მოწოდება, როგორც ჩანს
736418	აა საქმე. ის არის ულტრასაბურთის რეალური დამაარსებელი. „გამოსვლათა“ წიგნის 24-ე თავში კარგად ჩანს
745645	ჩუ, მიმბაძველი „წართმუტა დიაგო“ საბით. მასაც აქვს სახელი ქალაქის მალაობზე, საიდანაც ყველა გზა ჩანს
747604	ქალაქებზე აღიქმის სიტყვები, ათი სიტყვა“ (გამ. 34:28). </p><p> „გამოსვლათა წიგნის“ ამ ადგილიდან ჩანს
747642	ძლიერი ცხოვრებისეული გამოვლილებიან, არაბედ მიღებულია ურთამად, როგორც გამოვლდება. აქ ისიც ჩანს
747674	ლად მალა დგას მთელ ხალხზე, არიონზე კი, როგორც მწვერვალი, ხალხი კი მთის ძირშია და დროის. ჩანს
749425	როგორც მართალი კაცის, თვითმგებმა, მისიძირი შეთავსება საკუთარი ცხოვრებისა მისსავე მოწოდებებში ჩანს
754715	წირის ეპისოპოსია; როგორც ეს არის „მიტოვების სიმბოლო“ ამ თურქულ „ტელე-ქორეჟისის წიგნში“. არ ჩანს
754845	იხს, რომლის მითითებით ბატი წერილობითი მატარებელი არის მოხვედრილი, ხალხური ეპისოპოსია კი არ ჩანს
755145	აამუდამოდ უფროსი რჩება. მაგრამ, როგორც ოდისეუსი ამბობს საკუთარ თავზე, „ამ გალენილი უზიდანაც ჩანს
755528	ეფსორთი, მუსიკით, ჯაჯათით, იმერით, რაბა, ლეჩხუმი, სვანეთი ...). „ამირანიანი“ ძველი თქმულება, ჩანს
756226	ჩუქანის მტრები. მაგრამ ჩუქანს ხელთა თრეკებები და, როგორც ოდისეუსი იტყობდა, ჩემი ბზიდანაც ჩანს
758024	ადგილით, რომ მონაბრუნებელი მისი პირიდან გამოტყვევებული ბავები თავისთან წაიყვანა, რადგან დედა არ ჩანს
758306	დაც გამოიქცინა და იცხებეს კიდევ თავისი ყოფიერების გარეგულ ზღვრულად. ნათლავე სკის მას. აქ ჩანს
759467	როც მალს, და ამირანის მთამთხელი ერთი და იგივე ურთისაგია. ბარის ვარიანტებში ეს იგივეა არ ჩანს
759713	ჭაქანი“ და არც სხვა წერილობითი წყაროში ურთისულის ამგვარ აღსასრულზე არათრია ნათქვამი (როგორც ჩანს
759976	4]. </p><p> მთამთხე-ამირანის ურთისულის ურთისულის ამგვარ აღსასრულზე არათრია ნათქვამი (როგორც ჩანს
760319	მ ბოროტ მოზისას იფიქრობა თვრტი გველმანისა იმ დანით, რომელიც თან დამავა მას პრევილი შობიდან. ჩანს
760613	ი, ვიდრე ტრეკებთან ამ გველმანებთან (თეთრთან, წითელთან და, ბოლოს, მავანთან) ბრძოლაზე? როგორც ჩანს
763544	რომ „მამდვილი ტრეკედა არის ტრეკედა თავისუფლებისა და არა ბედისწერის“. ამირანის საქმეში არ ჩანს
763548	ეკლდა არის ტრეკედა თავისუფლებისა და არა ბედისწერის“. ამირანის საქმეში არ ჩანს ბედისწერა. არ ჩანს
763630	ის მტრეკად შემოსულმა სიცილია ადამს მის ბურხანში იოდის გამარადისების ურთისულება ააიღია. აქ ჩანს
764744	იქიანი. ამირანის სახელი ჩემი სახელია. ხალხის თავისუფლების დასაცავი ამირანის ბედზე მათეოდ ჩანს

(შედეგული ბუფერისთვის) | მოძებნე ლექსიონში: Rayfield

word: ჩანს

norm: ჩანს

მარტივი ლემა: *ჩენა

ლემა: *-ჩენ[ა]/ჩან

მასხასათებლები: V MedAct Pres <S> <S.Nom> S:3sg

წესი: lib.ge

ავტორი: ზურაბ კვიციანი

სათაური: ქართული ხალხური ეპოსი

(5) სამიკიტრო ჩანს გვის გადაღმა თუ თვალი მატყუებს?

(6) „ამირანიანი“ ძველი თქმულებაა, ჩანს, მას მოუწია სრულიად

საქართველოს შემოვლა .

მე-5 მაგალითში ჩანს ერთეული ზმნა-შემასმენლის ფუნქციას ასრულებს, ხოლო

მე-6 კონტექსტში იგი არა პრედიკაციის გამომხატველი, არამედ გრამატიკალიზაციის

პროცესში მყოფი ფუნქციური ელემენტია. მიუხედავად ამისა, ორივე კონტექსტში

ჩანს ტოკენი მონიშნულია ერთნაირად ზმნური მარკერით.

ცალკე უნდა განვიხილოთ ანოტირების იმგვარი შემთხვევები, როცა ჩანს ტოკენი

ანოტირებულია, როგორც არსებითი სახელი N [Noun], მიცემით ბრუნვაში მდგომი.

ანოტირების მსგავსი შემთხვევები განსაკუთრებით მრავლადაა ქართული ენის

დიალექტურ კორპუსში წარმოდგენილ მასალაში, როგორც მაგალითად, შემდეგ

კონტექსტში:

(7) როგორც ჩანს, არსებობდა ხალხური ზეპირსიტყვიერი ბიბლია

წერილობითი ბიბლიის გვერდით.

სურათი 5.7 კორპუსში მოცემული ლინგვისტური ანალიზი

გამა: | Att: | ახერხე სტრუქტურის ფილტრი | სტრუქტურები ... | show in match | კონტექსტის რაოდენობა: | კონტექსტის სიგრძე:

კონტექტი 11 - 35, მთლიანად: 57455 | წინა | მომდევნო | გადაადგილება: | ჩამოტვირთვა (Excel-ფორმატში) | ძირის ბმული

cpus	ძირის მუცევი
160837 ადია ლო-ლო ...	ჩანს
169506 უკვირისთვის ეს დადასტავებული ნიშანია. ეს გამოიხატება მკაფაგებლობაში, თუკი სხვა გამოსავალი არ	ჩანს
177872 ი გრძობისთვის ილუსტრირებას. ორივე შემთხვევაში (პირველი მათგანი - პოლიტიკური, მეორე კი, როგორც	ჩანს
499594 ხეში ახალი სახელი? </p><p> - გაივიე, ყველაფერი გაივიე, ისე „თქვითობით“ მუდამარაყვით? როგორც	ჩანს
612311 უყვებით! </p><p> ორი წლის წინათ, გაზაფხულზე, ინთარქიტო კარდაეკვალა მამა, რომელსაც, როგორც	ჩანს
614787 > <p> აი, თუმცა რა ყოფილა! </p><p> - გოტა არ იყოს, უიღღურესი თვალსაზრისითა, რომელიც, როგორც	ჩანს
682897 ი; მათი გოდნა, როგორც ერთი მთავარი ელემენტი, შედიოდა ხალხური განათლების სფეროში. როგორც	ჩანს
683259 მამა? განა არ გოდებს ის ძელი ადამიანის ქადაგებით? </p><p> განა „ეკლესიასტის“ წარუვლი სინდრე არ	ჩანს
685425 ასმულია მისი მავალი ღირსება დადაბლებით, თუმცა ის, როგორც „დადაბლების“ ნიშნის მორე თავიდან	ჩანს
685591 მოსავლეთში, და დასავ იქ ადამი, რომელიც გამოსახა“ (დაბ. 2:8). როგორც მომღვწეო აღწერილობიდან	ჩანს
685685 მო ჰით თავისუფალი შემოქმედება. ედემის ბაღში იმეორება, როგორც „დადაბლების“ ნიშნის მორე თავი	ჩანს
687570 ოდა უმოლოკი გნა დაარგული ედემის კარბისაყენ. მაგრამ ადამის პირველმადეხილი გოდა, როგორც	ჩანს
689118 ჰ) და ჩრდილო შუამდინარეთის ქალაქში, მარანში დასახლების (ეკლესიოლოგიური-ისტორიული ახრითი კი, აქ	ჩანს
690096 და ვერც ქვეყნის მდებარე ვერ ითქვითებდნენ, რა მოჰყვებოდა მომავალი ამ უბნალო გარეგნებას. აქედან	ჩანს
690142 ად სჭირდებოდა, ხალ შეიძლება, და ასეც მოხდა, გადაქველიყო ანად, სადაც ითელი დაეფრებოდა.	ჩანს
691747 ხა ვარ. გაჟრითხებ, გაიძრავლებ მომომავლობას ანრაამის, ჩემი მსახურის გამო“ (დაბ. 26:24). აქედან	ჩანს
693004 ი, როგორც ანრაამის დროს, ღდააგებ ჰქონდა გადამწყვეტი ხმა. </p><p> ერთი მნიშვნელოვანი თვისება	ჩანს
693681 იოამი, არ ამოძრავებდა ეს იღვა. იოამი აქ გადის გამოგდას, ის იღვება როგორც ხალხის მამამთავარი. აქ	ჩანს
697562 ანთ ბორბე საქმეს და უწიობის გზას არ სტოვებდნენ“ (მსაჯ. 2:8-20). </p><p> როგორც ამ ადგილიდან	ჩანს
698720 ა უთავს და უბოც დერითის დაწყო სამსახური. იქმება მოვადეობული წერ, სადაცავე გამოსავალი არ	ჩანს
698849 აბის მერე, რადგან უიღღმარად იქვედნენ ისინი უთლის თვალში“. </p><p> როგორც ამ ნაწიკვიტიდან	ჩანს
699843 ინ ჩანანის მეთისგან. ამ ეპოზოლზე წყდება ღებორას მსაჯობის ამბავი. ამ უბოცა ბრძოლამ, როგორც	ჩანს
702423 იველებით; ყოველივე ამას ისინი - ეს მხელეპლნი ასრულებენ გელოზის დარეგებით. აქ არც მათი ძალა	ჩანს
703659 ან რამდენიმე თაობის შემდეგ მსაჯულად გამოიხდა ითთაში (ქა. კართ. იეთთაჟ), გალაღლი, როგორც	ჩანს
704174 უბით: „მოდ, გახდი ჩემი წინამძღოლი და შეეხმობოლი ყამობლებს“ (მსაჯ. 11:6). ამ სიტყვიებიდან	ჩანს

word: ჩანს

norm: ჩანს

მარტივი ლება: ჩანს

მასხათებლები: ჩანს-ი

მასხათებლები: N Dat Sg Dialect

წერილი: lib.ge

ავტორი: ზურაბ კვიციანი

სათაური: ძველი აღთქმის წიგნების ელექტრონიკული

განხილული მაგალითები ადასტურებს, რომ ფუნქციურ ელემენტთა სწორად მონიშვნისა და მარკირების საკითხი ქართული ენის ეროვნული კორპუსისთვის ჯერ კიდევ გადაუჭრელ ამოცანათა რიგში დგას, ქართული ენის ეროვნული კორპუსის ანალიზატორის პროგრამას არ აქვს ალგორითმი, რომელზე დაყრდნობითაც იგი გრამატიკალიზებული, ფუნქციურ ელემენტებად ქცეული დგება, იღებს და ჩანს ზმნური ფორმების ამოცნობასა და მართებულ მარკირებას შეძლებდა.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ქართული ენის ეროვნულ კორპუსში ტოკენების მარკირება მორფოლოგიური ანალიზატორის მეშვეობით ხდება, ენობრივ ერთეულთა ფუნქციური მნიშვნელობის განსაზღვრა კი სცდება მორფოლოგიის ფარგლებს და სემანტიკის სფეროში ინაცვლებს. იმისათვის, რომ ენობრივი კორპუსის მომხმარებელმა ცალკეული ენობრივი ფორმის შესახებ სრული და მართებული ლინგვისტური ანოტაციის მიღება შეძლოს, მორფოლოგიური ანოტირების პარალელურად, აუცილებელია სემანტიკური თევრების პრინციპის შემუშავება, ამისათვის საჭირო მარკირების სიის შექმნა და ანალიზატორის პროგრამაში დამატება. შედეგად, ენობრივ კორპუსში მოცემული ტოკენებისთვის ავტომატურად გამოტანილი ანოტაცია გარკვეული ტოკენის შესახებ არა მხოლოდ ფორმოზომიერ,

არამედ შინაარსობრივ, ფუნქციურ ინფორმაციასაც მიაწოდებს კორპუსის მომხმარებელს.

ვფიქრობთ, მოცემულ ქვეთავში წარმოდგენილი წესები, ალგორითმის სახით გადაწერის შემდეგ, შესაძლებელს გახდის, უპირველესად, ზმნური ტოკენების მორფოლოგიური და ფუნქციური მნიშვნელობების ერთმანეთისგან გამიჯვნას და საკვლევი ტოკენების არა მხოლოდ ფორმობრივი, არამედ ფუნქციურ-სემანტიკური მნიშვნელობების სწორად კვალიფიკაციასა და მარკირებას.

5.2 ფუნქციური ელემენტები და ავტომატური თარგმნის ინსტრუმენტები

კორპუსში წარმოქმნილი ორაზროვნების პრობლემა უშუალოდ უკავშირდება ფუნქციური ელემენტების იმ სირთულეებს, რომლებსაც ისინი ავტომატური თარგმნისათვის გამიზნულ პროგრამებში ქმნიან. გამართული მანქანური თარგმნის მისაღებად საჭირო პროგრამების არსებობა უმნიშვნელოვანესია მასზე დაფუძნებული პროდუქტების დახვეწა-გაუმჯობესების პრაქტიკულ საქმეში. იმისათვის, რომ ავტომატური თარგმნისას თავიდან ავირიდოთ შეცდომები, საჭიროა ომონიმური ფორმების არა მხოლოდ ლექსიკური, არამედ სემანტიკურ-პრაგმატიკული ანალიზიც, იმ კონტექსტებისა და პოზიციების აღწერა და კვლევა, რომლებშიც ომონიმური ფორმები თანაარსებობენ.


საკვლევად შერჩეული ზმნური წარმოშობის ფუნქციური ელემენტები გრამატიკალიზაციის პროცესის აქტიურ ფაზაში, სემიგრამატიკალიზაციის ეტაპზე, არიან, რაც იმას გულისხმობს, რომ ერთმანეთის პარალელურად თანაარსებობენ ომონიმური ფორმები: იდენტური ფორმის მქონე, ერთი მხრივ, პრედიკატები, ხოლო, მეორე მხრივ, ფუნქციური ელემენტები, ეს კი, თავის მხრივ, ავტომატური თარგმნისას ენიდან ენაში მცდარად გადატანის წინაპირობას ქმნის. ვფიქრობთ, ფუნქციურ ელემენტთა სემანტიკური ნიშნების დაწვრილებითი ანალიზი, მათი სემანტიკური მახასიათებლების განსაზღვრა, რაც კვლევის ფარგლებში წარმოვადგინეთ,¹³

¹³ ფუნქციურ-სემანტიკური ანალიზისთვის იხ. თავი IV.

მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს დაინტერესებულ მკვლევარებს საკვლევ ფუნქციურ ელემენტთა ავტომატური თარგმნის გაუმჯობესების საკითხში.

ავტომატური თარგმნის პროგრამებში ფუნქციურ ელემენტებთან დაკავშირებული მცდარი თარგმნის პრობლემას წარმოვადენთ google translate-ის მაგალითზე, რომელიც თარგმნისთვის განკუთვნილ პროდუქტებს შორის ერთ-ერთი ყველაზე ხშირად გამოყენებადი რესურსია საერთაშორისო ინტერნეტ სივრცეში.


სურათი 5.8 Google translate-ის თარგმა



ავდგები და დავწვავ, სულ ერთიანად დავწვავ.

- Google translate: *I will get up and burn, I will burn all together.*
- ლიტერატურული თარგმანი: *I will burn, I will surely burn them all.*


სურათი 5.9 Google translate-ის თარგმანი



ავდგებოდი და პირდაპირ ვეტყვოდი!

- Google translate: *I would stand up and tell him directly!*
- ლიტერატურული თარგმანი: *I would tell him straight away!*

სურათი 5.10 Google translate-ის თარგმანი



ერთ დღესაც ადგა და მართლა შეუსრულა თხოვნა!

- Google translate: *One day he got up and really fulfilled the request!*
- ლიტერატურული თარგმანი: *One day he really kept his promise.*


ზემოთ მოცემულ წინადადებებში დგება არა პრედიკატი, არამედ ფუნქციური ელემენტია და მოქმედების დაწყების სემანტიკას გადმოსცემს. მიუხედავად ამისა, პროგრამა მას თარგმნის როგორც მოქმედების გამომხატველ ზმნას, რაც არსებული ანალიზატორის პირობებში, სავსებით მოსალოდნელია. სალექსიკონო ერთეული ადგომა ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში შემდეგნაირადაა განმარტებული:

ადგომა (ადგომისა) სახელი ადგება ზმნის მოქმედებისა. ადრე ადგომა. – ფეხზე ადგომა. – დგება – კიდევ არაფერი! ეს ესე არ ეზარებოდა ლუარსაბსა (ილია). არწივი ვნახე დაჭრილი, ყვავ-ყორნებს ეომებოდა, ეწადა ბეჩავს ადგომა, მაგრამ ველარა დგებოდა (ვაჟა). ♪ ფეხზე (ზეზე) დგება გამოჯანმრთელება (მძიმე ავადმყოფისა). მძიმე ავადმყოფობა გამოვიარე... ჩემი ზეზე ადგომის იმედი ექიმებსაც დაკარგული ჰქონდათ (დ. კლდ.) (<https://ena.ge/explanatory-online>).

ავტომატური თარგმნისას *დგება* ფორმა გაგებულია მისი მორფოლოგიური ნიშნების გათვალისწინებით, უგულებელყოფილია მისი ფუნქციური მნიშვნელობა და, შესაბამისად ამისა, თარგმნილია როგორც მოქმედების გამომხატველი ზმნა, სათანადო მწკრივისა თუ პირის გათვალისწინებით.

Google translate-ში არასწორი თარგმანის მიღების პრობლემა იქმნება *იღებს* ფუნქციური ელემენტის შემთხვევაშიც. განვიხილოთ ორი მაგალითი:

სურათი 5.11 Google translate-ის თარგმანი




სურათი 5.11 შემდეგ წინადადებას გვიჩვენებს:

ბოლოს აიღო და მოკლა პატრონი.

- Google translate: *Finally, **he took and** killed the owner.*
- ლიტერატურული თარგმანი: *Eventually, he killed his mastar.*

სურათი 5.12 Google translate-ის თარგმანი



გამოხმურების გაცეზან

სურათზე 5.12 კი შემდეგი წინადადების თარგმანია მოცემული:

ავიღოთ და პირდაპირ დავსვათ პრეზიდენტად!

- Google translate: *Let's take it and put him directly as president!*
- ლიტერატურული თარგმანი: *Let's just make him the president!*

5.11 სურათზე მოცემულ წინადადებაში შემავალი *აიღო* ფუნქციური ელემენტი პროგრამას თარგმნილი აქვს მხოლოდ მისი მორფოლოგიური ნიშნების გათვალისწინებით, უგულებელყოფილია მისი, როგორც არა ზმნის, არამედ ფუნქციური ელემენტის, როლი წინადადებაში. საინტერესოა 5.12 სურათზე წარმოდგენილი წინადადება. მიუხედავად იმისა, რომ ფუნქციური ელემენტი *ავიღოთ* და პროგრამას მცდარად აქვს თარგმნილი როგორც ზმნა, წინადადების ინგლისურ ვარიანტში დამატებულია მოქმედების დასაწყისის სემანტიკის გამომხატველი ფუნქციური ელემენტი *Let's*, რაც, როგორც ფუნქციურ-სემანტიკურმა კვლევამ გვიჩვენა, *აღება* ზმნური ფორმის მთავარ ფუნქციას წარმოადგენს წინადადებაში.

რაც შეეხება *ჩანს* ფუნქციურ ელემენტს, განსხვავებულ სურათს ქმნის Google translate-ში მისი თარგმნის საკითხი. ავტომატური თარგმნისას *ჩანს* ფუნქციური ელემენტის გადატანა ქართულიდან ინგლისურ ენაში სწორად ხდება, რაც იმით არის განპირობებული, რომ მისი ფუნქციური ეკვივალენტი ინგლისურში მორფოლოგიურადაც მსგავსი ენობრივი ერთეულით გადმოიცემა, რომლის გამოყენების სიხშირე მეტად მაღალია და, ამდენად, ავტომატურ პროგრამას თარგმნისას მონაცემთა განსაკუთრებით დიდ ბაზაზე დაყრდნობით „უადვილდება“ სათანადო სალექსიკონო ერთეულის შერჩევა.

ჩანს ფუნქციური ელემენტის ავტომატური თარგმნისას მის ეკვივალენტად პროგრამა სხვადასხვა ვერსიას გვთავაზობს კონტექსტების მიხედვით, მაგალითად:


სურათი 5.13 Google translate-ის თარგმანი



ჩანს, მატარებლის მოსვლის დროც კარგად იცოდა და ამგვარ საქმეზეც არ იყო პირველად.

- Google translate: *It seems that he knew well the time of the train's arrival, and it was not the first time he had been in such case.*

სურათი 5.14 Google translate-ის თარგმანი



როგორც ჩანს, ხვალ გაკვეთილზე არავინ იქნება.

- Google translate: *Looks like no one will be in class tomorrow.*

განხილულ მაგალითებზე დაყრდნობით უნდა ითქვას, რომ საკვლევი ფუნქციური ელემენტები *დგება*, *იღებს* და *ჩანს* ქართულიდან ინგლისურ ენაზე მანქანური თარგმანისას Google translate-ში სხვადასხვაგვარ სურათს გვიჩვენებს. *დგება* და *იღებს* ფუნქციური ელემენტების თარგმანისას პროგრამა სწორი ფუნქციური ეკვივალენტის შერჩევას ვერ ახერხებს, ვინაიდან თარგმანისას ამ ელემენტთა მხოლოდ მორფოლოგიური მახასიათებლებია გათვალისწინებული და მათი ფუნქცია წინადადებაში უგულებელყოფილია. რაც შეეხება *ჩანს* ფუნქციურ ელემენტს, ამ შემთხვევაში ავტომატურად თარგმნა სწორად ხდება, რასაც, ვფიქრობთ, ორი ძირითადი ფაქტორი უნდა განაპირობებდეს: პირველი, მისი ფუნქციური ეკვივალენტი ინგლისურ ენაში მორფოლოგიურად მსგავსი ნიშნების მქონე სალექსიკონო ერთეულით გადმოიცემა და, მეორე, *ჩანს* ფუნქციური ელემენტის გამოყენების სიხშირე როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ენაში მეტად მაღალია და, შესაბამისად, პროგრამა თარგმანისას მონაცემთა საკმარისად დიდი ოდენობის მასალაზე დაყრდნობით „ადვილად“ ირჩევს ეკვივალენტურ ფორმას.

5.3 ფორმალური წესები და ომონიმის მოხსნის გზები

წარმოდგენილი კვლევის ერთ-ერთ მთავარ მიზანს ქართული ენის ეროვნულ კორპუსში ფუნქციური ელემენტებით განპირობებული ომონიმის გადაჭრის შესაძლო გზების მოძიება წარმოადგენდა, რისთვისაც საჭირო იყო იმგვარი წესების შემუშავება, რომელთა ალგორითმის სახით გადაწერაც გაამარტივებდა ზმნური წარმოშობის ფუნქციურ ელემენტთა სწორად ამოცნობისა და მართებული მარკირების საკითხს. ვინაიდან კომპიუტერული ანალიზატორის პროგრამა მნიშვნელობათა წაკითხვის შესაძლებლობას მოკლებულია, პრობლემის რელევანტურ გადაწყვეტად ფორმალური წესების შემუშავება მივიჩნიეთ. ფორმალური წესების შემუშავებისას ვეყრდნობოდით საკვლევ ელემენტთა დისტრიბუციულ ანალიზს, წარმოდგენილს პოზიციური განაწილების სქემის სახით, რომელიც ემპირიული მასალის როგორც თვისებრივი, ისე რაოდენობრივი ანალიზის შედეგად მივიღეთ.

მოცემულ ქვეთავში წარმოვადგენთ ემპირიული მასალის ანალიზის საფუძველზე შემუშავებულ ფორმალურ წესებს, თითოეულ წესს თან ახლავს

რაოდენობრივი მონაცემი, რაც წესების სანდოობის საფუძველია. ცხადია, შემოთავაზებული წესები ქართული ენის ეროვნულ კორპუსში ფუნქციურ ელემენტებთან დაკავშირებულ ომონიმის პრობლემას სრულად ვერ გადაჭრის, თუმცა, ვფიქრობთ, შეამცირებს ომონიმური ფორმების რაოდენობას და, ამასთანავე, პრობლემის გადასაჭრელად საჭირო მეთოდურ ჩარჩოს შესთავაზებს საკითხით დაინტერესებულ მკვლევრებს.

კორპუსული კვლევის შედეგებზე დაყრდნობით შემუშავებულ კომბინატორულ წესებს წარმოვადგენთ სერიებისა და მწკრივების მიხედვით.

5.3.1 დგება ფუნქციური ელემენტი

დგება ფორმისთვის I სერიაში კორპუსში მოცემული კონტექსტებიდან გრამატიკალიზებული მაგალითები **მყოფადის, ხოლმეობითისა და მყოფადის კავშირებითის** მწკრივებში იძებნება. გრამატიკალიზებული ფორმების რაოდენობის თვალსაზრისით მეტი პროდუქტიულობით II სერია გამოირჩევა, გრამატიკალიზებული ფუნქციური ელემენტები მოცემულია როგორც **წყვეტილის**, ისე **II კავშირებითის** მწკრივში. რაც შეეხება III სერიას, მართალია, მცირე ოდენობით, თუმცა მაინც გვხვდება გრამატიკალიზებული ფორმები I და II **თურმეობითის** მწკრივებში.

მოცემულ ქვეთავში წარმოვადგენთ ფორმალურ წესებს, რომლებიც *დგება* ფუნქციური ელემენტისთვის შევიმუშავეთ კვლევის ფარგლებში. ვინაიდან ხშირ შემთხვევაში წესი არა მხოლოდ ერთ, არამედ რამდენიმე პირობას თანადროულად ითვალისწინებს, შემუშავებულ ფორმალურ წესებს კომბინატორულს ვუწოდებთ.

მიუხედავად იმისა, რომ წესები არსებითად ერთსა და იმავე პრინციპს ეფუძნება – **[დგება] საკვლევი ფორმის მომდევნო პოზიციაში [და] ტოკენის მყოფობას გულისხმობს**, შემუშავებულ წესებს წარმოვადგენთ მწკრივთა მიხედვით. წესების ამგვარად წარმოდგენა შესაძლებლობას გვაძლევს მეტი სიზუსტით, კერძოდ კი პირისა და რიცხვის დაკონკრეტებით, შევიმუშაოთ წესები, რადგან წესის თანახმად განსაზღვრულ პოზიციებში დადასტურებული გრამატიკალიზებული ფორმები განსხვავდება მწკრივებში პირთა და რიცხვთა მიხედვით.

➤ I სერია – მყოფადის მწკრივი

წესი: დგება ტოკენს მიენიჭოს ფუნქციური ელემენტის მარკერი, თუ იგი მოცემულია მყოფადის მწკრივის I ან III პირის ფორმით, მხოლოდითსა ან/და მრავლობით რიცხვში, ან თუ იგი მოცემულია II პირის მხოლოდითი რიცხვის ფორმით და მისი მისი მარჯვენა კოოკურენტია ტოკენი [და].

ცხრილი 5.1 ფორმალური წესი დგება ტოკენისთვის

მყოფადის მწკრივი					
	I პირი		II პირი	III პირი	
	მხ. რიცხვი	მრ. რიცხვი	მხ. რიცხვი	მხ. რიცხვი	მრ. რიცხვი
	ავდგები და	ავდგებით და	ადგები და	ადგება და	ადგებიან და
კონტექსტების რაოდენობა	187	124	30	137	43
ფუნქციური ელემენტი	185	122	23	134	38
ზმნა- შემასმენელი	2	2	7	3	5
წესის ცდომილება	1,1 %	1,6 %	23,3 %	2.18 %	11.62 %

➤ II სერია – წყვეტილის მწკრივი

წესი: დგება ტოკენს მიენიჭოს ფუნქციური ელემენტის მარკერი, თუ იგი მოცემულია წყვეტილის მწკრივის I, II ან III პირის ფორმით, მხოლოდითსა ან/და მრავლობით რიცხვში და მისი მისი მარჯვენა კოოკურენტია ტოკენი [და].

ცხრილი 5.2 ფორმალური წესი *დგება* ტოკენისთვის

წყვეტილის მწკრივი						
I პირი			II პირი		III პირი	
	მხ. რიცხვი	მრ. რიცხვი	მხ.რიცხვი	მრ. რიცხვი	მხ. რიცხვი	მრ. რიცხვი
	<i>ავდექი და</i>	<i>ავდექით და</i>	<i>ადექი და</i>	<i>ადექით და</i>	<i>ადგა და</i>	<i>ადგნენ და</i>
კონტექსტების რაოდენობა	421	77	230	97	906	242
ფუნქციური ელემენტი	414	74	213	91	700	231
ზმნა - შემასმენელი	7	3	17	6	206	11
წესის ცდომილება	1.7 %	3.9 %	7.4 %	6.2 %	22.7 %	4.5 %

➤ II კავშირებითის მწკრივი

წესი: *დგება* ტოკენს მიენიჭოს ფუნქციური ელემენტის მარკერი, თუ იგი მოცემულია II კავშირებითის მწკრივის II ან III პირის მხოლოდითი რიცხვის ფორმით და მისი მარჯვენა კოოკურენტია ტოკენი [და].

ცხრილი 5.3 ფორმალური წესი *დგება* ტოკენისთვის

II კავშირებითის მწკრივი		
	II პირი	III პირი
	მხ. რიცხვი	მხ. რიცხვი
	<i>ადგე და</i>	<i>ადგეს და</i>
კონტექსტების რაოდენობა	77	98
ფუნქციური ელემენტი	74	93

ზმნა-შემასმენელი	3	5
წესის ცდომილება	3.9 %	5.1 %

ზემოთ მოცემული წესების წარმოდგენის შემდეგ უნდა აღვნიშნოთ, რომ *დგება* გრამატიკალიზებული ელემენტისთვის ჩვენ მიერ შემუშავებული ფორმალური წესები *[/დგება/ + /და/* მიმდევრობას გამოყოფს და უპირატესად მიიჩნევს, მიუხედავად იმისა, რომ გრამატიკალიზებული სახით საკვლევი ელემენტი სხვა პოზიციებშიც დასტურდება.¹⁴ ამის მიზეზი კი ის არის, რომ მართალია, *დგება* საკვლევი ელემენტი გრამატიკალიზებული სახით სხვა პოზიციებშიც დადასტურდა, თუმცა ამ პოზიციებში მისი რაოდენობრივი მაჩვენებელი მეტად დაბალია და წესის ცდომილების შესაძლო მაჩვენებელიც, შესაბამისად, მაღალი. ამდენად, ვფიქრობთ, რომ კვლევის მოცემულ მომენტში მსგავსი პოზიციებისთვის ფორმალური წესების შემუშავება არაეფექტური და ნაკლებ სარგებლიანი იქნება მცდარად მარკირების შემთხვევათა შესამცირებლად.

5.3.2 *იღებს* ფუნქციური ელემენტი

იღებს ფუნქციურ ელემენტზე მსჯელობისას იმთავითვე უნდა აღინიშნოს, რომ მართალია, გრამატიკალიზებული სახით იგი კორპუსში სამივე სერიის ფორმით დასტურდება, თუმცა შესაბამის წინადადებათა განსაკუთრებით მცირე რაოდენობაში. საკვლევი *იღებს* ფორმა ფუნქციური ელემენტის სახით გვხვდება I სერიის **აწმყოს**, **მყოფადისა** და **ხოლმეობითის** მწკრივში, II სერიაში გრამატიკალიზებული ფორმები გვაქვს **წყვეტილისა** და **II კავშირებითის** მწკრივში, ხოლო III სერიაში გრამატიკალიზებული ფორმები გვხვდება მხოლოდ **I თურმეობითში**. პოზიციური განაწილების თვალსაზრისით აღსანიშნავია, რომ *იღებს* ფორმა გრამატიკალიზებული სახით გვხვდება მხოლოდ და მხოლოდ მიმდევრობაში *[/იღებს/ + /და/*.

¹⁴ პოზიციებზე დაწვრილებითი ანალიზი იხილეთ ზემოთ, თავი 3.3.1.

ვინაიდან *იღებს* ფორმა გრამატიკალიზაციის საწყის საფეხურზეა, კერძოდ, დესემანტიზაციის ფაზაში, გრამატიკალიზებულ კონტექსტთა რაოდენობა კორპუსში მოცემულ ემპირიულ მასალაში განსაკუთრებით მწირია. მიუხედავად იმისა, რომ მიმდევრობა $\{[იღებს] + [და]\}$ გრამატიკალიზებულია, გრამატიკალიზებულ ფორმათა რაოდენობრივი მაჩვენებელი ძალიან დაბალია, სწორედ ამიტომ, გრამატიკალიზაციის მოცემულ ეტაპზე, *იღებს* ფორმის ზმნური და ფუნქციური ფორმების ერთმანეთისგან გასამიჯნი ფორმალური წესების შემუშავების შესაძლებლობას მოკლებულნი ვართ.

5.3.3 ჩანს ფუნქციური ელემენტი

შემდეგი საკვლევი ფორმა *ჩანს* ფუნქციური ელემენტია, იგი გრამატიკალიზებული სახით გვხვდება I სერიის *აწმყოსა* და *უწყვეტლის* მწკრივებში და II სერიის *წყვეტილის* მწკრივში. *ჩანს* ფუნქციური ელემენტისთვის შემუშავებულ კომბინატორულ წესებსა და გრამატიკალიზებულ ფორმათა შემცველი კონტექსტების რაოდენობრივ მაჩვენებელს წარმოვადგენთ ქვემოთ მოცემული წესებისა და ცხრილების სახით.

წესი: *ჩანს* ტოკენს მიენიჭოს ფუნქციური ელემენტის მარკერი, თუ იგი მოცემულია *აწმყოს* ან *უწყვეტლის* მწკრივის III პირის მხოლოდითი რიცხვის ფორმით, წინადადების საწყის პოზიციაშია და მისი მარჯვენა კოოკურენტია მძიმე — $\{[.] [ჩანს] [,].\}$.

ცხრილი 5.4 ფორმალური წესი *ჩანს* ტოკენისთვის

	III პირი	III პირი
	მხ. რიცხვი	მხ. რიცხვი
	<i>ჩანს</i>	<i>ჩანდა</i>
კონტექსტების რაოდენობა	134	126
ფუნქციური ელემენტი	134	111
ზმნა-შემასმენელი	0	17
წესის ცდომილება	0 %	11.9 %

წესი: ჩანს ტოკენს მიენიჭოს ფუნქციური ელემენტის მარკერი, თუ იგი მოცემულია აწმყოს ან უწყვეტლის მწკრივის III პირის მხოლოდითი რიცხვის ფორმით და მისი მარჯვენა და მარცხენა კოოკურენტები მძიმეებია — {/,} [ჩანს] [,].

ცხრილი 5.5 ფორმალური წესი ჩანს ტოკენისთვის

	III პირი	III პირი
	მხ. რიცხვი	მხ. რიცხვი
	ჩანს	ჩანდა
კონტექსტების რაოდენობა	1193	90
ფუნქციური ელემენტი	1193	78
ზმნა-შემასმენელი	0	12
წესის ცდომილება	0 %	13,3 %

წესი: ჩანს ტოკენს მიენიჭოს ფუნქციური ელემენტის მარკერი, თუ იგი მოცემულია აწმყოს, უწყვეტლის ან წყვეტილის მწკრივის III პირის მხოლოდითი რიცხვის ფორმით, მას წინ უსწრებს ტოკენი როგორც — {[როგორც] [ჩანს]} — და :

- 1) მისი მარცხენა კოოკურენტია წერტილი, ხოლო მარჯვენა კოოკურენტი მძიმე — {/,} [როგორც] [ჩანს] [,];
- 2) ან/და მისი მარცხენა კოოკურენტია მძიმე, მარჯვენა კი წერტილი — {/,} [როგორც] [ჩანს] [,];
- 3) ან/და მისი მარჯვენა და მარცხენა კოოკურენტებია მძიმეები — {/,} [როგორც] [ჩანს] [,].

ცხრილი 5.6 ფორმალური წესი ჩანს ტოკენისთვის

	III პირი	III პირი	III პირი
	მხ. რიცხვი	მხ. რიცხვი	მხ. რიცხვი
	ჩანს	ჩანდა	გამოჩნდა
კონტექსტების რაოდენობა	30 627	209	178
ფუნქციური ელემენტი	30 627	206	169

ზმნა-შემასმენელი	0	3	9
წესის ცდომილება	0 %	1.4 %	5. %

ნაშრომის ერთ-ერთ მთავარ ამოცანას ქართული ენის ეროვნულ კორპუსში ნაზმნარი ფუნქციური ელემენტებით განპირობებული ომონიმის პრობლემის გადაჭრის გზების მოძიება წარმოადგენდა. ჩატარებულმა კორპუსულმა კვლევამ შესაძლებელი გახადა ერთმანეთისგან გაგვემიჯნა პოზიციები, რომლებშიც საკვლევ ერთეულები ლექსიკური და ფუნქციური მნიშვნელობებით არიან წარმოდგენილნი. მოცემულ ქვეთავში წარმოვადგინეთ კვლევის შედეგად მიღებული შედეგების თვისებრივი და რაოდენობრივი ანალიზის საფუძველზე შემუშავებული ფორმალური წესები.

ვფიქრობთ, წარმოდგენილი ფორმალური წესები სათანადო ალგორითმის სახით გადაწერის შემთხვევაში დახმარებას გაუწევს ქართული ენის ეროვნული კორპუსის ავტომატური ანალიზატორის პროგრამას საკვლევ ფუნქციურ ელემენტებთან დაკავშირებული ორაზროვნების მოხნის საკითხში.

6. დასკვნა

ნაშრომის ფარგლებში აღწერეთ ცოცხალ ენობრივ სისტემაში მიმდინარე გრამატიკალიზაციის პროცესი ზმნური წარმოშობის *დგება, იღებს და ჩანს* ფორმების ანალიზის საფუძველზე, განვსაზღვრეთ საკვლევ ფორმათათვის გრამატიკალიზაციის საფეხურები. ემპირიული მასალის მოსაპოვებლად და ჰიპოთეზების გადასამოწმებლად გამოვიყენეთ ქართული ენის ეროვნული კორპუსი. კვლევის პროცესში ვიყენებდით კორპუსლინგვისტური კვლევის მეთოდებს – კორპუსზე დამყარებულ და კორპუსით განპირობებულ მეთოდებს. მასალის საკვლევად ასევე გამოვიყენეთ რაოდენობრივი და თვისებრივი ანალიზის მეთოდები. საკითხის სიღრმისეული კვლევის მიზნით დამატებით გამოყენებული გვაქვს ენობრივი კომპეტენციის ტესტი.

კვლევის თეორიული ჩარჩოს შემუშავებისას შემოვისაზღვრეთ სამი ძირითადი პარამეტრით, რომლის საფუძველზეც აღიწერება გრამატიკალიზაციის პროცესი სამეცნიერო ლიტერატურაში – **ენობრივი ნიშნის წონა, კოჰეზიურობის ანუ ავტონომიურობის ხარისხი და ცვალებადობა**, და დავახასიათეთ საკვლევი ფორმები ჩამოთვლილი პარამეტრების მიხედვით; კვლევის შედეგად გამოჩნდა, რომ **წონის** მაჩვენებელი საკვლევ ფორმათათვის მაღალია, ისინი განსაკუთრებულ ადგილს იჭერენ წინადადებაში, მათი, როგორც გრამატიკალიზებული ელემენტების, ფუნქცია მკვეთრად განსაზღვრულია და განულების შემთხვევაში წინადადების სემანტიკურ ცვლილებას განაპირობებენ; **კოჰეზიურობის** ანუ **ავტონომიურობის** ხარისხი საკვლევ ფორმათათვის შემცირებულია, მათი სემანტიკური და ფორმალური ნიშნები მეტწილად დამოკიდებულია წინადადებაში შემავალ სხვა წევრებზე, ხოლო **ცვალებადობის** თვალსაზრისით საკვლევ ერთეულთა დახასიათება მანამ, სანამ ენობრივი ერთეულები გრამატიკალიზაციის ჯერ კიდევ აქტიურ ფაზაში არიან, არარელევანტურად მივიჩნიეთ.

საკვლევ ფორმათათვის გრამატიკალიზაციის მიმდინარე საფეხურის დასადგენად ემპირიული მასალა გამოვიკვლიეთ **სუბსტიტუციის, ელიმინაციისა და სკოპუსის მეთოდების** გამოყენებით. მიღებული შედეგების რაოდენობრივმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ საკვლევი *დგება, იღებს, ჩანს* ფორმები თანამედროვე

ქართულში სემიგრამატიკალიზაციის ფაზაში მყოფი ერთეულებია, კერძოდ: *დგება* – ექსტენსიის საფეხურზე იმყოფება, ხოლო *იღებს* და *ჩანს* ფორმები დესემანტიზაციის საფეხურზე მყოფი ერთეულებია.

გარდა ამისა, ემპირიული მასალა გამოვიკვლიეთ **პოზიციური განაწილების** თვალსაზრისით სერიებსა და მწკრივებში, რომლის შედეგებიც წარმოდგენილია ქვემოთ მოტანილი ცხრილის სახით:

ცხრილი 6.1 გრამატიკალიზებული ფორმების მწკრივებში განაწილების სურათი

<i>საკვლევი ფორმები</i>	<i>დგება</i>	<i>იღებს</i>	<i>ჩანს</i>
<i>I სერია</i>	მყოფადი	აწმყოს მწკრივი	აწმყო
	ხოლმეობითი	—	უწყვეტელი
	—	—	—
<i>II სერია</i>	წყვეტილი	წყვეტილი	წყვეტილი
	II კავშირებითი	II კავშირებითი	—
<i>III სერია</i>	I თურმეობითი	I თურმეობითი	—
	II თურმეობითი	—	—

პოზიციურ განაწილებაზე დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ გრამატიკალიზაციის განსაკუთრებით მაღალი ხარისხით გამოირჩევა მიმდევრობა [*დგება*] [*და*], კორპუსში მოცემული ემპირიულ მასალაში გრამატიკალიზებულობის უმრავლესი შემთხვევები სწორედ ამ მიმდევრობაზე მოდის. *იღებს* ფორმა გრამატიკალიზებული სახით გვხდება მხოლოდ და მხოლოდ [*იღებს*] + [*და*] მიმდევრობაში. *ჩანს* ფორმის შემთხვევაში გრამატიკალიზაციის მაღალი მაჩვენებლით გამოირჩევა [*როგორც*] + [*ჩანს*] მიმდევრობა, იგი გრამატიკალიზებულია კონტექსტთა აბსოლუტურ უმრავლესობაში. *როგორც ჩანს*, *როგორც ჩანდა*, *როგორც გამოჩნდა* მყარი სიტყვათშეთანხმებაა, რომლის უმთავრეს ფუნქციასაც წინადადებაში სხვადასხვა სემანტიკური მნიშვნელობის გამოხატვა წარმოადგენს.

ამასთანავე, საკვლევი ფორმები შევისწავლეთ **ფუნქციურ-სემანტიკური** თვალსაზრისით, რისთვისაც ლინგვისტური კომპეტენციის ტესტი გამოვიყენეთ. კვლევამ გვიჩვენა, რომ გრამატიკალიზებული *დგება* და *იღებს* ფორმები ლექსიკურ-

სემანტიკური თვალსაზრისით ეკვივალენტურია, მათი ფუნქცია მოქმედების სწრაფი წამოწყების სემანტიკის გამოხატვაა. რაც შეეხება გრამატიკალიზებულ *ჩანს* ელემენტს, იგი მოდალური ელემენტია, კერძოდ კი გამოხატავს ეპისტემური მოდალობის უეჭველობა/ვარაუდის სემანტიკურ ჯგუფს, თუმცა ამავდროულად, გამოიყოფა მცირე სემანტიკური ნიუანსებით განსხვავებული უფრო წვრილი ქვეჯგუფებიც.

ნაშრომის ფარგლებში აღვწერეთ ქართული ენის ეროვნულ კორპუსში საკვლევ ფორმათა ავტომატური ანოტირებისას წარმოქმნილი **ომონიმის პრობლემა**. ჩატარებული კვლევის საფუძველზე შევიმუშავეთ ფორმალური წესები, რომლებიც მკვეთრად შეამცირებს არასწორად მარკირებულ ფორმათა რაოდენობას კორპუსში. ხშირ შემთხვევაში შემუშავებული წესი არა მხოლოდ ერთ, არამედ რამდენიმე პირობას თანადროულად ითვალისწინებს, სწორედ ამიტომ წესებს კომბინატორული ვუწოდეთ და წარმოვადგინეთ რაოდენობრივი მაჩვენებლისა და წესის შესაძლო ცდომილების პროცენტული მაჩვენებლის მითითებით.

მოცემული კვლევა წარმოადგენს მცდელობას შესწავლილი სამი გრამატიკალიზებული ზმნური ფორმის მაგალითზე წარმოგვედგინა როგორც თეორიული ხასიათის კვლევა, ისე ამ საკითხის თეორიული დამუშავების პრაქტიკული იმპლემენტაცია ქართული ენის ეროვნულ კორპუსში ამ კონკრეტული ტოკენებისთვის ომონიმის მოსახსნელი რამდენიმე ფორმალურ-ალგორითმული წესის შემოთავაზებით. იმედია, ნაშრომის ფარგლებში წარმოებული კვლევის ორიგინალური მეთოდოლოგიური მიდგომა მოკრძალებულ წვლილს შეიტანს საზოგადოდ გრამატიკულ ფორმათა ომონიმის მოხსნისა და ენობრივი მასალის ავტომატური ანოტირების საქმეში, რაც, რასაკვირველია, შემდგომ გაფართოებულ და მეტნაკლებად ყოვლისმომცველ კვლევას მოითხოვს.

ბიბლიოგრაფია

- არაბული ა. (1992). *ქართული ზმნის ფორმათა სემანტიკური ანალიზისთვის*, მაცნე N4, ენისა და ლიტერატურის სერია.
- გამყრელიძე, თ. კიკნაძე, ზ., შადური, ი., შენგელაია, ნ. (2008). *თეორიული ენათმეცნიერების კურსი*. თბილისი: „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“.
- გოგოლაშვილი გ. (2011). *თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია, სალიტერატურო ენა*. თბილისი: არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი.
- თანდაშვილი, მ. (2017). *ზმნის სემანტიკური ანალიზი ქართულში*. თბილისი: გამომცემლობა „მერიდიანი“.
- თანდაშვილი, მ. (2016). *ქართული ენის ფუნქციური გრამატიკის საფუძვლები*. ბათუმი: „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა“.
- რუხაძე, მ. (2024). ნაზმნარი ფუნქციური ელემენტების სემანტიკური ანალიზი კორპუსლინგვისტურ ჭრილში, *მილენიუმი, (II)*, 119-137.
<https://millennium.adh.ge/index.php/millennium/article/view/7999>.
- რუხაძე, მ. (2023). გრამატიკალიზებული ადგა ფორმის ფუნქციურ-სემანტიკური ანალიზი. *მილენიუმი, (I)*, 96-108.
<https://millennium.adh.ge/index.php/millennium/article/view/7251>
- რუხაძე, მ. (2022). გრამატიკალიზებული ჩანს ელემენტი და მასთან დაკავშირებული სირთულეები კორპუსლინგვისტიკაში. *სპეკალი, (17)*.
<https://www.spekali.tsu.ge/index.php/en/article/viewArticle/17/301>
- შაბაშვილი, გ. (2018). *ქართული ზმნის სემანტიკური მახასიათებლები*. თბილისი: გამომცემლობა „საიმედო“.
- შანიძე, ა. (1980). *ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები*. (მე-3 გამოცემა). თბილისი: „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“.
- შარაშენიძე, ნ., ლამბაშიძე, მ., ადვაძე, ა., მახარობლიძე, თ. (2020). *მოდალობის კატეგორიის საკითხები ქართულში*. თბილისი: გამომცემლობა „უნივერსალი“.
- შარაშენიძე, ნ. (2020). *მოდალობის კატეგორია ქართულ ენაში*. თბილისი: გამომცემლობა „უნივერსალი“.

- შარაშენიძე, ნ. (2010). *ზმნათა ფუნქციური და ფორმოზრივი ცვლილებები ქართულში*. თბილისი: გამომცემლობა „უნივერსალი“.
- შარაშენიძე, ნ. (1999). უნდა მოდალური ფორმის ისტორიისა და მორფოსინტაქსური ანალიზისათვის. *ენათმეცნიერების საკითხები, (IV)*, 49-56.
- ჯორბენაძე, ბ. (1989). ინქოატივი ქართულში. *იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, (XXVIII)*, 172-186.
- ჯორბენაძე, მ., კობახიძე, მ., ბერიძე, მ. (1988) *ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონი*. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.
- ჭიკაძე, რ. (2017). მოდალური სიტყვა-გამოთქმის (ადგა და...) პარადიგმატული მოდელები ქართული ენის დიალექტებში. *საენათმეცნიერო ძიებანი, (XLII)*, 84-94.
- ჭუმბურიძე, ნ. (2016). ზმნის მნიშვნელობის („ზმნურობის“) დაკარგვის შემთხვევები; ზმნის გადაქცევა ნაწილაკად, კავშირად, მოდალურ ელემენტად. *ახალი ქართული ენა, (II)*. თსუ გამომცემლობა, 149-155.
- Agha, A. (2007). *Language and Social Relations*. Cambridge: Cambridge University Press.
- Austin L.J (1955), *How to do things with words*, Clarendon Press: Oxford
- Bondarko, A. V. (1991). *Functional Grammar: A Field Approach*. Leningrad: Nauka.
- Brinton, L. J. (2017). *The Evolution of Pragmatic Markers in English*. Cambridge: Cambridge University Press.
- Bybee, J. (2006). *From usage to grammar: The mind's response to repetition*. *Language* 82 (4): 711–733.
- Bybee, J., R. Perkins & W. Pagliuca. (1994). *The Evolution of Grammar. Tense, Aspect, and Modality in the Languages of the World*. Chicago: University of Chicago Press.
- Croft, W. (2012). *Verbs: Aspect and Causal Structure*. Oxford: Oxford University Press.
- Goldberg, A. E. (2006). *Constructions at Work: The Nature of Generalisation in Language*. Oxford: Oxford University Press
- Grice P. (1989): Grice P., *Studies in The Way of Words*, Harvard university press, London
- Frajzyngier, Z. (2008). Grammaticalization, typology, and semantics: Expanding the agenda. *Rethinking Grammaticalization. New perspectives*. Amsterdam: Benjamins, 61-102.

- Givón, T. (1979). *On understanding grammar (Perspectives in Neurolinguistics and Psycholinguistics)*. New York etc: Academic Press.
- Heine, B. & Kutava, T. (2004). *World Lexicon of Grammaticalization*. United Kingdom: Cambridge university press.
- Heine, B. (2003). *Grammaticalization*. Oxford: Blackwell; In Janda & Joseph (eds.) *The handbook of historical Linguistics*.
- Heine, B., & Kuteva, T. (2002). *World Lexicon of Grammaticalisation*. Cambridge: Cambridge University Press.
- Heine, B., Claudi, U., & Hünnemeyer, F. (1991). *Grammaticalization: A conceptual framework*. Chicago: The university of Chicago press.
- Hopper, P. J. (1996). *Some recent trends in grammaticalization*. *Annual Review of Anthropology*, (25), 217-36.
- Hopper, P.J. & Traugott, E.C. (2003). *Grammaticalization*. (2nd ed.) Cambridge: Cambridge University Press.
- Jakobson, R. (1971). *Word and language*. The Hague & Paris: Mouton, 489-496.
- Langacker, R. W. (1987). *Foundations of Cognitive Grammar*. Vol. 1. Stanford: Stanford University Press.
- Langacker, R. W. (2008). *Cognitive Grammar: A Basic Introduction*. Oxford: Oxford University Press.
- Lehmann, Ch. (2002). *Thoughts on Grammaticalization*. (2nd ed.). Erfurt: Seminar für Sprachwissenschaft der Universität.
- Lehmann, Ch. (20015). *Thoughts on Grammaticalization*. (3rd ed.). Erfurt: Seminar für Sprachwissenschaft der Universität
- Lyons, J. (1977). *Semantics*. 2 Vols. Cambridge etc: Cambridge University Press, 70-113.
- Matras, Y. 2009. *Language Contact*. Cambridge: Cambridge University Press.
- Meillet, E. (1912). *L' évolution des formes grammaticales*. Paris: Scientia (Rivista di Scienza).
- Nicolle, S. (2007). *The grammaticalization of tense markers : A pragmatic reanalysis*. *Cahiers Chronos*, 47-65.

- Nichols, J. (1992). *Linguistic Diversity in Space and Time*. Chicago: University of Chicago Press.
- Palmer, F. R. (1990). *Modality and the English Modals*. (2nd ed.). University of California.
- Palmer, F. R. (1999). *Modality and the English Modals*, London: Longman.
- Palmer, F. R. (2001). *Mood and Modality*, Cambridge: University Press.
- Sweetser, E. (1990). *From Etymology to Pragmatics: Metaphorical and Cultural Aspects of Semantic Structure*. Cambridge: Cambridge University Press.
- Talmy, L. (2000). *Toward a Cognitive Semantics*. Vol. I. Cambridge, MA: MIT Press.
- Traugott, E. C. (2010). *(Inter)subjectivity and (inter)subjectification: A reassessment*. In K. Davidse et al. (eds.), *Subjectification, Intersubjectification and Grammaticalisation*, 29–71. Berlin: Mouton de Gruyter.
- Traugott, E. C., & R. B. Dasher. (2002). *Regularity in Semantic Change*. Cambridge: Cambridge University Press.
- Traugott, E. C., & G. Trousdale. (2013). *Constructionalisation and Constructional Changes*. Oxford: Oxford University Press.

ელექტრონული წყაროები

- ქართული ენის ეროვნული კორპუსი

<http://gnc.gov.ge/gnc/page>

- Google Translate

https://www.google.com/search?q=google+translate&rlz=1C1GCEA_enGE1141GE1141&oq=google+tra&gs_lcrp=EgZjaHJvbWUqDggAEEUYJxg7GIAEGIoFMg4IABBFGCcYOxiABBiKBTIGCAEQRRg5MgYIAhBFGEAyBggDEEUYOzIMCAQQABgUGlcCGIAEMgYIBRBFGDwyBggGEEUYPDIGCAcQRRg80gEIMTcyNmowajSoAgCwAgE&sourceid=chrome&ie=UTF-8

- ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი

<http://gnc.gov.ge/gnc/page>

- ქართული ლექსიკონი <http://gnc.gov.ge/gnc/page>

<https://www.ganmarteba.ge/>